

პრეზ

№27(481) 27/VIII-2009
 ფასი 1 ლარი



„ეს იყო გამოცდა, როგორც ვერ ნაპაპარი“

ღალი მოროვიანს „ემარქორდი“



„ბოლო დროს სასიყვარულო რომანებმა გაიბნა...“

თიკა ფაცაძიანს რომანტიკული ზაფხული



მოდელი, რომლითაც ნინო ბურჯანაძის ვაჟი დაინტერესდა



„სექსუალური გონება უნდა დაუბრუნდეს“

სანოლს მიჯაჭვული ჯაბა ბოჯგუანს განსაცდელი



მარინა ჯანაშიას წარმატებული და მილიონერობაზე მეთხნება შეიძლებული



საქართველოზე შეყვარებული აფრიკელი

„გაბრულის ვინსაქლა“

მწველი გოგონების რიხხვი კატასტროფულად იზრდება



NAFNAP

ME DIE მართლმადიდებლის კლინიკის ჯგუფი

ოსკარი



DELPHOS

Sandora

WELEDA ველედა

"მის თინეიჯერი"



გაფხულის სეზონი



ბერისბლი კომპანია "ჩემოდანი"

მის: ლსაღლიძის 53
ტელ: 72 01 10

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარიში“, SMS ვულ ში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886.

კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

პორტალზე შემოსული ხმების მიხედვით, „მის თინეიჯერი“ გამოვლინდება.

„მის თინეიჯერის“ გაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან“ გადაეცემა:

ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, შარველში, 5 პარსკვლავიან სასტუმროში

ბრილიანტის სამკაული საიუველირო გადაზნა „დელფოსისგან“ კონტრაქტი სამოქალაქო სააგენტოსთან, სტატიური გარანტიის საფუძველზე და უსთიბიკარ ცენტრ „ვიდისაგან“ და სამახსოვრო სარეკლამო კონკურსის აონსორებისაგან



დახვარა უნდა რჩეულს გახდეს გაფხულის სეზონის გამარჯვებული!

+ 20 ნომინაცია



„მის თინეიჯერი“ სექციებისთვის მხოლოდ უკვან სექციის ვებგვერდზე



ხმის მიცემა 10 სექტემბერს შეწყდება!

SMS მისი კოდით

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი“.

ქვეყანა



ხანძარი. რომელმას ეჭვი წარმოვსა

„ამბობენ, ათენის გარშემო არსებული ტყის მასივი გამიზნულად გადაწვესო. ძალიან კარგი ადგილებია, ამიტომ ბევრ ფულიან და გავლენიან პირს უნდოდა იქ დასასვენებელი და გასართობი ცენტრის მოწყობა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციები ტყის გაჩენის საშუალებას არ აძლევდნენ“.

7

მსოფრევა



ლეიკემია

„ქვედა ყბის კეთილთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა, რომლის პროცესი სხივური თერაპიის შედეგად შეაჩერეს, მაგრამ ამის შემდეგ, დაახლოებით, 2-3 თვეში ლეიკემიის ნიშნებიც აღმოაჩნდა...“

33

სახე



ზვიდი კახური „ნაკერი“

„სხვათა შორის, ჩემი ექმიც კახელი იყო და კაი, კახური (შვიდი) „ნაკერი“ დამადო. თეთრსალათიანების ძალიან მეშინია, გამუდმებით კითხვებს ვსვამდი, ახლა რა უნდა მიქნათ, ეგ რა გიჭირავთ ხელში მეთქი (იცინის)? ოპერაცია გუშინ გავიკეთე და ხედავ, დღეს ინტერვიუზე მოვედი შენთან, წარმოიდგინე, რა მაგარი ექმი შემხვდა“.

19



№35 (481)
27 აპრილი -
2 სექტემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

- **მინიაბიურები**
- სომ არ „ზვივართ“?! 5
- **მოვლანა**
- ხანძარი, რომელმას ეჭვი წარმოვსა 6
- **იწმორმასია** 7
- **ოქაპანებები**
- ✓ „ქრემლს სურს, აუხაზითი ღა
 ოსათი სამხედრო კლასდარმად გამოიყენოს“ 8
- ✓ რუსული ჩაქმა ყველგან ბაბონობს 9
- **ღიჯუხტი** 11
- **პროვლანა**
- მწველი გოგონების რიხსვი
 ღღითი ღღა იზრდება 12
- **საქმა**
- ღიმილი – ხარისხიანი მომსახურების
 აუხილებელი აბრიზები
- **მგზავრული**
- „...ღმერთისა ღა სარკოზის წყალობითა...“ 18
- **ფსიქოლოგრები**
- შვიდი კახური „ნაკერი“ კახელი ექიმისგან 19
- **არღაღებები**
- ✓ თიქა ფასისიან რომანტიკული ზაფხული 21
- ✓ ბახმაროს საპატიო მოქალაქე... 22
- ✓ „ჩაქმი მთის ხსიითი უფროა, ვიღრა – ბარისა“ 23
- **სიანლა**
- პირველი საბავშვო თეატრი 24
- **ამალა**
- „ეს იყო გამოსდა, რომლის ვერ ჩაქაბარა“ 25
- **მოღელი**
- „ანოროქიმო მომწერა: კალიან ლამაზი ხარო“... 27
- **ოჯანი**
- მოღელაზს შორის გამორჩეული 28
- **პარსკვლავები**
- თანამედროვეობის ყველაზე სექსუალური
 გოგონადღები 30
- **მადლი**
- ლეიკემია – ღაქვადება, რომლის 8 წლის
 ღაქას თამაშსა ღა ქამას უკრძალავს 33
- **თქვეთმისი, ქალბატონე!**
- ბრძოლა საქუთარი ადგილის ღამქვიღრებისთვის 35
- **ორნი**
- ანა შორეული ღა ახლოგალი 36

მგზავნილები

იმაღგასრუება



ბიჭის დედის მოთხოვნაა, რომ რძალი მეგრელი იყოს, თანაც ექმი (თვითონ მეგრელია და იმიტომ)! ჰოდა, ერთი ვარაზტი ჩემმა დამაც წამოაყენა, პარამეტრებს — „მეგრელი და ექმი“, აკმაყოფილებდა, მაგრამ თურმე თავის დღეში თავისი ტანისამოსიც კი არ გაურეცხავს.

85

■ კონსულტაცია	
როგორ უნდა გათავისუფლდეთ მანქანის მძღველისგან	39
■ სასარგებლო ინფორმაცია	41
■ სიყვარულის აგება	
გაქვების უნებანტიკური საფუძვლით მონიბლული ვიპტორია ალამის	43
■ გონიერი მკითხველი	
ფოტო, რომელმაც წარწერა დაქარბა	46
■ სამყარო	
უხნაური „მონუმენტი“ და ვირი, რომელიც მუხუხუხი დადის	47
■ ავტო	49
■ ღიზინიერი	
ტყუპის პაუზები და მსხვები გაუხუხუხისთვის	50
■ პიკა!	
რაზე ფიქრობდა ნათელია?!	51
■ საკითხავი ქალბატონისთვის	
✓ 10 მითი სილამაზის შესახებ	52
✓ სარჩესი ფსენილი და ალერგიული რეაქცია	53
■ ბაპარი	
პირველი ქრისტიანული ღვინისწარმოები	54
■ ჯანმრთელობა	56
■ პროფესია	
ვატარა ანიმაციის გეგმები	59
■ უხსო თვალით	
ნიგირიელი ბიჭის თბილისური მსოფრთვეა	60
■ განსახდელი	
„ჯაბას სეპტემბერი გონება უნდა დაუბრუნდეს“ ...	62
■ თინეიჯერული პონტები	
ყველაზე გემოვნებიანი და უგემოვნო ქართულიები	64
■ ტრაგედია	
„ჩემთვის დღე ხატიათი იწყება და მთავრდება“	67
■ მინიკომანი	
აღრა თუ გვიან	69
■ რომანი	
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინეა ყაფლანიშვილი (გაბრძელება)	72
■ რეალური	
უფაქის მოსიქული (გაბრძელება)	76
■ სასიყვარულო რომანი	
სვება ქვარაცხელია. ნითელი უხსახხველი (გაბრძელება)	78
■ დოკუმენტური პროზა	
შხხვედრები სტალინთან	82
■ გზავნილები	
იგადგამსრუება	85
■ ყველა ერთისთვის	
შხხს ყოფილ „ლოვეს“ ეგოიზი ამოქრავება და არა — სიყვარული	90
■ მოგილიჩასია	92
■ მოქლა ჩართვა	
რა მომენონა და რა არ მომენონა განახლებულ „გზაში“?	96
■ ერულიტი	
როდის დება გულახდილობის ხსნიათხა „მხატვარი და მარბარიტას“ ავტორი	98
■ გასართობი	100
■ მოხიქია	102
■ ასტროლოგია	104
■ სქანეორლი	105
■ საფირმო ქროსოორლი	106

აღამიანი



„ჯაბას სეპტემბერი გონება უნდა დაუბრუნდეს“ ...

„ნახეთ, რა მდგომარეობაშია... პირველი ჟურნალისტი ხართ, ვინც „ასეთი“ ჯაბა ნახა. ტელევიზიებმა სცადეს მისი გადალება, მაგრამ ამის უფლება არ მივეცი. ჯაბას ბავშვობიდან, მოციმიციმე ართთია ანუშხებდა. ორჯერ გულიც გაუჩერდა.“

59

გიბლუსი



ერთი ვინეა ყაფლანიშვილი

ზეინაბი ქავით სავსე საბაზანოში ნებვირობდა, თვლებშილუ-ლულმა დაუძახა კესოს: — მაცივარში რომ გახსნილი ბოთლია, ბოკალში ჩამომისხი და მომიტანე!

კესომ ორვე ხელით ჩაბლუჯული, შეორთქილი, პირამდე სავსე ბოკალი შემოუტანა.

69

სამყარო



რაზე ფიქრობდა ნათელია?!

100 წელს მიღწულ ცუცა ბებოს პასპორტის მიხედვით რომ პროკლამაცია ერქვა, ეს მხოლოდ მაშინ შევიტყვევ, როცა მადლიერმა შთამომავლებმა სავლავზე მარმარილოს ქვა დაუდგეს და წარწერაც შესაბამისი გაუკეთეს: „არასოდეს დავივინეებთ ჩვენი ოჯახის დედაბოძს — უსაყვარლეს ქალბატონ პროკლამაციას...“

47

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“

გამოდის კვირავი მრთხელ, ხუთშაბათოვით გახვით „კვირის პალიტიკის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

ღიზინი: **ნანა გიგოლაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტიელიანი, ლუკა შორჭოლიანი**

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. №49**
 ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**
 რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

ტაიმ-აუტი



„საქართველოში მოქალაქე მოაზროვნად არ მიიჩნევენ“

„პარლამენტში სხდომები დაიწყება თუ არა, გამოვალ ინიციატივით საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. ვფიქრობ, უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზაცია, რომელიც ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის. იმედი მაქვს, უმრავლესობის წევრები მზარს დამიჭერენ.“

97

სომ არ „ვზივართ“?!



შსსპის ნაცვლად

პრემიერ-მინისტრმა გილაურმა ეკონომი-

კური განვითარების მინისტრი ჟვანია „ჩამოაღაბორანტა“! ამ უკანასკნელმა კი საპასუხოდ, „გამოსამშვიდობებელ“ პრესკონფერენციაზე განაცხადა, — გილაური სუსტი პრემიერია და საერთოდ, მაგის დანიშვნა „გაუგებრობის“ შედეგიაო! ეს რომ „ადამიანურ“ ენაზე გადმოვთარგმნოთ, შემდეგს ნიშნავს: ეგაც დებილია და მაგის დამნიშნავიციო!!! მერე კი სცადა „გალათობება“ — „უკუნითი უკუნისამდე“ სააკაშვილის ერთგული ვიქნებიო, მაგრამ რაც ითქვა, იმას არაფერი ეშველება...

გასული ხუთშაბათის შემდეგ კარგი ამბებიც მოხდა (არც ჩვენ ვართ დაუნახავები): კალათბურთელებმა მოიგეს 3 მატჩი (თუმცა, ამ სტრიქონების წერისას გადამწყვეტი, ოთხშაბათის თამაშის შედეგი არ ვიცი) და მიშამ ბათუმის ბულვარი ნაგარქელა — 1800 მეტრით, რაც 27 მილიონი დაჯდა ანუ — 1 მეტრი — 15 ათასი (ისე, მართლა მოსახსენელია ასეთი ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი)!!! ალბათ, სულ მალე, სომხეთის ყოველ მოქალაქეზე ერთი კვადრატული დეციმეტრი ბულვარი გვექნება და მერე აღარ იმღერებენ ასე გულდამწყვეტით: „ოკოლო ერევანე ესტ ოზერო სეგანე, ნა პოლ-ბანკი მენშე, ჩემ ტიხი ოკვანე...“

ახლა, რატომ დავიწყე ამ ამბით — მოსხნილი მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრების რაოდენობამ, „ამათი“ მმართველობის პერიოდში, უკვე საკმაოდ სოლიდურ რიცხვს მიაღწია და კიდევ ერთი „ქართული“ ტენდენციაც ჩამოყალიბდა: ყველა მათგანი, წასვლისთანავე, თავის გუშინდელ თანაგუნდელებს სულელებს უწოდებს (როგორც მინიშუმში), ზოგიერთი კი პირდაპირ ოპოზიციის მიტინგზე მიდის და ბრახისგან გამწვანებული, მიკროფონს ხრავს... გამონაკლისებიც არსებობს, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება მათზე წინასწარ გამოაქვეყნებს კომპრომატს ან პრეზიდენტი საკუთარი ხელით გალახავს მოსახსენელ მინისტრსა თუ პრემიერს.



საერთოდ, ჩვენ — ქართველები, ორიგინალობით გამოვიჩრჩევით: ლაშა ჟვანია მოხსნეს „ინფესტიციების არასაკმარისად მოზიდვისთვის“, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური რაღაცის მინისტრს გაფრთხილება აკმარეს (ალბათ იმიტომ, რომ ამ წლის 8 თვეში, წინა წელთან შედარებით, ნაკლები ადამიანი მოკვდა შიმშილით).



ამასობაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკები“ დამოუკიდებლობას ზეიმობენ. პუტინი ისევ სტუმრობს ე.წ. „ახალ სახელმწიფოებს ზაკაკაზიუში“, სადაც ისე მიდი-მოდის, როგორც ტამბოვში (თუმცა შეიძლება, ტამბოვში არც იყოს ნამყოფი), თან ყოველი ჩასვლის შემდეგ რაღაცას „ხელს გააყოლებს“ ხოლმე ან მისი ვასალები ეახლებიან ძღვნიტ მოსკოვში: ხან რკინიგზა, ხან ინერტული მასალები, ხანაც — ოჩამჩირის პორტი...

სომხებზე გამახსენდა — გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, მძლეოსნობაში და პირველად ვნახე სომეხი მორბენალი ქალი! ძალიან, ძალიან მაგარი გახლდათ! სამოცდაათობნედ თუ ასოცდაათობნედ ფინალი იყო, ჰოდა, მთავარი მასში მონაწილეობა გახლდათ და არა — გამარჯვება, მაგრამ მონაწილეთა შორის ყველაზე თეთრი ნაღდად იყო... სამაგიეროდ, ერთი შავი ქალის გამარჯვებას მოჰყვა უცნაური სკანდალი — სამხრეთაფრიკელ ჩემპიონს უჩივლეს: ქალი კი არა, კაციო! მაგრამ ყველაზე საინტერესო მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის კომენტარი იყო — მე ექიმი არ ვარ, ეგ რომ დავადგინო, მაგას ორკვირიანი ექსპერტიზა სჭირდებაო!..

სამაგიეროდ, ერთი აფხაზი გამოექცათ და ჩვენც გადმოვიდა! მაგარი ამბავი ატყდა — ტრიბუნა ენგურის ხიდზე და მისაკი კბილებში... ახლა უკვე ორი რუსი ჯარისკაცი და ერთი აფხაზი მოქალაქე გყავს! ერთი ოსიც რომ გვაშოვნინა... ჯემალას უნდა ვუთხრა, კუდუხოვს, ჩემს მეზობელს, კარგი ბიჭია, რამდენი ხანია ტყუილად დგას ელიავას ბირუაზე, თანაც, ტელეგურია!.. ძმა ჰყავს ცხინვალში — გადავა, გადმოვა და მერე ტრიბუნა და ჩქარი ტაში!

ამასობაში „საკანი №5“ კვლავ აქტუალური ხდება — ის „მოგზაურობას“ იწყებს და პირველი „გაჩერება“ ზუგდიდი იქნება, ხოლო პირველი „ახალი პატიმარი“ — თვით „დიდი გრეჩისა“ („პატიმარი“ რომ ბრჭყალებში დავენერე, შეიძლება გვიწყინონ — „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „უცნობმა“ ერს ასე მიმართა: თქვენი გულისთვის ამდენი ხანი „კამერაში ვეგდეო“... საერთოდ, კარგია, როდესაც მსახიობი როლში ასე ღრმად შედის...).

ისე, ჩვენ ვლადაობთ და, ტალიავინი რას წერს იმ თავისი კომისიის დასკვნაში, ეშვამა უწყის...

P.S. საკანში ახალ პატიმარს შეაგდებენ. ცოფებს ვრის — უსამართლოდ დამოჭირესო, დადის წინ და უკან, ბოლთას სცემს, მიუჩვენებელია პატარა სივრცეს... უყურებს ცოტა ხანს ბებერი კახელი „ზევი“ და ბოლოს, ეუბნება: — დაჯე, ბიჯო, შენა გგონია, რო დადისარ, არა ზისარ?.. P.P.S. ხალხო, გაიხედ-გამოიხედეთ, რო მივდი-მოვდივართ და ჩვენსას რაღაცას ვწალიჩობთ, თან კარცერში სომ არ „ვზივართ“?..

პრომოკატორი

ხანძარი, რომელმაც ეჭვი წარმოუშვა

„ამბოზენ, იქ დასასვენებელი და გასართობი ცენტრის მოწყობა უნდოდათო“

გასული კვირის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოვლენად, საბერძნეთის დედაქალაქში მომხდარი, მასშტაბური ხანძარი მიიჩნევა, რომელმაც მთელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ქვეყანაში, მისი გამოწვევის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ.

სათუნა პასტორიკა

ათენის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილმა ხანძარმა, რომელიც 4 დღის განმავლობაში ვერ ჩააქრეს, ასობით სახლი და 15000 პეტარტი ტერიტორია გადაწვა. მსხვერპლი არ ყოფილა, უმნიშვნელო დამწვრობა მხოლოდ ოთხმა ადამიანმა მიიღო. უსაფრთხოების მიზნით, ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნიდან, სადაც ხანძარი განსაკუთრებით ძლიერი იყო, 30000 ადგილობრივი მცხოვრების ევაკუაცია მოხდა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ბავშვთა სახლებიდან და საავადმყოფოებიდან ბავშვები უსაფრთხო ადგილებში გადაიყვანეს. როგორც ათენში მყოფმა ქართველებმა გვითხრეს, შესაძლოა, ხანძრის გამომწვევი რეალური მიზეზი — მავანთა მერკანტილური ინტერესებიც ყოფილიყო.

მანანა გულიაშვილი:

— ამბობენ, ათენის გარშემო არსებული ტყის მასივი გამიზნულად გადაწვეს. ძალიან კარგი ადგილებია, ამიტომ ბევრ ფულიან და გავლენიან პირს უნდოდა იქ დასასვენებელი და გასართობი ცენტრის მოწყობა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციები ტყის გაჩეხის საშუალებას არ აძლევდნენ. საერთოდ, გადამწვარი ადგილები შეღავათიან ფასში იყიდება... ისე, საბერძნეთში ხანძარი, მაღალი ტემპერატურის გამო, თითქმის ყოველწელს ჩნდება, მაგრამ ამჯერად ბევრი საეჭვო დამთხვევა იყო.

— გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი ცენტრის მოწყობა სურდათ, სხვა რა საეჭვო დამთხვევა იყო?

— მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი საკმაოდ მოწესრიგებული ქვეყანაა და სამაშველო სამსახურებიც კარგად მუშაობენ, შემთხვევის ადგილზე არც ერთი სახანძრო მანქანა არ მივიდა დროზე. არადა, არა მარტო სახანძრო მანქანები, არამედ თვითმფრინავებიც აქვთ და ასეთი შემთხვევებისთვისაც ყოველთვის მზად არიან.

ცეცხლის კერები კიდევ დარჩა?

— კი, დარჩა. წინააღმდეგ ინვიმა, სახანძრო დახმარებაზე კარგად, ბუნებამ „იმუშავა“, მაგრამ ხანძრის კერები მაინც დარჩა. ახლა ამბობენ, შესაძლოა, უსაფრთხ-



ოების დაცვის მიზნით, მოსახლეობის ევაკუაცია ათენიდანაც მოახდინონ.

მთავრისა ვალაღდაძე:

— რამდენიმე დღის წინ აქ საშინელი მდგომარეობა იყო. ათენის გარშემო თუ რამე მწვანე იყო, ყველაფერი დაინვა, მაგრამ თვით ათენში ცეცხლი არ შემოსულა. როგორც ვიცი, სამაშველო სამუშაოებში საბერძნეთს იტალია, საფრანგეთი და კვიპროსი ეხმარებოდნენ. დახმარება თურქეთმაც შესთავაზა, მაგრამ უარი უთხრეს... პატარ-პატარა ცეცხლის კერები ისევ დარჩა, მაგრამ მე მგონი, ამ ჯოჯოხეთს მალე მოეღებება ბოლო.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენი საცხოვრებელი სახლი დაინვა?

— კი, ზუსტად ვიცი, რომ 150 სახლი დაინვა.

— ხანძრის მიზეზებზე თქვენ თუ გსმენიათ რაიმე?

— ხანძრის გამომწვევ მიზეზად, სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ, სიმართლე არავინ იცის.

— მაინც რა ვერსიებს ასახელებენ?

— ზოგი ამბობს, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო, ზოგის აზრით, ტყე იმიტომ გადაინვა, რომ სანაპირო ზოლის გათავისუფლება უნდოდათ. როგორც ჩანს, ბოლო ვერსიის უფრო მეტს სჯერა, რადგან ადგილობრივი პარლამენტი იძულებული გახდა, ხალხისთვის პირობა მიეცა, რომ გადამწვარ ადგილებზე ისევ ხეებს დარგავენ და არც ერთ გასართობ დაწესებულებას ან სასტუმროს არ ააშენებდნენ.

**პირველად
საქართველოში!**

**საინფორმაციო სააგენტოს
მობილური ვერსია!**

ინტერპრესნიუსის **wap** სერვისს.

ამირიდან ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ მობილური ტელეფონის საშუალებითაც. სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა:

- მობილური ინტერნეტის გააქტიურება. ამისათვის დაუკავშირდით თქვენს მობილურ ოპერატორს.
- გააქტიურების შემდეგ აკრიფეთ მისამართი **mobil.ipn.ge** ან **wap.ipn.ge** და გაეცანით საინფორმაციო სააგენტო IPN-ის ახალ ამბებს.

IPN-ის მობილურ ვერსიაზე შესვლისას იხილავთ ხუთ ყველაზე ცხელ ნიუსს, შემდეგ კი ინფორმაციის მოძიება კატეგორიების მიხედვით არის შესაძლებელი.



IPN
ინტერპრესნიუსი

სიახლე!!!

ნახეთ „ინტერპრესნიუსი“ უკვე თქვენს მობილურშიც

mobil.ipn.ge
wap.ipn.ge



ქვეყანა

პატიმრობიდან გათავისუფლებული ზალვა რამიშვილის პირველი განსხვავებები



ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ზალვა რამიშვილი, რომელიც პატიმრობიდან გუშინ გათავისუფლდა, პენიტენციარულ სისტემაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ბრძოლას აპირებს. როგორც მან სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რუსთავის №2 საპრობილეში, სადაც

4-წლიანი სასჯელი მოიხადა, პატიმრები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. „მხოლოდ ამ საპატიმროში 500 ადამიანი სანოლის გარეშეა. არის პრობლემები პატიმრების მკურნალობის მიმართულებითაც. ვაპირებ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად ყველაფერი გავაკეთო, მივმართო ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს. მოვუწოდებ ყველას, ამ ბრძოლაში შემომიერთდნენ“, — აღნიშნა ზალვა რამიშვილმა. იგი აგრეთვე მოუწოდებს სასჯელ-აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, დიმიტრი შაშკინს, შეხედეს და აღნიშ-


ნული პრობლემები მასთან ერთად განიხილოს. რამიშვილის შეფასებით, მძიმე მდგომარეობაშია ქართული მედიაც. როგორც მან აღნიშნა, არ არის გამორიცხული, სატელევიზიო შოუ მოამზადოს. „დავარქვათ ამ შოუს თუნდაც, „გამოძალვის შოუ“ — გამოქცალოთ ინფორმაცია პოლიტიკოსებს და ვუთხრათ ხალხს“, — თქვა მან. რამიშვილმა შეხვედრისკენ მოუწოდა აგრეთვე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. „შემხვდი, მიხეილ სააკაშვილო და ღიად ვისაუბროთ ყველაფერზე. ჩვენ მეგობრები ვიყავით და ბევრი რამ გვაქვს სასაუბრო“, — მიმართა მან პრეზიდენტს.

ედუარდ კოკოითის 3-თვიან შვაბულაზე უშვაბან

ამის შესახებ რუს ჟურნალისტიკთან საუბრისას, კომპანია „სტროიპროგრესის“ გენერალურმა დირექტორმა, ალბერტ ჯუსოევმა განაცხადა. მისივე მტკიცებით, კოკოითიმ შვებულებაში გასვლის შესახებ 24 აგვისტოს, მას შემდეგ განაცხადა, რაც მოსკოვიდან ძალიან დიდმა ხელმძღვანელმა პირმა დაურეკა. „კოკოითიმ თქვა, რომ სამი თვე არ იქნება და პუტინი სწორედ ამდენი ხნით შვებულებაში უშვებს“, — დასძინა ჯუსოევმა. თავად ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერს აღნიშნული ინფორმაცია ჯერჯერობით არ დაუდასტურებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სტროიპროგრესი“ არის კომპანია, რომელმაც ააშენა გაზსადენი რუსეთიდან ცხინვალამდე, მისი გენდირექტორი კი ენ. სამხრეთ ოსეთის ოპოზიციის ლიდერია.

ყველაზე სანდაზმული ნაბოლარა ძმებ კენედებს შორის...

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი სენატორი-დემოკრატი ედვარდ კენედი. ედვარდ კენედი ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმა იყო, რომელიც 1963 წელს მოკლეს, მისი უმცროსი ძმა კი — 1968 წელს, როდესაც საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობდა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ასარჩევთა შორის, ყველაზე რეალური კანდიდატი გახლდათ. „ჩვენ დავკარგეთ მთელი ოჯახის საყრდენი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს გულბში ყოველთვის დარჩება მისი რწმენა და ოპტიმიზმი“, — ნათქვამია სენატორის ოჯახის განცხადებაში. ედვარდ კენედის 1962 წლიდან უცვლელად ირჩევდნენ სენატორად. სიკვდილამდე იგი სენატის ჯანმრთელობისა და განათლების კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ედვარდ კენედი კიბოთი იყო დაავადებული და შარშან თავის ქალიდან სიმსივნის ამოკვეთის ოპერაცია გაიკეთა.



სათუნა ბახტურიძე

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთსა და ცხინვალში ერთმმართველობის დამყარებას აპირებს. კულუარებში გაგრძელებულ ინფორმაციას — რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურები მოსკოვიდან გაკონტროლდებიან და ამ ტერიტორიებზე მხოლოდ რუსული კანონები იმოქმედებს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრიც ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბლავში და კოკოთი რუსეთისგან დამოუკიდებლად ველარც პოლიტიკურ გადანყვეტილებებს იღებენ, ვერც საკუთარი მოქალაქეების უფლებებსა თუ ინტერესებს იცავენ და ვერც ეროვნული სიმდიდრეების შენარჩუნებას ახერხებენ, დიდი ზარზეიმით აღნიშნავენ 26 აგვისტოს — დღეს, როდესაც მედვედევმა აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი და „ამა-მარჩენალს“ „გადარჩენისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლების აღიარებისთვის“ მადლობის წერილებს უგზავნიან. თავის მხრივ, მედვედევი და პუტინი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს არაფრად დაგიდევნ, აფხაზეთსა და ცხინვალს სულ უფრო და უფრო ხშირად სტუმრობენ და ადგილობრივ მოსახლეობას „აგრესორი“ ქართველებისგან დაცვის გარანტიებს აძლევენ. თუ როგორ დაიცავენ რუსები აფხაზეთსა და ოსებს, რა შედეგი მოჰყვება მოსკოვის თვითნებობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რა შემთხვევაში გადადგამს ამერიკა რადიკალურ ნაბიჯებს რუსეთის მიმართ? — ამ საკითხებთან დაკავშირებით, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკური ექსპერტი **ზოზი ხუციშვილი** გვესაუბრება.

— ბატონო გოგი, როგორ ფიქრობთ, რა მიზანს უნდა ისახავდეს მედვედევისა და პუტინის ასეთი სწორი ვიზიტი მათ მიერ უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

— მედვედევი-პუტინის გახშირებული ვიზიტები და მათ მიერ სეპარატისტული მთავრობების მიმართ მომეტებული ყურადღება იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთს რეგიონში ჯერ თავისი საქმე არ დაუსრულებია. ვფიქრობ, აფხაზეთისა და ცხინვალის და-

„კრემლს სურს, აფხაზეთი და ოსეთი სამხედრო კლასდარგად გამოიყენოს“

„ამერიკა და ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვიერად უჭერს მხარს“



ის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ იღებენ ისეთ იმპულსებს, რომ მათზე დაყრდნობით კონკრეტული ნაბიჯები გადადგან.

— ჩვენმა ხელისუფლებამ მათ რა იმპულსები უნდა მიაწოდოს?

— სააკაშვილმა, პირველ რიგში, დემოკრატიული იმიჯით მანიპულირება უნდა შეწყვიტოს. თუ ჩვენ ნატოსა და ევროკავ-

მოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და ახლა ამ რეგიონების რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაცია იგეგმება. მოსკოვს სერიოზული სტრატეგიული გეგმა აქვს შემუშავებული იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბოლოოდ დამკვიდრდეს, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, კრემლს სურს, ეს ტერიტორიები სამხედრო პლაცდარმად გამოიყენოს და ამის საშუალებით შავი ზღვის აკვატორიაში სტრატეგიული ბალანსი შეცვალოს.

— სტრატეგიული ბალანსის შეცვლაში რას გულისხმობთ?

— როდესაც რუსეთი ოჩამჩირაში, გუდაუთასა და ჯავაში სამხედრო ბაზებს ააშენებს, რეგიონში მისი სამხედრო პოტენციალი საგრძობლად გაიზრდება და მეტ საფრთხეს შეუქმნის ისეთი ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელებას, როგორცაა ნაბუკო...

— და ეს ხომ მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ იქნება?! თქვენი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთის მიმართ უფრო რადიკალურ ნაბიჯებს რატომ არ დგამენ, მათ ეს საფრთხე გაანალიზებული არ აქვთ?

— საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი პასიური ქმედება იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს არა აქვს თანამიმდევრული, გამოკვეთილი პოლიტიკა. ჩვენი ხელისუფლებ-

შირის ნევროზა მართლა გვინდა, ეს საქმით უნდა დავამტკიცოთ და არა ცარიელი განცხადებებით. ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს და სურს, გახდეს ევროპული ქვეყნების ღირსეული პარტნიორი, მაგრამ ქვეყანაში ავტორიტარულ რეჟიმს ამყარებს. ასეთ სატყუარას არც დასავლეთი წამოეგო და არც — ამერიკა. სააკაშვილის გუნდის მიერ ჩადენილი თვალთმაქცობის გამო აღარავინ გვენდობა, ღირსეულ პარტნიორად აღარ მიგვიჩნევენ და ჩვენ მიმართ მხოლოდ წმინდა პრაგმატული გათვლებით მოქმედებენ. ახლა ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გამოგვიყენონ რუსეთის შემაკავებელ ბერკეტად. აი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რის გამოც ამერიკა და ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვიერად უჭერს მხარს და კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს.

— კი, მაგრამ ამით ხომ მათი ენერგეტიკული ინტერესები საფრთხის ქვეშ დგება?

— მართალია, კავკასიაში რუსეთის კიდევ უფრო გაძლიერება მათ ინტერესებს სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს, მაგრამ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ვერ ენდობიან, ურჩევნიათ, რუსეთთან გარკვეული ბალანსი დაამყარონ. რუსეთის მიმართ ამერიკასა და ევროპას მკაცრი, შემტევი პოლიტიკა რომ ჩამოეყალიბებინა, თურქეთიც უფრო

ხისტი და შეურიგებელი იქნებოდა, მაგრამ ახლა, თუ დააკვირდებით, თურქეთის ხელისუფლება რუსეთთან შემრიგებლურ პოზიციას იკავებს და საერთო ეკონომიკური ინტერესების გამოძებნასაც კი ცდილობს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალში გატარებული იმპერიალისტური პოლიტიკა გამოიყენოს და რუსების მიერ უფლებაშელახულ აფხაზებსა და ოსებთან კონფლიქტის მოგვარების ახალი გზა გამოიხსნოს?

— ეს ახლა ერთადერთი გამოსავალია. აუცილებელია, რომ დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, აფხაზ, ოს და ქართველ ხალხს შორის აქტიური დიალოგი დაიწყო და პოლიტიკურად ხელსაყრელ მომენტში კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ.

— საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებსა და ოსებს დიალოგისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ უკვე არაერთხელ მოუწოდა, მაგრამ მათ ეს შეთავაზება არ მიიღეს. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა შეიძლება იყოს?

— ჯერ ერთი, ამ საკითხთან დაკავშირებით თავად საქართველოს ხელისუფლებამა აზრთა სხვადასხვაობა. თემურ იაკობაშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ ამ დიალოგს მხარს უჭერს, მაგრამ ბაიბენის ვიზიტის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და თქვა — სეპარატისტებთან საერთოდ, რა დიალოგზეა ლაპარაკი?! გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, აფხაზები და ოსები, ოფიციალურ განცხადებებში, საქართველოსთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე უარს რუსების შიშით ამბობენ. მე თავად ვმონანილებო აფხაზებთან და ოსებთან დიალოგში და კარგად ვიცი, რეალურად, როგორია მათი განწყობილება. ისინი საქართველოსთან თანამშრომლობისთვის მზად არიან. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქტიური იქნება ქართველი საზოგადოება. ჩვენი ორგანიზაცია ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ერთ რამეს ითხოვს — ხელს ნუ შეგვიშლიან. რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ისეთ ტირანულ პოლიტიკას აწარმოებს და ადგილობრივ მოსახლეობას ისეთ შავ დღეში აყენებს, რომ ჩვენ, თანამიმდევრული და გონივრული გადაწყვეტილებების შედგენად, ამ პრობლემის მოგვარება ნამდვილად არ უნდა გაგვიჭირდეს.

ყველგან ბაზონოს

„არ ვიცი, ჩემს ბრძოლას რა შედეგი მოჰყვება, მაგრამ მაინც ვაბრძობ აფხაზებზე ზეწოლის ყველანაირ ინფორმაციას“

ინფორმაცია, რომელსაც „აფხაზეთის სსნის კომიტეტის“ წევრები დე ფაქტო რეპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან გვანვდიან, ძალზე მძიმე წასაკითხია. როცა აფხაზეთიდან მონოდეტულ კონკრეტულ ცნობებს გავეცანი, ერთადერთმა აზრმა გამიელვა: თუ ჩვენი სისხლით მონათქავე აფხაზი ერთ რუსის ძალადობას შეეგუება, ეს ნიშნავს, როგორც ეთნოსი, საბოლოოდ გადაშენდება. ამის თქმის საფუძველს ჩემი რესპონდენტის, ქალბატონ მარინას (მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, გვარს არ ვასახელებთ) მიერ მოთხოვნილი რამდენიმე კონკრეტული ამბავი ნამდვილად იძლევა...

ლალი აპაისკირი

— თუ შესაბამის ორგანიზაციებს ვერ მივანოდე, ეს, „უკანასკნელი მოპიკანის“ ისტორიასავით მაინც შემორჩება დროს... სადაც ხელი მიმიწვდება, ვცდილობ, ყველგან გავიგო, რა ხდება — მთაში, სოფლებსა და ქალაქებში დავდივარ და ამბებს ისე ვაგროვებ. მართო ვერ ვებედავ, ვიცი, რუსები და ადგილობრივი მილიცია აუცილებლად დაინტერესდებიან ჩემით და კარგი დღე არ დამადგება... ჩემთან ერთად, ერთი რუსი და ერთი პოლონელი სტუდენტი მუშაობენ. ისინი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების თემაზე ინფორმაციას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად აგროვებენ. ის უბედურება, რომელსაც ვსწავლობთ, მათთვის სამუშაოა, რომელსაც თავიანთ ქვეყანაში წაიღებენ და კარიერას გაიკეთებენ, ჩემთვის კი — სამინელი რეალობა, რომელშიც მე და ჩემი ხალხი ვცხოვრობთ. ვატყობ, რომ კიდევ დიდხანს მოგვიწევს ამის გაძლება.

— მათი რისკიანი მუშაობის მიზანი გასაგებია; თქვენ კონკრეტულად, რა მიზნით აგროვებთ ამ ინფორმაციას?

— თავიდან ვფიქრობდი და იმედი მქონდა, რომ ამ ფაქტებს აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს მივანვდიდი, მაგრამ ეს ახლა უკვე შეუძლებელია: მათ აფხაზეთი უკვე დატოვეს, თუმცა არც აქ ყოფნის დროს აკეთებდნენ ჩვენთვის მომგებიან საქმეს. ეუთოს ეგიდით დაფუძნებულ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში მიმუშავია და მათი მუშაობის სტილი კარგად ვიცი. ისინი მხოლოდ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. მედვედევმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ახალი რეალობა უნდა აღიარონ და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსების ნებართვის გარეშე ვერც ერთი ორგანიზაციის შემოსვლა ვერ მოხდება; რუსების ნებართვით შემოსული უცხოელი კი მის სურვილს ყოველთვის გაუწევს ანგარიშს. მოსკოვის ნება-სურვილს კვერი დაუკრა ბალაფის ხელისუფლებამაც, რადგან სხვა გზა უბრალოდ, არ ჰქონდა... აფხაზებზე ზეწოლისა და კანონდარღვევის ფაქტებს ადრეც ვაგროვებდი, მაგრამ იმან, რაც დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რუსი სამხედროების მხრიდან აფხაზეთში დაიწყო, ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე, თუ არ



მთაში, სოფლებსა და ქალაქებში დავდივარ და ამბებს ისე ვაგროვებ

ვცდები, RTVI-ზე, — ჟირინოვსკიმ თქვა: აფხაზეთის მიწა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისთვის გვჭირდება, თორემ აფხაზები ჩვენი მოსამსახურეები იქნებიანო. იგივე თქვა ოსებზეც... მაშინ ჩემი ახლობლები გაბრაზდნენ: ვინ მისცემს მაგის უფლებასო?! — მე კი მივხვდი, რომ თუ რუსები რაიმეს მოისურვებდნენ, ხელს არავინ შეუშლიდა და ასეც ხდება — რაც უნდათ, იმას აკეთებენ. რუსების ქმედებებზე ბევრად უფრო მეტი ვიცოდი, ვიდრე სხვა დანარჩენებმა და ეს ხმამალაღაც ვთქვი. ადგილობრივებმა ეჭვის თვალით შემომხედეს: ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლიაო, — მითხრეს, თუმცა ბევრი უკვე ხედებოდა, თუ საით მიდიოდა ეს ყველაფერი... ამ წლების განმავლობაში რუსებთან თანაცხოვრებამ აფხაზ ერს იმდენი რამ ასწავლა, უამრავი მცირერიცხოვანი ერისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს. ქართველი მოძალადისგან დასაცავად შემოყვანილი რუსი ჩვენსავე მიწაზე უფროსად დაგვიდ-

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში რამდენიმე ადამიანი მოკლეს, ზოგი — შელაპარაკების ნიადაგზე, ზოგიც — ისე, უბრალოდ... ამას წინათ, ავიჭებების ოჯახში შეცვივდნენ და ცემით, სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე, შემდეგ კი სროლის ხმაზე გარეთ გამოვარდნილ მეზობლებსაც გაუხსნეს ცეცხლი; ამ დროს, 12 წლის ალიკ აგირბა სასიკვდილოდ დაიჭრა და მეორე დღესვე სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. გარდა ამისა, გუდაუთის ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიას ნასვამი რუსი სამხედროები დაესხნენ თავს და ნამებით მოკლეს მაღაზიის მეპატრონეები ბუჩუბა და ლურწყაია. ადგილობრივებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და ორმხრივი სროლის დროს მძიმედ დაიჭრა 3 რუსი სამხედრო, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სამედიცინო ნაწილში მიყვანამდე გარდაიცვალა. იმავე დღეს ბუჩუბას სიმამრი და ლურწყაიას ორი

გაუპატიურების კიდევ ერთი ფაქტი მოხდა მერხეულის რაიონში. ერთი ძალზე ამაზრენი ამბავი მინდა მოგიყვებო: ტყვარჩელში რუსი სამხედროები — კრივჩაკი და ბონდარჩუკი, თარბების ოჯახში ქორწილში მიიწვიეს. მას შემდეგ, რაც სამხედროებმა რამდენიმე ჭიქა გადააჭრეს, პატარძალზე გაიწიეს. მასპინძლებმა ორივე ჯარისკაცს იარაღი აართვეს და ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს; მაგრამ მეორე დღეს, რუსმა სამხედროებმა სიძე — რუსლან თარბა და მამამისი — რაულ თარბა მოკლეს... დაბოლოს: სოხუმში მცხოვრებ დავით მარშანიას ჩეჩნებმა, რუსული სამხედრო ნაწილიდან, „აკაემის“ ტიპის ავტომატი მიჰყიდეს, დილით კი გამოფინილებული, შინ მიადგნენ და ავტომატების დაბრუნება მოსთხოვეს. მარშანიამ ცუცხლსასროლი იარაღი გადახდილი 8.000 რუბლის დაბრუნება მოითხოვა. შელაპარაკების დროს, ჩეჩნებმა დავით მარშანია და მისი ოჯახის წევრი 2 ქალბატონი ადგილზევე მოკლეს. ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა, თუმცა წინააღმდეგობის განწევა ვერავინ გაბედა. ხალხის დანახვაზე, გაღიზიანებულმა ჩეჩნებმა რამდენჯერმე უმისამართოდ, ჰაერში ისროლეს. მათ მიერ ნასროლი ტყვია მარშანიების მეზობლად მცხოვრები ციციბების 4 წლის გოგონას მოხვდა, რომელიც დედასთან ერთად, საკუთარი სახლის ჭიშკართან იდგა. ბავშვი დედას ხელში ჩააკვდა. რა თქმა უნდა, არც ამ ფაქტზე აღძრულა სისხლის სამართლის საქმე.

— **მარია, მსგავსი ამაზრენი ფაქტები დიდი ხანა, ხდება თუ ბოლო დროს იმატა?**

— ასეთი ამბები ადრეც ხდებოდა, მაგრამ ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა. რუს სამხედროებსა და ადგილობრივ აფხაზებს შორის შეხმატებული ურთიერთობა არასდროს ყოფილა, თუმცა ის, რაც ბოლო თვეებში ხდება, რუსების მხრიდან აფხაზი ერის პირდაპირი გენოციდია. ამას სხვა სახელი არ შეიძლება დაერქვას. რუსები ყველაფერს განაგებენ, თავს ყველგან უფროსად მიიჩნევენ — ქალაქში, სოფელში, ოჯახში, რესტორანში, ქუჩაში...

— **ანუ, ყველაფერთან ერთად, ხშირია ფაქტი, როცა სამხედროები ადგილობრივებზე იარაღს ყიდებიან?**

— ამას უკვე შეჩვეული ვარ და ამიტომაც, ყურადღება აღარ გამამახვილებია. რუსულ ჯარში „დედოფმინა“ გაბატონებული — ძლიერები სუსტებს ჩაგრავენ, იარაღსა და ტყვია-ნაშაღს ართმევენ, შემდეგ კი მას ადგილობრივებზე ყიდებიან, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის დანაშაულის შემთხვევებს.



გა... დავდივარ და ვაგროვებ ჩემი ხალხის ნამებისა და დახოცვის ფაქტებს, მაგრამ არ ვიცი, ოდესმე იხილავს თუ არა სიმართლე მზის სინათლეს, ან წაიკითხავს თუ არა ამას ვინმე. ერთადერთი შანსია იმისა, რომ რუსების მიერ განხორციელებული ქმედებები მსოფლიომ ნახოს. ახლა ვეცდები, ჩემ მიერ მოგროვებული ინფორმაციის ნაწილი მაინც მოგაწოდოთ:

გუდაუთის სამხედრო ბაზა არასდროს ყოფილა უმოქმედო და გაუქმებული, იქ ყოველთვის რაღაც ხდებოდა, სულ ფუსფუსებდნენ, ოღონდ — ადგილობრივი მოსახლეობისგან ფარულად. რუსი და აფხაზი სამხედროები მას აქტიურად იყენებდნენ. გალის შემდეგ, მთელ აფხაზეთში ყველაზე დიდი რაოდენობით რუსი სამხედროები გუდაუთის რაიონში შეიყვანეს. იქ

ვაჟი დააპატიმრეს. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

— **დაზარალებულის ახლობლებმა შესაბამის ორგანოებს არ მიმართეს?**

— ამას აზრი არა აქვს — ყველამ იცის, რომ იქ, სადაც დანაშაულს რუსი სამხედრო სჩადის, აფხაზური მილიცია უმოქმედოა... მინდა, კიდევ რამდენიმე ინფორმაცია მოგაწოდოთ: ოჩამჩირეში, სოფელ ჩხორთოლში, სამმა მთვრალმა რუსმა ჯარისკაცმა და ერთმა ოფიცერმა — კაპიტანმა, რძალმული — 19 წლის ლანა და 24 წლის ნია ხარაბუა თავიანთ სახლში გააუპატიურეს. სახლში გოგონების გარდა არავინ იყო. რუსმა სამხედროებმა მათ წყალი სთხოვეს, შემდეგ სარდაფში ჩაათრეს... ჩემი ბოლო ინფორმაციით, ლანა ბაძალუა ამჟამად, სოხუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია.

ბოროტების იმპერია

საპასუხო დარტყმას ასორსილავს



რუსული ანდაზის — „ენდუ, მაგრამ შეამონმე“ — ნყალობით, რონაღდ რეიგანს თავის კარეერაში რამდენიმე დაუფინყარი მომენტი ჰქონდა. მას ეს ანდაზა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას არაერთხელ უხსენებია. 1978 წელს, მცირე და საშუალო სოშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების მოსკოვში ხელმოწერის დროს კი ორჯერაც (ჯერ — ინგლისურად, შემდეგ — რუსულად) მოიხმო და ამით საბჭოთა ლიდერ მიხაილ გორბაჩოვის უკმაყოფილებაც გამოიწვია.

კონტინგენტისთვის საფრთხის შემქმნელი შემდგომი პროვოკაციების შემთხვევაში, რუსეთის

ვა იმის შედეგია, რომ აშშ-მა და ევროპამ კრემლს 2008 წლის აგვისტოს ომი აპატიეს.

კრემლი უბრალოდ, ბაიდენის სიტყვებზე როდი რეაგირებს. შეიძლება, პირადად ვლადიმირ პუტინს ყველაფერი ზედმეტად სწყინდეს, მაგრამ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის სიტყვები მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება რუსეთის თემაზე გაკეთებული იმ კომენტარებისგან, რომლებიც ყოველდღიურად ჩნდება მსოფლიოს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

რუსეთის განცხადებამ დაგვანახვა, რომ კრემლი უწინდებურადაა შეპყრობილი იდეით, სამხედრო ძალის გამოყენებით ანდა იძულების გზით შეცვალოს საქართველოში არსებული რეჟიმი. რუსების ერთგვარად, დაბნეული ქვეყა კი ეკონომიკური პრობლემებით უფრო აიხსნება, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი ვლადიმირ პუტინის პირადი მტრობით.

ნათობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და გაზსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობის გეგმა, რომლებიც სულ უფრო რეალისტურად გამოიყურება, საფრთხეს უქმნის ევროპაში გაზის მიწოდების მოსკოვურ მონოპოლიას. გარდა ამისა, ეს არსებითად შეამცირებს კრემლის მიერ ევროპული ქვეყნებისთვის საკუთარი პოლიტიკის კარნახის შესაძლებლობასაც.

რუსეთი ბაიდენის მიერ მონახულებული კიდევ ერთი ქვეყნის — უკრაინის მიმართაც ანალოგიურ ტაქტიკას მიმართავს. თუმცა უკრაინის შემთხვევაში, ძალისმიერი ვარიანტი უფრო ნაკლებსავარაუდოა. ამ ქვეყანასთან დაკავშირებით, კრემლი პოლიტიკური იძულების მეთოდს არჩევს და მთელ რიგ უკრაინელ პოლიტიკოსებს იმასაც გამუდმებით ჰპირდება, რომ „ნათელ“ ფინანსურ მომავალსა და გაზის ტრანზიტისთვის ისეთ ენერგეტიკულ ომებს, რომლებსაც 2007 და 2008 წლებში ჰქონდა ადგილი, კვლავაც არ მოაკლებს... აშშ-ისა და ევროპის თავშეკავებული რეჟიმის გამო კი უკრაინისთვის ბრძოლის შედეგის განჭვრეტა სულ უფრო

თავდაცვის სამინისტრო მათ დასაცავად, ყველა არსებული საშუალების გამოყენების უფლებას იტოვებს“, — ნათქვამია რუსეთის სამხედრო უწყების განცხადებაში.

1939 წლის სექტემბერში პოლონეთში გერმანელთა შეჭრა საზღვარზე ორგანიზებული პროვოკაციით დაიწყო. მამინ ბერლინშიც, გერმანელი ჯარისკაცებისთვის ცეცხლის გასხნაში პოლონელი სამხედროები დაადანაშაულა. ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები „გერმანელი მოსახლეობის კეთილდღეობაზე“ ზრუნვით გამოწვეული ჰიტლერის „ნუხილი“ კი 1938-1939 წლებში ამ ქვეყნის ოკუპაციის საბაზად იქცა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკელმა ჩინოვნიკებმა საქართველოს თაობაზე რუსეთის ბოლო განცხადების ასხნის თხოვნით, მოსკოვში არაერთხელ დარეკეს. კრემლის განცხადება ნაწილობრივ, „ამერიკული მოხმარებისთვისაც“ იყო განკუთვნილი: ის ხომ მას შემდეგ გაკეთდა, რაც ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა საქართველო დატოვა, ხოლო Wall Street Journal-მა მასთან ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების თემაზე ინტერვიუ გამოაკვეყნა.

ბაიდენის განცხადებამ, — რუსეთი სუსტია და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობისთვისაც იმიტომ არის მზადო, — კრემლი შეურაცხყო. ჯერ თეთრი სახლის პრესმდივნის, რობერტ გიბსონის, შემდეგ კი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის აღთქმა-დარწმუნებების მიუხედავად, მოსკოვმა ბაიდენის განცხადებას ისეთი ტონით უპასუხა, რომ ცხადია გახდა: თუ რუსეთის სახელმწიფო ამას საჭიროდ მიიჩნევს, სრულიად უყოყმანოდ შეუტევს საქართველოს. მოსკოვში ვიზიტის დროს ობამასთვის მიცემული დაპირებების დარღვე-

2009 წლის ივლისში პრეზიდენტმა ობამამ მოსკოვში რამდენიმე დოკუმენტს მოაწერა ხელი და, მოსკოვური და ვაშინგტონური წყაროების მონაცემებით, კრემლისგან იმის დაპირებაც მიიღო, რომ რუსეთის ჯარი საქართველოში მეტად აღარ შეიჭრება. თუმცა ამერიკის პრეზიდენტმა ამის საჯარო ხაზგასმას, ნდობის დიდ მნიშვნელობაზე მინიშნება არჩია. მაგრამ რუსებთან ალბათ, არც ეს ნომერი გავა, რადგანაც რომელი ლიდერიც უნდა იჯდეს კრემლში, მოსკოვი, საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში თუ არა, მათ უმეტესობაში აღიარებული გავლენის სფეროებზე უარის თქმას ფიქრდაც კი არასდროს გაივლებს.

სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საქართველო, მოსკოვის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში შარშანდელი ომის შემდეგ განლაგებული რუსი სამხედროებისთვის ცეცხლის გასხნაში დაადანაშაულა. „რესპუბლიკის მოსახლეობისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული, რუსეთის სამხედრო



რთულდება. იგივე ითქმის ევროპის ბოლო დიქტატურაში — ბელორუსიაში შექმნილ სიტუაციაზეც, რომელიც ახლა დასავლეთის წინაშე საუკეთესო კუთხით წარდგომას ცდილობს.

კრემლისთვის დაპირისპირების კიდევ ერთი არენა — შუა აზიაა, რომლის წინა საზღვრეც ამჟამად თურქმენეთი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ერთ-ერთ მილსადენს ჩინეთშიც აშენებს, „ნაბუჯოსთან“ მიერთების მისმა გადაწყვეტილებამ მოსკოვს მინც ფრიად უსიამოვნო განცდები გაუჩინა.

სახელმწიფო კონტროლქვეშ მყოფი და კრემლისთვის ოქროს კვერცხების მდებელი რუსული კომპანია „გაზპრომი“, ნავთობსა და გაზზე მაღალი ფასების პერიოდში, რუსეთში გაზის ახალი საბადოების დაუმუშავებასა და ინვესტიციების ჩადებაზე პრაქტიკულად, არ ზრუნავდა. ამის ნაცვლად, რუსეთის გაზის მონოპოლისტი თურქმენეთთან დადებული, ექსკლუზიური კონტრაქტების საფუძველზე, ამ ქვეყანაში მისთვის ხელსაყრელ ფასად შექმნილ გაზს უკრაინასა და ევროპას ბევრად უფრო ძვირად მიჰყიდდა ხოლმე.

საკუთარი „კალთის“ ქვეშ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დაბრუნებაზე კრემლი დღენიდაც გულმოდგინედ ზრუნავს. მოსკოვისთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ქვეყნებზე (შედარებით დემოკრატიულებსა თუ ავტორიტარულზე) ავრცელებს საკუთარ გავლენას. სანამ მიიჩნევა, რომ ეს სახელმწიფოები, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ისინი მის სიაში რჩებიან...

რონალდ რეიგანი აბსოლუტურად მართალი იყო 1983 წლის მარტში, როცა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც კი ეს სიტყვები მოსკოვის ამჟამინდელ რეჟიმსაც სრულად მიესადაგება. თავისი კომუნისტი წინამორბედების მსგავსად, არც რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას უფიქრია ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხარჯზე გაძლიერებაზე; მას არც ეფექტური დემოკრატიული სისტემა შეუქმნია და არც ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ ნდობის მოპოვებაზე უზრუნია.

ობამას ადმინისტრაცია, რომელსაც რუსეთის სუსტი, აგრესიული და ნდობის არმქონე ხელისუფლებასთან აქვს საქმე, მუდმივად ფიზიკურად უნდა იყოს. მან რუსეთის ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი თუ სვლა იმ კომპეტენტური ჩინოვნიკის გულმოდგინებით უნდა შეაფასოს, რომელსაც პირობით, ვადაზე ადრე გათავისუფლებულთა ზედამხედველობა ევალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას გაუჭირდება პასუხისმგებლობის მოხსნა იმაზე, რომ კრემლს საკუთარი გამხრწნელი გავლენის იქ გავრცელების უფლება მიეცა, სადაც ოდესღაც მისი წინამორბედების (კომუნისტების) პოზიციები მძლავრობდა.

Forbes (აშშ)

დემიტრი სიდოროვი, „კომერსანტის“ გამხრწნის ბიუროს ხელმძღვანელი

მომავალი რუსუდან ლეპანინი

მწაველი გოგონების რისხვი დღითი დღე იზრდება

„არ მინდა, გოიგოზა დამაბრალონ“...



საქართველოში სიგარეტის მწველი გოგონების რიცხვი დღითი დღე იზრდება. 2006 წელს მწველთა მანქანებელი მოზარდ გოგონებს შორის, 34%-ს შეადგენდა, წელს კი — 39%-ია. ექიმ-ფსიქოლოგები ამ პროცენტულ მანქანებელს შემაფოთებლად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ეროვნული ცენტრის მიერ თამბაქოს წინააღმდეგ განხორციელებული პროგრამები საკმარისი არ არის, პრობლემის დასაძლევად უფრო ეფექტური ნაბიჯები გადასადგმელი.

სათუნა პახტურიძე

ექიმების დასკვნის საფუძველზე, 13-14 წლის ასაკში სიგარეტის მოწვევის დაწყება, სხვა დაავადებებთან ერთად, უშიშრობასაც იწვევს. რამდენად ჯეროვან ყურადღებას უთმობს ამ პრობლემას განათლების სამინისტრო და მიმდინარეობს თუ არა სკოლებში ანტინარკოტიკული პროპაგანდა? — ამის გარკვევას სკოლის დირექტორებთან და მოსწავლეებთან საუბრისას შევეცადე.

სოფო, 15 წლის:

— სიგარეტის მოწვევა 13 წლის ასაკში დავიწყე. თითქმის ყველა ჩემი დაქალი ეწევა და მეც თუ მოვნიე, მერე რა მოხდა?

— ის თუ იცი, რამდენად საზიანოა სიგარეტის მოწვევა ჯანმრთელობისთვის?

— კი, ვიცი, სიგარეტის კოლოფზე დიდი ასოებით აწერია — „მოწვევა კლავს“, მაგრამ სინამდვილეში, მისგან მკვდარი ადამიანი ჯერჯერობით, არ მინახავს. ზოგი ამბობს, მოწვევა მომავალ დედებს სერიოზულ პრობლემებს უქმნისო, მაგრამ არც ამისი მჯერა. დედაჩემი, რაც თავი მახსოვს, სიგარეტს ეწევა, მაგრამ თავადაც ჯანმრთელია და მეც საღ-საღამათი გამაჩინა. გარდა ამისა, ჯერ არც კი ვიცი, მინდა თუ არა, რომ დედა გავხდე.

— დედამ იცის, თამბაქოს მომხმარებელი რომ ხარ?

— არა, არ იცის. რომ გაიგოს, მომკლავს.

— სიგარეტს სკოლაში თუ ეწევი?

— შესვენებების დროს, ჩუმად ვწევ. ისე, თუ მასწავლებელი ეწევა, ჩვენ რატომ არ უნდა მოვნიოთ? მათზე შეზღუდულები რატომ უნდა ვიყოთ?! ან დედაჩემი თავად რომ ეწევა, მე რატომ უნდა მიშლიდეს?!

— ეს კითხვა მისთვის არ დაგისვამს?

— კი, ერთხელ შევაპარე: დეე, სიგარეტი ცუდი რომ იყოს, შენ ხომ არ მოსწევდი-მეთქი. კინაღამ მომკლა: რატომ დამისვი ეგ კითხვა? შენ ხომ არ ეწევი? იცოდე, რომ გაგიგო, მოგკლავო.

— მაინც, რატომ დაიწყე სიგარეტის მოწვევა?

— რა ვიცი, ალბათ, ინტერესის გამო, მერე კი შევეჩვიე.

— თავის დანებება შეგიძლია?

— (ფიქრობს) თუ მოვინდომებ, შევძლებ, მაგრამ რატომ უნდა დავანებო? ამაში აზრს ვერ ვხედავ. ისე, ამბობენ, რომ არც ყავა მაინცდამაინც სასარგებლო, მაგრამ ყველა სვამს. ნეტავ, ახალგაზრდებს სიგარეტის მოწვევაზე მეტი პრობლემა არ ჰქონდეთ და ამას როგორმე გადავიტანო.

— „მეტ პრობლემაში“ რას

გულისხმობა?

— ნარკოტიკს.
— **შენს მეგობრებს შორის ნარკოტიკის მომხმარებლებიც არიან?**
— არა, ჩემს მეგობრებს შორის ნარკოტიკს არავინ მოიხმარს. საერთოდ, ვიცი, რომ ბევრი ახალგაზრდაა ამ სენით დაავადებული. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ უზოები საფსეა გამოყენებული ერთჯერადი შპრიცებით.

შპპ, 18 წლის:

— ჩემმა მშობლებმა იციან, სიგარეტს რომ ვწვევი და ამის გამო ოჯახში ბევრი პრობლემაც მქონდა. დედა ჩემს ხელში სიგარეტს რომ ხედავს, ძალიან ნერვიულობს, ამიტომ ვცდილობ, მისი თანდასწრებით არ მოვნიო.

შენს მეგობრებს შორის ბევრი მწვევლია?

— თითქმის ყველა ეწვევა.
— **როგორ ფიქრობ — მონევა შენს ჯანმრთელობას არ ვნებს?**
— არ ვიცი, შეიძლება, ვნებს კიდევ, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მივეჩვიე და თავს ვეღარ ვანებებ.

მონევა რა ასაკში დაიწყე?

— 16 წლის ასაკში. თავიდან, უბრალოდ ვერთობოდი და როდესაც „სვეცკი“ „სასტავში“ ვხვდებოდი, ვწვნიოდი, რადგან არ მინდოდა, ვინმეს გოიმი ვგონებოდი. ახლა სიგარეტის გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლია.

ოდესზე, თავის დანებება თუ გიცდია?

— კი. როცა დედამ გაიგო, რომ ვწვნიოდი, ისტერია მომიწყო და მაშინ ვიფიქრე, სიგარეტს აღარ გავეკარებო-მეთქი. მას შემდეგ სულ ვფიქრობდი, — მოდი, დღესაც მოვწვევ და ხვალდან შევეშვები-მეთქი, მაგრამ მივხვდი, თავს ვიტყუებდი...

გოგა, 16 წლის:

— ჩემ გარშემო საკმაოდ ბევრი გოგონა ეწვევა სიგარეტს და ხშირად, ბიჭები ერთმანეთს ასე ვუბრალებით: „გოგო ხომ არ ხარ, სიგარეტს რომ ეწვევი?!“ სიმართლე გითხრათ, არ მომწონს მწვევლი გოგონები, მაგრამ ვერაფერს ვამბობ — არ მინდა, გოიმობა დამაბრალონ.

შენ ეწვევი?

— კი, მე ვწვევი, მაგრამ ბევრი ჩემი მეგობარი ბიჭი არ ეწვევა. გოგონა უფრო მეტია.

სკოლაშიც ეწვევი?

— კი, რა პრობლემაა?!

ამის გამო პედაგოგები არ გასაყვედურობენ?

— თუ დამინახავენ, ალბათ, მისაყვედურებენ კიდევ, მაგრამ მათ წინაშე არასოდეს მომიწევია.

სკოლაში ისეთი ბუკლეტები თუ დაგირიგეს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია თამბაქოს მავნებლობაზე?

— არა, ასეთი არაფერი მახსოვს.

თამარ მაღაზონია, თბილისის 62-ე სკოლის დირექტორი:

— მწვევლებისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა ზუსტი აღრიცხვა სკოლაში არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ვიცი, რომ გოგონების უმრავლესობა თამბაქოს მომხმარებელია. ეს ძალიან ცუდი და საშიში ტენდენციაა.

განათლების სამინისტრო ან სკოლა თუ აკეთებს რაიმეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— განათლების სამინისტრო ან სკოლამ რა უნდა გააკეთოს?... შეიძლება, ჩვენ რაღაც ღონისძიებები ჩავატაროთ, ბუკლეტები დავარიგოთ, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. ამ პრობლემას, პირველ რიგში, მშობელმა უნდა მიხედოს. როდესაც მასწავლებელი მშობელს ეუბნება, რომ მისი შვილი ეწვევა და პასუხად იღებს, — მერე რა, თუ ეწვევა?! — რა უნდა ქნას მასწავლებელმა ან სახელმწიფომ?

ხომ არ ფიქრობთ, რომ მოსწავლეებზე მწვევლი მასწავლებლებიც ცუდ გავლენას ახდენენ?

— მართალი ბრძანდებით, ალბათ, ბავშვზე ესეც მოქმედებს. ამ პრობლემის მოგვარება სკოლას ინდივიდუალურად შეუძლია, შინაგანანესის საფუძველზე, მაგრამ ეს მთელ ქვეყანაში არსებულ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებს.

ნინო კვიციანიძე, 123-ე სკოლის დირექტორი:

— ზოგჯერ ბავშვი სკოლაში ცუდი ყოფაქცევით არ გამოირჩევა, მაგრამ სკოლის გარეთ მონსტრივით იქცევა. პირიქითაც ხდება: სახლში — კარგი, დამჯერი შვილია, მაგრამ სკოლაში ცუდ ჩვევებს ავლენს. ამიტომ სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ურთიერთშეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ იმისათვის, რომ ბავშვი სწორად აღიზარდოს. ამის საშუალებას დღეს კანონი იძლევა, სამეურვეო საბჭოს ფუნქციაც სწორედ ესაა.

თავად თუ ხართ დაინტერესებული იმით, თუ რას საქმიანობს გაკვეთილების შემდეგ თქვენ მოსწავლე?

— რა თქმა უნდა, ნორმალური სკოლის დირექცია და კლასის დამრიგებელი ამას უდიდეს ყურადღებას აქცევენ, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მშობელი მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ აკითხავს თავისი შვილის სასწავლო დაწესებულებას.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში არსებული რთული სოციალური პრობლემების გამო, მშობლების უმრავლესობა ლუკმაპურის შოვნით არის დაკავებული და სკოლაში სასიარულოდ ფიზიკურად ვეღარ იცლის?..

— ვერ დაგეთანხმებით: ზოგიერთი მშობელი უცხოეთიდან უფრო ხშირად კითხულობს თავისი შვილის განათლებისა და ყოფაქცევის ამბავს, ვიდრე აქ მყოფი მშობელი.

როგორ ფიქრობთ — ვის

ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ფაქტზე, რომ ბოლო დროს მწვევლი გოგონების რიცხვა საგრძნობლად იმატა?

— სკოლის დირექცია და არასამთავრობო ორგანიზაციები მოზარდებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებას ატარებენ და ამ გზით ცდილობენ, ბავშვები თამბაქოს მავნებლობაში დაარწმუნონ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, უფრო აქტიური მოქმედება გვმართებს. ისე, მე თუ მკითხავთ, ამ კუთხით, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მაინც ოჯახს ეკისრება. მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგონები სიგარეტს რომ ეწვევიან, დავიჯერო, მშობლები ვერაფერს ხვდებიან?!

საკუთარი დამოკიდებულების გამოთქმა მამა თეოდორე გაგნიძესაც ვთხოვეთ.

თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ — რატომ არის ცოდვა თამბაქოს მოხმარება?

— ამ შეკითხვას ხშირად მისვამენ. თამბაქოს მოხმარება ცოდვაა იმის გამო, რომ არაბუნებრივია ადამიანისათვის, მაგიური წარმოშობა აქვს და წარმართულია; ცოდვაა იმის გამო, რომ ადამიანი ხშირად, რელიგიური განცდით, მარტოობისა და შინაგანი სიცარიელის ამოვსების მიზნით ეწვევა, თითქოს სულის აშლილობის დასაწყნარებლად იყენებს და იმ ადგილს, სადაც ღმერთი უნდა იყოს მისთვის სისასისის მომცემი, სიგარეტი იკავებს; რაც ყველაზე მთავარია, ცუდია ჯანმრთელობისათვის. თქვენ მიერ დასახელებული სტატისტიკა საშინელებაა. თვითონ ის ფაქტი, რომ მოზარდი გოგონა არ ფიქრობს იმაზე, რომ მომავალში დედა უნდა გახდეს, ძალიან ცუდის მიმანიშნებელია. ჩემი აზრით, ეს „აკრძალული ხილის“ სიმპტომი უფროა, თუმცა ძირითადად, ყველაზე მწვევედ ბავშვის აღზრდის პრობლემა დგას.

ეი. პრობლემა ოჯახსა და სკოლაშია?

— ჩვენს სკოლებში დღეს აღარ არის იმის სურული, რომ პროფესიონალები აღზარდონ და მათ ზნეობრივი ღირებულებები შთაუწერონ. ყველანაირი პრობლემა უღმერთობას უკავშირდება, მათ შორის ისიც, რომ ბავშვებში თამბაქოს მწვევლებმა იმატეს. თუ ხართ დაკვირვებული, მწვევლი ქალი მასწავლებლების რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა. ამას ემატება ახალგაზრდა მასწავლებლების არასწორი ჩაცმულობა, რაც არანაკლებ პრობლემებს იწვევს. კომუნიკაციების ეპოქაშიც არ სწამდათ ღმერთი, მაგრამ ზნეობას მაინც ინარჩუნებდნენ, დღეს კი ყველაფერი დაკარგულია.

გამოსავალს რაში ხედავთ?

— გამოსავალი არის ერთადერთი — სკოლებს უნდა მისცენ უფლება, ურთიერთობა ჰქონდეთ ეკლესიასთან.

დიდილი — ხარისხიანი მომსახურების აუსცილებელი ატრიბუტი

„სქესთა მიზიდულობის კანონი“ და აბენტის უიჰით გაღივებული ფარმაცევტი

გასულ წლებთან შედარებით, საქართველოში მომსახურების სფეროში ღიმილიანი სახეები მომრავლდა: კაფე-ბარებში, მაღაზიებში, სოლამაზის სალონებსა და ბევრ სხვა დაწესებულებაში მომსახურე პერსონალი კლიენტს ხალისიანად და გულისხმიერად ეპყრობა. სამწუხაროდ, ისეთ ადგილებს ჯერ კიდევ შეხვდებით, სადაც ავიწყდებათ, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია...

პროგრესის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში არსებობს ისეთი ბარ-რესტორნები, სადაც ოფიციალური მკაცრი სახის დანახვისას, ჭამის დროს სტუმარს შიშისგან ყბა თუ არ უკანკალებს, ჭამის მადა მინც ეკარგება...



გობრდით და იმ ბარის ერთგულ კლიენტადაც ვიქცი. სამწუხაროდ, საქართველოში კარგი ბარმენი ცოტაა, რადგან ეს პროფესია ჩვენს ქვეყანაში სახარბიელოდ ნამდვილად არ მიანიჭიათ (მხოლოდ გასამრჯელოს არ გვულისხმობს)... წინათ, იტალიურ რესტორანში (რომელიც ძირითადად, უცხოელ სტუმრებზე იყო გათვლილი) არტმენეჯერად ვმუშაობდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უცხოელ ოფიციალტსა და კლიენტს შორის ბევრად უკეთესი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, ვიდრე — ქართველებში.

ითო ყორღანაშვილი

ნოდარ აბრამიშვილი, ლამის ბარის მებატრონი:

— მიკერძობებაში არ ჩამომართვით, მაგრამ როცა თბილისის სხვა ბარებში შევდივარ, ვხვდები, თუ როგორ ხასიათზეა მიმტანი. კლიენტმა ეს ვერ უნდა იგრძნოს! ბარის გახსნისას, მომსახურე პერსონალი დიდი ყურადღებით შევარჩიეთ, რადგან მათი ხარისხიანი მუშაობა შემოსავალზეც აისახება. ზოგჯერ, ბარში სტუმრები ოფიციალტის გამო შემოდინან და ჩვენი მუდმივი კლიენტები ხდებიან. იყო შემთხვევა, როცა ბარის კლიენტ ვაჟსა და მიმტანს ერთმანეთი შეუყვარდათ.

— **ანუ მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალტს კარგი გარეგნული მონაცემები ჰქონდეს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ კარგი გარეგნობა საკმარისი არაა: მიმტანი კომუნიკაბელური უნდა იყოს. როცა ადამიანს თავისი საქმე სიამოვნებას ანიჭებს, სამსახურში ყოფნისას პრობლემები ავიწყდება (ან ივიწყებს).

— **წელან ახსენეთ, კლიენტსა და ოფიციალტს ერთმანეთი შეუყვარდათო. თუკი მიმტანს სტუმრის კომპლიმენტები არ სიამოვნებს და ამას გამოხატავს, სამსახურის დაკარგვა ხომ არ ემუქრება?**

— თუ ვინმე რაიმე არასასიამოვნოს ეტყვის, პრობლემას აუსცილებლად მოვაგ-

ვარებთ, მაგრამ მსუბუქი ფლირტი კლიენტსა და ოფიციალტს შორის დასაშვებია. თუ მიმტანს კომპლიმენტები არ სიამოვნებს, შეუძლია, „გაატაროს“.

— **შეუძლია, „გაატაროს“ თუ — აუსცილებლად უნდა „გაატაროს“?**

— უნდა „გაატაროს“, რადგან როგორც აღვნიშნე, ხშირად ბარში მიმტანის გამოც კი მოდინან. ამას წინათ, ერთი ოფიციალტი გოგონა დავითხოვეთ და მის ნაცვლად, ბიჭი მივიღეთ.

— **რატომ?**

— რა ვიცი, ის გოგონა, ცოტა არ იყოს, უხასიათო გახლდათ.

— **კარგი გარეგნობა ბიჭისთვისაც აუსცილებელია?**

— ნუ, ისეთი არ უნდა იყოს, რომ შეხედო და ჭამის მადა დაგეკაროს. ისე, ამ ბოლო დროს ასეთი ტენდენცია შეინიშნება: თუკი ადრე ძმაცვები იკრიბებოდნენ და ბარ-რესტორნებს ერთად სტუმრობდნენ, ახლა ამ საკითხში ბიჭებს ტოლს არც გოგონები უდებენ. შესაბამისად, საპირისპირო სექსთა შორის „მიზიდულობის კანონი“ კარგად მოქმედებს და მიმტანი ბიჭიც ამართლებს.

— **ბარმენებს რაც შეეხება?**

— ყველაზე მეტად, მათ კომუნიკაბელურობა მოეთხოვებათ. ძირითადად, ბარმენის მომსახურებით ის ადამიანი სარგებლობს, რომელსაც რაღაც პრობლემა აქვს და სურს, ვინმეს დაეხმაროს, დარდი გაუზიაროს... ვიდრე საკუთარ ბარს გაეხსნიდი, ერთხელ საბურთალოზე ერთ-ერთ ბარს ვესტუმრე. მაგარი „დაგრუზული“ ვიყავი, რადგან იმ დღეს შეყვარებულთან ვიჩხუბე. ბარმენი თბილად გამომელაპარაკა. ჩვენი საუბარი ისე აენყო, რომ დავმე-

ირმა ინასარიძე, ფარმაცევტი:

— ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიციაზე უცხოეთში ლეგენდები დედის, მაგრამ თბილად და გულისხმიერად, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს უნდა მოვეყვრათ — მხოლოდ უცხოელებს არ უნდა ვაუვლიმოთ. ამას წინათ, ერთმა კლიენტმა მისაყვედურა: — თქვენმა მოცემულმა წამალმა არ მიშველაო! — რატომ-მეთქი? — გამიკვირდა. — ჯერ არ დამიღვივიაო, — მიპასუხა...

— **განკურნება მხოლოდ თქვენი ღიმილით სურდა?**

— (იცინის) პატარა აფთიაქი მაქვს და წამლის საყიდლად, თითქმის მივლი უზანი ჩემთან მოდის. დილის 8-დან საღამოს 11 საათამდე ვმუშაობ. ბუნებრივია, ძალიან ვიღლები, მაგრამ კეთილი ღიმილი არავისთვის მენანება — ადამიანები მიყვარს...



ნოდარ აბრამიშვილი

ნათია, ფარმაცევტი (სტაჟიორი):

— ფარმაცევტი ყურადღებიანი, ღიმილიანი და გულსხმიერი უნდა იყოს. თუკი რომელიმე კრიტიკიკოსს არ აკმაყოფილებს, საყვედურს მიიღებს, რაც მის ხელფასზეც აისახება. ჩვენს სააფთიკო ქსელს ე.წ. აგენტები ჰყავს, რომლებიც აფთიაქში ისე „შემოიპარებიან“, როგორც ჩვეულებრივი მომხმარებლები და ეჭვი რომ არ აღგიძრან, რამე „მარტივ“ წამალს ყიდულობენ. თუკი ფარმაცევტმა ცოტათი „ნაუფურდელა“, კატეგორიას დააკლებენ და ჩანაწერში აღნიშნავენ, — მაგალითად, დღეს ნაკლებად ყურადღებიანი იყო.

— შესაბამისად, უფრო მობილზებული ხარ, არა?

— აბა, რა! ყველა მომხმარებელს ეჭვის თვალით ვუყურებ — ვაიმე, ეს ხომ არაა აგენტი? სახეზე რაღაც ცუდად მაკვირდება-მეთქი (იცინის).. არასოდეს ვივინყებთ, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია.

— და მაინც, ალბათ, კლიენტის საქციელს გაუბრაზებინარ.

— ბევრი ფარმაცევტი უსამართლობის მსხვერპლი გამხდარა, მაგრამ მომხმარებელი მაინც, ყოველთვის მართალია!

— არ გიჭირს მუშაობა?

— ჯერ სტაჟიორი ვარ და ყველაფერი მახარებს — კლიენტის თავაზიანი მოპყრობაც და თქვენ წარმოიდგინეთ, მომხმარებლების პრეტენზიებზეც მაგრად ვხალისობ. თავდაპირველად, პრეტენზიებთან დაკავშირებული რჩევების მიცემა უხერხულობას მიქმნიდა, მაგრამ ხალხს სჭირდება და რა ვქნა? ნაირ-ნაირ პრეტენზიებს გამომოვალაგებ სოლმე — ფერისა და არომატის მიხედვით. უხერხულობას აღარ ვგრძნობ — დაცულ სექსს ვმხრობით (იცინის)..

ამას წინათ, ჩემს ერთ ძველ რესპონდენტს მივაკითხე, რომელმაც „თავს უშველა“ და თბილისის გარეუბანში, ერთ-ერთ პოკერ-კლუბში დაიწყო მუშაობა. ვიდრე მე და ნინიკო (სახელი შეცვლილია)



**ნინია
ინასარიძე**

ვსაუბრობდით, სათამაშო აპარატთან მჯდომი ახალგაზრდა მამაკაცი „გემრიელად“ იგინებოდა. ნინიკომ თვალი ჩამიკრა, — დავამშვიდებო! სანდომიანი ღიმილითა და თბილი ხმით მამაკაცს ჰკითხა: — ყავას ხომ არ ინებებთ? ცოტათი დაწყნარდებითო. — მომიტანე, შენს გაზრდასო!.. — თავულებელიც უპასუხა მოთამაშემ... გოგონამ ქაფქაფა ყავა გასარეცხ ქიქაში ჩაასხა და ისე მიართვა. მოთამაშისგან მადლობა მიიღო და ალბათ, „ჩაის“ ფულსაც გამოჰკრავდა ხელს, მამაკაცს თამაში რომ არ წაეგო. ჩემი გაოგნებული სახის დანახვაზე, ნინიკომ მშვიდად ამიხსნა:

— დღეში უამრავი ბიჭი შემოდის და ყავასაც ბევრს ვთავაზობ. ყოველ ჯერზე ქიქა რომ ვრეცხო, ჭურჭლის მრეცხავი ვიქნები!

— მგონი, ჯობია, მოთამაშეებს ყავა საერთოდ არ შესთავაზო.

— არა, რატომ? მადლობელი რჩებიან. აბა, რას იგინებინარ? მერე რა, რომ პოკერ-კლუბია, ვერ ხედავენ, რომ გოგონები ვსხედვართ? კეთილი ინებონ და ემოციები მოთოკონ. რადგან ბილნსიტყვაობენ, ამიტომ მათთვის ღიმილითა და ჭუჭყიანი ქიქით მირთმეული ყავა ალალია — მაინც ვერაფერს ხვდებიან.

— დღის ბოლოს გალიმებაც ხომ არ გეზარება?

— არა, ღიმილი და კარგ ფორმაში ყოფნა აუტილებელია. აქ ზოგი მეფლარტავება, ტელეფონის ნომერს მთხოვს... თაყვანისმცემლებს უფლება არა აქვთ, სამსახურში მომავითონ. თუ ჩემთან ყოფნა სურთ, თან პოკერი უნდა ითამაშონ და თან, ჩემი ცქერით დატკბნენ (იცინის)..

მართალია, პოკერ-კლუბში მოთამაშეები ვერ ხვდებიან, რომ ზარმაცი ოპერატორი ჰიგიენის ნორმებს არღვევს, მაგრამ სამაგიეროდ, ნაკლებად პრესტიჟულ სუპერმარკეტებში მომუშავე გამყიდველების დაუდევრობა და უქმურობა თვალში საცემია.

თიონა, 22 წლის:

— პრესტიჟულ სუპერმარკეტებში გამყიდველი კლიენტს ზრდილობიანად გეპყრობა. თუკი შეგნებული ადამიანი ხარ, ბუნებრივია, შენც ამითვე პასუხობ. აი, ჩემი „უბედური“ უბნის მალაზიაში კი მე უფრო მეტს ვიღიმი სოლმე, ვიდრე — გამყიდველი: ორუმადლესდამთავრებული ქალბატონია და თუ ხასიათზე ვერაა, მოგიგდება 2 პურს და მალაზიიდან მზერით „გამოგტყუნის“. შეიძლება, სურდის დაბრუნება დაავიწყდეს და ვერც შენ გაუბედავ იმის შესენებას, რომ კუთვნილი 10 თეთრი მოგცეს.

სალომე, 21 წლის:

— მსგავს მარკეტებში ბევრი კლიენტი არც დადის, ალბათ.

თიონა:

— როგორ გეკადრება, საკმაოდ კარგად ვაჭრობენ. მართალია, გამყიდველები გიბლვერენ, მაგრამ დიდ სუპერმარკეტებში ცოტა მაღალი ფასებია, რაც გაჭირვებული ხალხისთვის ბევრს ნიშნავს.

სალომე:

— ჰო, მაგრამ პატარა მალაზიებში ელემენტარულად, ჰიგიენის წესებს არ იცავენ:

გაგრძელება იხ. გვ. 17



www.ambebi.ge

თუ მიგაჩნიათ,
რომ საინტერესო
ამბავი იცით და გსურთ,
ის ყველას გააგებინოთ...

**მოჰყავით
თქვენი
ამბავი**

ამბები.GE-ზე



სამყაროს მოდელი

(შემოკლებული ვარიანტი)

სივრცე და განზომილებები

სამყარო წარმოადგენს ოთხგანზომილებიან უსასრულო სივრცეს, რომელიც შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად: A, B და C სივრცეებად. იხ. ნახ. 1.

სივრცე წარმოადგენს R რადიუსის მქონე ოთხგანზომილებიან ბირთვს, რომელიც ბრუნავს O (სამყაროს ცენტრის) წერტილის გარშემო $|\vec{W}_A| = \text{const}$ კუთხური სიჩქარით. C სივრცე წარმოადგენს ოთხგანზომილებიან სივრცეს, რომელიც დაშორებულია O წერტილს $[R+r; \infty]$ მანძილით და ბრუნავს მის გარშემო $|\vec{W}_C| = \text{const}$ კუთხური სიჩქარით.



შინ ხდება B სივრცის (ჩვენი სამყაროს) განვითარების წინა ციკლის დასრულება და ახლის დაწყება. A და C სივრცეების ზემოქმედების შედეგად B სივრცეში ახალი ციკლის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ წარმოიქმნებიან სივრცის მთელ პერიმეტრზე თანაბარი ზომისა და ენერგიის ელემენტარული ნაწილაკები (P ნაწილაკები) იხ. ნახ. 1. P ნაწილაკი წარმოადგენს B სივრცის ნაწილს, რომელიც ბრუნავს თავის ღერძის გარშემო და დაგორავს B სივრცეში 4C სიჩქარით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, B სივრცე გაჯერებულია P ნაწილაკებით ანუ იქმნება P ნაწილაკების ველი.

დიდი აფეთქება

როდესაც \vec{W}_A და \vec{W}_C ვექტორები მიიღებენ საწინააღმდეგო მიმართულებას, ანუ $\vec{W}_A = -\vec{W}_C$, A და C სივრცის ზემოქმედების შედეგად B სივრცის ორ საპირისპირო პოლუსზე თანაბარი d დიამეტრის წრის მთელ პერიმეტრში წარმოიქმნებიან კვარკები და შესაბამისად მეორე პოლუსზე ანტიკვარკები (იხ. ნახ. 2).

კვარკის თვისებებიდან გამომდინარე, ის მუდმივ მოძრაობაშია, რაც იწვევს პოლუსებზე წარმოქმნილი კვარკების სწრაფ გაშლას.

კვარკები

კვარკი წარმოადგენს P ნაწილაკების ერთობლიობას, რომლებიც ბრუნავენ გარკვეული ღერძის გარშემო და დაგორავენ B სივრცეში

1. $|\vec{W}_A| = |\vec{W}_C| = \text{const}$

2. $|\vec{W}_A| * |\vec{R}| = |\vec{W}_C| * |\vec{R}| = 8 * |\vec{c}|$

\vec{c} - არის სინათლის სხივის სიჩქარე, B სივრცე წარმოადგენს A და C სივრცეებს შორის არსებულ r სისქის ფენას, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. r მიისწრაფის ნულისაკენ $r > 0$.

როდესაც \vec{W}_A და \vec{W}_C ვექტორები ემთხვევა ერთმანეთს, მა-

		ცხრილი		
Q		+ 2/3	- 1/3	-1
N				
1		u	d	e -
2		c	s	μ -
3		t	b	τ -
4		$\nu+2/3$	$\nu-1/3$	ν_e, ν_μ, ν_τ



მარჯვენა ან მარცხენა ხრახნით 2c სიჩქარით, ხოლო გადაადგილების სიჩქარე c ტოლია. თავისი თვისებებიდან გამომდინარე კვარკები შეიძლება დაეყოთ რამდენიმე კატეგორიად. პირველი კატეგორია არის კვარკები და ანტიკვარკები. აქ ყველაფერი გასაგებია. თუ ერთი კვარკი პირობითად დაგორავს მარჯვენა ხრახნით, მისი ანტიკვარკი დაგორავს მარცხენა ხრახნით. შემდეგი კატეგორიების განსახილველად ვიხილოთ ცხრილი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვარკები განლაგებულია შესაბამის სვეტებსა და მწკრივებში. ერთ სვეტში განლაგებულ კვარკებს აქვთ შესაბამისი ელექტრომუხტი და „ზომა“. ხოლო ერთ მწკრივში განლაგებულ კვარკებს შეესაბამება ერთნაირი ფორმა.

ამ თეორიის შემოკლებულ ვარიანტში ვერ განვიხილავთ კვარკებს შესაბამისი ზომებისა და ფორმების მიხედვით, მხოლოდ მოკლედ ვისაუბრებთ მათ თვისებებზე. მესამე სვეტში განლაგებულია ელექტრონი, მიონი, ტაო ნაწილაკი და მათი შესაბამისი ნეიტრინოები. ამ სვეტში განლაგებული კვარკები არსებობენ დამოუკიდებლად და არ შედიან ძლიერ ურთიერთქმედებებში. ელექტრონის მიონის და ტაო ნაწილაკის შესაბამისი ნეიტრინოები განსხვავდება მხოლოდ ენერგიით, ხოლო მათი საწყისი მასა 0 ტოლია და გადაადგილდებიან B სივრცეში (მარჯვენა ან მარცხენა ხრახნით) c სიჩქარით.

პირველ ორ სვეტში განლაგებული კვარკები დამოუკიდებლად არ არსებობენ. $v+2/3$ და $v-1/3$ წარმოადგენენ ნეიტრი-

ნოებს და როგორც სხვა ნეიტრინოები გადაადგილდებიან B სივრცეში (მარჯვენა ან მარცხენა ხრახნით) c სიჩქარით და არსებობენ მხოლოდ წყვილებად კვარკი და ანტიკვარკი ანუ $n+2/3; n+1/3$ და $(n-2/3; n-1/3)$ მათი ჯამური მუხტი ან $+1$ -ია, ან -1 -ია. ფოტონი შედგება ამ ნეიტრინოების ერთი წყვილისაგან.

ურთიერთქმედებები

ერთი ურთიერთქმედების კერძო შემთხვევებს წარმოადგენს ცნობილი 4 ურთიერთქმედება. ის ვრცელდება B სივრცეში 2c სიჩქარით P ნაწილაკების მეშვეობით.

ამ თეორიის სრული ვერსია გამოქვეყნდება შემდგომ.

ავტორი პაატა ბალუაშვილი
ჯიმშურის ძე R

შეიძლება, გამყიდველმა დახლი გადაწმინდოს, შემდეგ კი დაუბანელი და შიშველი ხელებით პური მოგანოდოს.

თქონა:

— თან, თუ გამყიდველი ყავას სვამს, უნდა ელოდო, როდის ისიამოვნებს და როდის მოგანვდის დაყვედრებულ პროდუქტებს.

— თქონა, ვიცი, რომ შენ კონსულტანტ-გამყიდველად მუშაობის გამოცდილებაც გაქვს. თავად როგორ ართმევდი თავს სამუშაოს?

— ის სუპერმარკეტი, სადაც ვმუშაობდი, მომსახურების მხრივ, საქართველოში პირველია — ერთგვარ კონკურსშიც კი გაიმარჯვა. ღიმილი და ყურადღება — ეს აუცილებელია!

სალომე:

— ყურადღება? სექციების თვალყურებისას, ზოგი გამყიდველი „აგვიცხობს“ და ტვინს გიბურღავს! ასეთი „ყურადღებაც“ არ ვარგა...

თქონა:

— ყველა კლიენტი მეუბნებოდა, რომ საყვარელი გოგონა ვარ. ჩემს რჩევებს სიამოვნებით იღებდნენ. არავის უთქვამს, რომ ტვინს ებურღავდი. სხვათა შორის, მუშაობას თავი იმითომ დავანებე, რომ რთულია, ყველას გაუღიმო და თბილად დაელაპარაკო, როცა არ გელიმება ან კლიენტი ნერვებს გიშლის.

სალომე:

— ნერვებს კლიენტსაც უშლიან: თქვენს სუპერმარკეტში ვიყავი და დაცვის თანამშრომლებმა შემომიღირინეს, — ჩანთები დატოვეთ და ისე შედითო. მიმართვის ტონს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. გაბრაზებული უკან გავბრუნდი.

თქონა:

— დაცვის თანამშრომლები მართლა ხეპრეები გყავდნენ (იცინის). რამდენჯერმე შენიშნავს მიცვეც: ხალხს ზრდილობიანად

აუხსენით, რომ დიდ სუპერმარკეტებში შესვლამდე ჩანთები კარადაში უნდა დატოვონ-მეთქი, მაგრამ მაინც უხეშობდნენ: — ოე, ქალბატონო, ბარგი გარეთ დატოვეთო! აღმოჩნდა, რომ კარგი სტილისტი კლიენტის მხოლოდ ვარცხნილობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კი არ უნდა ისმენდეს, არამედ — მის ცხოვრებისეულ პრობლემებსაც გულისყურით ეკიდებოდეს (თუნდაც, საერთოდ არ აინტერესებდეს).

ანდროი, სტილისტი:

— კლიენტები თავიანთ ამბებს ხშირად მიყვებიან, თან — მეკითხებიან: რომ ვლაპარაკობ, თქვენზე ცუდად ხომ არ მოქმედებსო? — არა, გენაცვალე, პირიქით-მეთქი, — ვვასუხობ.

— უამრავი ადამიანის ვარცხნილობაზე ვრუნვა და თან, მათი ამბების მოსმენა არ გლლით?

— ბევრი საინტერესო ადამიანი მოდის და მათი მოსმენა სასიამოვნოც კი არის. მაგალითად, ჩემს კლიენტებს შორის მსახიობ ნატო ვაჩნაძის შვილი (პირველი მეუღლისგან) იყო, რომელიც მიყვებოდა, სტალინის დროს მამამისი ციმბირში როგორ გადაასახლეს. დედაზეც ბევრ რამეს ჰყვებოდა... მას ჩემთან მოსვლა სიამოვნებდა, მე კი — მისი მოსმენა. ბოლო დროს, სამსახური შევიცვალე და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ჩემს ამჟამინდელ სალონში მოსვლას ვეღარ ახერხებს (წინათ, მის სახლთან ახლოს ვმუშაობდი).

— ალბათ, კლიენტის მოსმენის ხასიათზე ყოველთვის არ ხართ.

— ეს უკვე ზრდილობის საკითხია: რომ არ ვაწყენინო, ვუსმენ. დღის ბოლოს ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ ჩემი საქმე უზომოდ მიყვარს: სტომატოლოგებისგან სპეციალურ სითხეს ვყიდულობ და სავარცხელს ვასტერილებ, კლიენტებს ყავას ვთავაზობ, ვარცხნილობასთან დაკავშირებულ რჩევებს ვაძლევა... ხარისხიანი მომსახურება ერთგული კლიენტების შექმნის საიმედო გარანტიაა. ალბათ, „დაგრუზული“ სახის მქონე სტილისტები ისეთ სალონებში არი-

ან, სადაც მუშაობის საქმე ცუდად მიდის. მათ სურთ, სალონში ბევრი კლიენტი მივიდეს და ღიმილს და ასეთ „წერილმანებს“ ყურადღებას არ აქცევენ.

— კლიენტს უსაქცილობის გამო, მოთმინება არასოდეს დაგიკარგავს?

— არა, მათ უხეშად არასოდეს ვექცევი. უზრდელი ადამიანები არ მიყვარს. ამიტომ, თუკი კლიენტი ბილნსიტყვაობს, მაშინვე შენიშნავს ვაძლევე, ოღონდ — ტაქტიკიანად: სალონში ქალბუციც მუშაობენ და უხამსი სიტყვები არ უნდა გამოიყენონ.

„მყარი ნერვები“, ქალაქში მოძრავი ყვითელი ავტობუსების მძღოლებს აქვთ, თუ აქვთ: ისინი ოლიმპიური სიმშვიდით იტანენ უბილეთო მგზავრების „პარაზებს“ (თუკი ამ უკანასკნელთ კონტროლიორი არ „ჩაავლებს“).

მამუკა ბუმბაძიძე, მძღოლი:

— უბილეთოდ რომ მგზავრობენ, ნერვები გვეშლება, მაგრამ თავს ზევით ძალა არ გვაქვს: წყნარად უნდა ვისხდეთ და მგზავრების ტრანსპორტირებაზე ვიზრუნოთ. ბილეთების აღების პრობლემას კონტროლიორები აგვარებენ, მაგრამ ხალხი ავტობუსიდან „ჩაპარვას“ მაინც ახერხებს.

— მგზავრი ბილეთის აიღებს თუ არა, ეს თქვენს ხელფასზე მოქმედებს?

— ჯერჯერობით — არა. წინათ, გეგმა უნდა შეგვესრულებინა და ჩვენ თვითონ ვაკონტროლებდით, რომ ხალხს მგზავრობის საფასური გადაეხადა. ამის გამო, ხშირად გვლანძღავდნენ. ასლა წყნარად ვართ... იცით, ყველაზე მეტად რა მალიზიანებს? ავტობუსის სწრაფად დაძვრას პრეტენზიულად ითხოვენ ის მგზავრები, რომლებიც ფულს არ იხდიან. ბოდიშს ვისდი, მაგრამ ყველაზე მეტი პრეტენზია უსინდისოებს აქვთ (იცინის). მიუხედავად ამისა, ვცდილობ, ყველაფერს იუმორით შევხედო. ღიმილი ჩემი პროფესიისთვის აუცილებელი მოთხოვნა არაა, მაგრამ მაინც, ხშირად ვიღიმი — განწყობილება მიმალდება და საქმეში ნაკლებ შეცდომას ვუშვებ.



ანუ „მარშრუტკაში“ ჩასაფრებული ჟურნალისტის ტკბილ-მწარე ჩანაწერი

შვებულების დანებამდე დღეებსა და საათებს ვითვლიდი. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი ჩემს მშობლიურ კახეთში. ბოლო ინტერვიუ როგორც კი დავერე, მაშინვე სამარშრუტო ტაქსის სადგურს მივაშურე. ქალაქის სიციხით შენუნებული კახელებით მალევე შევისო ტრანსპორტი და გზას გავეყვით.

ცოტა ხანში მგზავრებიც ახმაურდნენ. აბა, საათ-ნახევარი რა გააჩერებდათ ჩემად?! რა იცოდნენ, მათ შორის ჟურნალისტი რომ იყო, თორემ ალბათ ენას კბილს დააჭერდნენ და ნაკლებად გულახდილები იქნებოდნენ. იმედია, არ მიწყენენ ჩემი საყვარელი კახელები, მათ საუბარს ჩვენს ერთგულ მკითხველსაც რომ გიმხელთ...

მერი კოხიაშვილი

პირველად, ჩემ უკან მჯდომი ქალბატონი ალაპარაკდა:

— ყველანი კახელები ხართ, არაა?... — თავიდან მორიდებით იკითხა. თანხმობა რომ მიიღო, დაიწყო:

— ამ ქალაქებებმა ღვინის გემო არ იციან. თავი მამჭერით, თუ გატყუებდეთ. დღეს სუფთა ღვინო გამამატანა მამამთილმა, ერთი წვეთი წყალიც არ დაუხსამს. მითხრა, იქნება გაყიდო და ერთი-ორი „კაპიკი“ შეემატოს ოჯახსაო. ჩამოვიტანე, ხალხო, მაგრამ რად გინდა? 12 საათი ისე მოვიდა, ერთი ლიტრა ვერ გავეყიდე. გასინჯამდნენ და დაიწყებოდნენ, არ ვარგაო, ამბობდნენ. ჩემი საცოდაობით ინვოდა ლამის მთელი ნავთლულის ბაზარი. ბოლოს ერთმა ღვინისიერმა კალაურელმა ქალმა მითხრა, — შენ მაგ ღვინოი ვერ გაყიდი, მიდი, 10 ლიტრი წყალი მამიტანე და ისეთ ღვინოს გაგიკეთებ, შენ თვითონაც გაგიკვირდებაო. მივუტანე, ხალხო, წყალი, შეაზავ-შემოაზავა უცბათა და აჰა, ახლა 7 საათიც არ არი და უკვე სახლში მივდივარ. მოგება სულ იმ წყალში ვნახე. ჩემი მამამთილი ნეტა, კიდე გამამატანდეს ღვინოს!

ქალბატონს ყველა დაეთანხმა. ერთხმად აღნიშნეს, ქალაქელები სუფთა ღვინოს ვერ იტანენ და თუ ცოტა წყალი არ გაურთი, ცუდი ჰგონიათო.

პირველს მეორე ქალბატონი აპყვა: — ჰო, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ

ყველაფერს ცოდნა უნდა. მე, მაგალითად, კოლაგიდანა ვარ. ერთი შვილი მყავს. მეექვსე კლასში რომ გადავიდა, მამაჩემმა თქვა, — კოლაგელებმა კარგი ვაჭრობა იციან და ჩემს შვილიშვილსაც უნდა ვასწავლოო. რამდენიმე კურს-დღელი გვეყავდა; ჩასვა გალიაში მამაჩემმა, წაიყვანა თელავის ბაზარში და თან ჩემი შვილიც გაიყოლა. მამაჩემი 5 წუთით გასულა და გალია კურდღლებით ჩემი შვილისთვის ჩაუბარებია. სწორედ ამ დროს მისულა კლიენტი. უკითხავს, ვისი შვილი ხარო? ჩემს შვილსაც უპასუხია, — თამილასი და მისოსიო; თან დაუმატებია, — დედაჩემი ამა და ამ ადგილას მუშაობსო. — ვიცნობ დედაშენს; ახლა ამ კურდღლებს წაიყვან და ხვალ ფულსაც და გალიასაც სამსახურში მას მივუტანო. გალიებიც და ფულიც დღემდე გზაში არიან... — სიცილით ჰყვებოდა ქალბატონი.

ამ მხიარულ ამბავს კი სევდიანიც მოაყოლა:

— ადრე გამოუცდელი იყო, ახლა კი სამგორის ბაზარში ვაჭრობს. გული მიკვდება, ამდენს რომ მუშაობს, მაგრამ რა ქნას? ფეხმძიმე ცოლი ჰყავს და ხომ უნდა, ერთი-ორი „კაპიკი“ შეიტანოს სახლში! შარშან გადაწყვიტა, ჯარში აეწყო კარიერა. მივიდა და ომიც დაიწყო. აგვისტოში საშინელი დღეები გამოვიარე. სოფელში ყველამ იცოდა, თითქოს ცხინვალთან მოკლეს ჩემი შვილი, მაგრამ მე და ჩემს ქმარს არ

გვეუბნებოდნენ. დღემდე თვითონაც არ იცის, 2 დღე სად იმყოფებოდა. არც საქმელი ჰქონდა და გზაც აუნა. რომ ჩამოვიდა, ვერ ვიცანი, ისეთი გამხდარი იყო. ერთი თვე ნორმალურად არ სძინებია. ღამე დგებოდა და ყვიროდა, — დანექით, მოდიანო! საშინელება იყო... — თვალზე ცრემლი მოადგა დედას.

მისმა მონათხრობმა ყველანი ჩავგავფიქრა. შარშანდელი აგვისტო ყველას მწარედ გავახსენდა...

— არა, მაინც რა დღეები გამოვიარეთ ყველამ?! — ხანში შესული მამაკაცი ჩაერთო საუბარში. — კახეთში შემოსვლა გაუჭირდებოდათ იმ დედააფეთქებულ რუსებსა?! მაგრამ კი გადავრჩით კახელები, თორე რო შემოსულიყვნენ, ჩვენი სავსე მარნებიდან ვინა გამოიყვანდა იმ ბრადი-აგებსა?! მევე მგონი, ბუშიც ველ-არაფერს გვიშველიდა. მთვრალი რუსები ჩვენს ქალებს დაერეოდნენ და...

— კარგი, შენ კიდე, ნუ გართულებ ხოლმე საქმესა! — შეანწყვტინა გვერდით მჯდომმა მეუღლემ. — ხო გადავრჩით უბედურებას, ღმერთის წყალობით...

— ჰოოო, ღმერთის და სარკოზის წყალობითა, — ალაპარაკდა ახმახი. ეს ყმანვილი მანამდე ფანჯარას ისე იყო აფარებული, შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ სამარშრუტო ტაქსიში შემომავალ სუფთა ჰაერს სულ ის შთანთქავდა და როგორც იქნა, ნიაგმა ჩემამდეც მოაღწია... — გახსოვთ, იმ დღეებში რამდენჯერ ჩამოვიდა თბილისში? ღამაში ცოლი ჩვენი გულითვინ რამდენი ხნით დატოვანა?! არა, ძმაო, გულიანი კაცი ჩანს, თორე ასე რო არ იყოს, საქართველოს გულისთვის ამას ვინ გააკეთებდა?! ისე, ის ცოლი მაგარი ვინმე ჩანს: კამერების წინ შიშველს პოზიორობა არაი რცხვენინან...

— მაგაი დაეძებ, კაცო? — ბოლოს და ბოლოს, მძლოლიც ალაპარაკდა. — შარშან სარკოზის მზეს ვფიცულობდი. ალავერდში შევედი და ლამის ჩემ სიმაღლე სანთელი დავანთე მის სახელზე. გული მთხოვდა, იმ კაცისთვის მადლობა რამენაირად გადამეხადა და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ან უკეთეს სხვას რას მოვიფიქრებდი?!

...ასე მსჯელობდნენ ენაკვიმატი კახელები ქვეყნის ავ-კარგზე. ამბობენ, ხალხში დიდი სიბრძნე დევს და ვინც მას ყურს დაუგდებს, არ წააგებსო. ამიტომაც გადავწყვიტე, ყველაფერი თქვენთვის მომეყოლა. დასკვნების გამოტანაც თქვენთვის მომიწევია...

ყველა სახის
საკანცელარიო
საქონელი
აღბილზე
მიტანით.
შეგიკვითით!

www.elva.ge

ტელ.:
38 26 73
38 26 74



სახე

ნიუ გვადლიუვილი

საყვარელი, ცელქი, შრომის-მოყვარე, იუმორით სავსე, ზოგჯერ — ბრაზიანიც — მსახიობ პაატა გულიაშვილს ასე იცნობენ. ახლა ცუდ სასიათზეა, რადგანაც უსაქმურობა აგიჟებს. „საზოგადოებრივ მაუნყებელზე“ პროექტი — „კაბარე 5 ვარსკვლავი“ დაიხურა, ტელევიზიის გენერალური დირექტორი — გიორგი ქანტურია მის ზარს აღარ პასუხობს; მართალია, კასტინგი, რომელიც „თი-ბი-სი ტვ“ სტუდიამ და რეჟისორმა ლაშა ცერიაშვილმა ახალი სერიალისთვის მოაწყვეს, გაიარა, მაგრამ არ იცის, ახალ პროექტში აიყვანენ თუ არა. ცოტა ხნის წინ ოპერაციაც გაიკეთა... ერთი სიტყვით, ინტერვიუსთვის არასახარბილო დრო შემორჩევია, თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხი მისი ფსიქოპორტრეტისთვის მაინც გამოვლინდა.

— მამა — ავთანდილ გულიაშვილი თელავის თეატრის მსახიობი გახლავთ, 25 წელია, რაც თეატრში მუშაობს. დედა, ლალი დოლონაძე იმერელია, სიმონთიდანაა, დავით კლდიაშვილის სოფლიდან.

— როგორ მოხვდა იმერელი ქალი კახეთში?

— ლაგოდესში არიან ჩამოსახლებულები. სხვათა შორის, მამაჩემის წარმომავლობაც იმერეთიდან, საჩხერის რაიონიდანაა. ის თელავში ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წავიდა, სადაც გაჩნდი კიდეც. ასე რომ, ცოტა ფხიანი რომ ვარ, ეს ჩემი იმერული წარმომავლობის ბრალია (იღიმის).

— იმერლები ამბობენ — კახელები რამდენჯერაც იმერეთში არიან ნამუშევრები, იმდენჯერ აქვთ უმაღლესი განათლება მიღებული. ასეთ გამონათქვამებზე ხომ არ ბრაზდები?

— არა. იმდენ რამეს ამბობენ კახელებზე, ყველაფერზე რომ გავბრაზდე... იუმორს არ ვუჩივი. თან იმერლებმა კახელებზე რა უნდა ილაპარაკონ, ვაზი არა აქვთ (ადესას არ ვგულისხმობ) მთელ კუთხეში.

— დედამამიშვილი გყავს?

ზვიდი კახური „ნაკერი“ კახელი ექივისგან



პაატა გულიაშვილს დაჰრასია დაეყო...

— და მყავს, შორენა გულიაშვილი, თელავში „სახალხო ბანკში“ მუშაობს, მოლარე-ოპერატორია.

— ეი. ყველანი თელავში არიან, დაგტოვეს მარტო თბილისში?

— მარტო რატომ ვარ, ორი გულიაშვილი მყავს სახლში (შვილებს ვგულისხმობ)! ლაგოდესში სახლი მაქვს, ბავშვობის საუკეთესო წლები იქ გავატარე, მაგრამ რა ვქნა, თელაველი ვარ. როგორც ყველა მსახიობის შვილი, თეატრში ვიზრდებოდი; კულისები, რეჟეტიციები, პრემიერები ჩემთვის ახლობელია ბავშვობიდან. დედაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თეატრს დაუკავშირდა. ახლა თელავის თეატრის გრემიორია... აქტიური ბავშვი ვიყავი, „კავეენები“, კულტურული ღონისძიებები მიტაცებდა... ფული კი მიყვარს, მაგრამ საქმის კეთება — უფრო მეტად. თუ საქმე არ მაქვს, თავს ცუდად ვგრძნობ. უსაქმოდ როცა ვარ, ნევროზი მემართება. გუშინ ოპერაცია გავიკეთე...

— ახლა არ მითხრა, რომ უსაქმურობის გამო...

— უბრალოდ, თავისუფალი დრო

გამომიჩნდა. გულმკერდის არესთან, კანზე ხალი მქონდა, ერთ-ერთი გადაღების დროს ხელი მოუხვდათ და სისხლი წამომივიდა. შევმინდი და ექიმთან მივედი, მირჩია, მოიკვეთეო. სხვათა შორის, ჩემი ექიმიც კახელი იყო, ნათია მამაგულაშვილი და კაი, კახური (შვიდი) „ნაკერი“ დამადო. თეთრსალათიანების ძალიან მეშინია, გამოუდმებით კითხვებს ვსვამდი, ახლა რა უნდა მიქნათ, ეგ რა გიჭირავთ ხელში-მეთქი (იციინის)? ოპერაცია გუშინ გავიკეთე და ხედავ, დღეს ინტერვიუზე მოვედი შენთან, წარმოიდგინე, რა მაგარი ექიმი შემხვდა.

— უსაქმურობა რომ გლლის, იმაზე ვსაუბრობდით...

— ჰო, საქმე როცა მაქვს, მაშინ კარგად ვარ.

— მაინტერესებს, როგორ გსჯიდნენ მშობლები, როდესაც რალაცას აშავებდი? სშირად იდექი „ბირჟაზე“?

— რა თქმა უნდა, ვიდექი, მაგრამ ამის გამო არ მსჯიდნენ. მამაჩემს კარგად ესმოდა, რომ ასეთი ცხოვრება რალაც დოზით ბიჭმა უნდა გაიაროს.

არაფერს ვაშავებდით: არ ვქურდობდით, არ ვხულიგნობდით.

— როგორი იყო შენს ყრმობაში „ბირჟა“ თელავში?

— გივი სისარულიძის ინტერვიუებში წამიკითხავს, რომ მის დროს,

მალხაზ ქერიციშვილთან ერთად



ბიჭებმა ქალის პატივისცემა იცოდნენ. ამ მხრივ, არც ჩვენი თაობა ჩამოუვარდებოდა ბატონი გივის თაობას. წამდვილად ვიცოდით ქალის პატივისცემა, გოგონებს ცუდს არაფერს ვაკადრებდით. მერე რა, რომ ქუჩაში ვიდექით? მეც მახსოვს, სიმღერით რომ დავდიოდით და ნადიკვარზე (თელავის ქუჩა) მზის ამოსვლას ვუყურებდით.

— გოგოსთვის აივნის ქვეშ „სურენადა“ თუ გიმღერია?

— როგორ არ მიმღერია! პირველ სართულზე ცხოვრობდა ჩემი რჩეული, აივანი არ ჰქონდა, მაგრამ ფანჯარასთან ვუმღერეთ — „გინდ მეძინოს“...

— შედეგი გამოიღო შენმა „მუხამბაზმა“?

— მაშინ კი გამოიხედა, მაგრამ ბოლოს, მაინც მეგობრებად დავრჩით...

— პირველი სიყვარული გახსოვს?

— პირველი არა, მაგრამ მახსოვს სკოლის დროინდელი შეყვარებული. არ მინდა მასზე ლაპარაკი, ოჯახი აქვს მასაც. 9 წელი მიყვარდა, საშინელ

დღეში ვიყავი, თელავში, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა.

— მერე მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო, შენთვის არ უთქვამთ?

— (იღიმი) მთლად ასე ახლო მეზობელიც არ იყო. მოკლედ, ჩვენი ურთიერთობა ვერ აენყო.

— „შატალოზე“ სკოლიდან სად მიდიოდით?

— სახინკლეში. 20-20 კაპიკს ვაგროვებდით და მივდიოდით. მაშინ ყვითელი ავტობუსები დადიოდა თელავში, ახლა რომ დადის, ისეთი კი არა, ძველებური, „პაზიკი“. დავსხდებოდით იმ ავტობუსზე და თელავს სამ წრეს რომ დაარტყამდა, გაკვეთილებიც მთავრდებოდა. მერე კი სახინკლეში მივდიოდით. ერთხელ, მასწავლებლები ძალიან გვეჩხუბნენ, ამდენი ფული ვინ მოგცათ, სახინკლეში რომ წახვედითო (ლაპარაკი მანეთსა და 20 კაპიკზე იყო).

— გოგოებიც მიგყავდათ სახინკლეში?

— არა. ისინი სახლებში მიდიოდნენ, მაგარი კლასი მყავდა. ჯერ პირველ სკოლაში ვსწავლობდი და მერე, ინგლისური რომ ვერ „გავქაჩე“, მესამეში გადამიყვანეს, თითქოს იქ „გავქაჩე“, რა. „აი ემ სორის“ გარდა, დღემდე არაფერი ვიცი. ხომ არის გამოთქმა — იმდენი რუსული კი ვიცი, გაქცეულ რუსს რომ მოვებრუნებო, მეც ასე ვამბობ, იმდენი ინგლისური კი ვიცი, მობრუნებულ ინგლისელს გავაქცევ-მეთქი...

— სკოლა რომ დაამთავრე, იმავე წელს ჩაირიცხე თეატრალურ უნივერსიტეტში?

— პირველივე წელს ჩავირიცხე, მამა კი იყო წინააღმდეგი, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე.

— არ უნდოდა მამას, მსახიობი რომ გამხდარიყავი?

— კარგად იცოდა, რა რთულ პროფესიას ვეჭიდებოდი...

— რთულია მსახიობობა?

— იმდენად რთული არა, რომ ვნანობდე არჩევანს, ძალიან მიყვარს, ვგიჟდები ჩემს პროფესიაზე, მაგრამ სულ ვნერვიულობ, მინდა, ბევრი რამ მოვასწრო, გარკვეულ როლებს თავისი ასაკი აქვს... არ მინდა, წლებმა უქმად გაირბინოს და მერე რაღაცებზე გული დამწყდეს.

— გქონია ისეთი როლი პრემიერაზე გეგმონოს, რომ არ გამოვიდა?

— ჩემ მიერ განსახიერებული როლის არასდროს შემრცხვენია. ტელევიზიაში მუშაობაც ჩემთვის მხოლოდ გასამრჯელოს არ ნიშნავს, იქაც ბოლომდე ვიხარავები...

— მეუღლე სად გაიცანი?

— მეუღლე — ნინო ტარიელაშვილი ჩემმა მეგობარმა გამაცნო. ერთხ-

ელ, პურმარილზე ვიყავით და იქ შემოვიდა.

— საშლამა იყო მაგ პურმარილზე?

— არა (იღიმი), ევროპული სუფრა იყო გაშლილი. ერთმანეთი მაშინ მოგვეწონა და მალევე დავოჯახდით. ნინო გერმანული ენის სპეციალისტია, მაგრამ მუშაობის საშუალება არ მივეცი. ჯერ გულიაშვილებს ამრავლებს, უფროსი — გუგა 4 წლის არის, უმცროსი — ნიკოლოზი — 9 თვის. ნიკოლოზი უწმინდესმა მომინათლა, რაც ძალიან მახარებს.

— არ გინდა, რომ გოგონაც გაყავდეს?

— მეორეც გოგო მინდოდა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შვილი-გოგო არ გამომივა. ახლა გავაცილე ჩემი ბიჭები თელავში. არ ვიცი, გაჩერდებიან თუ არა იქ.

— როგორი ქმარი ხარ? ადვილად გიტანენ ოჯახში?

— ხომ გითხარი, როცა არ ვმუშაობ, აუტანელი ვარ. ხომ მატყობ, ამ დროს რესპონდენტადაც არ ვვარგევარ, სულ აქეთ-იქით დავბტივარ. თუ რამე არ გადაწყდა, არ დავმშვიდდი, თუ ჩვეულ რეჟიმში არ ჩავდექი, ცუდადაა საქმე.



ძალიან მიყვარს, ვგიჟდები ჩემს პროფესიაზე

მანერვიულებს, როცა ტელეფონზე არ მპასუხობენ.

— ვინ არ გპასუხობს?

— საზოგადოებრივი არხის ახალი გენერალური დირექტორი. თან დიეტაზეც ვარ. ოპერაციის გამო ანტიბიოტიკებს ვიღებ, საჭმელს ვერ ვჭამ. ახლა ინტერვიუდან დროულად გამათავისუფლეს, თორემ კუნა-ლრენაზე გადავალ (იციინის).

— წადი, მართლაც დიდხანს დაგაკავე ისე, ღრენა მეც ვიცი, არ დაგავინყდეს, მეც შენი კუთხის გახლავარ... ■

თიკა ფასასიას რომანტიკული ზაფხული...

„ულამაზას ფილმში უბედნიერასი პარსონაჟის როლი მაქვს“



ჯაბა ანანიძე

— ასე მშვიდად და საინტერესოდ არასოდეს დამისვენია. ძალიან მიყვარს ზღვის ხმაურისთვის ყურის დაგდება, მისთვის ცქერა... ასე მგონია, ამ დროს, ულამაზეს ფილმში, უბედნიერესი პერსონაჟის როლს ვასრულებ. ამ ბოლო დროს წიგნების კითხვამ გამიტაცა. აივანზე ვჯდები და ვკითხულობ.

რას კითხულობ?

— ძირითადად რომანტიკული ჟანრის ლიტერატურას, ისეთს, მძაფრი სიყვარულის შეგრძნების თანამონაწილეს რომ გაგხდის... მერე ისევ ზღვას ვუბრუნდები და მისგან დადებითი ენერგიით დამუხტვას ვცდილობ.

როგორც ჩანს, ზღვას ელპარაკები, არა?

— კი, ის უზარმაზარ სიყვარულს მინანილებს, სიმშვიდითა და მუსიკით მათრობს... ვინ იცის, იქნებ აქ მუზაც მომივიდეს და სიმღერაც დავწერო (იცინის)... მინდა, რომ ბათუმში მზე სულ კაშკაშებდეს... ნეტავ, გვექონდეს ისეთი მოწყობილობა, ღრუბლების გაფანტვა რომ შეეძლოს...

როგორია შენი დასვენების ერთი დღე?

— ვცდილობ, რაც შეიძლება, „დაუუახლოვდე“ ზღვას... ამჯერად მხოლოდ დედა მახლავს. შვილი და მეუღლე სხვა აგარაკზე ისვენებენ. ბათუმში გამართულ კონცერტში ვმონაწილეობდი. ჩემი მეგობრებიც აქ არიან... ხშირად ვიკრიბებით, ვსაუბრობთ, ვთამაშობთ... კლდიდან ზღვისკენ თავით ვეშვები და პარაშუტისაღარ არ მეშინია... ღამის კლუბებში არ დავდივარ, ეს უკვე აღარ მითაცვებს.

ბათუმი შენდება, მოგწონს

თუკი კლდის ქმიდან მოლივლივე ზღვისკენ თავით დაშვებული ქალბატონის სახე გეცნოთ, მზის დაკვრას ნუ დააბრალებთ, ადვილი შესაძლებელია, რომ ის მშვენიერი ქალბატონი, მომღერალი თიკა ფაცაცია იყოს... ცოტა ხანში, ის ქალბატონი, ზღვაც რომ ააღელვებდა და გადარბა, ნაპირზე გამოვა და მზეს თვალს ჩაუკრავს... მერე ზღვაში მზის ჩაგორებას დააკვირდებო, ისევ ლალად გაილიმებს და წაიოცნებებს: — ნეტავ, მზატვრად გაგჩენლიყავი, ამ გემებს ხომ მაგრად ჩაგხატავდიო... მოკლედ, თიკა აჭარის ზღვის სანაპიროზე ისვენებს...

სასტუმრო „სანაპიროში“ თიკა ფაცაციას საზაფხულო არდადეგებზე მაშინ ვესაუბრეთ, როცა ის დედასთან ერთად, სასტუმროს აივნიდან ზღვას გასცქეროდა...



აქაურობა?

— ჩვენი ზღვისპირეთი თვალსა და ხელს შუა გალამაზდა. აქ დასვენება უკვე ფუფუნებაა! არსებობს ხარვეზებიც, თუმცა უეცრად არაფერი კეთდება. ვისურვებდი, რომ მომსახურების სფეროში მეტი პროფესიონალიზმი ყოფილ-

იყოს. ძალიან მიყვარს მთა, მაგრამ სამწუხაროდ, არა მაქვს ინფორმაცია, სად რისი ნახვა შეიძლება. ამის შესახებ, ალბათ, სასტუმროებსაც უნდა ჰქონდეს ინფორმაცია.

რის არსებობას ისურვებდი ბათუმში?

— დიდი და სერიოზული სპორტული გასართობი ცენტრის, სადაც მხოლოდ სავარჯიშო მოედნები კი არ იქნება მოწყობილი, არამედ შეჯიბრებები და თამაშობები გაიმართება, სასიამოვნოდ განიტვირთება ადამიანი და თან ცხოვრების ჯანსაღ წესსაც დაიცავს.

ხშირად ილიმები, მაგრამ შენ თუ გილიმიან?... უცხოელი ტურისტები აჭარაში ერთ-ერთ პრობლემად ილილის ნაკლებობას ასახელებენ...

— საინტერესო შენიშვნაა... იცით, რომ უცხოეთში ვსწავლობდი. როდესაც იქიდან დავბრუნდი, მაშინ მეც შევაჩინე, ქართველებს ღიმილი როგორ გვიჭირდა...

მაგრამ საუბენიეროდ, არსებობს ობიექტები, სადაც მართლა არაჩვეულებრივად მოგმსახურებინ, უგემრიელეს კერძებსაც შემოგთავაზებენ და გაგილიმებენ კიდევც... თუ გართობა და დასვენება გინდა, ბათუმში ბევრი რამეა ისეთი, ზღაპრულად დასვენება მართლაც რომ შეძლო და ლაღადაც გაგელიოს.



ბახმაროს საპატიო მოქალაქე, საყვარელი კურორტი და პასო ტატიშვილის დასვენების მეთოდი

„მოგესალმებათ, ბახმაროს საპატიო მოქალაქე“, — ამ სიტყვებით შეგვიძღვა ბახმაროში, საკუთარ სახლში ბატონი ვახტანგ ტატიშვილი, სადაც თურმე ყველაფერი თავისი სელით აქვს გაკეთებული და დიზაინზეც თავადვე უზრუნია.

თიკო კალანდია

— ბახმაროში დასასვენებლად ხართ ჩამოსული. როგორ ისვენებთ?

— ვისვენებ ისე, როგორც ოთხმოცი ლარის მქონე პენსიონერს ეკადრება: დავდივარ სასაფლაოდ, სალამობით კოცონს ვანთებ და ძველ ამბებს ვიხსენებ. ასე რომ, ჩემებურად ვერთობი... მიყვარს ახალ თაობასთან საუბარი. განათლებული ახალგაზრდები მოდიან, რაც ძალიან მახარებს... ისე, დღეს ძალიან მოვიწყინე. ჩემი შვილიშვილები თბილისში წავიდნენ და ბავშვები უკვე ძალიან მენატრებიან. მათ გარეშე სახლში მიჭირს გაჩერება, აღარ ისმის ყრიაშული და მოწყვნილობა. ისე, წელს ძალიან გრილი ზაფხულია. ბავშვობიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს, ბახმაროში ვისვენებ და ასეთი ცივი ზაფხული ჯერ არ მახსოვს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ციმბირში ვარ გადასახლებული. მაგრამ მიუხედავად აუტანელი სიცივისა, მთაში დასვენებას მაინც ყველას ვურჩევ. ზაფხულში სიცხეს ყოველთვის სიგრილე მირჩევს. მთაში კი მაინც ყოველთვის სიგრილეა.

— ესე იგი, მთაში დასვენება უფრო მოგწონს?

— რა თქმა უნდა. მე ჯერ ზღვაზე დასვენებული კაცი არ მინახავს. იქ მიმავს, რომ ადამიანი უფრო იღლებს; მუდმივად ხალხით არის სავსე სანაპირო, მთელი ღამე მუსიკის ხმა არ წყდება, ისმის მანქანების ხმაური... შე, ოჯახაშენებულო, ადექი და წადი მთაში, სიგრილეში, სინყნარეში. მთის შემდეგ კი, ცოტა ზღვაშიც გაიჭყუშა-ლავე და ასე უკეთესი დასვენება გამოგივა.

— მთაში დისკომფორტი არ გექმნებათ, თუნდაც იმის გამო, რომ შესაბამისი პირობები არ არის? მაგალითად — წყალი, შუქი...

— ოჰ, შუქი, თორემ... მოვა, აბა, სად წავა? — ამ პასუხით უკვე ათი წელია, რაც აქ მოსახლეობას აწყნარებენ. მე დენის პრობლემა საკუთარი გენერატორით მოვავარე. ბახმარო ღმერთმა არაჩვეულებრივი ბუნებითა და მდიდარი ჰაერით დააჯილდოვა. ერთმანეთს თანაბრად ერწყმის მთისა და ზღვის ჰავა. ერთადერთი, აქ სანიტარიული მხარეა მოსაგვარებელი. ამ პრობლემის მოგვარებასაც ყოველ წელიწადს გვირდებიან, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს.

სხვათა შორის, ეს პრობლემაც ჩემით მოვავარე. აქ რასაც უყურებთ, ყველაფერი ჩემი ხელით არის გაკეთებული. აივანი ხრანით მაქვს დამაგრებული; თბილისში რომ წავალ, აივანს მოვხსნი და შევინახავ, ზამთარში თოვლმა რომ არ ჩამოტეხოს.

— ბახმაროში, სეზონის დასურვასთან დაკავშირებით, ყოველ წელიწადს, ღონისძიება იმართება მასში თუ მონაწი-



ლეობთ?

— არავის მიუზღვევია. ეგ კი არა, წლებია, ვიხსენებ, ბახმაროზე სიმღერა მაქვს დაწერილი და საშუალება მომეცით, უფასო კონცერტი ჩავატარო-მეთქი. ხელმძღვანელობას მხოლოდ ტექნიკური მხარე ექნება მოსაგვარებელი. ათასჯერ ვთქვი, ათასჯერ გაიგონეს, ათასჯერ მითხრეს, დაგეხმარებითო, მაგრამ ვერ ვხედავ შედეგს. იმ ღონისძიებას კი აუცილებლად დავესწრები, ვუყურებ დოლს და მერე ბანკეტზეც თუ მიმინვევენ, იქაც მივალ. თუ არადა, არც მაგზე დამწყდება გული, სადმე ბუნებაში, მეგობრებთან ერთად მოვილხენ.

— სად უფრო ლამაზია მზის ჩასვლა: მწვანე კონცხზე თუ ბახმაროზე?

— ზღვაზე ვარ გაზრდილი. ყოველ საღამოს ვუყურებდი, როგორ იძირებოდა მზე ზღვაში... ეს არაჩვეულებრივი სანახაობაა. მზის ჩასვლა აქაც ლამაზია, თუმცა მწვანე კონცხის სანაპიროდან ჩამავალ მზეს ვერაფერი შეედრება; სულ სხვაა.

— მთის შემდეგ, წელს თუ ესტუმრებით მწვანე კონცხს?

— არ ვიცი, მგონი, ვერ შევძლებ. თუმცა სურვილი კი მაქვს, ჩემს მშობლიურ მხარეს ვესტუმრო. კი მეუბნებიან, ტყეში ხარ გაზრდილი, მაგრამ ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები მწვანე კონცხს უკავშირდება.



ბახმარო ღმერთმა არაჩვეულებრივი ბუნებითა და მდიდარი ჰაერით დააჯილდოვა

„ჩემი მთის ხასიათი უფროა, ვიდრე — ბარისა“

„ძალიან მინდა, ამ ზღვისპირა, სიმშვიდით გამორჩეულ ქალაქში, ერთხელაც პატარა კლუბი დამხვდეს, სადაც ცოცხალი ბენდი დაუკრავს, სადაც გემოვნებიან მუსიკას მოვისმენ...“ — ამბობს ბათუმში საზაფხულო არდადეგებზე უკვე მეუღლესთან ერთად ჩამოსული მომღერალი — **გიორგი სუხიტაშვილი**. ის ფერიის მთაზე, სასტუმრო „თანამგზაფრში“ ისვენებს, ესწრება „ჯეოსტარის“ კასტინგებს და ხშირად მთიდანაც გადმოჰყურებს მოლივლივე ზღვას...



გიორგი სუხიტაშვილის საზაფხულო არდადეგა

ჯაბა ანანიძე

— მშობლიური გორისა და თბილისის შემდეგ, ბათუმი მესამე ქალაქია, სადაც სიამოვნებით ვიცხოვრებდი. მიყვარს დათოვლილი ზღვისპირეთის ნახვაც. როცა თოვლის ფანტელები ტალღებს უერთდება, მაშინ ბუნება უჩვეულო მუსიკას ქმნის... დასვენების ჩემეული რეცეპტი არა მაქვს, მაგრამ იდეალურად ვიმუხტები, როცა მთაში ვისვენებ. ჩემში მთის ხასიათი უფროა, ვიდრე — ბარისა. ამ ზაფხულს წვიმა ძალზე გვანებივრებს, მაგრამ, ჩემი აზრით, წვიმის წვეთები ბათუმს ძალიან უხდება. ვიზიარებ მათ მსუხარებას, ვინც ამის გამო გარუჯვას ვერ ახერხ-

ებს... პირადად მე, გარუჯვის მოყვარული არ გახლავართ. დასვენებასა და განტვირთვისას, უმეტესწილად, მშვიდ გარემოში ფიქრითა და სიჩუმით ვცდილობ... მუსიკას, რა თქმა უნდა, თავს ვერასდროს ვანებებ. ამ ზაფხულს, მინდოდა, რომ ბათუმის ერთ-ერთ ბარში მემუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, უვარგისი მენეჯმენტის გამო, ეს ამბავი არ გამოვიდა.

— როგორ აფასებ საქართველოს ზღვისპირეთის ტურისტულ პოტენციალს?

— ბათუმის ქუჩებში ნორმალურად ვერც კი გაივლი, რადგან ყველაფერი შენების პროცესშია, რაც ძალიან მახარებს. ქართველი რატომ უნდა მიდიოდეს უცხოეთის კურორტებზე, როცა საოცარი ადგილები გვაქვს საქართველოს მთასა თუ ბარში?! მაგრამ ტურიზმისა და სერვისის სფეროში, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და დასახვენი. რესტორანში მხოლოდ საფერფლის წარამარა გამოცვლა არაა სერვისი! ყველგან პროფესიონალი ადამიანები უნდა მუშაობდნენ. ჩვენთან კი ჯერ კიდევ ახლობლობა, ნათესაობა დგას წინა პლანზე... ქართული შოუბიზნესიც ამიტომ ვერ ვითარდება. შესაძლოა, ვილაც საერთოდ ვერ მღეროდეს, მაგრამ გავლენიანმა მეგობარმა ისეთი პიარი აუგოროს, რომ მას კაცი ნამდვილი მომღერლისგან ვეღარ გაარჩევს.

— „ჯეოსტარის“ შესარჩევ ტურებს დაესწარი;

რას იტყვი, „ჯეოსტარ 2009“-ზე საინტერესო სანახაობა გველის?

— ძალიან. რამდენიმე კონკურსანტმა მართლა ძალიან მომანონა თავი. ღმერთმა ქნას, ქართულ შოუბიზნესს საშველი დაადგეს!.. სამწუხაროდ, დღეს კარგი მუსიკის პოპულარიზაცია არ ხდება. რა საჭიროა, უამრავი სახელმწიფო კულტურული დაწესებულების (სამსახურის) არსებობა, თუკი ქვეყანაში, წლის განმავლობაში, ერთი კულტურული ღონისძიება არ გაიმართება?! ზოგიერთი მომღერალი კი არ მღერის, ტირის, მობილურით იღებს კლიპებს და ასე ხდება პოპულარული; ცოცხალი სიმღერის კარგი შემსრულებელი კი წარმატებას ვერ აღწევს. საკურორტო თემიდან ხედავ, მაინც შოუბიზნესის პრობლემებზე გადავერთე... იმიტომ, რომ მტკივნეული თემაა...

— არდადეგებზე აღდგენილი ძალით რას პირდები მსმენელს?

— საინტერესო ალბომის გამოშვებას. არ მინდა, ჩემი პოპულარობა მხოლოდ ჟურნალების გარეკანზე მოხვედრით მთავრდებოდეს. მინდა, ყველას ესმოდეს ჩემს სულში დაბადებული მუსიკა... ასევე მინდა, გემოვნებიანი მუსიკა ესმოდეს და უყვარდეს ხალხს. მინდა, ისეთი ალბომი გამოვიდეს, რომელიც სარფიანად შესაძლოა, ვერ გაიყიდოს, მაგრამ თქვან: — ნახეთ, „სუხიტამ“ რა გემრიელი ალბომი გვაჩუქაო...



პირველი საბავშვო თეატრი და აჭარის პატარა პირტუოზები



აჭარაში პატარა ვირტუოზები გამოჩნდნენ. ქობულეთში, ლეთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის მოძღვრის, მამა მათეს კურთხევით, 4 დღის განმავლობაში სრული ანშლავით მიმდინარეობდა საბავშვო სტუდია „ოქროს გასაღების“ მიერ დადგმული სპექტაკლი — „მეგობრობის ძალა“. საინტერესო სცენარო, გემოვნებით შერჩეული სამოსი, ულამაზესი სასცენო განათება — ეს ყოველივე საოცარ სანახაობას ქმნიდა. სცენაზე წითელქუდა, ფერა, ბურატინო, კარლოსონი, პუპი, ბეტმენი და უამრავი პერსონაჟი ვიხილეთ, რომელიც ყველა თაობის წარმომადგენელთათვის საყვარელ გმირად რჩება.

სათუნა ბახტურიძე

ბავშვებმა მათგან განსხვავებული იქნა, ოცნებები და გულწრფელი ცრემლები მიიღეს. „ერთი წელი შვიი ზღვის წყალი და ბავშვური ტელანტი, ორი სუფრის კოვზი ქობულეთური ზაფხულის სიო და გაცოცხლებული ლამაზი ზღაპარი, ნაპირზე აკრებილი წვრილი ნიჟარები და მეგობრობის ძალა, თეატრალური გემოვნებით ერთმანეთში აურიეთ, მზეზე შეათბეთ და მიიღეთ, რამდენიც გინდათ — პეშვით, ყლუჭებით, ტალღებზე. ეს არ იყო მხოლოდ წარმოდგენა, ეს იყო მონატრებულ გმირთა მეგობრობის ძალაზე აგებული მუსიკალური ზღაპარი, რომელიც შეგეძლო გეხილა არა მხოლოდ თვლით და გესმინა ყურით, არამედ გულითა და გონებით“ — ასე დაახასიათა „ოქროს გასაღების“ შემოქმედებამ მისმა დამფუძნებელმა ჯემალ მეგრელიძემ.

ჯერ მხოლოდ 3 თვეა გასული, რაც პატარა ვირტუოზებმა გამოსვლა დაიწყეს, მაგრამ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, ბავშვებმა თანამოქალაქეების სიყვარული და მხარდაჭერა უკვე მოიპოვეს... პირველი წარმატების სიხარული მათ სილნალის თეატრის სცენაზე იგემეს — საქართველოს ბავშვთა თეატრების ფესტივალზე ოქროს მედლითა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ. ბატონი ჯემალ მეგრელიძე გვირბდება, რომ ქობულეთელი პატარა მსახიობები მათგან უფრო კიდევ ბევრი საინტერესო სანახაობით გაახარებენ.

— ბატონო ჯემალ, ისეთ პატარა ქალაქში, როგორც ქობულეთი, საბავშვო თეატრის დაფუძნება რთული იყო?

— თავიდან მეგონა, რომ რთული იქნებოდა. ძალიან დიდი ხნის წინ მქონდა სურვილი, ქობულეთელი ბავშვების ცხოვრებაში ხალისი შემეტანა, მაგრამ კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი. შემდეგ, როგორც იქნა, ჩემი იდეა ქალაქის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს, ირმა გაბინაშვილს გავანდევ. მან აზრი მომიწონა და ჩანაფიქრის განხორციელებაში დამეხმარა. ეს ადამიანი რომ არა, ამ სილამაზეს ვერ შევქმნიდით. სხვათა შორის, კასტინგი რომ გამოვაცხადებ, ბევრი მსურველი მოვიდა, მაგრამ პირველ ეტაპზე მხოლოდ 22 ბავშვი შევარჩიეთ და დასი ისე ჩამოვყავალიბეთ.

— როგორც მითხრეს, საბავშვო თეატრი სულ ახალი შექმნილი იყო, როდესაც სილნალის ფესტივალში მონაწილეობა მიიღეთ. ასეთ მცირე დროში პატარებმა მომზადება როგორ მოახერხეს?

— ამ ფაქტით თავადაც გაკვირვებული ვარ. ეს ყველაფერი ჩვენი პედაგოგების ტიტანური შრომის შედეგია. როგორც ჩანს, ქობულეთში ძალიან ნიჭიერი ბავშვებიც გვყავან, თორემ მარტო პედაგოგების მონაწილეობა ასეთ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. სულ რაღაც 20 დღის ნამუშევრით წარვდგენით სილნალში გამართულ ფესტივალზე და ოქროს მედალი და პირველი ხარისხის

დიპლომი მივიღეთ. ძალიან კარგი თაობა მოდის, მათთან მუშაობა დიდი სიმოწენებაა. ასეთი რამ აჭარაში სიახლე იყო და ალბათ ესეც გახლდათ იმის მიზეზი, რომ ბავშვებმა ძალიან მოინდომეს. ნახევარი სიტყვით უნდა დავუთხროთ და პედაგოგებს და თავი არ დაუზოგავთ, რომ ღირსეულად წარმდგარიყვნენ პრეტენზიული ქართველი მაყურებლის წინაშე. უიურის ერთ-ერთმა წევრმა, მსახიობმა ნათია კავსაძემ ვერაფრით დაიჯერა, რომ „ოქროს გასაღები“ ასეთი ახალბედა იყო. ბავშვებმა ადვილად გადალახეს ბარიერი თეატრალური ხელოვნებისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. თითქმის არ დარჩენილა ქობულეთის მასშტაბით მოსწავლე, პედაგოგი თუ რიგითი მოქალაქე, ეს სანახაობა რომ არ ენახა. არ წყდებოდა ზარები რედაქციის ცხელ ხაზზე... თუ ნებას მომცემთ, ბავშვების გვარ-სახელებს გაგაცნობთ — ეს მათთვის დიდი სტიმული იქნება.

— პრადანო.

— მარი მესხიძე, ვაჟა ქარცივაძე, ბექა შაქარიშვილი, თამთა ცეცხლაძე, გიორგი არჯვენიშვილი, დათო უორჟოლიანი, ირინა ჩიხლაძე, ნათია ჯაფარიძე, მედეა ჩიხლაძე, თიკო ქათამაძე, გიორგი სანიციძე, ირაკლი მეგრელიძე, რაფიელ მესხიძე, თამარ გოგიტიძე, თამარ ძირკვაძე, ანანო ცენტერაძე, მედეა ჩიხლაძე — ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც მაყურებლის მონუსხვას ერთი ნახვით ახერხებენ. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ თეატრმა რამდენიმე დღის წინ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონისთვის საქველმოქმედო სპექტაკლი ჩაატარა. ამ დღეს პატარა მსახიობებმა განსაკუთრებული მონაწილეობით ითანამშეს. საოცარი ის გახლდათ, რომ თავად მაყურებელიც ჩაერთო სპექტაკლში და შედეგად, თითოეულ მათგანს საკუთარი კერპიც კი გაუჩნდა, ზოგს — შეუდარებელი ბურატინო, ზოგს — პუპი პუპი, კეთილი ფერია და ა.შ. სპექტაკლის ბოლოს ზღაპრის გმირებმა სტუმრებს სიურპრიზი მოუწყვეს და ნაყინით გაუმასპინდლდნენ. მაყურებელთა შორის ბევრი ვერ ფარავდა სიხარულს, ცრემლებს და საყვარელ გმირებთან განშორება გაუჭირდა.

— „ოქროს გასაღების“ სამომავლო გეგმები როგორია?

— სექტემბრის ბოლოს დასს ახალი წევრები შევმატებინ და საახალწლო სპექტაკლებისათვის სამზადისს შევუდგებით. რა თქმა უნდა, „მეგობრობის ძალა“ ჩვენს რეპერტუარში დარჩება. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე წარმოდგენას გავმართავთ. მანამდე კი გვაქვს მინვევები მარნეულიდან და ბოლნისიდან, კახეთის რაიონებიდან, სადაც ჩვენი პატარა მსახიობები იქსური თანატოლების წინაშე წარდგებიან.

ახალშექმნილი „ოქროს გასაღების“ შთაბეჭდილებათა წიგნი უამრავ ლამაზ სიტყვას, სურვილსა და სამადლობელს ინახავს, რაც თეატრის ხელმძღვანელებისათვის, რომლის უმეტესი ნაწილი უურნალისტია, სტიმულის მიმცემია. ისლა დაგვრჩენია, ზურგის ქარი ვუსურვოთ პატარა მსახიობებს და ვირწმუნოთ, რომ მალე მათ დიდ სცენაზე ვიხილავთ.

„ეს იყო გაგოსდა, როგორც ვერ ჩავაბარე“...

„ნიგნი გადავშალე და ვერ დავსურე — ერთი ამოსუნთქვით ბოლომდე იკითხება იმდენად ცოცხალი სურათები, გგონია, ფილმს უყურებ. გრანობა გამიჩნდა, რომ ასეთი ფილმიც მქონდა ნანახი. მერე გაავაცნობიერე, რომ ის ფელინის „ამარკორდის“ გემოს ტოვებს. შედისარ მხარული და სმაურანი ადამიანების უზარმაზარ გალერეაში, სადაც ყველაზე მხარული და სმაურანი თვითონ მორიშკინაა, რომელიც ამ გალერეის მაცურებელი კი არა, მისი ცენტრია და რაც მთავარია, ამ გალერეაში ცუდი ადამიანები არ არსებობენ, ყველაში მოძებნილია სილამაზე, სიკეთე და ადამიანური სისუსტეების გამართლება. სწორედ ამ დიდი სიბოთით უაღრესად ქართულია ეს ნიგნი“, — ამ სიტყვების ავტორი — პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძეა. მან ეს სიტყვები ლალი მორიშკინას ნიგნს — „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ წარუძღვარა. ნიგნს დასაბუთებლად გამომცემლობა „პალიტრა L“ ამზადებს. 15 სექტემბრისთვის პრეზენტაციაა დაგეგმილი. მანამდე კი ვეცადე ავტორის, ლალი მორიშკინას „წინასაპრეზენტაციო“ განწყობილება დაეფიქსირებინა და მას სახლში ვენვიე.



ლალი ფასია

— ლალი, ის ქალბატონი აღმოჩნდი, რომელმაც პირადი ცხოვრების ნაწილი, ნიგნად აქციე და სამზეოზე გამოიტანე. რა იყო ამის მიზეზი?

— სურვილი გამიჩნდა, საქართველოს უახლესი ისტორია (ბოლო 15-20 წელიწადი) გარკვეულწილად შეემფასებინა, ჩემი ემოციებისთვის თავი მომეყარა და ყველაფერი ნიგნად მექცია. სამეცნიერო-ანალიტიკური ნაშრომი ანუ ვრცელი წერილი რომ დამეწერა, მიმამჩნია, რომ აბსოლუტურად უინტერესო იქნებოდა და ნაკლები მკითხველი ეყოლებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, საქართველოს პოლიტიკური ამბები, ფაქტები თუ მოვლენები ჩემი პირადი ცხოვრების ფონზე აღმეწერა, რადგანაც ამ ყველაფერთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული ვიყავი. ვფიქრობ, მკითხველისთვის ასეთი სახით დაწერილი ნიგნი უფრო საინტერესო იქნება. რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ნიგნში ასახულია, ის ეპიზოდები, რომლებიც არაერთი ქალის ცხოვრებაში ყოფილა. განსაკუთრებული არაფერია. დარწმუნებული ვარ, ვინც ამ ნიგნს (უცხოელებს ვგულისხმობ; ნიგნი სამ ენაზე — ქართულად, რუსულად და ინგლისურად გამოვა) წაიკითხავს, გაიგებს, რა არის საქართველო, როგორი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაში, რა ისტორია აქვს და დღეს რა

— ეს ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულება უფროა: როგორც ლიტერატორს ისე დამემკვიდრებინა თავი. დისერტაცია ხომ ამ კუთხით მაქვს დაცული? მხატვრული ნაწარმოებების აცეზულება — ეს იყო ჩემი სადისერტაციო თემა. მაგრამ ამ ნაშრომით არავინ დაინტერესებულა, რადგანაც საზოგადოებას ჩემი ზომა-წონა და აღნაგობა უფრო აინტერესებს. ამიტომაც, ეს მოტივაცია მაძლევს საშუალებას, ვიფიქრო, რომ საზოგადოება ჩემს პატარა ლიტერატურულ ნამუშევარს მართლაც წაიკითხავს... რაც შეეხება გამბედაობას, სულაც არ ვფიქრობ, რომ დიდი სიმამაცეა იმის გადმოცემა, რასაც ნიგნში ვყვები...

— თუ შენი მხრიდან გამბედაობა და რისკი არ არის, მაშინ რატომ არ გვაქვს, თანამედროვე ქართველების მიერ შექმნილი მსგავსი ნამუშევრები?

— შეიძლება, იყო პოპულარული, ცნო-

ლალი მორიშკინას „ამარკორდი“

სჭირს. არც იმას დავმაღავე, რომ ნიგნის დაწერის იდეა ეუთოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა მომანოდა (ახლა ის ევროკავშირის თანამშრომელი და მაღალ პოსტზე მყოფი პიროვნებაა, რომელიც თავის დროზე ჩემთან ერთად ცხინვალში დადიოდა, როდესაც მინისტრის მოადგილე გახლდით). იგი, როგორც მეგობარი, ჩემს ოჯახურ წვეულებებსაც ესწრებოდა და კარგად ახსოვს, რომ იმ საღამოებს მიხეილ სააკაშვილიც ხშირად სტუმრობდა... ნიგნის შემდეგ კი, პიროვნება მუდმივად მეკითხებოდა — შენ და საქართველოს პრეზიდენტი წარსულში ხომ მეგობრობდით, დღეს რა ხდება, როგორი ურთიერთობა გაქვთო? მან ასევე იცოდა ჩემი და მსოფლიო ჩემპიონის — გიორგი კანდელაკის ურთიერთობის შესახებაც... ბოლოს ამ ადამიანმა მითხრა: სერიოზული მასალა გაქვს, რაზეც ნიგნის დაწერა შეგიძლიათ... ამ ნათქვამმა ჩემი პროვოცირება მოახდინა.

— ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი ყოფილა ისეთი, რაც არაერთი ქალის ცხოვრებაში არ მომხდარაო, — აღნიშნე. კი, მაგრამ იმ ქალბატონებს, შენგან განსხვავებით, პირადი ცხოვრების ეპიზოდების საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის სურვილი არ გასჩენიათ. ამ შემთხვევაში, მათგან სწორედ იმით გამოირჩევი, რომ გამბედაობა, მხნეობა გეყო?

ბილი, მაგრამ არ იცოდე წერა; ელემენტარულია. მე უკვე აღვნიშნე, რომ ლიტერატორობა ჩემი პირველადი პროფესიაა... ისე, ძალიან მარტივია, როდესაც რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით წერ. როდესაც ნიგნის საწერად კომპიუტერს მივუჯექი, ვეღარ მოვწყდი. ყველაფერი თავისთავად მოდიოდა, არაფერს ვიგონებდი, უბრალოდ განვლილ ცხოვრებას ვისხენებდი...

— საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ნიგნს წაიკითხავს, მიიღებს, განისილავს, მაგრამ ისინი, ვინც წაკითხვამდე კრიტიკულად არიან განწყობილები და წაკითხვის შემდეგაც ასეთივე განწყობილება ექნებათ, მათ რას ეტყობი?

— ნებისმიერ კრიტიკულად განწყობილ ადამიანს, ვისაც თავადაც რაიმე დაუწერია, მივესალმები. სიამოვნებით გავიზიარებ ყველას აზრს, ვინც კრიტიკას გამართული ქართულით იტყვის. ხოლო ისინი, ვინც ამ თვალსაზრისით მოიკოჭლებენ, ნუ გამოემხმარებებიან! კრიტიკა მისაღები და დასაფასებელია მათგან, ვის ინტელექტსაც მე ვეთაყვანები და ვის აზრსაც სიამოვნებით გავიზიარებ!

— ნიგნის წინასიტყვაობა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ დაწერა. რატომ?

— დიდხანს ვფიქრობდი, ვის შეიძლება, ნიგნისთვის წინასიტყვაობა დაეწერა. მერე თხოვნი ბატონ რამაზს მივმართე, რადგანაც მივიჩნიე, რომ ნიგნი

მაინც არა ლიტერატორს, არამედ ფსიქოლოგს, პოლიტოლოგს უნდა შეეფასებინა (რადგანაც საქმე საქართველოს უახლოეს წარსულს ეხება). ბატონი რამაზისთვის ჩემი გადაწყვეტილება მისაღები აღმოჩნდა. მან მართლაც შესანიშნავი წინასიტყვაობა დამიწერა.

— ბოლოს და ბოლოს, წიგნი რა ფაზის განეკუთვნება?

— ავტობიოგრაფიული რომანია, რომელიც აბსოლუტურად რეალურ ფაქტებზეა აგებული.

— ყველაზე მეტად რომელი ეპიზოდის წერისას დაბრკოლდი ანუ შენში ცენზორმა როდის გაიღვიძა?

— არ ყოფილა ასეთი მომენტი, აზრი ერთი ამოსუნთქვით გადავიტანე ფურცელზე ანუ დავეწერე ის, რაც ემოციამ მოიტანა და მიკარნახა. არადა, იმხელა ემოცია მქონია, რომ არც კი ვიცოდი. სრულიად გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორი თვის განმავლობაში, რაც ვიტყვ, ალბათ ცხოვრების მანძილზე არ დამიღვრია ამდენი

პროტესტი ჰქონდეს — ამაზე არ გიფიქრია?

— ჩვენ 3-4 წლის წინ ასეთი საუბარი გვეკონდა; მითხრა: — თუ წერა იცი და კარგად აზროვნებ, მაშინ რატომ არ შეგიძლია, დაწერო წიგნი ჩვენზე?! ვუპასუხე: — გიორგი, რად გვიწინა ჩვენზე წიგნის დაწერა, შენ ხომ მუდმივად გაუბრძობარ ინტერვიუებს, ჩვენს ურთიერთობაზე არსად საუბრობ; რატომ გაქვს ასეთი სურვილი-მეთქი? მიპასუხა: — ვიცი, შენ არ გეყოფა იმდენი გამბედაობა, რომ ჩვენზე წიგნი დაწერო... ეს სიტყვები ჩვენებაში მყარად ჩამებეჭდა, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული, მოსვენებას არ მაძლევდა. სულ ვფიქრობდი, ნეტავ, რად მითხრა ასე?.. ალბათ ანტიერესებდა, როგორი იქნებოდა ჩემგან მოყოლილი ჩვენი ამბავი.

— მას მერე, რაც პრესით, ტელევიზიით გააშმაურე ფაქტი, რომ წიგნს წერ, მისგან სატელეფონო ზარიც არ მიგიღია?

— არა. უბრალოდ ვიცი, რომ ახლა თბილისში არ იმყოფება...

— ეი. ამ წიგნს შესახებ არაფერი იცის?

— ვერ გეტყვი. როდესაც „P.S.“-ის გადამღები ჯგუფი მასთან დაკავშირებას ცდილობდა, ვერ იპოვა...

— არც პრეზიდენტი შეგნმიახებია?

— ვფიქრობ, პრეზიდენტისგან ერთგვარი „მწვანე შუქი“ ის იყო, რომ „P.S.“-ში ჩემზე ვრცელი რეპორტაჟი გაუშვეს... შეიძლება, ახლა რადიკალური ოპოზიციისთვის მიუღებელი რამ ვთქვა, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის კრიტიკაა, ეს მისთვის მაინც დადებითი პიარია. როდესაც იხსენებენ და წერენ მის ბავშვობაზე, ყრმობაზე, ახალგაზრდობაზე, უკვე კარგია! მეგობრები ვიყავით... უბრალოდ, რაც დრო გადის, ვეღარი ვიცვლებით. დროს თავისი შეცდომები მოაქვს... მსოფლიოში ცნობილი ლიდერები საკუთარ თავზე მსგავსი სახის ლიტერატურას უკვეთენ. ლმერთი-რჯული, მე ეს წიგნი დაკვეთით არ დამიწერია, მაგრამ ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც წიგნშია მოხსენიებული, ვფიქრობ, ეს მაინც პიარია. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონისთვისაც...

— **კარგად მასსოფს პერიოდი, როდესაც შენ და გიორგი კანდელაკი ერთად იყავით. ჩემთვის, როგორც ფურხანლისტისთვის, ეს თემა ტაბუდადებული იყო, რადგანაც თქვენს ურთიერთობაზე ყოველ ჩემ მიერ დასმულ შეკითხვაზე შენგანაც და მისგანაც კითხვას აბსოლუტური აცილება ჰქონდა ანუ პრესისთვის ამ თემაზე არ საუბრობდით... ვინაიდან ახლა ის უტბაი გაქვს, როცა წარსულს იხსენებ და ერთგვარად აფასებ კიდევაც, მოდი, მითხარე,**

რა იყო შენს ცხოვრებაში მსოფლიო ჩემპიონთან გატარებული 5 წელი?

— რა თქმა უნდა, ბევრი ტკივილი, სიყვარული და ძალიან დიდი გამოცდა, რომელიც ვერ ჩავაბარე... შეიძლება, ჩემგან ძალიან ბევრი მოითხოვეს... ალბათ არ იარსებებდა სასიყვარულო რომანები, რომ არა ამ გრძობის ასეთი უცნაურობა... ჩემს შემთხვევაში ეს ყველაფერი ასე გავშიფრე: სიყვარული, როგორც უნდა იყოს, მაინც მონობას ემსგავსება... ის ადამიანებს სრულად ამონებს, თუმცა მე მონად ვერ გამოვედქი!.. აღმოჩნდა, რომ მონობა არ შემძლება...

— იქნებ რაიმე ეპიზოდი გაიხსენო შენი წიგნიდან?

— მიმა ჩემი პირველი მუშაობის (უფროსი შვილის — სანდროს მამის, რომელიც გარდაიცვალა) კლასელი გახლდათ. ვიხსენებ სკოლის ბუფეტში მათ ოხუნჯობებს, ორომტრიალს, რაც ჩვენს სკოლაში ხდებოდა (სხვათა შორის, ბევრი რამ მარინა სალუქვაძემ გამახსენა). ასევე ვყვები მომდევნო წლებში ჩვენს მეტად დამეგობრებაზე: ის ჩემთან სტუმრად ხშირად მოდიოდა. ერთი უცნაურობა ახასიათებდა: ბებიანებს სტაცებდა ხელს და ხელში აიყვანდა, რაზეც დედაჩემი გიჟდებოდა, დაანებებულ ქალს თავი, ნუნვა აქვსო! ბებიანები კი მიმაზე უგონოდ იყო შეყვარებული. ის ვინმე ივან დოროფევიჩის აგონებდა, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით, მაგრამ ის პიროვნება მისი არშემდგარი (მეოთხე იქნებოდა) ქმარი გახლდათ. ბებია დედაჩემს უბნებოდა: — მანანა, შეეშვი მიშას, შეხედე, როგორ ჰგავს ივან დოროფევიჩს! არადა, მართლაც ძალიან სასაცილო სცენა იყო, როდესაც მიშა ბებიანებს, პატარა, გამხდარსა და ჩია ქალს ხელში აიტაცებდა... წიგნში არის ასეთი ეპიზოდიც: ერთ-ერთ ჩემს დაბადების დღეზე, უკვე მინისტრის მოადგილე ვიყავი, ნომენკლატურული სტუმრები მყავდა დაბატიყებულნი; იმ დღეს კი ისე დავმთხვა, რომ ქალაქის მერმა — ვანო ზოდელავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ — მიშა სააკაშვილმა რალაც საკითხთან დაკავშირებით, ერთმანეთი დახოცეს. არადა, ორივე დაბატიყებული მყავდა. ვანო, რომელიც აგრეთვე ოჯახის ახლობელი იყო, არ მოვიდა, სამაგიეროდ, ნითელი ვარდებით მოვიდა მიშა. ვკითხე: ასეთი დაძაბული დღის შემდეგ აქ რამ მოგიყვანა-მეთქი? მიპასუხა: მოიცა, ასეთი დღე რამდენი მელის ცხოვრებაში და შენი დაბადების დღე როგორ გამომეტოვებინაო?! რამდენიმე ათკაციანი სუფრა იყო გაშლილი, რომელთაც სტუმრები უსდნენ. როდესაც მიშა ერთ-ერთთან მივიდა, მაგიდის 9-ვე წევრი მაშინვე ადგა და სხვა მაგიდასთან გადაინაცვლა. იმის მომიზუნებით, რომ ერთმანეთი დიდი ხანის უნახავი ჰყავდათ და ჭორაობა უნდოდათ. სამინლად გაგებრანდი, რომ მათ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს ჩემი სტუმარი. სხვათა შორის, ეს ის გუნდია, ადამიანების ის ჯგუფი, რომელიც შემდეგში სააკაშვილის პირველი მენ-



ალბათ არ იარსებებდა სასიყვარულო რომანები, რომ არა ამ გრძობის ასეთი უცნაურობა...

ცრემლი, რადგანაც ვიხსენებდი ჩემთვის საყვარელ ხალხს, ფაქტებს, თუნდაც ჩემი სიყვარულის არაერთ ეპიზოდს. აღმოჩნდა, რომ თურმე დღემდე ყველაფერი ძალიან მტკიცია... ასე რომ, კომპიუტერის კლავიატურა მთლიანად ცრემლით იყო დასველებული... ამასთან, ბევრიც ვიცინე, გიჟივით, მარტო ვიჯექი, ხან ვტიროდი და ხან — ვიცინოდი. მერე გავიკვია, რომ ასეთი რეაქცია მხოლოდ მე არ მქონია; როდესაც ეპიზოდები ჩემს უახლოეს მეგობრებს — მარინა სალუქვაძესა და ქეთი ნეფარიძეს (ბავშვობიდან ერთად მოვიდვართ, რომლებზეც მკითხველს წიგნში მოვუთხრობ კიდევ) წავუკითხე, ისინიც ატირდნენ. მათთვისაც სერიოზული ემოციური მუხტი იყო...

— **წიგნს ჰქვია — „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“. საინტერესოა, თავად მსოფლიო ჩემპიონი — გიორგი კანდელაკი როგორ შეხვდება ამ ამბავს. წიგნზე მუშაობის დაწყებისას თუ ჩააყენე ის საქმის კურსში? შესაძლოა, მას**

„ანზორიკო მომწერა: ქალიან ლამაზი ხარო“...

ოტბე გახდა. მოგვიანებით კი იგივე გუნდი, ასევე პირველი წავიდა ოპოზიციაში. ცხოვრება მართლაც სერიოზული ორმოტრიალი და კარუსელია... არ დამავეინდება მიშას მაშინდელი განცდა. მე და დედა ვაწყნარებდით და ვუბოდიშებდით, ის კი პირიქით, ჩვენ გვამწვიდებდა... სხვა მის ნაცვლად, ალბათ ნამოსტებოდა და გაიქცეოდა... რა ვენა, თუ მასსოვს ასეთი ამბები, რომელთა ამოჭრაც ჩემი მესსიერებიდან არ შემოიძლია?!

— **შემდგომში თქვენი ურთიერთობა რამ დაძაბა?**

— საინტერესო მომენტი ის იყო ალბათ, რაც მასა და გიორგი კანდელაკს შორის მოხდა: ეს უმძიმესი დაპირისპირება გახლდათ. ფაქტობრივად, ჩვენი ურთიერთობა ამ ფაქტს შეენირა. თუ რატომ, ალბათ ამას დრო გვიჩვენებს.

— **რას გულისხმობ?**

— მიშას გიორგის დაჭერა უნდოდა. ამის საშუალება მე არ მივეცი.

— **რატომ უნდოდა, დაეჭირა?**

— გიორგიმ გორში, არჩევნების დროს, ოქრუაშვილს სცემა.

— **ამ ფაქტზე წიგნში წერ?**

— კი და ამის ამსახველი ფოტოკადრებიც მაქვს, გორში სერიოზული დაპირისპირება მოხდა, როდესაც ის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს... ასე რომ, ამ წიგნით ბევრი ადამიანი გაიხსენებს, რა ხდებოდა წლების წინ საქართველოში და კითხვაზე, რომელსაც თუნდაც მე მისვამენ — თანამდებობაზე იყავი და დღეს რატომ აღარ გაქვს თანამდებობაო? — პასუხს წიგნი გასცემს... მაგრამ თანამდებობაზე იმის სანაცვლოდ ნამდვილად ვერ წავიდოდით, რომ ჩემი ახლობელი ადამიანი ციხეში ჩასაჯდომად გამეუტებინა. ფეიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, თავს ცდუნების უფლება არ მივეცი.

— **თანამდებობა ახსენე და ცოტა ხნის წინ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის არჩევნები გამახსენდა, რომელშიც შენც მონაწილეობდი, მაგრამ იქ ნული ქულა აიღე... განაცხადი რომ შეიტანე, გამარჯვების იმედი გქონდა?**

— ამ არჩევნებში მონაწილეობით, იცი, რას მივხვდი? რომ ჩემი პერსონის უმინიათ. ეს რომ ასეა, სწორედ იმ ნულმა ქულამ აჩვენა.

— **ვის ემინა?**

— იმ ადამიანებს, რომლებმაც ტელევიზიის ბიუჯეტი შეჭამეს. აქ კონკრეტულად ერთ გუნდს ვგულისხმობ და ვიტყვი, რატომ: შარშანაც და წელსაც ერთი და იგივე მოთხოვნა მქონდა, რომ ტელევიზიაში აუდიტი შესულიყო... ეს ზუსტად ის ჯგუფია, რომელიც წლებია, ტელევიზიის ბიუჯეტს განაგებს და მიიჩნევს, რომ მე შავ სიაში ვარ.

— **ვინ არიან ეს ადამიანები?**

— „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგები...

— **ურვეული აგვისტო გვაქვს, სიცხე დიდად არ გვანუსებს, მა**

რუბრუკის დასასრული იხ. გვ. 30



სოფო ყარაღაჯიანი

სააგენტო „ნატალის“ მოდელს, გადაცემა „M კოდის“ წამყვანს, ლიკა ქორძიას თაყვანისმცემლები გარს მართლაც რომ ბუზებივით ეხვევიან. როგორც გავარკვიე, მისი გარეგნობით თურმე წინო ბურჯანაძის შვილი, ანზორიკოც



— ეს უკვე მოძველებული აზრია. ვერ ვხვდები, ლამაზი — შტერთან რატომ ასოცირდება?! თუ ჩემს გონებრივ შესაძლებლობებზეა ლაპარაკი, მაშინ აქ ჩემი ლექტორების აზრიც უნდა გავითვალისწინოთ. უჭკუო ნამდვილად არ ვარ!..

— **ლიკა, შეყვარებული არ ხარ?**

— არა და არც ვყოფილვარ... მინდა, ისეთი მამაკაცი იყოს ჩემ გვერდით, რომელიც ჩემს საქმიანობას პატივისცემით მოეკიდება.

— **ჭორად გავიგე, შენით წინო ბურჯანაძის უფროსი ვაჟი, ანზორიკო ბინძე დაინტერესებულა, მართალია?**

— მე და ანზორიკოს ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ის „ოდნოკლასნიკების“ მეშვეობით დამიკავშირდა და მეგობრობა შემომთავაზა; მეც დავთანხმდი. ალბათ აქედან აგორდა ეს ჭორიც.

— **ალბათ, მას მართლა მოსწონხარ.**

— (იღიმება) მომწერა: ქალიან ლამაზი ხარო; თუმცა ამის შემდეგ არც ამ საიტის საშუალებით დავკონტაქტებდვარ და არც — ცხოვრებაში...

— **„ოდნოკლასნიკებში“ კიდევ ბევრი ცნობილი ადამიანი გყავს დამეგობრებული; რაღა მაინცდამაინც ანზორიკოზე გაგიფრცელეს ჭორი?**

— არ ვიცი. სიამოვნებით დაუფსვამდი ამ კითხვას მას, ვინც ეს ჭორი გავრცელა.

— **ისე, თაყვანისმცემლებს შორის თუ არიან ცნობილი ადამიანები?**

— არაერთი, თუმცა მათი სახელების ჩამოთვლა არ შემოიძლია. ისინი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან...

— **მათ შორის, პოლიტიკოსებიც?**

— (იცინის) დიას, მაგრამ ნუ მკითხავთ, ვინ...

მოდელს შორის გამოჩეული

და მარინა ჯანაშიას მილიონარობაზე მიოცნება უპილიპილი

მარია ჯანაშიასთან სტუმრად მისულების ყურადღებას პირველ რიგში, დიდი სურათები იქცევს. მათი ავტორი მარიტას მამა — ბექა ჯანაშიაა. რამდენიმე, თავად მარიტას დახატულიც არის. მასზე ამბობენ, ფოტოხელოვნის ნიჭიც აქვსო. ერთ-ერთმა მასწავლებელმა მისი ფოტონამუშევრების მილიონად გაყიდვაც კი იწინასწარმეტყველა. მარიტას ერთი სული აქვს, მილიონერი გახდეს. დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში მასწავლებლის პროგნოზი არ გამართლდება და ამიტომ, მილიონის დახარჯვის გეგმას არ ადგენს. „ელიტ მოდელ ლუქის“ გამარჯვებულს, ბებიასთან — ცნობილ მსახიობ მარინა ჯანაშიასთან ერთად ვესაუბრე.



მარი კობიაშვილი

— მარია, როგორც ვიცი, იმავე კონკურსში შარშანაც მონაწილეობდი. მაშინ მეორე ადგილი დაიკავე წელს კი სრულიად შემთხვევით მოხვდი ამ კონკურსში: ერთ-ერთი მონაწილე კონკურსს გამოეთიშა და „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელმა ია კინ-მაროშვილმა გათხოვა, მის მაგივრად მიგელო მონაწილეობა. ოჯახში რა ხდებოდა კონკურსის დღეს?

მარინა:

— ჩემმა საყვარელმა ოჯახის წევრებმა წინასაკონკურსო ნერვიულობა ამარიდეს: ეს ამბავი კონკურსამდე 2-3 დღით ადრე შემატყობინეს. იციან — რაც მარიტასთან არის დაკავშირებული, ყველაფერს მძაფრად განვიცდი. ვიცოდი, რომ უბრალოდ, უნდა მიეღო კონკურსში მონაწილეობა და არანაირ ადგილზე არ უნდა ჰქონოდა პრეტენზია. მის თაემოყვარეობაზე ვფიქრობდი... 31 ივლისს დილით, როდესაც გამარჯვებული უნდა გამოეცხადებინათ, ტელევიზორთან ვიჯექი და შინაგანი მონოლოგი მქონდა. გულში ვამბობდი, — არავინ ფიქრობს ამ ბავშვის სულსა და თაემოყვარეობაზე; ახლა, როცა ის ვერც ერთ ადგილს ვერ დაიკავებს, რას იფიქრებენ ის ადამიანები, ვინც შარშანაც ნახა ეს კონკურსი? შარშან მარია მეორე ადგილზე გავიდა და ახლა საერთოდ, რა ელოდება-მეთქი?... ისეთ განცდებში ვიყავი, თავიც კი ამტკივდა. ხუთეულში რომ გამოაცხადეს, ჩემს გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. მივხვდი, რალაც დაირღვა. დავინახე, გამხდარი ფეხი როგორ დადგა სცენაზე. ჟიურის წევრებს გაოცებულმა შეხვდა. თითქოს თვალებით ეკითხებოდა, — ხალხო, ხომ არ გაგიუღიოთ?! სახეზეც ეტყობოდა — ყველაზე გულგრილი გამოიმეტყველებით იდგა სცენაზე. გამარჯვებულად რომ დაასახელეს, დანარჩენი ოჯახის წევრებზე დაბ-

ნეულები იყვნენ. თავიდან ვერც აცნობიერებდნენ, რა მოხდა. მოკლედ, ოჯახში დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

მარიტა:

— კონკურსი ერთი თვის დაწყებული იყო, როცა შევეუერთდი. ორ კვირაში ფინალი იყო დანიშნული. გამარჯვებას არ ველოდი. არც პრეტენზიები მქონდა. კონკურსის დღეს ერთი სული მქონდა, ყველაფერი როდის დამთავრდებოდა. ორი ზომით პატარა ფეხსაცმელი მეცვა. ხუთეულში რომ ამირჩიეს, ვფიქრობდი, — ნეტავ, როდის დამთავრდება ყველაფერი, რომ გამარჯვებულს მივულოცო, სასწრაფოდ გავიქცე კულისებში და ფეხზე გავიხადომეთქი!.. ჟიურის თავმჯდომარემ შემომხედა და გამიღიმა. ვიფიქრე, ალბათ იმიტომ მილიმის, შეამჩნია, ფეხსაცმელი რომ მიჭერს-მეთქი. გამარჯვებულად რომ გამოაცხადეს, ცრემლები წამომცვივდა მოულოდნელობისგან და ყურები დამიგუბდა. კარგად არც მახსოვს ის წამები.

მარინა:

— მარია სულ ამბობდა, — თუ ოდესმე მსგავს კონკურსში გავიმარჯვებ, არ ვიტყვებ; არ მომწონს, ასე სხვები რომ იქცევიანო. ახლა საკუთარ თავზე გამოცადა, რა ყოფილა მოულოდნელობის ეფექტი. მე კარგად ვიცნობ მარიტას. ის ძლიერი გოგოა და თავის ხელში აყვანაც შეუძლია. კონკურსზე ისე ნერვიულობდა, ვერ მოუყარა თავი სახის კუნთებს. ჩემთვის ეს იყო ყველაზე ძნელი სანახავი. არადა, მოდელობაზე საერთოდ არ ფიქრობდა. მათემატიკაში დაინერგა მომზადება და ამბობდა, სხვა არაფერი მისხნოთ, რა კარგი ყოფილა მათემატიკაო!..

— მარია, ამ კონკურსმა შენ გეგმები ძალიან შეცვალა?

— რა თქმა უნდა, შეცვალა. „მსოფლიო ელიტ მოდელ ლუქის“ კონკურსზე მივდი-

ვარ. ეს ჩემს ცხოვრებაში დიდი გამოცდა იქნება. 2 თვით, სამოდელო კონტრაქტით ვიყავი ნასული თურქეთში. იქაც ვისწავლე დამოუკიდებლად ცხოვრება. თუ მსოფლიო „ელიტის“ კონკურსზე 15 საუკეთესო გოგონას შორის ამირჩევენ, მაშინ საერთაშორისო სააგენტოებთან თანამშრომლობა მომიწევს და ეს ყველაფერი გამოცდილებას შემემატებს.

— მათემატიკაში აღარ ეზადები?

— არა, სამწუხაროდ. ამისთვის დროც არ მყოფნის.

— რა პროფესიის დაუფლება აპირებდი?

— მინდოდა, კავკასიის ბიზნესსკოლაში ჩამებარებინა. მომავალში ამ გეგმას აუცილებლად განვახორციელებ, თუ ამის საშუალება მომეცემა.

— მსახიობობაზე არასდროს გოფიქრობ?

— სულ მოდელი ხომ ვერ ვიქნები. მომავალში ალბათ სხვა პროფესიას მოვკიდებ ხელს და ეს შეიძლება, მსახიობობა იყოს.

— მარინა, თქვენ როგორ ფიქრობ — მარიტასგან კარგი მსახიობი დადგება?

— ამ თვალთ მარიტასთვის არასდროს შემიხედავს. პირველი უარყოფითი, ჩემი პროფესიისთვის რაც აქვს, მეტყველებაა — ძალიან სწრაფად ლაპარაკობს. ასევეა მამამისი — ბექაც. როცა ეს ორი ადამიანი საუბრობს, მსმენელები ისეთ მდგომარეობაში ცვივდებიან, თითქოს ჩოგბურთის თამაშს უყურებენო... რაც მთავარია, თვითონ გადასარეგად ესმით ერთმანეთის. აქედან გამომდინარე, არ მიფიქრია, რომ შეიძლება, მსახიობი გამოსულიყო. ჩემს შვილებთან ეს პრობლემა არც მქონია. ყველა სპექტაკლში,

რომელსაც ისინი ნახულობდნენ, ან მკლავდნენ, ან მე თვითონ ვიკლავდი თავს: თეატრის მიმართ პროტესტი ჰქონდათ. მამაკაცების მხრიდან ავცდი ამ პრობლემას. მარიტუნას მსგავსი სურვილი არასდროს გამოუთქვამს. ახლა რომ თქვა, გამიკვირდა კიდევ. რამდენადაც ჩემს პროფესიას ბევრი სიამოვნება ახლავს, ამავე დროს, ბევრი ტკივილიც სდევს, თან ისეთი, რომელიც სულიერად განგრევს. ასეთი ტკივილისთვის მარიტა არ მემეტება. თუმცა არჩევანი, რასაკვირველია, მან თავად უნდა გააკეთოს.

მარიტა:

— მინდა აღვნიშნო, რომ არც მოდელიბაა მარტივი საქმე და დიდი კონკურენციაც ახლავს თან.

— მარიტა, როგორც გავიგე მამაშენი მხატვარა. შენც ხატავ.

— კი, ერთი პერიოდი ვხატავდი. ბაბუაჩემმა — მხატვარმა თემო გოცაძემ კარგად შეაფასა ჩემი ნამუშევრები, რაც მისი მხრიდან დიდი იშვიათობაა. მაგრამ თავი დავენებე ხატვას, ალბათ იმიტომ, რომ მამა არ იმყოფება საქართველოში: ის ყველაზე კარგად მასწავლიდა ხატვას. როცა ჩამოვა, შეიძლება, კიდევ გავაგრძელო ხატვა, არ ვიცი.

— საფრანგეთში რატომ ცხოვრობ?

— იქ შევეთა აქვს მიღებული, რომელიც უნდა დაასრულოს.

— რამდენ ხანაა, რაც წავიდა?

— დაახლოებით, ორი წელია. არც შარშანდელი კონურსი უნახავს...

— როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა შეიტყო, რომ „ელტი მოდელ ლუქს“ გამარჯვებული გახდი?

— ძალიან მინდოდა, კონკურსის შემდეგ დამერეკა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

მარინა:

— სამაგიეროდ, მე ოთხჯერ დაურეკე. მაგრამ სულ პირველად მეგობარს დაურეკავს და უთქვამს, გილოცავო. ძალიან გაჰკვირვებია; მაშინვე წასულა და ინტერნეტში უნახავს მარიტას გამარჯვება.

მარიტა:

— მე რომ ველაპარაკე, გული აუჩუყდა. არაჩვეულებრივი მამა მყავს.

მარინა:

— შვილის პორტრეტი პირველად მაშინ დახატა, როცა მარიტა 5 წლის იყო. სურათს „ინფანტა მარიტა“ ჰქვია, რომელმაც ერთ-ერთ ფესტივალზე გაიმარჯვა კიდევ. ამ სურათში ჩადო მთელი თავისი განცდები და სიყვარული, რომელიც მარიტას მიმართ აქვს.

— თქვენ თუ მიგილიათ „ელტი მოდელ ლუქს“ მსგავს კონკურსში მონაწილეობა?

— არასდროს. ჩემს გარეგნობაზე ისეთი აზრი არ მაქვს, რომ მსგავს კონკურსში მონაწილეობაზე მეფიქრა.

— მარიტას გარეგნობაში რა მოგწონთ ყველაზე მეტად?

— მარიტა მიყვარს და ამიტომ, მისი ყველაფერი მომწონს.

— გარეგნულად ბებია-შვილი იშვიათი ჰგავხართ ერთმანეთს?

მარიტა:

— მამას ვგავარ — ამას ყველა აღნიშნავს. ცოტა დედასაც ვგავარ. ბებიასაც მამსგავსებენ.

მარინა:

— ეს ძალიან მიხარებს გულს. მარიტა კონკურსზე შარშანაც იყო, მაგრამ არავინ იცოდა, ჩემი შვილიშვილი რომ იყო. წელს ია კინმარიშვილმა სრულიად შემთხვევით გაიგო. არც მინდოდა, ეს ბევრს რომ სცოდნოდა. ვიბოდი, მარიტას თვითონ გაეკვლია გზა. მიხარია, რომ ასეც ხდება.

— ბებია-შვილიშვილის ურთიერთობა როგორია? მარიტა გიშვლთათვის საიდუმლოებებს?

— საიდუმლოებები მარიტას არა აქვს. ეს ძალიან მომწონს.

მარიტა:

— ყველაზე მეტს მაინც მამაჩემს ველაპარაკებოდი. დედასაც და ბებიასაც ბევრ რამეს ვუყვებოდი ხოლმე, მაგრამ მამასთან ერთად, დიდი განხილვები მქონდა.

— დედისერთა ხარ და ალბათ

— ძალიან განებიფრებულიც.

მარინა:

— თვითონ არაა ისეთი ბავშვი, რომ განებიფრებულად მივიჩნიოთ. „იმიჯ ცენტრშიც“ ყველა იმას ამბობს, — როგორ შეიძლება, ყველა გიყვარდესო?! მე მას თავნება ბავშვს ვერ დავარქმევ ალბათ ამ შემთხვევაში, ოჯახურ გარემოზეა ყველაფერი დამოკიდებული.

— მარიტა, გულახდილად გვითხარო, შეყვარებული გგულშემატკივრობდა ამ კონკურსზე?

— შეყვარებული რომ მყავდეს, გაგიშვებდი.

— კონკურსის შემდეგ თავიანთი ცემელთა რიცხვი არ გაიზარდა?

— შეიძლება, ასეც არის, მაგრამ ეს შემანუბნებელი არ არის.

— როგორი წარმოგიდგენია შენი მომავალი მეუღლე?

— ძალიან მიყვარს თბილი ადამიანები.

ამიტომ მინდა, თბილი და წყნარი ადამიანი იყოს და არა — ფიცხი და ჯუჯულუნა.

მარინა:

— არა მგონია, მარიტამ არასწორი არჩევანი გააკეთოს. მე მის არჩევანს აუცილებლად მივიღებ. მაგრამ ეს ყველაფერი მისგან ძალიან შორსაა. ჯერ 17 წლისაა, მაგრამ თუ გრძნობა „ეახლა“, ის არ ჰკითხავს, — როგორი გეგმები გაქვსო?.. თუ არ ვცდები, „იმიჯ ცენტრთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება აქვს დადებული, რომ არ გათხოვდეს.

— ასეთ ხელშეკრულებას გოგონები, როგორც წესი, არღვევენ.

მარიტა:

— პირადად მე, არ მომწონს იმ გოგონების საქციელი, რომლებიც გადამწყვეტენ ხოლმე, რომ კარიერა დაასრულონ და თხოვდებიან. საქარო არაფერია. შეიძლება, შეყვარებული გყავდეს, მაგრამ არ გათხოვდეს.

— მარიტა, ცუდი ჩვევები გაქვს?

— ჩემი ნივთების აქეთ-იქით მიყვარს და კიდევ — ჩქარა ვლაპარაკობ. ამას ყველა აღნიშნავს.

მარინა:

— როცა იგებს, რომ მე მოვდივარ, მაშინვე სახლს დაუფლის და ალაგებს.

— კარგი დიასახლისი ხარ? შეგიძლია, გემრიელი კერძის მოზადება?

მარიტა:

— კერძებიდან — მაგალითად, ჩახობილს ვერ ვაკეთებ, მაგრამ იოლი რამეები კარგად გამომდის.

მარინა:

— შეიძლება, გემრიელი არ იყოს, მაგრამ ძალიან ლამაზად გაგიმასპინძლებს... ლამაზი სოფელი გვაქვს, სხვიტორი. მე და მარიტა იქ ხშირად ვისვენებთ. ძალიან პატარა იყო, როცა სურვილი უჩნდებოდა, მე გავრიდებოდი, ლამაზად გაეშალა სუფრა და ჩემთვის სიურპრიზი გაეკეთებინა.

მარიტა:

— ერთხელ ნამცხვარი გავაკეთე. გემრიელი არ გამოივიდა, სამაგიეროდ, ძალიან ლამაზი იყო. არავინ ჭამა, ერთი ბიჭის (რომელსაც ჩემ მიმართ სიმპათია ჰქონდა) და ჩემი ძალის გარდა.

— გადარჩენ?

— კი, რა თქმა უნდა (იციინის).

— მარინა, რა რჩევას მისცემდით მარიტას? ის კონკურსის გამარჯვებულია; შეიძლება, მსოფლიო „ელტი მოდელ ლუქს“ გამარჯვებულად გახდეს, შეიძლება, საპრიზო ადგილზეც ვერ გავიდეს.

— ორივე შემთხვევაში, მინდა ვუთხრა, რომ ცხოვრება ამით არც იწყება და არც მთავრდება. ამიტომ ვურჩევ — როგორი თავმდაბალი ადამიანიც ახლა არის, ბოლომდე ასეთად დარჩეს. კონკურსის შეგრძობამ ადამიანს ადამიანობა არ უნდა დააკარგინოს. მე ამის ჩანასახსაც ვერ ვხედავ მარიტაში და ეს ძალიან მიხარებს.



გრამ რაც უნდა იყოს, მაინც ზაფხულია, შვებულებების, დასვენების დრო. შენ კი ზიხარ და წიგნზე მუშაობ.

— ბოლო ორი თვეა, სამ საათზე მეტი არ მძინებია. ძირითადად, სულ ვმუშაობ. ახლა ცხოვრებაში პირველად მივმართე დიეტას, რადგანაც კომპიუტერთან ჯდომით, წონაში საგრძობლად მოვიმატე. დიეტის დაცვით კი ნელ-ნელა უკვე დაუბრუნდი ძველ წონას. ივლის-აგვისტოში იმიტომ ვმუშაობ, რომ წელიწადის არც ერთ პერიოდში ამდენი დრო არ მექნებოდა. ეს დრო ინტენსიურად გამოვიყენე.

— წლის განმავლობაში რას საქმიანობ?

— ძალიან ბევრი საქმე მაქვს. ორ ინსტიტუტში ვასწავლი. მაქვს მძიმე გრაფიკი, ამასთან, შვილები მყავს მოსავლელი. მილიონი პრობლემაა. ამიტომ, წიგნის დასაწერად საზაფხულო არდადეგები გამოვიყენე.

— როდის აპირებ ამ დაკარგული ენერჯის აღდგენას?

— ენერჯია იმდენი მაქვს, რომ სულაც ვერ ვგრძობ დაღლილობას. მინდა, ბოლომდე დავიხარჯო... სურვილი მქონდა, რომ წიგნი ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ყოფილიყო. მათ, ვინც უკვე წაიკითხეს დასაბეჭდად გამზადებული ეგზემპლარი, თქვას, რომ ის მართლაც, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

— რამდენ ხანში დაიბეჭდება?

— მალე. 15 სექტემბრიდან ქართულ და რუსულ ენებზე წიგნი გაყიდვაში იქნება. შემდეგ კი უკვე ინგლისურად გამოვა. ძალიან მინდა, რომ ეს წიგნი ცხინვალსა და სოხუმშიც მოხვდეს. რუსმა მკითხველმაც უნდა წაიკითხოს და ნახოს, რა ხდება საქართველოში. აქ ბევრ, როგორც ჩვენს, ასევე მათ შეცდომაზეც არის ლაპარაკი. ყველა ერი, რომელსაც თავისზე პატარა ერთან მცირედიც შეეშლება, დამნაშავეა. როგორც რუსები არიან ჩვენ წინაშე დამნაშავეები, ასევე ვართ დამნაშავეები ოსებისა და აფხაზების წინაშე...

— ეი. წიგნი დღის სინათლეს ორ კვირაში იხილავს. პრეზენტაციაც იგეგმება?

— დიახ, პრეზენტაცია 15 სექტემბრისთვის იგეგმება. მანამდე წიგნის მთავარ მოქმედ პირებს, წიგნის თითო ეგზემპლართან ერთად, პრეზენტაციაზე მოსაწვევსაც გავუზღავნი. მოსვლა მათი გადასაწყვეტია.

— როგორ ფიქრობ, პრეზიდენტი მოვა?

— როგორც პრეზიდენტი, ასევე მსოფლიო ჩემპიონიც, მათსავე გასაპირებელ საღამოზე უნდა მოვიდნენ. ჩემზე ვინმეს ასეთი წიგნი რომ დაეწერა, სიხარულით მივიღოდი. პრეზიდენტმა ის კრიტიკა, რაც ამ წიგნშია, ღირსეულად უნდა აიტანოს!..

— ისლა დამრჩენია, დაველოდო შენს წიგნს და შეფასებები მერე გავაკეთო...



კეიტ მოსის ფოტოსურათებმა უკვე 300-ზე მეტი ჟურნალის პირველი გვერდი დაამშვენა. 30 წელს გადაცილებული მოდელის ფიგურა კვლავაც გამაოგნებლად მიმზიდველია. კეიტი პლანეტის ყველაზე გავლენიან ტოპმოდელად უკვე არაერთხელ აღიარეს. იგი ერთადერთი ქალია მოდის სამყაროში, რომლის პატივსაცემად ოქროს ქანდაკებაა შექმნილი.

მგრძობიარე იერი, დანისლული მზერა და საოცრად მაღალი, მოხდენილი ფეხები — უიზელ ბიუნდჰენის ბრანზილიური ფენომენი სხვაში არასდროს აგრევათ. მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადმა მოდელმა 150 მლნ დოლარი დააგროვა და გასართობი ინდუსტრიის სფეროში მომუშავე ყველაზე მდიდარ ქალთა რეიტინგში მეთექვსმეტე ადგილიც კი დაიკავა.

თანამედროვეობის ყველაზე სექსუალურ ტოპმოდელთა რეიტინგში კარლა კემპბელსაც ღირსეული ადგილი ერგო. კარიბის კუნძულების ულამაზესმა ქალმა მთელ მსოფლიოში აღიარება პოვა. მის კლიენტთა შორის ისეთი ცნობილი ფირმები არიან, როგორიცაა L'Oreal, Nike და Avon. მუქი კანის, ეფექტური გარეგნობის, შესანიშნავი ფიგურისა და დასამახსოვრებელი სახის



ნაკვეთების წყალობით, კარლა კემპბელი მამაკაცთა გულებისა და ქალთა გონების უბადლო მპყრობელია.

ამერიკელი კეროლინ მერფი მომხიბვლევლობით „მწველ“ მეტოქეებს არაფრით ჩამორჩება. კატისებური მწვანე თვალები და იდეალური, ჩალისფერი ტალღოვანი თმა მრავალ ქალში შურის, მამაკაცებში კი ალტაცების გრძნობას აღძრავს. Missoni, Versace, Tiffany & Co, Estee Lauder და სხვა ცნობილი კომპანიები კეროლინ მერფისთან შემთხვევით როდი თანამშრომლობენ.

არგენტინელ გოგონათა სილამაზე საყოველთაოდაა ცნობილი. ამის ნათელი მაგალითია ელენგანტური და საოცრად სექსუალური იამილა დიასი, რომელმაც მსოფლიოს ჟურნალები და საყოველთაოდ ცნობილი მარკები bebe, Ungaro და Replay დაიპყრო.

კიდევ ერთი საოცრად სექსუალური ქალი, რომელსაც გვერდს ვერაფრით ავუვლით, ჰოლივუდისა და fashion-ინდუსტრიის ვარსკვლავი კარმენ ელექტრაა. ამ მომხიბვლელი ქალის ყველა ნაბიჯი, იქნება ეს Playboy-ს ფოტოსესია თუ სერიალ „მალიბუს მამწვლებში“ ნათამაშები როლი, მუდამ ყურადღების ცენტრში ექცევა.

ნაომი კემპბელის გარეშე ეს სია არასრული იქნებოდა. ამ შავკანიან ლამაზმანში გარეგნობით დანყებული და ხასიათით დამთავრებული, ყველაფერი საოცარ სექსუალურობასა და ვნებაზე მიგვანიშნებს. ნაომი კემპბელი არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ მოდის მთელ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მოდელია.



ჯესიკა სიმპსონის განწყობილება მის ქვედა საცვალობა დამოკიდებული




29 წლის მომღერალი „აბსოლუტურად დარწმუნებულია“, რომ მისი ტრუსი და ბიუსტჰალტერი მთელი დღის განწყობილებას ქმნის. „რა თქმა უნდა, საცვლები მიყვარს. ან კი რომელ გოგონას არ უყვარს? ჩემი საცვლები ასახავს იმას, რასაც გამოვლიძების დროს ვგრძნობ. საცვალი მთელი დღის განწყობილებას განსაზღვრავს. ყოველდღე იმ საცვალს ვიცვამ, რასაც განწყობილება მიკარნახებს. საცვლები ყოველდღიური სამოსის განსაკუთრებული ნაწილია. სხვადასხვა ფერისა და სტილის შერჩევა მახალისებს. ის, რაც სამოსის ქვეშ მაცვია, თავად ტანსაცმლის შერჩევაში მეხმარება“, — ამბობს ქერათმიანი ლამაზმანი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარი დიზაინის მიხედვით შექმნილი ქალის ქვედა საცვლების ხაზი გამოუშვა.

ჰაიდი კლუმს ორსულობის გვერდითი მოვლენები ტანჯავს

ჰაიდი კლუმს ორსულობის მეტად უჩვეულო გვერდითი მოვლენებით იტანჯება — მას საკვები გამუდმებით ეკარგება... გერმანელი მოდელი გოგონას დაბადებას ელოდება. ეს ბავშვი ჰაიდისა და მისი მეუღლის სილის მეოთხე შვილი იქნება. ჰაიდი დარწმუნებულია, რომ ორსულობის გამო მოჭარბებული ჰორმონები მის მესხიერებას ბოროტად ეხუმრება — მას გამუდმებით ავიწყდება, თუ სად დადო ესა თუ ის ნივთი.

აღმოჩნდა, რომ მოდელს ძალიან უყვარს საუზმე, რომელსაც Cheetos ეწოდება. „ყველაფერი მაინწყდება და საკვები გამუდმებით ხელიდან მივარდება. მერე საკუთარ თავს ვკითხები: — ახლა რა მოხდა? — ნუთუ, კერძი მუხლებზე დამივარდა და ვერ შევნიშნე? — გამუდმებით Cheetos-ის ნამცეცებით დასვრილი დავდივარ და ნარინჯისფერი საუზმით მოთხუბნილ თითებს ვილოკავ“, — აცხადებს ის.



LADY GAGA — MTV VMA-ს 9 პრემიის პრეტენდენტი




ამერიკელმა Lady Gaga-მ წლის მთავარი აღმოჩენის სტატუსის გამყარების შესაძლებლობა მიიღო. 23 წლის მომღერალმა საკუთარი გავრცელებული MTV Video Music Awards-ის მომავალი ცერემონიის ერთბაშად 9 ნომინაციაზე, მათ შორის „საუკეთესო ახალი მსახიობის“ ნომინაციაზე წარდგენილი იხილა.

MTV VMA-ს ორგანიზატორთა ყურადღება Lady Gaga-ს ორმა კლიპმა მიიქცია. კლიპი Poker Face „საუკეთესო პოპვიდეოს“, „ქალის საუკეთესო ვიდეოსა“ და უბრალოდ, „წლის საუკეთესო ვიდეოს“ ნომინაციებზე წარდგენილი, ხოლო aparazzi „საუკეთესო რეჟისურის“, „საუკეთესო სპეცეფექტებისა“ და საუკეთესო დადგმის“ ნომინაციებში გამარჯვებისთვის იბრძვის. მკითხველს შეეხსენებთ, რომ ამ კლიპის რეჟისორი ცნობილი შვედი კლიპმეიკერი იონას აკერლუნდი ჯგუფებთან Metallica, U2 და Cardigans მუშაობდა.

ნომინაციაში „საუკეთესო კლიპი“ Poker Face-ს კონკურენციას გაუწევს ბეიონსის შინგლე ადიეს, ბრიტნი სპირსის Womanizer, ემინემის We Made You და კენი უესტის Love Lockdown. ბეიონსის, ბრიტნი სპირსისა და Lady Gaga-ს სამეული „საუკეთესო პოპროგოლის“ ტიტულის მოსაპოვებლადაც შეებრძოლება ერთმანეთს. როკვიდეოს კატეგორიაში წარდგენილია რგოლები: Coldplay (Viva La Vida), Fall Out Boy (I Don't Care), Green Day (21 Guns), Kings of Leon (Use Somebody) და Paramore (Decode).

საინტერესოა, რომ ნომინაციაში „მამაკაცის საუკეთესო ვიდეო“ მხოლოდ ჰიპ-ჰოპის წარმომადგენლები — Ne-Yo (Miss Independent), T.I.& რიანა (Live Your Life), ემინემი (We Made You), Jay-Z (D.O.A. (Death of Auto-Tune) და კენი უესტი (Love Lockdown) არიან წარმოდგენილნი. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი მომღერალი ავტომატურად „საუკეთესო ჰიპ-ჰოპ ვიდეოს“ ნომინაციაზეცაა წარდგენილი.

MTV Video Music Awards-ის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია 13 სექტემბერს ნიუ-იორკში გაიმართება.



ლეონარდო დი კაპრიო დიდ ბრიტანეთში გადასახლებას აპირებს

ამერიკელი მსახიობი ლეონარდო დი კაპრიო დიდ ბრიტანეთში სახლის შეძენას აპირებს. იგი ამჟამად ინგლისში ფილმის „დასაწყისი“ გადაღებებზე იმყოფება და თან შესაფერისი სახლ-კარის ძიებაშია. ლეონარდომ ლონდონის პაბში Punchbowl სტუმრობის დროს, რჩევისთვის მეგობარს — გაი რიქს მიმართა, რომელიც ზემოთ ხსენებული პაბის მუშაობს. პაბის ერთ-ერთმა სტუმარმა ყური მოჰკრა ლეონარდოს სიტყვებს: „მომწონს ინგლისი, აქ უამრავი მეგობარი მყავს და გადაღებების დროს ერთი სასტუმროდან მეორეში გადაბარგება ყელში ამომივიდა“. დი კაპრიო ებრაელ მოდელ ბარ რაფაელისთან დაშორების შემდეგ, სხვა ქალებს აქტიურად ხვდება. მათ შორის კამერონ დიასს და ჯგუფის Pussycat Dolls წევრ ეშლი რობერტსს.

ახალგაზრდობას სამუდამოდ ვერავინ ინარჩუნებს და ასაკის მატებასთან ერთად, ფორმის შენარჩუნება სულ უფრო და უფრო ჭირს... მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავები ისტიბარს არ იტყვენ და კოლოსალურ ენერჯიას ხარჯავენ იმისათვის, რომ თავყანისმცემელთა გული და თვალი რაც შეიძლება, დიდხანს გაახარონ. ძნელი წარმოსადგენი როდია, რომ ჰოლივუდის წვეულებებზე ნახევარი საუკუნის შემდგომაც იგივე სახეები ვიხილოთ, იმ განსხვავებით, რომ დრო მათაც კი დაღს დაასვამს...





სოპრებს

რამდენიმე დღის წინ იაშვილის სახელობის კლინიკიდან დამირეკეს და მოსოვეს, ინტერვიუ ჩამეწერა 8 წლის ბიჭუნასთან, რომელიც ლეიკემიითაა დაავადებული. სიმართლე გითხრათ, კარგა ხანს ვყოყმანობდი, მინდოდა, საავადმყოფოში წასვლა თავიდან ამერიდებინა (ალბათ დამეთანხმებით, რომ პატარა ავადმყოფების მონახულება სულაც არაა ადვილი საქმე), მაგრამ საბოლოოდ, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგი...

ლიკა ქავაია

იაშვილის კლინიკაში მისულს, რამდენიმე პატარა ბიჭუნა შემომეგება. ისინი უნარშეზღუდულთა სავარძელს აქეთ-იქით დაატარებდნენ, მაგრამ როგორც კი შემინუნეს, მოძრაობა შეწყვიტეს და ინტერესით შემათვალიერეს. ბიჭუნების უმეტესობას თავზე თმა არ ჰქონდა, ზოგს კი აქა-იქლა შემორჩენოდა თუ ამოსვლოდა რამდენიმე შავი ბუნევი და ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ პატარები ქიმიოთერაპიის კურსს გადიან. მინდოდა, მათთვის რაიმე მეტეჯა, დამეყვავებინა, მივფერებოდი, მაგრამ თითქოს, ყელში ბურთი გამეჩხირა და მათკენ განვდილი ხელიც პაურში გამიშეშდა. შევეცადე, ცრემლები შემეკავებინა, თავჩაღუნულმა პატარებს გვერდით ჩავუარე და ვილაც მამაკაცის დახმარებით გზა გავიკვლიე. მან მიმიყვანა თეთრხალათიანი ქალბატონთან, რომელსაც იმ ბიჭუნას სახელი ვუთხარი, ვისი მონახულებაც მსურდა. ქალბატონმა ხელი იქვე მდებარე პალატისკენ გაიშვირა, ამასობაში კი ოთახიდან ბატონი გელა, ქალბატონი მარეხი, 8 წლის ლუკა ჭანჭურაძის მშობლებიც გამოვიდნენ და მომესალმნენ.

პალატაში შესულს, რატომღაც, უხერხულობის შეგრძნება დამეუფლა. იქ მხოლოდ ერთი პატარა შევნიშნე — ორწლიანხევრის გიორგი საწოლზე იჯდა, დედას ებლაუჭებოდა, წინდის ჩაცმას აპროტესტებდა და თან, მისთვის უცხო ადამიანს, გაფართოებული თვალებით მიყურებდა. ძალიან მომიწონდა, მივსულიყავი და ამ ჯუჯულუნა, მა-

ლიკა — დაავადება, რომელიც 8 წლის ლუკას თამაშსა და ჭამას უკრძალავს

„ქიმიოთერაპიის შედეგ, პატარები გმობლავს ლამის ხორცს აგლახან...“

გრამ ძალიან საყვარელ ბიჭუნას ჩავხუტებოდი, მისთვის საღებო რეზინი მაინც შემეთავაზებინა, მაგრამ ადვილზე გავიყინე, მისკენ ფეხიც ვერ გადავდგი — პატარას თვალებში ისეთი სევდა და ტკივილი ამოვიკითხე, ყელში ბურთი უკვე მეორედ გამეჩხირა. სიამოვნებით ავღრიალებოდი, მაგრამ...

პალატაში ცისფერთვალა, გემრიელად ჩაუტკუნებული ლუკა შემოვიდა. ხელში მობილური ტელეფონის დამტენს აწვალბდა. მომესალმა, საწოლზე ჩამოჯდა და პალატაში მყოფები, მათ შორის, მამამისიც გააფრთხილა: ჩუმად იყავით, ამ გოგოს ხელი არ შეუშალოთ, დედაჩემს უნდა დაეღაპარაკოსო.

ალბათონი ვარაზი:

— ლუკა 6 წლამდე ძალიან ჯანმრთელი ბავშვი იყო და ვერც კი წარმოვიდგენდით, ჩვენს თავს ასეთი რამ თუ მოხდებოდა. მე და ჩემი მეუღლე ძალიან ბედნიერი წყავით და წელზე ფეხს ვიდგამდით, რათა შეილებნითვის არაფერი მოგვეყოლო, მაგრამ თურმე, ეს ბედნიერება ხანმოკლე ყოფილა — ლუკას დაავადებამ სიცოცხლის წლები გაგვინახევრა. სხვათა შორის, ვიდრე ლეიკემია აღმოაჩნდებოდა, ონკოლოგიურში, სულ სხვა დიაგნოზით უმკურნალეს.

— რას გულისხმობთ?

— ქვედა ყბის კეთილთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა, რომლის პროცესი სხივური თერაპიის შედეგად შეაჩერეს, მაგრამ ამის შემდეგ, დაახლოებით, 2-3 თვეში ლეიკემიის ნიშნებიც აღმოაჩნდა... იაშვილის სახელობის საავადმყოფოში ლუკა პირველად 2008 წლის თებერვალში, გამოსავლევად მოვიყვანეთ. ანალიზების ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ მას ლეიკემიის მძიმე ფორმა ჰქონდა.



ლუკა ორწლიანხევრის გიორგისთან ერთად

დაუნყეს მკურნალობა, ჩაუტარეს 5 კურსი. აგვისტოს თვეში, თითქმის გამოჯანმრთელებული ბავშვი ჩავგაბარეს და სახლში გაგვიშვეს, ოღონდ, იმ პირობით, თუ ლუკას ჩაუტარებოდა დაცვითი თერაპია ანუ — ბავშვი სოფლიდან კონტროლზე, ყოველ 28-ე დღეს უნდა ჩამოგვეყვანა. ამ პერიოდში ვასმევდით ქიმიოთერაპიულ წამალს. გვეგონა, რომ დაავადება დაგამარცხეთ და ყველაფერი კარგად იყო, დაახლოებით, 10 თვის შემდეგ მოხდა რეციდივი ანუ ლეიკემია ისევ განმეორდა და ახლა ლუკას ხელმეორედ უტარდება მკურნალობის 5 კურსი, ისევ ქიმიოთერაპია დასჭირდა.

— ეჭმები რას ამბობენ, ლუკას სრულიად გამოჯანმრთელების შანსი თუ არის?

— ექიმები გვაიმედებენ, რომ ქიმიოთერაპიის კურსის დასრულების შემდეგ, ყველაფერი კარგად იქნება. ლუკა უნდა წავიყვანოთ იტალიაში, ხერხემლის ძვლის ტვინის გადასაწერად. საერთოდ, ლეიკემია ისეთი დაავადებაა, რომელსაც რეციდივი ანუ განმეორება ახასიათებს, მაგრამ ამ გადასწერის შემდეგ ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელდება. უბრალოდ, მოგეხსენებათ, ხერხემლის ძვლის ტვინის გადასწერვა, ცოტა არ იყოს, რთული პროცესია. გვეჯერა, უფალი არ გაგვწირავს და მალე ჩემს შვილს ისევ ისეთ ლალს ვიხილავ, როგორც 6 წლამდე იყო.

იტალიაში წასვლის ხარჯები თავად უნდა დაფარო?

— არა, დაფინანსებას ველოდებით.

ვინ უნდა დაგაფინანსო?

— როგორც გვითხრეს, მსგავს რაღაცებს ბადრი პატარკაციშვილის ფონდი აფინანსებს. ლუკას და სხვა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობის ხარჯებსაც ეს ფონდი იღებს საკუთარ თავზე და დიდი მადლობა ამისთვის... დაცვითი თერაპიისას ლუკას ვასმევდით წამალს, რომელიც ძალიან ძვირი — 25 აბი 125 ევრო ღირს (სულ 7 ფირფიტა დასჭირდა) და თანაც, ეს პრეპარატი აქ არც იშოვება, საზღვარგარეთიდან ჩამოვატანინეთ ახლობელს. ვიცით, ეს წამალი ისევ დასჭირდება, მაგრამ სამწუხაროდ, მისი შექენის საშუალება ჩვენს ოჯახს აღარ აქვს და არ ვიცი, რა გვეშეველება.

თქვენი შემოსავალი თვეში რამდენს შეადგენს?

— ჩვენ სოფელში ვცხოვრობთ და იმდენი შემოსავალი გვაქვს, რამდენიც თითოეულ პატიოსან გლეხს შეიძლება ჰქონდეს. მე პედაგოგი გახლავართ, ჩემი ქმარი — უმუშევარია. ვმრომობთ ძალიან ბევრს, რათა შვილები გამოვკვებოთ.

როგორც მითხრეს, ლუკას სისხლსაც სწორად უსამენ. ამის შესახებ რატომ არაფერს მეუბნებით, დონორები უკვე გამოიჩინდნენ?

— სისხლს ყოველი ქიმიოთერაპიის შემდეგ უსამენ. საბედნიეროდ, დონორები გამოიჩინდნენ და ამაში „რუსთავი2“ და „იმედი“ დაგვეხმარა. ამ არსებზე გამოაცხადეს თუ არა, რომ ლუკას სისხლი სჭირდებოდა, ძალიან ბევრი ადამიანი გამოგვეხმარა. უცხოებმა ჩემი შვილის გამო სისხლი გაიღეს და ამისთვის მათი უზომოდ მაღლიერი ვარ.

ვიდრე ქალბატონ მარესს ვესაუბრებოდი, ლუკა ადგილს ვერ პოულობდა, წრიალებდა... მას ვთხოვე, „გზის“ მკითხველისთვის თავი გეცნო.

— მე ლუკა ვარ. ძალიან მინდა, სოფელში წამიყვანონ, მაგრამ მშობლებს არ მიყვარა.

ე. მშობლები გაბრაზებენ?

— ჰო, გაბრაზებენ. და კიდევ, ჩემთვის იმას არ ყიდულობენ, რაც მინდა.

ძალბატონი მარანი:

— რა ვქნათ, კვადროციკლისა და კომპიუტერის ყიდვას გვთხოვს, ჩვენ კი ამის საშუალება ნამდვილად არ გვაქვს.

ლუკა, სოფელში რას აკეთებ ხოლმე?

— ვერთობი, ვთამაშობ.

ვისთან ერთად თამაშობ?

— ჩემს ძმასთან ერთად. ის 11 წლისაა და ზოგჯერ, ვიზუბობთ კიდევ. ძალიან მამბრაზებს. ძირითადად, სათამაშოებს ვერ ვიყოფთ და ამის გამო მეც მიწევს მისი გაბრაზება.

ყველაზე მეტად რისი თამაში გიყვარს?

— „დამალობისი“.

რა სათამაშო გინდა, რომ გქონდეს?

— სახლი მინდა, ჩემი სახლი!

სახლი ხომ გაქვს?

— ჰო და იქ მინდა წასვლა, საავადმყოფოში ცხოვრება არ მომწონს!.. კიდევ, ძალიან მინდა, კომპიუტერი მქონდეს და ვითამაშო.

სახლში ექიმები არ გიშვებენ, არა?

— ჰო, ანალიზები უნდა ამიღონ და... არ მიყვარს ექიმები, ნემსებს მიკეთებენ.

ძალბატონი მარანი:

— ჰო, მაგრამ ექიმები რომ არ იყვნენ, ისევ ცუდად იქნებოდი...

— (ანწყვეტინებს) მე რა, ნემსები მაინც არ მინდა! ექიმები კარგები არიან, მაგრამ როცა ნემსს მიკეთებენ, ცუდები ხდებიან. მჩხვლეტენ, მტკუნენ...

სკოლაში კარგად სწავლობ თუ ზარმაცი ხარ?

— არა, კარგად ვსწავლობ...

ლუკა, შენს საუკეთესო მეგობარს რა ჰქვია?

— დათო, მარიამი, გიორგი, ირაკლი, ლიკა... ყველა ძალიან მენატრება და მინდა, თითოეული მათგანი მალე ენახო...



ექიმები კარგები არიან, მაგრამ როცა ნემსს მიკეთებენ, ცუდები ხდებიან. მჩხვლეტენ, მტკუნენ...

ძალბატონი მარანი:

— ლუკას პირველ კლასში თითქმის არ უფლია, საავადმყოფოში მოგვინა წოლამ. ის ვერ აცნობიერებს, რა სჭირს, მაგრამ რაღაცებს მაინც ვერ ეგუება, საავადმყოფოში ყოფნას აპროტესტებს.

სავადმყოფოში ყოფნის გარდა, კიდევ რას ვერ ეგუება?

— საერთოდ, თავშეკავებული ბავშვია, მაგრამ სწორად, დიეტაზე ყოფნა უნევეს და საჭმელს იპარავს. მისთვის ცხარე, მყავე, ზედმეტად ცხიმიანი საკვები არ შეიძლება და როცა რაღაცის ჭამას ვუკრძალავთ, ცდილობს, საჭმელი აგვანაწონს და მალულად მიირთვას.

ლუკა, რას იპარავ ხოლმე?

— გოჭის ხორცს. ხანდახან, შოკოლადსაც ვიპარავ. აბა, რა ვქნა, მინდა და...

ძალბატონი მარანი:

— ლუკას ბევრი რამ ეკრძალება. მისთვის სირბილი, გადაღლა არ შეიძლება. ბურთი არ უნდა მოხვდეს, არ უნდა ნაიქცეს. ამ დაავადებას ისედაც, დალილობის შეგრძნება, სისუსტე ახასიათებს... სხვები საცურაოდ რომ მიდიან, ეს იძულებულია, სახლში დარჩეს. ლუკასთვის მზეზე დგომაც აკრძალულია. მოკლედ, ავადმყოფობის გამო, მეგობრებთან ისე კარგად ვერ ერთობა, როგორც უნდა და ალბათ, წარმოგიდგენიათ, როცა ამას ვუყურებ, თავს როგორ ვგრძნობ.

ბატონი ბილა:

— ლუკა ჭკვიანი, კარგი ბიჭია, ამხანაგები ძალიან უყვარს. აქ ბავშვები აგრესიულები არიან — მათზე ქიმია უარყოფითად მოქმედებს და ლუკაც გვაბრაზებს ხოლმე, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, დედას არ კბენს და ცდილობს, აგრესიისგან თავი შეიკავოს. ქიმიოთერაპიის შემდეგ, პატარები მშობლებს ლამის ხორცს აგლეჯენ, ყვირიან... საშინელებაა ეს ყველაფერი.

P.S. თუ ლუკას ოჯახთან დაკავშირების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(58) 25.60.81. წინასწარ გიხდით მადლობას.



აქ ბავშვები აგრესიულები არიან — მათზე ქიმია უარყოფითად მოქმედებს და ლუკაც გვაბრაზებს ხოლმე

ბრძოლა საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის

მარინა ბაბუნაშვილი

ამაპვი პირველი

ბოლო წვითი

ამონარიდი წერილიდან: „23 წლის ვიყავი, ბესოს რომ გავეყვი ცოლად. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ისეთი ბედნიერი ვიყავი, მეგონა, მის გვერდით არაფერი გამიჭირდებოდა. ახლაც მიკვირს, ნუთუ შეიძლება კაცი ასე შეიცვალოს დაოჯახების შემდეგ? მისი მოვალეობა ოჯახისადმი იმით გამოიხატებოდა, რომ სამსახურში მიდიოდა და თვეში ერთხელ ხელფასი მოჰქონდა (ისიც, ნახევარი). თითქმის ყოველ მეორე დღეს მეგობრებთან დროს ატარებდა“.

ბევრჯერ სთხოვა ნატომ, ზოგჯერ მეც წამოგყვები, ჩვენ ხომ საერთო მეგობრები გვყავსო, რაზეც ბესო ყოველთვის უარს ეუბნებოდა. უკვირდა კიდეც, რა უნდოდა ცოლს ლინის სუფრასთან?! ბესოს მიაჩნდა, რომ გათხოვების შემდეგ ქალს ოჯახისთვის უნდა მიეხედა, სახლი დაელაგებინა, საქმელი გაეკეთებინა და შვილები გაეზარდა... ჯერ ბიჭი გაუჩნდათ, მერე გოგონა.

ამონარიდი წერილიდან:

„ბავშვებზე ზრუნვამ ბესო დროებით დამავინწყა, მაგრამ როცა ისინი წამოიზარდნენ და სკოლაში წავიდნენ, მივხვდი, ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. მათემატიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ჩემი უახლოესი მეგობარი ბანკში მუშაობდა. ვთხოვე, იქნება, რაიმე საქმე გამომიძებნო-მეთქი. მირჩია, საბუღალტრო კურსები დამემთავრებინა და დამპირდა, რაიმეს მოგიხერხებო“.

მართლაც, საბუღალტრო კურსების დასრულების შემდეგ ბანკში დაიწყო მუშაობა. ბესომ ამ სიახლის შესახებ დედამისისგან შეიტყო. შეაქო კიდეც, ცოლი, ყოჩაღი გოგო ხარო. არ გასულა დიდი დრო, რომ ბესოს სამსახურში შემცირებები დაიწყო და იგი უსამსახუროდ დარჩა. არ უდარდია, ყველგან ამას ამბობდა (ნატოს გასაგონადაც): აქამდე მე ვარჩენდი (!) ოჯახს, ახლა ნატოს ჯერიაო. შვილები, ძირითადად, მის მშობლებთან

ხშირად გამოგონია, რომელიმე განქორწინებულ წყვილზე, არაფრისთვის დაანგრის ოჯახიო. ზოგს შეუძლია „გადახარშოს“ ყოველდღიურობაში გამოვლენილი უარყოფითი მოვლენები, ზოგს — არა. პოდა. ვისაც არ შეუძლია „მშვიდად ყოფნა“, იმ ყბადღებულ „არაფრის“ გამო ანგრევს ოჯახს. მათ შორის გახლავთ ჩემი რესპონდენტი ნატოც, რომლის ამბავი გამოვაქვეყნე კიდეც „არაფრისთვის გაჩენილი ბზარი“, „კვირის პალიტრა“, 2006 წლის 18 დეკემბერი).

იყვნენ, სკოლაც იქვე, ბებია-ბაბუის სახლთან მდებარეობდა. ბესო კი მთელი დღე, ნატოს შინ დაბრუნებამდე, მეგობრებთან ერთად ერთობოდა, ხან პოკერს თამაშობდნენ, ხან ლუდსა და თევზს მიირთმევდნენ. სახლი არეულ-დარეული ხვდებოდა ქალს, სწყინდა, ნერვებიც ეშლებოდა, მაგრამ ისეთი

ამაპვი მეორე განხილბოული ცოლი

სამი წლის განმავლობაში სულ ორჯერ იყო ბესო ნატოსთან, შერიგება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ქალს აღარ სურდა წარსულში დაბრუნება; რაც მთავარია, სიყვარული გამქრალიყო.

ბესომ გულდანყვეტილი და შეყვარებული ქმრის როლი კარგა ხანს ითამაშა. იყო პერიოდი, როცა ნატოს სითბო ჩაეღვრებოდა გულში. ასენდებოდა შეყვარებულობის პერიოდი, მხოლოდ ეგ აგონდებოდა ლამაზად შერიგებაზე ფიქრი მაინც უჭირდა. მერე უცებ ხმა გავარდა, ბესომ ცოლი შეირთო. ნატოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ ბესომ ნინო შეირთო. ეს ის ნინო გახლდათ, რომელზედაც არცთუ უსაფუძვლოდ იეჭვიანა ნატომ. ბესო საკუთარი საქციელის გასამართლებლად,



დაღლილი ბრუნდებოდა სახლში, რომ საყვედურებისა და კამათის თავიც აღარ ჰქონდა. რაც დრო გადიოდა, ხვდებოდა, რომ ბესოსთან ცხოვრება აღარ შეეძლო. ერთხელაც, ქუჩაში შემთხვევით შეხვდა კლასელი ნინო. იგი სკოლაში ქარაფშუტა გოგო იყო, ამიტომ თანაკლასელები არ სწყალობდნენ; თუმცა, ნატოს აღარც გახსენებია მასთან ადრინდელი დამოკიდებულება, თბილად შეხვდა და შინაც მიიწვია. ნინოს სტუმრობა საბაბი გახდა ცოლ-ქმრის დაშორების. ნინო არ გამოცვლილიყო, უცებ გაუშინაურდა თანაკლასელის აქამდე უცნობ ქმარს, მასთან იცეკვა... ერთი სიტყვით, ძალიან კარგი დრო გაატარა. ნატო კი ძალიან გაღიზიანდა ქმრის ამჩატებით.

წლების განმავლობაში იცნებოდა მოთმინების ფიალა, მერე ნინო გამოჩნდა და... ნატო მშობლებთან გადაბარგდა და ბესოს ოფიციალურად გაშორდა.

ყველასთან ამბობდა: ჩემმა ყოფილი ცოლმა იმდენი იეჭვიანა ნინოზე, მაიტულა, სერიოზულად შემიხედა ამ ქალისთვისო. ნატოს თავისი სიყვარული დიდი ხნის წინ გამოველოვა. ამიტომაც არ უდარდია. დღეს იგი წარმატებული ქალია. საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს ერთ-ერთ სოლიდურ ბანკში.

ნატო: მე რომ ბესოს ცოლი ვყოფილიყავი, დღეს ასეთი კარიერა არ მექნებოდა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ქალებს მოვუწოდებდე კარიერის გამო ოჯახს ზურგი შეაქციონ. ქმრისთვის რომ მეცქირა, შვილები მშვიერი დამრჩებოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვა მათ სწავლასა და განათლებაზე. იგი საოცრად უგერგილო და ზედაპირული ადამიანი გახლდათ. საშინლად იმედგაცრუებული და განხილბოული დავრჩი და ამიტომაც, ბრძოლა დავიწყე არსებობისთვის და საზოგადოებაში ჩემი ადგილის დამკვიდრებისთვის.

დასა მარნი და დასა მარნი

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-34

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა მარი! ამ წერილს დასაბუქდად ნამდვილად არ გიგზავნი. წლებია, რაც გზავნილებს ვკითხულობ და ბევრჯერ გამჩენია მონერის სურვილი, მაგრამ რატომღაც ვერ მოვახერხე. ამჯერად გწერ იმიტომ, რომ ერთი ფაქტი არ მომწონს. შენ მართლა ძალიან ჭკვიანი ჟურნალისტი ხარ და დიდ პატივს გცემ, ამიტომ ცუდად არ მიიღო რასაც გეტყვი. რატომღაც არ მომწონს შენი ახალი რუბრიკა „ორნი“ მგონი ასე ქვია, სადაც ინტერნეტით გაცნობილი წვეილის ურთიერთობის განვითარებას ვცნობით ყოველ კვირას და რატომ? ეს მგონი უკვე მეორე წვეილის ამბავია. ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი მაინცაა დაოჯახებული. მეც მყავს ოჯახი და ნამდვილად არ მინდა ჩემს, ან ვინმეს მეუღლეს ამის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდეს იმის სურვილი, რომ სამსახურში, თუნდაც დროის გაყვანის მიზნით, დარეგისტრირდეს ესეთ საიტზე. ხომ იცი, ესე იწყება ყველაფერი და რა მოჰყვება არავინ იცის. უბრალოდ, ვერ ვხვდები რა საჭიროა ესეთი ამბების მოყოლა, თან ესე დაწვრილებით გადმოცემული ორი ადამიანის ამჩატება? მგონი ჯობს ჟურნალის სხვა რამით შევსება. ამიტომ ჩემი თხოვნაა, იქნებ აღარ ღირს კიდევ ერთი წვეილის ინტერნეტ-სასიყვარულო ურთიერთობის გამოშუქება?! ისე, ხომ იცი კაცები როგორი მოლაპატევი არიან და რა საჭიროა გაიგონ ლალატის კიდევ ერთი ხერხი?! ნუ, შენი საქმის შენ იცი, უბრალოდ ჩემი აზრი გამოვხატე) მაღლობა თუ საერთოდ წაიკითხავ:

მერაბი: შევდივარ შენს მდგომარეობაში

ანა: რას ვიზამთ... შენც ხომ ბევრი შრომა გინევს...

მერაბი: მე კაცი ვარ, შენ — ქალი.

ანა: ჰო, მაგრამ უკაცო ქალი და შესაბამისად, შრომაც მთელი დატვირთვით მიწევს.

მერაბი: ამ ეტაპზე ჰო, მაგრამ მალე — კაციანი.

ანა: ეგ არაფერს შეცვლის, გარდა იმისა, რომ სექსი მექნება... საფიქრალი მომემატება... ვილაც კიდევ დაემატება იმ ადამიანებს, ვინც მენატრება ხოლმე... არ გეგონოს, ვწუწუნებ...

ანა: პრინციპში, ახლაც უკვე მგონი, კაციანი...

მერაბი: რა არის, ნანობ?

ანა: არა, არანაირად... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... პირიქით, მიხარია. უჩვეულოდ ვგრძნობ თავს... თითქოს ვილაცის წინაშე ვალდებულებას ვგრძნობ... რამეს რომ ვაკეთებ, ვფიქრობ, მოგეწონება თუ არა, რასაც ვაკეთებ... რაღაც, სხვანაირი გრძნობა მაქვს... აქამდე თუ ყველას ვეფლირტავებოდი, ახლა უკვე ყველას დავახვევინე და სურვილიც აღარ მაქვს, რომ თუნდაც კომპლიმენტი მივიღო მათგან... საიტის კაცებზე აღარაფერს ვამბობ...

მერაბი: ეგ ყველაფერი მე მოვახდინე შენში?

ანა: ჰო, შენ... აბა, სხვას რომ მოეხდინა, სხვას შევხვდებოდი და არა — შენ... შენს ძალას ვგრძნობ, მერაბ და შენი ხასიათიც, ასე თუ ისე, შევიცანი... ვიცი, რა მოგეწონება, რა — არა... რა გაგიხარდება და რა გეწყინება. ძალიან ერთგულება ვიცი... არაა ალბათ კარგი თვისება, არავინ აფასებს მაგას, მაგრამ... ასეთი ვარ და აწი ვეღარ გადავკეთებ...

მერაბი: ასეთი რომ ხარ, იმიტომ ვურთიერთობ შენთან.

ანა: და შენ ამას მიხვდი, რო? ან როგორ მიხვდი?

მერაბი: მე წავიკითხე შენი გული, ნაზად და ფრთხილად.

ანა: და რაო, ჩემმა გულმა, რა გითხრა, რა მინდაო?

მერაბი: ეგ კომპიუტერით არ გადმოიცემა. როცა შევხვდებით, მაშინ იყოს.

ანა: და მაინც, ვინ ხარ ასეთი, რომ ასე მოქმედებ ჩემზე? რა ძალას ფლობ? თუ მე ამოგიჩემე, ნეტავ?

მერაბი: ალბათ განგებას უნდოდა, რომ გაგვეცნო ერთმანეთი. ხდება ასეთი გაუთვალისწინებელი სიტუაციები.

ანა: მე ალბათ ნერვიულობით

მოვკვდები... შენ თუ ილევებ ნეტავ, პირველად რომ შევხვდებით?

მერაბი: რა თქმა უნდა, აბა, რკინის ხომ არ ვარ, რომ არ ვინერვიულო?

მერაბი: აუ, როგორ მომშივდა იცი? გამოვიარო? ნამოსვალ ჩემთან ერთად? არ გმია? როდის იქნება, რომ დაგირეკავ და ასე გეტყვი...

ანა: როცა თბილისში გადმოხვალ სამუშაოდ, მაშინ... მაშინ იქნება... მანდ რომ ვიქნები, მაშინ ყურში ჩამჩურჩულე, რომ მოგშივდა და დროა, ავდგეთ, ჩავიცვათ და სადმე ვჭამოთ... :)))

მერაბი: აუ, რა ხარ?! მე „დამიბგონე“ გრძნობებში, არა? უკვე ჩართული ხარ შიგნიდან და წარმოიდგინე, როგორ გეტყვოდი და როგორი სიტუაცია იქნებოდა. მე კიდევ, ვერ გავდივარ აქედან და რამდენ ხანს ვიქნებით აქ, არ ვიცი. ტელევიზორს უყურე? რას აპირებდა თურმე ეს ოპოზიცია? ჩვენ მთელი „სასტავი“ ადგილზე ვართ.

ანა: ერთი სული მაქვს, როდის გნახავ, ჰოდა... რა მინდა გკითხო, იცი? შენ პირველივე ნახვისას აპირებ, რომ შენთან დამტკოვ?

მერაბი: აბა, გაეღებებს დაველოდო თუ ჭექა-ქუხილს? ნახვისთანავე, შენ თუ თანახმა იქნები.

ანა: ახლა რისხვა დამატყდება თავზე... ვგრძნობ.

ანა: მე ახლაც თანახმა ვარ... აბა, რომ გითხრა, მანდ ჩამოვალ, მერე უკან ისე დავბრუნდები, შენთან არაფერი მექნება და მეორე ჩამოსვლაზე მოვიფიქრებ, ჰო თუ არა-მეთქი, ხომ გადაირევი? ან მანდ ჩამოსულს ისე გამომიშვებ? არა მგონია, რაღაც...

მერაბი: რას გრძნობ? როგორ მოგხვევ ხელს და გულისცემა რომ მოგემატება? მგონი დაიბნევი და ხმას ვერ ამოიღებ. შენ აქ ხარ მაგარი, თორემ როცა მნახავ, მორიდებული გახდები, დაიბნევი, მაგრამ მაგას მე გადაგალახვინებ. ერთს რომ გაკოცებ, უცებ გამოინაურდები.

ანა: ჰო, მაგას ვგრძნობ... და გონებაში რამდენჯერ წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრიდან დამშვიდობებამდე პერიოდი, ვინ იცის... მომერიდება კი არა, სირცხვილით მოვკვდები, განსაკუთრებით მაშინ, ის რომ გამახსენდება, რას გწერ ხოლმე აქ... შენზე კი მართლა ბევრი რამე იქნება დამოკიდებული...

მერაბი: მეც აქ ვარ მაგარი, თორემ მართლა ასეთი კი არ ვარ. ასეთ სიტუაციაში პირველად ვარ, ისიც შენთან მარგუნა ბემა. ვერასდროს წარმოვიდგინე ამას. ფაქტობრივად ყველა დეტალი გადაწყვეტილია. აწი შეხვედრაა დარჩენილი და ვნახოთ, ჩვენი ვაჟკაცობა.

ანა: რა სიტუაციაში ხარ პირველად, არ გადამრიო... ქალებს არ ხვდები? უფრო სწორად, არ ხვდებოდი?

მერაბი: ქალებში კი ვყოფილვარ,

უბრალოდ, ასეთ სიტუაციაში-მეთქი.

ანა: ეჰ, ისე არ დაგვემართოს, პატარძალმა რომ უთხრა ქორნილის ღამეს მორცხვ სიძეს, ვინმე მადლიანი მაინც ჩამოვივლიდეს და ორივეს გაგვიმავდესო... რომ არავინ ჩამოიაროს, ხომ დავიღუპებით? :))))

მერაბი: ჩამოვლა არ დამჭირდება და არც თქმა დაგჭირდება, ნუ გეშინია.

ანა: კარგია, თუ მესამეს დახმარება არ დაგჭირდება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება...

ანა: წავედი სიხარულო... სამსახურში იმედვივარ... დღეს აქ აღარ ვიქნები და ფრთები არ გაშალო, დაიბრინდები... თუ მოგენატრები, „შენი ნომერი“ ჩართულია და დამირეკე... მე ვერ დავრეკავ, არ ვიცი, სახლში როდის ხარ... გამახარებ, თუ შენს ხმას გამაგონებ... ბევრს გკოცნი.

მერაბი: რატომ შენუხდი? გმადლობთ. მე კიდევ აქ ვარ, სამსახურში.

6 მაისი, 21:34

ანა: დღეს არ ვართ, ოპერჯგუფში? მოდი, რაააა...

მერაბი: სად დამეკარგე, რა არის?

ანა: უი, დღეს იმდენი საქმე გავაკეთე... მთელი დღე გარეთ ვარ.

ანა: მომენატრე, იცი? ვიცი, რომ შენც მოგენატრე...

მერაბი: მოზილურის ჩართვა არ შეგეძლო? ეი. შეგძლება უჩემოდ გაძლება. მე კიდევ მჯეროდა, რომ რალაც გრძნობა გაგაჩნდა.

ანა: მაგას ნუ ამბობ... მქონდა ჩართული, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაერთე... ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდი აქ, რომ დაგლაპარაკებოდი... მთელი დღე თავიდან არ ამომსვლია შენზე ფიქრი... შემოგველეეე...

მერაბი: იმიტომ გამოხატე? ხომ იცოდი, დღეს მორიგე ვიყავი და შენს განკარგულებაში ვიყავი, მაგრამ შენ რალაცას მიმალავ, ასე რო რთავ და თიშავ ტელეფონს. მითხარი, გაგიგებ.

7 მაისი, 17:34

მერაბი: ჩემი ბაჭია დამეკარგა დღეს. „ეტო ოჩენ პლოხო“. ხანდახან სიგიჟემდე მომინდება შენთან საუბარი. შენ ჩემი მეორე სამსახური ხარ. ალბათ იმისი ბრალია, რომ არ მინახავხარ და როცა გნახავ, მერე საერთოდ პირველ სამსახურად არ გადაამეცე, მეშინია.

მერაბი: სად ხარ? მაღადეც, არც მოზილურს რთავ, არც მეზიანები. რა ხდება?

ანა: არაფერს არ ვმალავ, სულ არაფერს... შენს თავს ვფიცავ. მორიგე რომ ხარ, იმიტომ მოვედი ოფისში. სახლში ინტერნეტი გამორთული დამხვდა და სასწრაფოდ აქეთ წამოვედი... რომ არ მინდოდა შენთან ლაპარაკი, დავრჩებოდი სახლში და დავისვენებ-

დი. დღეს დილით ჯერ მანქანის ნაწილზე ვიყავი, ელიავაზე. ძლივს ვიყიდე, მერე ხელოსანთან. გავაკეთე, მერე ხელფასი ვნახე ბანკში და აღმოჩნდა, რომ ბევრი დამაკლეს. იმას დავდევი, ბანკსა და სამსახურში. ღამის გადავირიე... ბანკში 8 საათამდე არც ისინი გაუშვი და არც მე წამოვედი. ხვალ ისევ უნდა მივიდე, დილიდან. ვერაფერი გაიგეს, სად წავიდა ეს ფული. მერე სახლში მივედი, ვიბანავე და აქეთ წამოვედი, რომ შენთან ვიყო...

მერაბი: ტელეფონებს რატომ თიშავ? რაიმე პრობლემა გაქვს? ან მეორე ნომერს რატომ არ მაძლევ? კარგი, დღეს ჩხუბი არ მინდა. როცა შეგხვდები, მაგ ჩემს წვალებას არ გაპატიებ.

ანა: პრობლემა ისაა, რომ სახლში როცა ვარ, უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდები, რომ დარეკო... ასეა, ჩემო სიყვარულო, ვერ ვართ ევროპული ოჯახი...

მერაბი: რა გადაწყვიტე, როდის მოდიხარ? შეიძლება მე ჩამოგასწრო ჩამოსვლა. დღეს სად იქნები?

ანა: შენ თუ იქნები ჩემთან ერთად, სადაც გინდა, იქ დავრჩები...

მერაბი: არ ვიცი, ახლა თათბირზე შევედივართ. ყველა გამოიძახეს. თუ ჩამოვედით მანდ, ხვალ გნახავ.

ანა: გამაგებინებ? დარეკავ?

მერაბი: თუ წამოვედი, დაგირეკავ, აბა რას ვიზამ?!

ანა: არა, თათბირიდან რომ გამოხვალ, გამაგებინე... თუ აქ აღარ შემოსვალ, სახლში წავალ.

მერაბი: კარგი, წადი მაშინ, როდის გამოვალ, არ ვიცი. ხვალ შეგხვმიანები, სიხარულო.

ანა: დაგელოდები... რალაცას გავაკეთებ... ცოტას წავიმუშავებ...

მერაბი: შენ დალლილი თუ ხარ, წადი, დაისვენე, მე არ მენწყინება, გეფიცები.

ანა: მე შენთან ყოფნა მინდა... ისეთი დალლილი არ ვარ, რომ შენთან ყოფნას წასვლა მერჩივნოს...

მერაბი: კარგი, მაშინ ჩემთან იყავი.

ანა: ვიქნები... ჩემი სიცოცხლე ხარ და იმიტომ...

მერაბი: შენ ატყობ, რომ ჩვენი ურთიერთობა კულმინაციას აღწევს?

ანა: მე ვამჩნევ, რომ შენ საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავე ჩემს ცხოვრებაში, ფიქრში და დროის უმეტეს ნაწილს მართმევ... კულმინაცია კი ჯერ არ დამდგარა... მივიწვევთ მისკენ...

მერაბი: როდის მოდიხარ სიხარულო, შენი „რამით“?

ანა: უკვე გადაწყვეტილია, რომ 20-ში. 16-ში ნათლიად მივდივარ, ის კვირა გამოირიცხა და... სახლშიც უკვე

იციან, რომ 20-ში მივდივარ.

ანა: სად წავიდა ჩემი სიხარული?
მერაბი: კიდევ დაგვიძახეს და ახლა შემოვედი.

ანა: მაგათ უთხარი, ნუ მართმევენ შენს თავს.

მერაბი: კარგია, დაგელოდები 20-ში.

მერაბი: დამატებითი ხალხი გაუშვეს სახლში. ჩემი ჯგუფი დარჩა.

ანა: კიდევ რამე არ მოხდეს 20-ში და ტყუილად არ ჩამოვიდე... 15 წუთით მაინც ხომ შეძლებ, რომ მნახო?

მერაბი: დილაშედი! რა 15 წუთი? მასე მოვილაპარაკეთ?

ანა: მე აქედან დილით წამოვალ, მანდ შუადღისას ვიქნები... სად უნდა ვიბორილო სალამომდე?

მერაბი: სასტუმროში ნომერს ავიღებ, სადმე რესტორანში წავალთ და ისევ სასტუმროში დავბრუნდებით.

ანა: მე რომ ჩამოვალ, შენ მაშინ შემხვდები? მე მეგონა, სალამოს მნახავდი.

მერაბი: ჩემთან მოდიხარ და უნდა გალოდინო? არ გცხვენია?

ანა: რა ვიცი, რომ მუშაობ... ვფიქრობდი, სალამომდე მარტომ რა ვაკეთო-მეთქი.

მერაბი: გავათავისუფლებინებ თავს. მაგას ველოდები ამდენი ხანია და ვერ გადავწყვეტ?

ანა: მარტო ერთ სალამოს და ერთ ღამეს წავართმევ... დილით დავახვევ... გამოგეპარები, შენ რომ გეძინება...

მერაბი: ასე რომ მეპარებოდნენ, აქ არ ვიმუშავებდი. შენ მე ვილაც ლანირაკი პოლიციელი ხომ არ გგონივარ?

ანა: ჩემი მაგარი ბიჭი ვინაა? გამოგეპარები... ხელბორკილებს დაგადებ, საწოლზე მიგაბამ და წამოვალ... მერე



პატრულში დავრეკავ და ვეტყვი, თქვენი კოლეგა გააუპატიურეს წუხელ და მიხედეთ-მეთქი.

მერაბი: ააა, მაღადეც, რა აზრები ანუხებს ქალს?!

ანა: გაქვს ხელბორკილები?
მერაბი: კი, მაგარი. მანქანაში მიდევს. რომ ჩამოხვალ, გაჩვენებ. დალილი ხარ, ნადი, დაისვენე, მეცოდები.

მერაბი: ჩემი გოგოო!
ანა: შენ გინდა, რომ წავიდე? არ გცალია?

მერაბი: მცალია. უბრალოდ, დაისვენე-მეთქი. მე სად გავრბივარ? შენი არა ვარ?

ანა: არა, დღეს ხარ, მერე 2 დღე არ იქნები და მინდა შენთან... ახლოს ჯერ ვერ მოვიდვარ და შორიდან მაინც მოგესიყვარულო... რა მეშველება, ჰააა? **მერაბი:** რა ვიცი, რალაც გამოსავალს ვნახავთ, როცა შევხვდებით. მთავარია, არ გავაბაზროთ. ჩუმიად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს...

ანა: კი, ვიცი... ნუ გეშინია, არ გამოვადგებინებ შენს თავს სახლიდან. :))) ხომ ატყობ, რომ არც კი გირეკავ და არც გიძივებ... დღეს არ ვიცოდი სად იყავი და მარტო 3 სიტყვა დაგიმესიჯე, ისიც ისეთი, რომ შენს გარდა ვერავინ მიხვდებოდა, რას ნიშნავდა... არ მივანერე, რომ მიყვარხარ და მენატრები-მეთქი... ვიცოდი, რომ მიხვდებოდი და თუ დარეკვის შანსი გქონდა, აუცილებლად დარეკავდი... აი, ასე... მე ამ მხრივ დისკომფორტს არ შეგიქმნია... იმიტომ, რომ არ მინდა, შენ ზედმეტ შფოთვად დაგანვე და შიშობდე, ახლა არ დამირეკოს, არ დამიმესიჯოსო. თანაც, ეს ჩემთვისაც ცუდი იქნება...

მერაბი: შენ ალბათ გამოცდილი ხარ და იმიტომ იცი, ასე „ცვეტებში“.

ანა: ეს ეჭვი დალუპავს ჩვენს ურთიერთობას... გამოცდილი რომ ვიყო, პირიქით მოვიქცეოდი... ამას გამოცდილება არ უნდა, ამას მიხვდრა უნდა, ეს ხომ ძალიან მარტივია, მერაბ.

მერაბი: ე.ი. პასუხები მზად აქვს.

ანა: გახსოვს, რომ გითხარი, ჩემს მეგობარს ჰყავს მეგობარი მამაკაცი-მეთქი? იცი, ის გოგო რას ამბობს? თუ ჩემთან ყოფნა უნდა, ყველაფერი უნდა აიტანოს, მაგას ცოლიც უნდა და საყვარელიც და თვითონ უნდა დააყენოს ოჯახში საქმე ისე, რომ ცოლს არაფერი ათქმევინოსო... აი, ასე ფიქრობს... მე კი ეს სწორად არ მიმაჩნია...

მერაბი: ერთი მოდი, ჩამეხუტე, გამათბე. აქ წვიმს და შემცივდა.

ანა: ჩემო სიხარულოოოო... იცი, ცხვირს როგორ გაგიტობ?

მერაბი: შენი დაქალი ვერ არის, ეტყობა. თავზე აზის იმ სანყალ კაცს. მე სულ სხვა წარმოდგენები მაქვს. სანყალი ბიჭი ვარ, მასწავლე რალაცები, გამომიყვანე ასპარეზზე, ამისილე თვალები.

ანა: მე მეგონა, შენ იზამდი მაგას და ასეთი კაცი რა ჯანდაბად მინდა? შენ არც ის გეცოდინება, მე და

შენ მარტო რომ დავრჩებით, რა უნდა გააკეთო...

მერაბი: აბა, შეილება ციდან ჩამოფრინდა? აღარ გინდევარ უკვე? „რაზვოდი“?

ანა: ასეთი მიაშიტი თუ ხარ, არ მინდისხარ... მე გამოცდილი კაცი მინდააა... ვიტყვი?

მერაბი: ჯერ არ იტირო, რომ ჩამოხვალ, მე გატირებ. ე.ი. ვირტუალური ცხოვრება მაქვს, ამასაც მოვესწარი.

ანა: გულიანად გამეცინა... ასე თუ ისე, ხომ მაინც მოგწონს ეს ვირტუალური ცხოვრება? იმას ამბობ, რაც გინდა, რომ სინამდვილეში იყოს... მიშოვე მანდ ისეთი სამსახური, აქ რომ მაქვს და წამოვალ... მარტო ვიცხოვრებდი და როცა გინდოდა, მაშინ მოხვიდოდი...

მერაბი: ვნახოთ, მაგრამ შენ ისეთი სამსახური გაქვს, აქ მაგდენს ვერ იშოვი. რამდენი გამოგდის თვეში, თუ საიდუმლო არ არის?

ანა: ხელფასი კარგი მაქვს... 2000-2500 ლარი გამომდის.

მერაბი: გავედი საქმეზე. შენც ნადი სახლში, ხვალ დაგირეკავ. გკოცნი ბევრს, სიყვარულს.

მერაბი: დავბრუნდი, მაგრამ შენ ნასული დამხვდი, დავაგვიანე. შენმა მატარებელმა გამასწრო? რა ვქნა ახლა, სად გიპოვო, მისამართიც რომ არ დამიტოვე?

ანა: გამისტუმრე და შემოხვედი, არა? დილაზე ყოფილხარ, ლამის... ჩემმა მატარებელმა თუ გაგასწრო, სხვისმა ხომ ჩამოიარა... სანერვიულოც არაფერი გაქვს. მატარებელი — მატარებელია, რომელს შეახტები, რა მნიშვნელობა აქვს?

ანა: მერაბი, შენს სისხლს დავლევე, ძილსა და მოსვენებას რომ არ მაძლევ, იმიტომ...

ანა: გძინავს ახლა არხეინად, არა? „გოტოვსია კ ბოიუ“...

ანა: გათენდა ახლა და გამოეტიე სახლიდან ცოტა ადრე...

მერაბი: ვაიბე, ჩემი სიცოცხლე აქ ყოფილა. რა არის, ხაშია, ამ დილით რომ შემოვარდნილხარ, სიხარულო? ახლა მოვედი, წუხელ მაგრად დავთვევრით, მე და ჩემი მეგობრები.

ანა: გელოდებოდი... გულმა მიგრძნო, ადრე მოხვიდოდი... მოგენატრე?

მერაბი: ახლა თათბირზე შევალ და მერე გაგიგრძელებ სიყვარულობანას.

ანა: ცუდოოოო!
მერაბი: აბა, არ მომენატრე?

მერაბი: ახლა სად ხარ?

ანა: დაგინახე და დამავინყდა, გაბრაზებული რომ ვიყავი...

ანა: სამსახურში ვარ.

მერაბი: გამიგიჟდა ქალი, მიშველეთ!

ანა: კი არ გაგიგიჟდა, გააგიჟე. იცი, როგორი ჭკვიანი გოგო ვიყავი, შენამდე?

მერაბი: როგორი?

მერაბი: ახლა სახლში მივდივარ, დავიძინო უნდა და შეხტომას გაჩვენებ, შე მერაბის სიყვარულო...

ანა: დაიძინე, აბა, რაა... მთელი ღამე ლაპარაკში გაატარე და დაიღლებოდი...

ხელს თუ გიშლიდი, გეთქვა და დაგანებდი თავს. სხვასთან ლაპარაკში როგორ დაკარგე დრო, შე უსინდისო, როცა იცოდი, რომ შენ გელოდებოდი და არ მეძინა? ზარი მაინც გამოგემა, თუ ვერ დარეკავდი... დღეს ვეღარ დაგირეკავ, მორჩა, როდის გამოხვალ სახლიდან, არ ვიცი... მომავალ შეხვედრამდე.

ანა: ხალხოოო! უნამუსო კაცი მიყვანაააარს!

მერაბი: ოჰ, ოჰ, რა გაგიჟდა?! შენს თავს ვფიცავ, არავის ველაპარაკებოდი. უნამუსო რატომ ვარ? ჯერ არავისთან მექონია სექსუალური აქტი. შენთან ვაპირებ მარტო, დაიჯერე, ერთხელ და სამუდამოდ, ნერვოზიკოოოო. სალამოს თათბირი მაქვს, მერე ალბათ სახლში წავალ, თუ არ წავედით რესტორანში. სადმე თუ დავეჯექით, დაგირეკავ და მოდი, მხეცო.

ანა: რა გიყო, რაააა? ხვალ იქნები ალბათ და დაგელაპარაკები, მე შენ.

მერაბი: ახლა დაუმორჩილებელი ხარ, მხეცი ხარ, ჩემი?

ანა: მორცხვი... მორიდებული... დედიკოს დამჯერო... კაცების გამამწარებელი... ახლა აღარ ვიცი, ვინ ვარ... ახლა ნახევარი „მე“ ვარ, ნახევარი — „შენ“.

მერაბი: აბა, მომახსენე დღევანდელი გეგმების შესახებ. გუშინ „გავიტრუპე“, ახლა „ლაითი პახმელია“ მაქვს.

ანა: მიდიხარ?

მერაბი: გუშინ მაგარი ოდეკოლონი მაჩუქეს, მაგარი სუნი აქვს. დაგეგასება შენც.

ანა: ვინ გაჩუქა? ახლა არ მითხრა, რომ კაცმა.

მერაბი: ჰო, ჩემი ძმაცაი ჩამოვიდა გურიიდან და იმან მაჩუქა.

ანა: ნუუუ... არ ვიცი, არ ვიცი... ვეჭვიანობ...

მერაბი: მოდი ერთი, გამოიქეცი თბილისიდან „რაზგონით“ და მაგრად ჩამეხუტე. ახლა მირეკავენ გუშინდელი მოქეიფებები და ლუღზე მეპატიჟებიან. გამიშვებ?

ანა: არაააა! ანდა, ნადი, ცოდო ხარ... მერე ხომ მოხვალ? რატომ არ დამირეკე გუშინ, სახლში თუ არ იყავი? თუ ისე არ დათვევრი, მე რომ გაგხსენებოდი?

ბრაზი თარხანი

არსებობს მანე და კარგი ჩვევები. მათი შედარების დროს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მანე ჩვევა ზღვარს გადასული კარგი ჩვევაა. მაგალითად: გულუხვობა კარგია, მაგრამ მფლანგველობა უკვე მანე ჩვევაა. მომჭირნობა კარგია, ხოლო სიძუნწე — მანე; ჭამა — კარგია, ძლომა — მანე... უბრალო აზრი, რომ ზომიერების გრძნობის დაკარგვა ყოველგვარ კარგ ჩვევას მანედ აქცევს, ნებისმიერი სიტუაციისთვის მისაღებია. მაგალითად, ფეხით სიარული ძალიან კარგია, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში აქეთ-იქით უსაქმოდ, უმიზნოდ ხეტიალი უკვე მანე ჩვევაა, რომელიც თანდათანობით ნევროზში გადაიზრდება. ფსიქოლოგები ასეთ თავსმობხვეულ და უკონტროლო ქმედებებს „ფსიქიკურ ავტომატიზმს“ უწოდებენ. სწორედ ეს თავისებურება განასხვავებს მანე ჩვევას მიზანმიმართული ქმედებისგან. მაგალითად, ვერ ამჩნევ, საუბრისას მაგიადზე ფრჩხილებით როგორ აკაკუნებ ან ფეხს აქანავებ, ეწევი...

შესაძლებელია, მანე ჩვევები 3 კატეგორიად დავყოთ.

1. ფსიქიკური ავტომატიზმი — რაც მოქმედებების შეუცნობლად გამეორება განხლავს, რომლის მიზანიც, ნერვების დამშვიდებაა. მსგავსი ქმედებები თანდათანობით სხვებისთვის გამაღიზიანებელ ჩვევად გადაიქცევა ხოლმე.

მათთან ბრძოლის ერთ-ერთი საიმედო მეთოდია გაუცნობიერებელი ქმედებების გააზრებულ ქმედებად გადაქცევა.

2. მანა — მისი საწყისი კომფორტისკენ, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისკენ სწრაფვაში უნდა ვეძიოთ: ადამიანი მზადაა, ამ ყველაფერს ნებისმიერი, სასურველია — სწრაფი და ხელმისაწვდომი გზით მიაღწიოს. თუკი სითბო და მზრუნველობა გაკლია, დანაკლისის შესავსებად, ახლობელ ადამიანთან კი არ მიდისარ, არამედ გაცილებით იოლ გზას პოულობს — ახალ ტანისამოსს ყიდულობს. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამაზეა გათვლილი სარეკლამო სლოგანთა უმეტესობა — რაიმის შეძენას და ამით საკუთარი თავისთვის ბედნიერების მინიჭებას გთავაზობს.

3. დამოკიდებულება — პათოლოგიურად დამოკიდებულ ადამიანებს შორის პირველად გილზე მწველები არიან; მათ ალკოჰოლიკები და ნარკომანები მოჰყვებიან. თუმცა, მათგან შორს არ არიან ისინი, ვინც

მანე ჩვევებისგან

ადამიანი ყოველთვის ვინმეზე ან რამეზეა დამოკიდებული — შვილებზე, მეზობლებზე, ამინდსა და განწყობილებაზე, დოლარის კურსსა და მოდაზე, საზოგადოებასა და საკუთარ სინდისზე.

საძილე საშუალებების გარეშე ვერ იძინებენ და დილა ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ.

დომინანსა და რელაქსანტების მიმართ ასეთი მიდრეკილება მანე ჩვევად მანამ მიიჩნევა, ვიდრე დამოკიდებულება მხოლოდ ფსიქიკურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, თუ კოფეინის დილის დოზის გარეშე თავს მოთენთილად გრძნობ, ეს უკვე არა ფსიქიკური, არამედ, ფიზიკური დამოკიდებულებაა.

XXI საუკუნემ სამი, არცთუ სასარგებლო ჩვევა მოიტანა. მასში არც „შოპოშიანი“ შედის, არც — ბულემია (ისინი გაცილებით ადრეული პერიოდიდან იღებენ სათავეს). ეს განხლავს სოციალურ-ფსიქოლოგიური, დროისა და ცხოვრების პირობების მიერ ნაკარნახევი ჩვევები, რომლებიც ადამიანს შეუმჩნეველად იმონებს და ხელ-ფეხს უკრავს.

1 ჯოჯობის შედეგად დამოკიდებულება — რაც ტელეფონზე მრავალსაათიანი საუბრით, მულტიმედიაური თამაშებით, ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით გართობით



(სოტოპოლიზმი) გამოიხატება. მობილური ტელეფონი ისეთი შეუცვლელი გახდა, რომ მისი სიყვარული ხშირად პარანოიაშიც კი გადაიზრდება ხოლმე. „სოტოპოლიკი“ მანიაკურად აწკაპუნებს ტელეფონის კლავიატურას და საოცარი სისწრაფით კრებს მესიჯს: „როგორ ხარ?“, მოუთმენლად ელის პასუხს და ერთი საათიც არ შეუძლია გაძლოს საყვარელი აპარატის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას ინტერნეტზე დამოკიდებულ ადამიანებზე. ზოგადად, მომხმარებელს ინტერნეტი კონკრეტული საქმისთვის სჭირდება: ფოსტას შეამონმებს, საპასუხო წერილს მისწერს, საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავს და ა.შ. ზოგიერთისთვის კი ინტერნეტი „განუყრელია“ და თუ კომპიუტერთან არ ზის, შესაძლოა, „ლომკაც“ კი დაეწყოს. ამ კატეგორიის ადამიანები ახალ ამბებს ქსელში კითხულობენ, სხვადასხვა ფორუმზე ჩნდებიან, მეგობრებთან მხოლოდ ინტერნეტით ურთიერთობენ და მეორე ნახევრებსაც იქ ეძებენ.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე დამოკიდებულება — მათ ისე დაიპყრეს სამყარო, რომ ახალი ამბების, ყვითელი პრესის, ჰოროსკოპისა და ამინდის პროგნოზის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ. სწორედ მასობრივი ინფორმაციის დამ-



სახურება სიტყვის — „გლამური“ — წარმოშობა. თუმცა, ცოტას თუ შეუძლია მისი მნიშვნელობის განმარტება. ეს სიტყვა უამრავ ასოციაციას იწვევს: ფუფუნება, ბარბის გარეგნობის გოგონები, სხვადასხვა ცნობილი ბრენდი... საზოგადოებაში თავი უცხოდ რომ არ იგრძნოს, გინდა თუ არა, იძულებული ხდები, გლამურის სამყაროს შეუერთდე. დღესდღეობით კი „დაავადებამ“ ახალი სახე მიიღო. მასობრივი საშუალებები ამ სფეროში მთავარი ორიენტირები გახდნენ. თვალი ისე ეჩვენება სიმდიდრისა და სილამაზის ყურებას, რომ ორგანიზმი წარკოტიკივით ითხოვს გაზეთისა თუ ყურნალის წაკითხვას.

3. ქონსულტაცია — მოთხოვნილების დაკმაყოფილებასკენ უზომო ლტოლვა. პრაქტიკულად, ეს ლტოლვა წინა ორ პუნქტსაც აერთიანებს, რადგან საფუძვლად ეკონომიკური და მორალური მოთხოვნილება უდევს. ჩვენ არასოდეს წავალთ ბიბლიოთეკაში სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუ ვიცით, რომ ამ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით მოვიპოვებთ; არ გავემგზავრებით სასურველი კოსტიუმის შესაძენად სხვა ქვეყანაში, თუ მისი გამოწერა და ფოსტით გამოგზავნა შესაძლებელია და თავში აზრადაც არ მოგვივა სანადიროდ წასვლა, როცა ხორცი მოგვინდება — სუპერმარკეტში ვიყიდით. ამ ყველაფრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასურველის იოლად მოპოვებას მივჩვენებთ. იქნებ გავზარმაცდით? მთავარი ისაა, რომ ახლა სუპერმარკეტზე, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და საერთაშორისო ჰოლდინგებზე ვართ დამოკიდებული.

მოიშორე მანვე ჩვევა თუ არა, — ეს შენს სურვილზეა დამოკიდებული. თავისუფლად შეგიძლია, შინ იჯდე, ფრჩხილები იკვნითო, მესამე ფინჯანი ყავა მიირთვა და ამავდროულად, სინათლის სიჩქარით კრიბო მესიჯები... ვერავინ განგსჯის: თავისუფალი ადამიანი ხარ და თავისუფალ დროს რაზეც გინდა, იმაზე დახარჯავ. მაგრამ თუკი სურვილი გაქვს, მანვე ჩვევებს თავი დააღწიო, მაშინ რამდენიმე რჩევას მოგცემ.

1. ლოგიკური დასაწყისი — დიაგნოზის დასმა და დაავადების მიზეზის გარკვევა. ჩვენ, ფსიქოლოგები მივიჩნევთ, რომ ყველა მანვე ჩვევა ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის უკმარისობითაა გამოწვეული. მაგალითად, ბავშვური ჩვევა — ჯდომის დროს ქანაობა, თმის თითზე დახვევა ან თითებზე კბენა დედასთან ურთიერთობის იმიტაცია. მოზრდილები ამ ჩვევებს მაშინ ავლენენ, როდესაც თავს დაუცველად გრძნობენ. ამ დროს საყვარელი ადამიანისთვის ხელის ჩაჭიდება კარგი გამოსავალია.

2. ოჯახის წევრებს ან კოლეგებს სთხოვე, თვალი ადევნონ შენს გაუცნო-

ბიერებელ ქმედებებს. შეიძინე ბლოკნოტი, სადაც აღნიშნავ, რამდენჯერ მიხვედი მაცივართან ან რამდენი ღერი სიგარეტი მოსწიე. მიუთითე დრო და მოტივი. ჩანაწერების ანალიზი საშუალებას მოგცემს, გაარკვიო, რის კომპენსირებას ცდილობ მანვე ჩვევის საშუალებით.

3. მანვე ჩვევის ტრადიციული ალტერნატივა საყვარელი საქმის კეთებაა, იქნება ეს სეირნობა, ცეკვა თუ ხატვა... ეს ის ჩვევებია, რომლებიც ცხოვრების წარმართვაში, გასაჭირის დაძლევაში გეხმარება და სიხარულს განიჭებს.

ახლა კი თქვენს შეკითხვებზე გავცემ პასუხს.

? — გამარჯობა, გრაფო, ძალიან მომწონს ერთი ბიჭი, მაგრამ მაგრძობინებს, რომ ჩვენ შორის სიყვარული არასოდეს იქნება. ახლა მასთან მეგობრობა მინდა. ვიცი, რომ რალაც პრობლემა აქვს და მინდა დავეხმარო. ცოტა ხნის წინ შეყვარებულმა მიატოვა, ის უკან დასდევს და ცდილობს, შემოირიგოს. გოგო კი ამცირებს და მაგრად დასცინის. კარგად ვიცი მას და ვიცი, რომ იმ ბიჭს არასოდეს დაუბრუნდება. ამ გოგოს გამო ძმაცაცებიც გაუდგნენ, ის კი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. მისი ტანჯვის ყურება აღარ შემიძლია. მირჩიეთ, როგორ დავეხმარო? ნანაკო.

— გამარჯობა, ნანაკო, იმისათვის, რომ ადამიანს დაეხმარო, 3 პირობა უნდა დაიცვა. 1. თვითონ მან უნდა გთხოვოს ამის შესახებ, 2. გაქვს დახმარების საშუალება და 3. გაქვს დახმარების სურვილი.

თუ ამ 3 პირობიდან 1 მაინც არ სრულდება, მაშინ დახმარების შეთავაზებას აზრი არ აქვს. შენი შეკითხვიდან ჩანს, რომ მხოლოდ მესამე პირობა არსებობს და ამის გამო შენს მცდელობას შედეგი არ მოჰყვება. პირველი, რაც უნდა გაითავისო, ის არის, რომ ის თავს ცუდად არ გრძნობს. როცა შენ ამას დაიჯერებ, ეცადე, მასაც შთააგონო. ყველა მის წამოწყებას მხარი დაუჭირე და აგრძობინე, რომ როგორც მეგობარი, ისე გიყვარს და მის ყველაზე აბსურდულ ნაბიჯსაც კი ემხრობი.

? — გრაფო, 22 წლის ვარ და 2 უმცროსი ძმა მყავს. 18 და 16 წლის. არ მომწონს მათი საქციელი. დილით სანოლს არ ალაგებენ, ტანსამოსს აქეთ-იქით ყრიან. ვინაიდან დედა მუშაობს, სახლის დალაგება მე მინევს. მათი ფეთხულობა ყელში ამომივიდა. რადგან წყნარად ვერაფერი გავაგებინე, ახლა

სკანდალების მოწყობა დაგინწყე, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. ვერც ერთს ვერ გავაგებინე, რომ ჰიგიენა აუცილებელია.

— ჩემი რჩევა იქნება, ნუ უყვირი ბიჭებს, ჩუმად და წყნარად, ლიმილით მიიყვანე მათ მიერ დაყრილ ნივთებთან და აგრძობინე, რომ შედისარ მათ მდგომარეობაში და იცი, რომ დალაგება ეზარებათ, მაგრამ შეაგნებინე, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. გამორიცხული არაა, მათ ამის გამო პროტესტი გამოხატონ, მაგრამ ამასაც მშვიდად შეხვდი. ტაქტი, მშვიდი ქცევა და მოთმინება შედეგს გამოიღებს.

? — ბატონო გრაფო, ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება, რადგან ჩემს ცხოვრებაში მძიმე, ფსიქოლოგიური პერიოდი დგას. ჩემი პრობლემების შესახებ არავინ იცის და ამის გამო, დახმარებასაც ვერავინ გამიწევს. გულწაბრობილი ადამიანი ვარ და ყველა პრობლემას გულში ვიტოვებ. 18 წლის ვარ და არც ერთი მეგობარი არ მყავს და არც შეყვარებული მყოლია, ოდესმე. ძალიან მოსიყვარულე მშობლები მყავს და დედასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ 18 წლის გოგოს მხოლოდ დედასთან ხომ არ მექნება ურთიერთობა? ძალიან მიჭირს, რადგან მეგობარი არ მყავს და შესაბამისად, არც სასიეროდ წასვლა შემიძლია. მთელი დღეების განმავლობაში 4 კედელს შუა, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან ვზოვარ. არც ჩემი ასაკის ბიჭების გაცნობის საშუალება მაქვს. ბევრი აღნიშნავს, რომ ლამაზი ვარ და კარგი ტანი მაქვს. ინტელექტიც არ მაქვს სხვაზე ნაკლები. ჩემი პრობლემა ისაა, რომ მორცხვი ვარ და ჩემ გვერდით ყველა მოიწყენს ხოლმე. თავს მარტოსულად ვგრძნობ, თანაც, 18 წლის ასაკში მეც მინდა, მიყვარდეს და ვუყვარდე. მეზობლები ჩემი ცხოვრება. სულის სიღრმეში მომწონს მხიარული კამპანიები და ლამის კლუბები, მინდა, დაბადების დღეები სმაურაანად აღვნიშნო.

— 18 წელი ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანი ფსიქოლოგიურად მზადაა, ცხოვრების საკუთარი გზა აირჩიოს და სიყვარული ეწვიოს. ამავე ასაკში ჩნდება შიში, რომ თვითმკაყოფილების შეგრძნება არ დაიკარგოს. თუ ამ დროს შიში დაგეუფლება და მას შენზე მბრძანებლობის უფლებას მისცემ, დაგიმორჩილებს და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს. ვინაიდან საკუთარ პრობლემაში კარგად ერკვევი, დროა, მას თავი დააღწიო. გაიჩინე მეგობრები და ისევე იცხოვრე, როგორც შენი თანატოლების უმეტესობა ცხოვრობს.

როგორ უნდა მოექცე ქალის ჩანთას

იცოცხლე, რით განსხვავდება მამაკაცი ქალისგან? იმიტომ, რომ ჩანთას არ ატარებს (რა თქმა უნდა, სხვა არაერთი განსხვავებაც არსებობს, მაგრამ ეს — ყველაზე მნიშვნელოვანია). შეიძლება ითქვას, რომ ჩანთა ქალისთვის „ინტიმურ“ აქსესუარს წარმოადგენს და მის შიგთავსს ყოველთვის უამრავი ინფორმაციის მონოდება შეუძლია. არ დაიზარო, 1-2 საათით ქუჩაში ფეხით გაიარე და გამეღვლელებს დააკვირდი. აი, მოდის მამაკაცი, ნიავით თავისუფალი, მხრებგაშლილი და ხელებს მიიქნევს. მოდის ქალი — ერთი მხარა მეორეზე მაღალია, მოკრუნული თითებით ჩანთის სახელურს ჩაჭერენია, იდაყვით ჩანთას სხეულზე იკრავს... შინ ყოფნისასაც ჩანთა მისი თვალთახედვის არეშია და ერთად იძინებენ; ერთი — სანოლზე, მეორე — სანოლის ქვეშ, რომ სიზმარშიც კი შეძლოს, მისწვდეს მას. ასე რომ, გაითვალისწინე, ჩანთა ჩვენი სულისა და სხეულის განუყოფელი ნაწილია და მასთან ურთიერთობისას შენ, მამაკაცმა, გარკვეული წესები უნდა დაცვა.

1. ნუ ეცდები, მის ტარებაში დამეხმარო, თუნდაც მასში მთელი 2 ფუტი კარტოფილი „ჩავტვიროთ“. ჯერ ერთი, მამაკაცს ქალის ჩანთა არ უხდება. მეორეც — მაინც არ განდობ. ჩემია!
2. არასოდეს გაბედო მისი დაცინვა. ხომ არსებობს ისეთი რამ, რაც ხელშეუხებელია და მასზე ხუმრობა არ შეიძლება? მე ხომ არ გიყვები, როგორ სასაცილოდ გამოიყურები, როცა ძალიან დაბნეული ხარ?
3. არასოდეს ჩაიხედო მასში და არ დაინტერესდე, მისი შიგთავსით, თუნდაც მე თვითონ გთხოვო, რაიმე მოძებნო მასში. მართალია, ამით მე ძალიან დიდ პატივს დაგდებ, რადგან ყველაზე პირადულს განდობ, მაგრამ შენ ჯენტლმენი უნდა იყო და ჩემი საკუთარი სივრცის ხელშეუხებლობა უნდა დაცვა. უბრალოდ, მომიტანე ჩანთა და მე თვითონ მოვძებნი საჭირო ნივთს.
4. ნუ ჯუჯღუნებ, როცა ნახევარი საათის განმავლობაში ვიქექები ჩანთაში და რაიმის მოძებნას ვცდილობ. ასე იმიტომ კი არ ხდება, რომ დაბნეული ვარ. საქმე ის გახლავს, რომ ყველა ქალის ჩანთაში „შავი ხვრელია“, რომელიც პარალელურ სამყაროში გადის. სწორედ ამის გამოა, რომ ხშირად ჩანთაში ნივთები ქრება,

ზოგჯერ კი „შავი ხვრელიდან“ მასში უცნაური ნივთები ჩნდება. თუმცა, თუ ხელს უფრო ღრმად ჩავეყოფ (იდაყვამდე ან მხრამდე), შესაძლოა, „შავ ხვრელში“ გაუჩინარებული გასაღები ან საფულეც კი „დავიტორო“. ამას კი დრო და მოთმინება სჭირდება. ხომ ხედავ, რომ ვეძებ?

5. არასოდეს მაჩუქო ჩანთა, თუ არ გინდა, რომ ჰალსტუხების ჩუქება დავიცვია. მე ის უნდა დავინახო, შევეხო და შევიყვარო, პასუხად კი მან „კუდი“ უნდა გააქციინოს და ხელში თვითონ ჩამიტტეს.

6. არასოდეს მომანოდო შენი პირადი ნივთი და არ მიტხრა: „ჩანთაში ჩაიდე“. ეს საშინელებაა. თუ საჭიროდ მივიჩნევ, მე თვითონ შემოგთავაზებ შენი ნივთების ჩემს ჩანთაში შენახვას. ამ 2 მომენტს შორის ის განსხვავებაა, რაც ნებაყოფლობით სექსსა და გაუპატიურებას შორის.

7. გაუფრთხილდი ჩემს ჩანთას. მე ხომ ისე ხშირად ვურთიერთობ მასთან, რომ განუყოფელ ნაწილად მივიჩნევ. თუ უხეშად მოისვრი მას დინიდან სავარძელზე ან ფეხით მისწევ, დამუფლებს გრძობა, რომ ძალიან სასტიკი ადამიანი ხარ და ჩემ მიმართ — გულგრილი.

როდესაც ინტერნეტში მიგნებულ ამ მასალაზე ვმუშაობდი, დავფიქრდი, მეც იგივე განცდა მქონდა თუ არა ჩემი ჩანთის მიმართ და მივხვდი, რომ ავტორს ბევრ რამეში ვეთანხმები.

ქართული მამაკაცების რჩევები

ამერიკელ მამაკაცებს

(უხსოვლთა მასკინძლების დასახმარებლად)

როგორ უნდა დავლიოთ...

ვფიქრობ, ქართველი მამაკაცის დამოკიდებულება სასმლის მიმართ, ბიოლოგიურ თავისებურებებთან კი არა, ტრადიციებთანაა დაკავშირებული. ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ უცხოელებმა სმა არ იციან. ისინი სვამენ და არაფერს აყოლებენ, კოქტეილებს ერთმანეთში ურევენ, არაყს „ზალპით“ კი არ სვამენ, არამედ წრუბავენ. შესაძლოა, ეს სასმლის სიძვირესთან და უცხოელების სიძუნესთან იყოს დაკავშირებული. ქართველი მამაკაცები სვამენ იმდენს, რამდენიც „ჩაეტყვათ“ და მაინც ცოცხლები რჩებიან.

აი, ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უცხოელებმა სმის დროს უნდა გაითვალისწინონ:

ძიფის დაწყებად 1 საათით ადრე (პარინანტაში)

1. შეჭამე კარტოფილის პიურე.
 2. გადაყლაპე 1-2 უმი კვერცხი.
 3. გადაყლაპე 1-2 ყლუპი ზეთი ან 50 გრამი კარაქი.
- ეს გარანტიას მოგცემს, რომ ფეხი-ზელი დარჩე, თუნდაც 5 ლიტრი ღვინო ან 1 ბოთლი არაყი დალიო. ეს ხუმრობა არ გეგონოთ. უმი კვერცხი ყველაზე უებარი საშუალებაა.

ძიფის დროს

1. თუ ღვინოს სმა დაიწყე, მხოლოდ ღვინო უნდა დალიო. არავითარი წვენები. განსაკუთრებით მთელი დღე გაზიან სასმელს.
2. თუ არაყს სვამ, არ მოწრუპო, „ზალპით“ დალიე.
3. დალევას საჭმელი მიაყოლე. ძალზე მნიშვნელოვანია ალკოჰოლის განეიტრალება. ამის გაკეთება მარილიანი საკვებითაა შესაძლებელი

ლი (მწნილი, სიბილალა კარაქიანი პურით, მოხარშული ჭარხალი მაიონეზით, „ოლივიე“).

4. აუცილებელია მხოლოდ პირველი 3 ჭიქის დაღევა. ამით სუფრის წვერებს აჩვენებ, რომ კომუნიკაბელური და მეგობრული ადამიანი ხარ. შემდეგ 1-2 ჭიქა შეგიძლია გამოტოვო და უბრალოდ თქვა — „ამ ჭიქას ვტოვებ“. ეს იმას ნიშნავს, რომ სმას კი არ წყვეტ, არამედ, როგორც სმაში სუსტი უცხოელი, ძალების მოკრებას ცდილობ.

საქართველოში სასმლის შესმის წინ თამადა სადღეგრძელოს ამბობს, შემდეგ სუფრის რომელიმე წვერთან ალავერდს გადადის და ყველა სვამს. სასმელს ჭიქებში თამადა არ ჩამოასხამს. ამას სუფრის ერთი ან რამდენიმე წვერი აკეთებს. სასმლის თავად დასხმა და დაღევა უტაქტობად მიიჩნევა. თუ სადღეგრძელოს თქმა გსურს, საამისოდ ნებართვა თამადისგან უნდა აიღო.



5. სალატებს, როგორც წესი, ქვიფის დანყებიდან 1 საათის განმავლობაში მიირთმევენ. შემდეგ ცხელ კერძს შემოიტანენ (ამ დროისთვის უკვე 3-4 ჭიქა გექნება შესული) და აუცილებლად უნდა მიირთვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასმელი აუცილებლად მოგკიდდება.

6. აქტიურად ჩაერთე ინტელექტუალურ საუბრებში და არ გაჩუმდე, როცა პოლიტიკაზე ილაპარაკებენ. უცხოელის აზრი ყველას აინტერესებს. თანაც, ეს დაგვხმარება, ტვინი მუშა მდგომარეობაში შეინარჩუნო.

7. ქვიფის ბოლოს აუცილებლად მოგართმევენ დესერტს — ყავას ან ჩაის და ტკბილეულს. არც ეს გამოტოვო. ამით მასპინძელს მოაჩვენებ, რომ ფიზიკური ხარ და მისი სტუმართმოყვარეობით — კმაყოფილი.

ასე რომ, 4-5 საათის განმავლობაში დიდი რაოდენობით სასმელს მიიღებ და ცოცხალი დარჩები.

ქვიფის ვაფაფა

ეცადე, მაცივარში ერთი ბოთლი ლუდი შემოინახო. დილის 5 საათზე

გაიღვიძე და დალიე. შემდეგ კვლავ სანოლს დაუბრუნდი და ძილი განაგრძე. ეს „პახმელიისგან“ დაგიცავს.

თუ არ გიშველის, 1 ჭიქა მარილიანი წყალი დალიე. ქართველი მამაკაცები ამ დროს მწნილის წვენი სვამენ ხოლმე.

უმეტესობა „პახმელიაზე“ ხაშითა და არყით გამოდის. ეს მეთოდი მხოლოდ ალკოჰოლიკებს შველის.

ასე რომ, დალიე ბევრი და დარჩი ცოცხალი. ისევე, როგორც ქართველი მამაკაცები!

რომელის შესაძლოა, სისოცხლის ფასად დაგიჯდას

თუ უცხოეთში ერთხელ მაინც ყოფილხარ, გეცოდინება, რა რთულია, სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან საერთო ენის გამოხატვა და რა იოლია მათი განაწყენება. ხანდახან შესაძლოა, უწყინარმა ქმედებამ რთულ სიტუაციაშიც კი ჩაგაყენოს. ასე რომ, ვიდრე სამოგზაუროდ წახვალ, კარგად შეისწავლე ჩვენთვის დამახასიათებელი, მაგრამ სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის შეურაცხმყოფელი შესტების ენა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებები.

1. არასოდეს უჩვენო შესტი — „ოკ“ ბრაზილიელს. გასული საუკუნის 50-იან წლებში პრეზიდენტმა ნიქსონმა ველური მიიმუნების ქვეყანა მოინახულა. თვითმფრინავის ტრაზე ჩამოსვლისას, თავისი კეთილგანწყობილების გამოსახატავად მან ორივე ხელით „ოკ“ უჩვენა. ეს უწყინარი შესტი მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირდაპირი ეთერით გადაცემოდა. შემდგომში ნიქსონს ამის გამო ბოდიშის მოხდამ მოუწია.

ბრაზილიაში ეს იმას ნიშნავს, რაც ზევით აღმართული მუშა თითი ჩვენს ქვეყანაში. ჯობს, ეს შესტი დაივიწყო, რადგან არასწორად გაგიგებენ და შესაძლოა, პასუხიც გაგებინონ.

2. საბერძნეთში არ ღირს, მადლობის ნიშნად ხელის ზევით აწევა და ხელისგულის ჩვენება. განსაკუთრებით მაშინ, თუ სუფრასთან ზიხარ. შენ ამით გემრიელი კერძის გამო მადლობის გადახდა კენდა, მაგრამ ცდები. ეს შესტი იმაზე მიანიშნებს, რომ კერძი კი მოგწონა, მაგრამ მასპინძელი არ მოგწონს და მზად ხარ, კერძში თავი ჩააყოფინო.

საქმე ის გახლავთ, რომ საბერძნეთში ამ შესტს „მუტუზას“ უწოდებენ და სათავეს ბიზანტიის იმპერიიდან იღებს, როდესაც დაკავებულ დამნაშავეს ხალხმრავალ ქუჩას შემოატარებდნენ და შესარცხვენად სახეს უთხუნიდნენ: იღბლიან დამნაშავეს მურით, უიღბლოებს — ექსკრემენტით. ამ განაჩენს მოსამართლე სწორედ ამ შესტით გამოიტანდა ხოლმე.

3. თუ ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთში ან სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრები, კმაყოფილება ზევით აწეული ცერა თითით არასოდეს გამოხატო. ამ შესტს ასწლეულების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებნი შეცდომაში შეჰყავდა. იმავე შესტს ისინი ხშირად შეკრული მუშტით გამოხატავდნენ. ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში ეს შესტი მოსაუბრის მიმართ ძალზე ცუდ დამოკიდებულებას აღნიშნავს.

4. ტაილანდში, ჩინეთსა და ფილიპინებზე ჭამის შემდეგ თევზის მოლოკვა აუცილებელია. ყველა ქვეყანაში, დიასახლისი ვალდებულია, სტუმარს გემრიელი კერძით გაუმასპინძლდეს. იქ, სადაც სტიკი ყველის სოუსით ისეთივე ძვირია, როგორც ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი, დიასახლისისთვის ყველაზე მთავარია, სტუმარი დანაყრდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერძი უზომოდ გეგემრიელა ან მთელი კვირის მშვიერი ხარ, ვალდებული ხარ, მცირე ულუფა თევზზე დატოვო, რომ დიასახლისს აჩვენო, როგორ დანაყრდი. შემდეგ, მისი თხოვნით, თევზი უნდა მოლოკო.

ჩინელები არც ისეთი შებოჭილები და კომპლექსიანები არიან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება, მოგეჩვენოს. უცნაურია, მაგრამ იქ მიღებულია საქმლით გამოტენილი პირით ლაპარაკი და ჭამის შემდეგ — ბოყინი.

5. ღმერთმა დაგიფაროს, საუდის არაბეთში საპირისპირო სქესის წარმომადგენელს მიესალმო. შარიათის თანახმად, საზოგადოებაში ქალს სხვა მამაკაცთან საუბარი და მისაღმება ეკრძალება. მას უფლება აქვს, მხოლოდ ქმარს ეკონტაქტოს. 2008 წლის თებერვალში, ამერიკელმა ქალბატონმა არაბ მამაკაცს რაღაც ჰკითხა. ის მაშინვე დააპატიმრეს, გააშიშვლეს და გაჩრდილეს, შემდეგ კი აიძულეს, „დანაშაული“ ელიარებინა. არაბეთში ქალებს ეკრძალებათ ავტომობილის საქსთან ჯდომა, არჩევნებში ხმის მიცემა, საკუთარი ბიზნესის წარმოება, სასამართლოში გამოჩენა და ველოსიპედით სიარული.

6. მიუხედავად იმისა, რომ ტუალეტის ქალაღი თითქმის 1500 წლის წინ გამოიგონეს, ის ბევრ ქვეყანაში დღემდე აკრძალულია — ინდოეთში, შრი-ლანკაში, აფრიკასა და სამხრეთ აღმოსავლეთის მთელ რეგიონებში. ამ ქვეყნებში ტუალეტის ქალაღის ფუნქციას მარცხენა ხელი ასრულებს და ამის გამო, ეს ხელი ბინძურად მიიჩნევა. მარცხენა ხელით ჭამა ყველაზე დიდი სიბინძურე და უზრდელობაა. საამისოდ ანტისანიტარია ერთადერთი მიზეზი არ გახლავთ. ყურანში წერია, რომ ალაჰი მარჯვენა ხელით მიირთმევედა, ხოლო სატანა ცაცია იყო.

7. არავითარ შემთხვევაში ჩინელს საათი არ აჩუქო. მათთვის საათი სიკვდილის სინონიმია. არავითარ შემთხვევაში არ გაახვიო საჩუქარი თეთრ ქალაღში. ესეც სასიკვდილო ნიშანია. ბანგლადეშის მცხოვრებს თეთრი ვარდები არ აჩუქო. ამით მიანიშნებ, რომ სიკვდილამდე მის გვერდით უნდა იყო და როცა მოკვდება, საფლავი გაუთხარო და მინაც მიაყარო.



ბექაშის ფ მოხილ

და ართსა და იაპე ქალზე ორჯერ დაქორწინებული ფეხბურთელი

დევიდს მისი თითოეული გამოხედვა, ფესტი, წარმოთქმული სიტყვა, თავის კეკლუცი რხევა ასსოვდა. „საფეხბურთო ტრუსი 5 სანტიმეტრით მოკლე რომ იყოს და ფეხბურთელები თამაშის დროს ასეთ გრძელ წინდებს არ იცვამდნენ, ფეხბურთის თაყვანისმცემელი გავხდებოდი,“ — ამბობდა ვიქტორია. ერთხელ კი ტაიფუნით შეიჭრა ფეხბურთელების გასახდელში, ბექაშემ სელი გაუწოდა და ასე წარუდგა — ვიქტორია“. რამდენიმე წუთის შემდეგ, მძიმე მატჩით გადაღლილ „მანჩესტერის“ ფეხბურთელებს თავისი მომხიბვლელი ლომილი უხვად ასაჩუქრებდა. ბექაშემ პატარა, მოუსვენარ ჩიტს აგონებდა, რომელსაც სულ მცირედიც კი ახარებდა. დევიდი ქალს ანთებული და დაბნეული მზერით შესცქეროდა.

1997 წლის თებერვალი იდგა. ბექაშის გუნდმა „ჩელსიზე“ გამარჯვება იხეიმა. დევიდის მიერ გატანილი გოლის გამო აღფრთოვანებული გულშემატკივრები სტადიონის ტრიბუნებს აზანზარებდნენ. ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ მონინაალმდეგის კარში დარტყმული ბურთის სიჩქარე საათში 97,9კმ გახლდათ. ეს მისი ტრიუმფი იყო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მის ცხოვრებაში ვიქტორია ადამსი.

გოგონა მეგობრის, ჯგუფ „სპაის გერლზის“ წევრის, მელ ბის ძალისხმევით პირველად მოხვდა ფეხბურთის მატჩზე. წასვლა არ უნდოდა — „ჩემთვის გაცილებით საინტერესოა მაღაზიებში სიარული, ვიდრე იმის ყურება, როგორ დასდევს ბურთს, დანომრილი მამაკაცების ჯგრო“ — ამბობდა ის, მაგრამ მეგობარი, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო, შეუვალი აღმოჩნდა და ვიქტორია წასვლაზე დაითანხმა. ვიქტორიას სტადიონის ტრიბუნაზე ყოფნა მართლაც მოეწონა. ყველაზე მეტად კი ქერა ფეხბურთელი, რომლის გამოჩენასაც გულშემატკივრები ტაშით ხვდებოდნენ. „როგორც კი ყველაფერი დამთავრდება, წავალთ და აუცილებლად გავიცნობთ მას“, — განუცხადა ვიქტორიამ მეგობარს. „შენ არ იცნობ, ბექაშემ, ის საუკეთესო მოთამაშეა“, — ეუბნებოდა მეგობარი. „მიმიფურთხებია იმისთვის, თუ როგორი ფეხბურთელია, შენ ალბათ არ დაჰკვირვებინარ, როგორი ფანტასტიკური საჯდომი აქვს“, — უპასუხა ვიქტორიამ. მატჩის შემდეგ მელ ბიმ ნაცნობი მენეჯერი მოქებნა, რომლის მეშვეობითაც გოგონებმა ფეხბურთელების გასახდელში შეღწევა შეძლეს. ბექაშემ შეხვედრისთვის მზად არ იყო. იჭმუნებოდა და გონზე მო-

სასვლელად შუბლს ხელით ისრესდა. თავს უხერხულად გრძობდა, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ვიქტორია მოეწონა, არ უარყოფდა.

ვიქტორია გასახდელში დიდხანს არ გაჩერებულა. ბექაშემ ერთად ვახშობა შესთავაზა, გასახდელიდან გავიდა და ძვირფასი სუნამოს „ნაკვალივი“ დატოვა. თანაგუნდელებმა

შემდეგ ერთ პატარა კაფეში შეხვდნენ. ამჯერად ბექაშემ მარაგში არსებული მთელი შარმი გამოიყენა. ცდილობდა ეხუმრა და გალანტური ყოფილიყო. მიზნად ვიქტორიას მონადირება ჰქონდა დასახული. ამავე დროს, ფიქრობდა, რომ ის და ვიკა სხვადასხვა პლანეტიდან მოსული ადამიანები იყვნენ. ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უმზერდნენ, მაგრამ ორივეს ეჩვენებოდა, რომ მათ შორის მინის ტინარი იყო აღმართული. დევიდი უყურებდა გოგონას და ფიქრობდა, რომ მის შეხებას ვერასოდეს შეძლებდა.

დევიდი თავის ვარსკვლავურ იმიჯს ვერ ეგუებოდა. მართალია, ცნობილი დიზაინერის შეკერილ კოსტიუმში იმდენი თანხის გადახდა შეეძლო,



დევიდს მხარზე ხელი მოუთათუნეს და შურით დასძინეს: „გაეზი, ძმაო?“ გაეზა თუ არა ბექაშემ, ეს ცოტა მოგვიანებით გაირკვა.

„საკვირველია, რომ ნომერი ამ მაისურზეც არ განერია“, — გაეხუმრა ვიქტორია, როცა ისინი ერთი კვირის

რაც მის მშობლებს მთელი თვის განმავლობაში ეყოფოდათ და ყველგან თანამდეგ პაპარაცებსა და ფანებსაც უკვე შეეგუა, მაგრამ თავს მუდამ უხერხულად გრძობდა. ვიქტორიასთვის კი ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ცხოვრებისეული რუტინა გახლდათ, რომელსაც ბავშვობიდან იყო შეჩვეული. ფუფუნება მისთვის ჰაერით

იყო, რომლის არსებობასაც ვერ გრძობდა და რომლის გარეშეც სიცოცხლე არ შეეძლო. გოგონა ძალზე მდიდარ ოჯახში აღიზარდა და მამასთან, წარმატებულ ბიზნესმენტან კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი ის „როლს-როისი“ იყო, რომლითაც გოგონა სკოლაში დაჰყავდათ.

იმის გამო, რომ ადამისების ოჯახის მებალე წინათ ბუკინგემის სასახლეში მსახურობდა, თანაკლასელები „პრინცესას“ ეძახდნენ. ამას კი უზარმაზარი მანქანა და პირადი მძღოლიც ემატებოდა. ვიქტორიამ ფულის ხარჯვას გემო ადრეულ ასაკში გაუგო და ამას ყოველთვის დიდი სიამოვნებით აკეთებდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, გოგონას სიმდიდრის კომპლექსი მოესხნა. სკოლის დამთავრებამდე ბონდ-სტრიტზე, ყველა ბუტიკში სცნობდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი ერთადერთი პრობლემა მოწყენილობა იყო, რადგან მალაზიებში სიარული ჩვევად გადაეჭცა და ძალიან მოსაწყენ საქმედ ეჩვენებოდა.

თეატრალური კოლეჯის მესამე კურსზე სწავლისას ვიქტორიამ ერთ-ერთ ჟურნალში გოგონათა მოდურ ჯგუფში, თავისუფალ ადგილზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ წაიკითხა. „რატომ არ უნდა მოვსინჯო“? — უთხრა ვიქტორიამ სარკეში საკუთარ გამოსახულებას და შესაფერისი ტანისამოსის შერჩევას შეუდგა. ჯგუფის პროდიუსერს ან მისი „დოლჩე და გაბანას“ კოსტიუმი მოუ-

ვიდა თვალში, ან მასზე ნიჭიერი ვერაზინ ნახა და გოგონა ჯგუფში აიყვანა. ამის შემდეგ ვიქტორიამ ცხოვრება განაგრძო დევიზით: „ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა არმანის თეთრ კოსტიუმზე წითელ ღვინოს გადაისხამ“. ვიდრე ადამისი სიმდიდრეში ცხოვრობდა და მამამისის სახლის, ტანსაცმლით გამოტენილ, ერთ დიდ ბუტიკად გადაქცევას ლამობდა, დევიდ ბექჰემი თავის ერთადერთ გატაცებას — ფეხბურთს მისდევდა და დახელოვნებას ცდილობდა. მამამისი, აირით მომარაგების ინჟინერი, მთელ თავის დროსა და ფინანსებს ვაჟის წვრთნაზე ხარჯავდა და შვებით მხოლოდ მას შემდეგ ამოისუნთქა, როდესაც თავისი 10 წლის დევიდი, ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალ ფეხბურთის მწვრთნელებს ჩააბარა. ის მალე ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა, საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ჯილდო „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონზე გადასცეს. ჯილდოებს შორის „მანჩესტერის“ ფორმაც იყო და ბექჰემმა სწორედ მაშინ დაისახა მიზნად, რომ ამ გუნდის წევრი გახდებოდა. ეს ოცნება აიხდინა კიდეც და სწორედ თავისი წარმატების მწვერვალზე შეხვდა ქალს, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო არაფერი ჰქონდათ. თუმცა, ამ ქალმა დაარწმუნა, რომ მათ ერთად ყოფნას აზრი ჰქონდა. მალე შეყვარებულებმა ნიშნობის შესახებ მსოფლიოს ამცნეს. ამ ამბავ-

ჩამოშორდა, მაგრამ როდესაც იგრძნო, რომ ახალი ალბომის ჩასაწერად მზად იყო, დევიდს განუცხადა, ლოს-ანჯელესში დარჩებოდა, ვიდრე ახალ ალბომზე მუშაობას არ დაასრულებდა. ქმარი მის წინადადებას უსიტყვოდ დათანხმდა. ერთ დღით, როდესაც ვიქტორიამ სახლის კარი გაიხურა, დევიდი საწოლიდან წამოდგა, შვილი — ბრუკლინი გააღვიძა, მასთან ერთად ისაუბრა და ტელევიზორს უყურა. ამასობაში ძიძაც მოვიდა და დევიდი დიდი ხნის უნახავი მეგობრის სანახავად გაემართა, რომელსაც შეხვედრა ჯერ კიდევ წინა დღეს დაუნიშნა. ის იყო, მეგობრები რესტორანში, მაგიდას მიუსხდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს, რომ დევიდის ტელეფონმა დარეკა. „ემშაკმა დაგლახვროს, ძალინშვილო, სად დაეთრევი?“ — ყვიროდა ვიქტორია. „შენ ფიქრობ, რომ ოჯახში ისე დიდ დროს ატარებ, რომ შეგიძლია, ბავშვი ძიძას დაუტოვო და ჯანდაბაში წახვიდე?“ დევიდის მცდელობამ, ცოლი დაემშვიდებინა, შედეგი არ გამოიღო. ეცადა, გაბრაზება არ შესტყობოდა, მეგობარს ნაჩქარევად დაემშვიდობა და შინ წავიდა. იქ კი მხოლოდ ძიძა დახვდა, რომელმაც აუწყა, რომ ვიქტორიამ ბავშვი წაიყვანა და დედასთან წავიდა. დევიდი მთელი საღამო ჯიუტად ცდილობდა ცოლთან დაკავშირებას, მაგრამ ტელეფონი ან დაკავებული იყო, ან — გამორთული. მეორე დღით დევიდმა ახალი გაზეთები გადაშალა, სადაც წინა გვერდებზე გამოჭიმული სათაურები იწყებოდნენ: „ბექჰემმა ოჯახს ფეხბურთი ამჯობინა“ და „ვიქტორია განქორწინებას მოითხოვს“. დევიდმა წყენა გადაყლაპა და სიდდარის სახლისკენ გაემართა. ვიქტორია ლოგინზე დაშობილიყო და ხმაშალა ქვითინებდა. ბექჰემმა მისი დატუქსვა გადაიფიქრა და მოეფერა. „მაპატიე, ვიცი, არასწორად მოვიქეცი. გაბრდები, გამოვსწორდები“, — ცრემლებს ყლაპავდა ვიქტორია და ქმარს ეხუტებოდა.

ვარსკვლავი თუ დიასახლისი?

მეორე ვაჟის დაბადებამაც ვერ დააახლოვა. სამაგიეროდ, ვიქტორია უფრო მოშინაურდა. საათობით იჯდა ტელევიზორთან და ვარჯიშზე წასულ ქმარს ელოდა. თან ყოველ 20 წუთში ერთხელ ურეკავდა. სურდა დარწმუნებულიყო, რომ ის აუცილებლად შინ დაბრუნდებოდა და მეგობრებთან ერთად ლუდის ბარში არ წავიდოდა. როგორც კი კართან დევიდის ფეხის ხმას გაიგონებდა, მამინვე მიეგებებოდა და ქმარს ბავშვით კისერზე ეკიდებოდა. ელიტური



მწარე წინაჟ

პირველ შვილზე ორსულობის შემდეგ ვიქტორია შოუბიზნესს ცოტა ხნით

ქალიდან ის ნელ-ნელა დიასახლისად, მზრუნველ დედად და მეუღლედ გადაიქცა. სტუდიაში მუშაობისა თუ შოპინგის დროს, ოჯახზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. დევიდმა მასში უამრავი, მისთვის აქამდე უცნობი თვისება აღმოაჩინა. „პატარავ, შენ ხომ ასეთი არასოდეს ყოფილხარ, ყოველთვის ძლიერი და თავდაჯერებული იყავი. მე ძალიან მიყვარხარ და ნუთუ ეს საკმარისი არაა ბედნიერებისთვის?“ — ხშირად ეუბნებოდა ის ცოლს. ასეთ დროს ვიქტორია ჩუმდებოდა და სახეს ქმრის მკერდში მალავდა.

ბექჰემი სერიოზულად იყო შემფოთებული ცოლის ასეთი სენტიმენტალური ქცევით. იხსენებდა იმ პატარა ტაიფუნს, რომელიც მოულოდნელად მოვარდებოდა და წალეკვას უქადადა ხოლმე, იმ მხიარულ, სიცოცხლით სავსე გოგონას, რომელიც მუდამ იცინოდა და ცხოვრება მალაზიებში სიარულისა და მოდური საღამოების გარეშე ვერ წარმოედგინა და შიში იპყრობდა იმის გამო, რომ ქალი, რომელსაც იცნობდა, აღარ არსებობდა. მისი აზრით, ვიქტორიას დრო სჭირდებოდა და მალე ისევ ისეთ ქალად გადაიქცეოდა, როგორც დევიდმა შეიყვარა. თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა და უფრო ხშირად ახსენდებოდა მშობლები, რომლებიც 30-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.

შენი ცოლი ბოზია

ზარი გვიან საღამოს გაისმა. ამ დროს ვიქტორია შვილებს აძინებდა და ყურმილი ბექჰემმა აიღო. „უკაცრავად, სერ, სკოტლანდ-იარდიდან განუხებთ. სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ, ვინაიდან საქმე ვერ მოიცდის“ — ხმა, რომელიც ყურმილში ისმოდა, ძალიან სერიოზული გახლდათ. განყოფილებაში მისულ დევიდს ერთი საათის განმავლობაში სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ პოლიციელს უსმენდა და გრძნობდა, ოფლისგან დასველებული პერანგი ზურგზე როგორ ეკვროდა, ხელები უცახცახებდა, დაძაბულობისგან მხრებიც კი ასტიკვდა. პოლიციელის ნათქვამი დაუჯერებლად ეჩვენებოდა და ფიქრობდა, რომ სადაცაა, გონს დაკარგავდა. იქიდან წამოსული, ფეხებს ძლივს მოაბრევდა. მანქანაში ჩაჯდა და სახლისკენ გამოემართა. ყურში კი პოლიციელის მიერ ნათქვამი ფრაზები ჩაესმოდა: „ალბანური დაჯგუფება“, „თქვენი მეუღლისა და შვილების მოტაცება იყო დაგეგმილი“, „გამოსასყიდი — 7 მილიონი დოლარი“, „საბედნიეროდ, დანაშაულის გახსნა დროულად მოხერხდა“...

მეორე დღეს დევიდის ბრძანებით,

სახლში დაცვა დააყენეს და მიმდებარე ტერიტორიაზე შეიარაღებული პოლიციელები მოძრაობდნენ. ბექჰემმა გადაწყვიტა, ცოლი და ბავშვები დროებით ვიკის ოჯახში გადასულიყვნენ, ვიდრე მათი სახლი ციხესიმაგრედ არ გადაიქცეოდა. მას მუდმივად ახსენდებოდა მუქარით სავსე წერილები, რომლებსაც ხშირად იღებდა. „შენი ცოლი ბოზია, შენი შვილი კი კიბოთი მოკვდება“, — სწერდნენ მას. დევიდი თავს დაუცველად გრძნობდა და ფიქრობდა, რომ ოჯახის დაცვა არ შეეძლო.

ვიქტორია ამ ყველაფერს უფრო მომზადებული შეხვდა. პანიკა არ აუტეხავს. იმედმა და დევიდის მიმართ

გადაიქცა, ყველაზე მეტად უყვარდა. სწორედ ისეთი, როგორც ახლა იყო და არა — პრიალა ჟურნალის ყდიდან გამოსული, მოდური და მხიარული, რომლისთვისაც ყველაზე დიდი უბედურება არმანის თეთრ კოსტიუმზე დაღვრილი წითელი ღვინო გახლდათ. დევიდმა ისიც გააცნობიერა, რომ ვიქტორიას გულს მონადირება ხელახლა მოუნვედა.

3 დღის დუმილისა და განმარტოების შემდეგ ცოლს დაურეკა და სავარჯიშო ბაზაზე მისვლა სთხოვა. შენობაში მათ გარდა არავინ იყო. დერეფანში სიჩუმე სუფევდა და ვიქტორიას ქუსლების კაკუნი ექოდ აირეკლებოდა. ერთმანეთის პირისპირ გან-



ძლიერმა სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა. ამიტომ, როდესაც ბექჰემმა უთხრა, ცოტა ხნით მარტო დარჩენა უნდოდა, არ შესწინააღმდეგებია — „როგორც იტყვი, ძვირფასო, ჩვენ დაგელოდებით“, — უთხრა დევიდს და უფლება მისცა, დროებით სასტუმროში ეცხოვრა.

ბექჰემი ვარჯიშს გულს ვეღარ უდებდა, სასტუმროს ნომერში გამოკეტილი ბოლთას სცემდა. მილიონობით ადამიანის კერპი თავს მარტოსულად გრძნობდა და თავს უფლებას არ აძლევდა, ამის შესახებ ვინმესთვის ეთქვა. უეცრად აღმოაჩინა, რომ საკუთარ თავზე ეგოისტურად შეყვარებული, პატარა ბიჭივით იქცეოდა. ვიქტორია კი მასზე ადრე გაიზარდა და გააცნობიერა, რომ არ შეიძლება, გყავდეს ოჯახი და თავს ბავშვად მიიჩნევდე. მიხვდა, რომ ქალი, რომელადაც ენატლიკინა ვიქტორია

ერდნენ. დევიდი მის წინ, ცალ მუხლზე, უხმოდ დაეშვა, ხელი წაავლო და ხრინჩიანი ხმით ამოთქვა: „ჩემო საყვარელო შენ ერთადერთი, ყველაზე ძვირფასი ადამიანი ხარ ჩემთვის. შენ და ჩვენი შვილები... საკმარისია, წარმოვიდგინო, რომ დაგკარგეთ და შესაძლოა, ჭკუიდან გადავიდე. არ მეგონა, ასეთი ძვირფასი და ასეთი განსხვავებული თუ იყავი“. ლაპარაკისას სიტყვებს თავს ძლივს უყრიდა, ბოლოს კი ღრმად ამოიოხრა, თითქოს ყინულიან წყალში ჩასახტომად ემზადებოდა. ამოსუნთქვისას კი წარმოთქვა: „ვიქტორია ადამსო, ცოლად გამომყევი!“ ვიკის თვალბეჭდში ცრემლი გაუბრწყინდა. ქმრის გვერდით, მუხლებზე დაეშვა, კისერზე მოეხვია და ჩასჩურჩულა: „დიახ, ძვირფასო, თანახმა ვარ“...




რომელმაც წარწერა დაკარგა



- „შენ რომ ყრი, ახლა მე ვიჭერ, მეც რომ დავადგე გზასაო“.
- „ამაზე ნათქვამი, ციდან პაჩკა-პაჩკა დოლარები ცვიოდაო. ბოდიში, ხმა არ მივარგა და კარგად ვერ ვმღერი“. გრუზინკა.
- „ბელი-ბელმა ფულეებმაო გარყვნა იცისო, მაშა“. გრუზინკა.
- „ოპერაციაზე შედის და ხელებს ხომ არ დაისვრის?“ ჯუჯ-100.
- „ფულეებო, ფულეებო, ჩემო ფულეებოოო“. სრინწიანი ალბატროსი.
- „გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა, მაგრამ სულ არ ციოდა, თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად დოლარები ცვიოდა“. ენე.
- „ფოკუს-მოკუსი და დოლარებიიი? ვაა, საიდან? საიდანა და აემ ხელებმა ლომის უკანალიდან გააძრო“. ენე.
- „ცოტაც კიდევ დაამატე და კრიზისიდან გამოსასვლელად მეყოფა“. ლი ჰარვი ოსვალდი.
- „ზურა ვადაჭკორიას ოცნება“. ნგ.
- „ჩემი სიზმარი“. ნგ.
- „ბოლოს და ბოლოს, კოპერფილდმა

- სუთას დოლარად საკუთარი სხეულიც გააქრო?“ ბაჩანა12.
- „გაჭირვებამ რა ჰქმნაო“. ROCK SMILE.
- „შაერში მოფრიალე ოცნება“. ჩუმლაყელი.
- „თოვლი იყოს მაგრამ არა ციოდეს, ციდან მწვანე დოლარები ცვიოდეს“ — ეჰ, რა მაგარი იქნებოდა, რამდენს გაახარებდა ამ კრიზისის დროს?!“ ნია.
- „ხელიდან ხელში, ეკონომიკის განვითარებისთვის“.
- „ფული — ხელის ჭუჭყი“.
- „ვისაც ასე შეუძლია, დამირეკოს, პლიზზზზ“ LUPUS-ALEX.
- „შევასწავლი ფოკუსს, მარტივი გზით“. ზესტა და-კე.
- „ეს უშველის დაქუცმაცებულ ქვეყანას და გაუბედურებულ ხალხს?!“ ტირიფი73.
- „მაგიური ძალები“. მარიშკუ.



სამყარო

მარი ჯაფარიძე

სამყარო ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, რომ ამბავი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ახალი იყო, დღეს უკვე აღარავის ახსოვს. და მაინც, მოიძებნება ისეთი უცნაური ამბები, რომელიც მუდამ ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ასეთ ამბებს არც ჩვენი ქვეყანაა მოკლებული და ამ რუბრიკით ვეცდებით, ქართულ თუ უცხოურ, უცნაურ შემთხვევაზე მოგიყვით.

უცნაური „მონყოლილო“ და ვირი, რომელის მუზეუმში დადის

რადგან უცნაურობებზე ვლაპარაკობთ, ერთი შემთხვევა გამახსენდა: ამას წინათ სიღნაღში გახლდით, პიკასოს სურათების გამოფენის სანახავად. გამოფენა მუზეუმის შენობაში გახლდათ, რომელიც ულტრათანამედროვე სტანდარტებს პასუხობს. მუზეუმის შენობა ქალაქის ცენტრში, შემალღებულ ადგილზეა. იქიდან გამოსული, ლამაზად შეფენილ კიბეზე დავეშვი და თან გარემოს ვათვალიერებდი, ხედით ვტკბებოდი, როცა მოხუცმა სიღნაღელმა გამაჩერა: შვილო, ზემოთ ჩემი ვირი ხომ არ გინახავსო? გაოცებულმა შევხედე, ნუთუ კახეთში მუზეუმში ვირებიც დადიან-მეთქი? მაგრამ მოხუცს ვერ დავეხმარე, რადგან ვირი არსად შემხვედრია. ცოტა ხანში კი ის მოხუცი თავისი ვირით წამომენია. სამახსოვრო სურათიც გადავუღე და ვკითხე, პაპავ, ვირი მუზეუმში ნახემეთქი? — ჰოო, შვილო, მა სად იქნებოდა, სუ იქა ვპოულობ ხოლმე, რაც ეგ მუზეუმი გაარემონტეს, ჩემი ლურჯა იმ ეზოდან ვერ გამამყავსო.



ვაგზლის ბაზრობას ვინ არ იცნობს? ისიც გეცოდინებათ, რომ იქ ბევრი უცნაური ამბავიც ხდება. ჰოდა, ამას წინათ ჯერ იმან გამაკვირვა, მოხუცი ბებო შუა გზაზე რომ მიდიოდა და მანქანების პიპინს ყურადღებას არ აქცევდა. ხელი მოვკიდე და ტროტუარზე გადავიყვანე. — ბებო, მანქანები რომ გიპიპინებენ, არ გესმოდა-მეთქი? — ვკითხე მას შემდეგ, რაც სამშვიდობოს გავიყვანე. — იპ, როგორ არ მესმოდა, შვილო, მაგრამ 20 წლისა რომ ვიყავი, პიპინზე მაშინაც არ ვიყურებოდი უკან და ახლა რაღატომ უნდა მიმეხედაო? მეორე უცნაური ამბავი კი ის გახლავთ, რაც სურათზეა აღბეჭდილი. მათთვის, ვისაც კულტურა არ გააჩნია და საზოგადოებაში ქცევის წესები არ იცის, ეს წარწერა ზედგამოჭრილია: „ნაგავს ნუ დაყრი, დაგინებულია“.



მაგალითად, უცნაურია, აბა რა არის, რუსთავეში, გაზის კომპანიის მიერ შემოღებული ნოვაცია: თითქმის მთელ ქალაქში, ყველა სადარბაზოში პლასტიკის შუაზე გადაჭრილი ბოთლი ჩამოაკონწილეს. რა საინტერესო და უცნაურია, რისთვის უნდა სჭირდებოდეს გაზის გამანაწილებელ კომპანიას ეს უცნაური „მონყობილობა“? რისთვის და, ინკასატორებს საქმე რომ შეუმსუბუქდეთ. სადარბაზოს მცხოვრებთათვის განკუთვნილ ქვითრებს შიგ ალაგებენ და მერე მეზობლები თვითონ ინაწილებენ. ამ „მონყობილობას“ გარედან წარწერაც ამშვენებს: „გაზის ქვითრები“, მაგრამ ამ ერთ უცნაურობას მეორეც ახლავს თან: „რელასმა“ (ენერგოკომპანია) იფიქრა, ცარიელი ბოთლების მოგროვებაში დრო რომ არ დაეკარგო, ბარემ მეც გაზის ქვითრებისთვის განკუთვნილ „მონყობილობას“ გამოვიყენებო და ახლა დენის ინკასატორებიც იქ აწყობენ ქვითრებს. წარწერა კი ჯერ არ შეუცვლიათ, ისევ ძველია, მაგრამ სავარაუდოდ, მალე ახალი გაჩნდება: „დენისა და გაზის ქვითრებისთვის“.

უცნაურია, რომ ყველაზე მოდური დიქტატორი მუამარ კადაფი ყოფილა. მან „მოდური იქტატორის“ სახელი ძვირად ღირებული „კაბების“ მიმართ სიყვარულის გამო მიიღო.




უცნაურია, რომ ყველა ჩინოვნიკს კაბინეტში, კედელზე მიხეილ სააკაშვილის სურათი აქვს მიკრული. ერთხელ ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, რისთვის სჭირდებოდა პრეზიდენტის სურათი. პასუხი: როგორ თუ რისთვის, ერთ მშვენიერ დღეს აქ რომ მოვიდესო? მაშინ მივხვდი, რატომ აქვს გაკრული ერთ ჩემს მეგობარს კედელზე ჩელენტანოს სურათი, ბებიაჩემს — კი თავისი გარდაცვლილი ქმრის.

ჩინეთში განცხადებების გამოსაქვეყნებლად ასეთ უცნაურ ხერხს მიმართეს: პეკინის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე სპეციალურად გამოყვეს ადგილი, სადაც მსურველებს შეუძლიათ, ფურცელზე დანერილი თავიანთი განცხადება ჩამოკიდონ. სწორედაც რომ ჩამოკიდონ, ვინაიდან ფურცელი თოკზე სარეცხის „შპილკით“ უნდა მიამაგრო. აქ შეგიძლია მოათავსო განცხადება იმის შესახებ, რომ ცხოვრების მეგზურს ეძებ ან ძალის ლეკვს თუ სხვა უსარგებლო ნივთს ყიდი.



NOBLE პრეზენტაციისთვის ეგზალბა

Goodwood Revival-ის ფესტივალზე, რომელიც 19-21 სექტემბერს დიდ ბრიტანეთში გაიმართება, ბრიტანული მწარმოებელი Noble სერიული წარმოებისთვის სერიულ სუპერავტოს — M600 — წარადგენს. ამ მანქანის ძრავას სიმძლავრე 650 ცხ.ძ. იქნება, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს იგი 3 წამში განავითარებს. სიახლეს მილისებური ფოლადის კარკასი, კარბონის ძარას პანელები და 4,4-ლიტრიანი ბენზინის V8 მობტორი ექნება, რომელიც იაპონურმა კომპანია „იამაჰამ“ შეიმუშავა. ამავე დროს, მანქანის სალონი დამონტაჟებული



ლი იქნება სპეციალური გადამრთველი, რომელიც მძღოლს ძრავას 450 და 550 ცხ.ძ. სიმძლავრეზე გადართვის შესაძლებლობას მისცემს. Noble-ს მონაცემებით, Graziano-ს მიერ დამზადებული 6-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მაქსიმალური სიმძლავრის მქონე სუპერავტო 160 კმ/სთ სიჩქარეს 6,5 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 650 კმ/სთ იქნება. მანქანის წონა 1275 კგ-ია. მას არ ექნება მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, ხოლო მძღოლს ტრემ-კონტროლის გამოთიშვა ბრიტანული გამადგურებლის — Tomado — მიერ დამზადებული ტუმბლური შეედლება, რომელზეც ანალოგიური გადამრთველი რაკეტებს უშვებენ. სავარაუდოდ, დიდ ბრიტანეთში Noble M600-ის ფასი დაახლოებით, 200 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება.



Leon Cupra-ს ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია

რამდენიმე დღის წინ Seat-მა ოფიციალურად წარმოადგინა ჰეჩბეკის — Leon Cupra — ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია Cupra R. მანქანის მსოფლიო პრემიერა სექტემბერში, ფრანკფურტის მოტორშოუზე შედგება. სიახლეს 2-ლიტრიანი ბენზინის 265 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ტურბომობტორი აქვს, რომელიც სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით მუშაობს და „ვერო-5“-ის ევოლოგიურად სუფთა მოთხოვნებს შეესაბამება. უნდა აღინიშნოს, რომ ჰეჩბეკის — Leon Cupra — მძლავრი ვერსიები — 310 Limited Edition (310 ცხ.ძ.) და Cupra Edition (282 ცხ.ძ.) — შეზღუდული ტირაჟით გამოდის და ხელმისაწვდომი მხოლოდ გერმანიასა და პოლანდიაშია. მოდიფიკაცია R კი ყველა ევროპულ ბაზარზე გაიყიდება. მწარმოებლის მონაცემებით, Cupra R 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,2 წამში ავი-

თარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. ამავე დროს, 100 კმ მანძილის გასავლელად მან-



ქანას 8,1 ლ სანწავი ესაჭიროება. ასეთ ჰეჩბეკს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები და 19 მმ-იანი ბორბლების დისკები უყენია. მისი ფასი ჯერ-ჯერობით უცნობია.

„პორშეს“ ახალი სუპერავტო

ცოტა ხნის წინ, კომპანია „პორშე“ განახლებული სატრეკო სუპერავტოს — 911 GT3RS — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ავტომობილი — რომელიც ფართო პუბლიკას სექტემბერში, ფრანკფურტის მოტორშოუზე წარედგინება — ექსტერიერის ორფეროვანი გაფორმება და ტიტანის გამომშვენი სისტემა შეიძინა. უკანამძრავიან მანქანას ატმოსფერული 3,8-ლიტრიანი, 450 ცხ.ძ. მქონე 6-ცილინდრიანი ძრავა აქვს, რაც 15 და 35 ცხ.ძ-ით ნაკლები სიმძლავრისაა, ვიდრე სტანდარტული Porsche 911 GT3 და RS-ის წინამორბედი ვერსია. მობტორი უშუალოდ, სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. ასეთი ავტომობილი 100 კმ/სთ სიჩქარეს

4 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 314 კმ/სთ იქნება. გარდა ამისა, სატრეკო სუპერავტოს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები, სალონი უსაფრთხოების კარკასი და 19-დუიმიანი ბორბლების დისკები აქვს, რომლებზეც 245/35 (წინა ლერძზე) და 325/30 (უკანა ლერძზე) ზომის საბურავები აყენია. აგრეთვე, კომპანია „პორშე“ კლიენტებს დამატებით, ჩვეულებრივი ტყვიის აკუმულატორის უფრო მსუბუქი ლითიუმბათონური ანალოგი შეცვლასაც სთავაზობს, რომელიც 10 კგ-ით მსუბუქი იქნება. გერმანიაში Porsche 911 GT3 RS-ის გაყიდვა 2010 წლის იანვარში დაიწყება და ავტომობილი დაახლოებით, 122.400 ევრო ელირება.

Shelby Daytona Cobra აუქციონზე გაიყიდა

კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში გამართულ აუქციონზე 1965 წელს გამოშვებული ავტომობილი Shelby Daytona Cobra 7,25 მილიონ დოლარად გაიყიდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში იტალიასა და აშშ-ში სულ 6 ასეთი მანქანა გამოშვდა. მათი მთავარი კონკურენტები იმხანად Ferrari-ს ავტოები იყვნენ, რომლებიც GT-ის რბოლებში დომინირებდნენ. გაყიდულმა ეგზემპლარმა 1965 წელს გამართულ რბოლებში, იტალიურ მონცასა და გერმანული ნიურბურგრინგის ტრასაზე ორჯერ გაიმარჯვა. 2007 წელს ამ 6 ავტომობილიდან ერთ-ერთი, ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონმა, მიხაელ შუმხერმა შეიძინა. მამინ ექსპერტებმა მანქანა 4 მილიონ დოლარად შეაფასეს.



„შანელი“ — ქალბატონის.



ეთორ ყორღანაშვილი

— ვცდილობ, მოდის ტენდენციებს არ ჩამოვრჩე: ინტერნეტში შევდივარ, ფეხსაცმლის დიზაინთან დაკავშირებულ სიახლეებს ვეცნობი, შემდეგ ფოტოს ამოვბეჭდავ ხოლმე და შესაბამის მოდელებს „ვაწყობ“. ფეხსაცმლის შესაკერად მოსულ კლიენტებს რჩევას ხშირად ვაძლევ.

ქართველები მოდის ტენდენციებს ითვალისწინებენ?

— უფრო ხშირად, მოდური ტენდენციების ქართულ რეალობასთან მორგება ხდება. ქალები უპირატესობას „შანელის“ სტილს ანიჭებენ: წინ — პლატფორმა, უკან — გრძელი, წვრილი ქუსლი. ასეთი ფეხსაცმელი ახალგაზრდებს უხდებათ და მათზე მოთხოვნილებაც დიდია.

წელს საზაფხულო ჩექმაზე თუ იყო მოთხოვნილება?

— გასულ წელს — იყო, მაგრამ ამ ზაფხულს — ნამდვილად არა. სამაგიეროდ, უკვე ზამთრის შეკვეთებს ვიღებთ, რადგან მერე იმდენი სამუშაო გვაქვს ხოლმე, რომ შეკერვას ვეღარ ვასწრებთ.

მომხმარებელმა წინასწარ იცის — ზამთარში როგორი სტილის ჩექმა თუ ფეხსაცმელი იქნება მოდაში?

— გაჭირვება მიჩვენებო, — ხომ გაგიგონია? ისეთი ტემპით მივდივართ, რომ მგონი, მალე მსოფლიოს ნამყვან დიზაინერებსაც გავუხსნრებთ (იციინის)... შემოდგომაზე მოდაში ისევ დახურული ფეხსაცმელი იქნება, მაღალ ქუსლსა და პლატფორმაზე. საქართველოში შავი ფერი კვლავ აქტუალურია, მაგრამ ბოლო დროს, ღია ფერებსაც ირჩევენ: ყვითელს, მწვანეს, ოქროსფერს... ვარდისფერი აღარ „მიდის“.

საუბრის დასაწყისში ასენეთ, — მოდური ტენდენციების ქართულ რეალობასთან მორგება ხშირად მიხდება...

— დიახ, და სხვათა შორის, ეს ფეხსაცმლის ქსოვილებზეც აისახება: ზოგადად, მოდური სტილი შენარჩუნებულია, მაგრამ

ელშარდ მარაპრიანს ქალაქში ედიკას სახელით იცნობენ. უკვე 25 წელია, რაც ფეხსაცმლის კერვას მისდევს. კარგად ერკვევა მოდის ტენდენციებში, სხვადასხვა ადამიანის გემოვნებაში და შედეგად, ისეთ ნაწარმს ქმნის, რომელიც ქართველი მომხმარებლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ედიკას შემოდგომის მოდაზე სალაპარაკოდ ვენვიც.

ქართველები უპირატესობას ნაქსოვ ფეხსაცმელს ანიჭებენ და მათ ნაციონალური დეტალებით, ორნამენტებით აფორმებენ.

მოდი, მამაკაცების ფეხსაცმელებსაც შეეხებო?

— ადრე მოდაში ისეთი ფეხსაცმელი იყო, რომელსაც „ამოვარდნილი“ ცხვირი ჰქონდა, ახლა კი ელეგანტური სტილი შემოდის — საშუალო ზომის ცხვირით, თასებით. ფერები მუქია — ყავისფერი ან შავი. საქართველოში ხარისხიანი და ლამაზი ფეხსაცმელი ფასობს, რადგანაც ქართველები ადამიანის გაცნობას მისი ფეხსაცმლის შეთვალეობით იწყებენ. როცა კლიენტი მოდის, მის მოთხოვნილებებსა და მატერიალურ შესაძლებლობებს წინასწარ ვითვალისწინებ. 3 წელი საბერძნეთში ვმუშაობდი. სულ მეჩხუბებოდნენ: — საქმეს ხარისხიანად ნუ აკეთებ, თორემ უსაქმოდ დავრჩებითო. საქართველოში ხარისხზე მოთხოვნა დიდია.

პრეტენზიული კლიენტები გყავთ?

— მე უკვე ერთგული კლიენტები მყავს და ძირითადად, მათთვის ვმუშაობ, უცხოურს კი იშვიათად ვემსახურები, ამისთვის დრო არ მრჩება. თანაც, უცხო ადამიანთან მუშაობა ძნელია. მაგალითად, ამას წინათ ექიმი კაცი მესტუმრა. ზუსტად ისეთი ფეხსაცმლის შეკერვა მთხოვა, როგორიც ერთ-ერთ ფოტოზე იყო გამოსახული. მისი მოთხოვნა შევასრულე, მაგრამ მითხრა: ფეხსაცმელს ფართო ცხვირი აქვს, მე კი უფრო ვიწრო მინდაო. დაწუნებული ნამუშევარი თაროზე შემოვდე და არ დავავინროე, რადგან ჩემი აზრით, იმ ფეხსაცმელს სწორედ ისეთი ცხვირი ჰქონდა, როგორიც უხდებოდა.

ფეხსაცმელების მიხედვით ადამიანის „გაცნობას“ იოლად ახერხებთ?



— კი. მაგალითად, ამის მიხედვით შემოიღია გამოვიცნო, ვინ სად მუშაობს ან როგორი ხასიათი აქვს. პოლიციელები დაბალძირიან, შავთასებიან ფეხსაცმელებს ითხოვენ — ეს მათი სტილია. ფეხსაცმელი პირველ რიგში, შენს სამოსს უნდა უხდებოდეს და გაჭირვების დროს, გამოსასვლელ დღეებშიც გამოგადგეს (იციინის).

თქვენთან კიდევ რა პროფესიის ადამიანები მოდიან და როგორი მოთხოვნილებები აქვთ?

— მღვდლებით დავიწყებ: დაახლოებით, 6 სასულიერო პირი იკურავს ჩემთან ფეხსაცმელს; მათთვის უბრალო სტილია აქტუალური. ისეთი ფეხსაცმლის შეკერვას მთხოვენ, რომელიც სიარულისას არ იხმაურებს; მთაში სასიარულოდ კი დაბალყელიან ჩექმებს ვუკერავ, გვერდებზე რეზინებს ვუკერებ, თასების შეკერვისას დრო რომ არ დაკარგონ... ადრე, მერიის თანამშრომლებისთვის ფეხსაცმელს რკინის ქუსლებს ვაჭედებდი, ახლა კი მათაც რბილი მასალა ურჩევნიათ, რომ არ იხმაუროს. განსაკუთრებული მოთხოვნილება ნამდვილ ტყავზეა. ქართველ მომხმარებელს მისი შემცველი არ მოსწონს. ბევრმა ნამდვილი ტყავის მოვლა არ იცის: თურქულ ღრუბელს უსვამს, რომელიც ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც ტყავს ახმობს და აფუჭებს. ტყავის ფეხსაცმლის მოსავლეად „ემულისონი“ უნდა გამოიყენონ.

ეი. შემოდგომაზე ტყავის ფეხსაცმელებიც აქტუალური იქნება?

— დიახ, და ასევე — ქსოვილის ჩექმები, ე.წ. „ტანკეტა“ ძირზე.

ფეხსაცმელს ბავშვებისთვისაც კერავთ?

— რა თქმა უნდა! — პატარები რამდენად პრეტენზიული კლიენტები არიან?

— ძირითადად მთხოვენ, რომ ფეხსაცმელს ვაშლის ან მსხლის ფორმის ქსოვილი მივაკერო. ჰოდა, მეც ვკერავ ტყავის ვაშლებს, მსხლებს და ერთხელ, ამის გამო, ერთი ბავშვის მამამ 3-ჯერ მეტი თანხა გადაამისადა (იციინის).

კარგი ფეხსაცმლის შეკერვა საშუალოდ, რამდენი ჯდება?

— უფროსებისთვის — დაახლოებით, 100 ლარი, ბავშვებისთვის — 60. ხალხს ფული არა აქვს, თორემ გემოვნებას ნამდვილად არ უჩივის, მით უმეტეს — ფეხსაცმლის შერჩევისას.

ინგა ჯაყელი

100 წელს მიღწეულ ცუცა ბებოს პასპორტის მიხედვით რომ პროკლამაცია ერქვა, ეს მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა მადლიერმა შთამომავლებმა საფლავზე მარმარილოს ქვა დაუდგეს და წარწერაც შესაბამისი გაუკეთეს: „არასოდეს დავივიწყებთ ჩვენი ოჯახის დედაბოძს — უსაყვარლეს ქალბატონ პროკლამაციას...“ გვარს აღარ დავაზუსტებ, რათა მისი ჭირისუფლები არ გავალიზინაო. მათ შორის, ჩემს მეგობარ ეკასაც ვგულისხმობ, რადგანაც სხეულები მოხუცი მისი დიდი ბებია გახლდათ.

— ალბათ, მამამისი ცნობილი რევოლუციონერი თუ არა, ბოლშევიკების აქტიური მომხრე მანც იყო, არა?! — ვკითხე ეკას, საფლავის წინ მდგომმა.

— რევოლუციონერი, არა! — ხელი აიქნია ჩემმა მეგობარმა. — ალბათ, რაჭის მთებში ჩაკარგულ სოფელში მყოფმა ისიც კი არ იცოდა, რევოლუცია თუ ხდებოდა სადმე და მით უმეტეს, სიტყვა „პროკლამაცია“ რა ჯანდაბას ნიშნავდა. უბრალოდ, შვილი არ ჰყოლია 9 წელიწადი და ისე გახარებით ცხოვრების დაბადება, ცოლქმარს თავიანთი სახელები გაუერთიანებია — მამას პროკლე ერქვა, დედას — მაცია, ჰოდა — ასე მიიღეს „პროკლამაცია“...

ამ ამბავმა ჩემი თანაკლასელის ტანჯვა გამახსენა: თუ კარგ ხასიათზე ვიყავით, ზურას, თუ გაგვბრაზებდა — გასამწარებლად, ლიაზურს ვეძახდით, რადგან ყურნალში სწორედ ასე იყო მოხსენიებული და ეს უცნაური სახელიც დედ-მამის „გაერთიანების“ შედეგად მიუღიათ: დედას ლია ერქვა, მამას — ზურაბი... „სანყალმა“ სრულწლოვნების ასაკს მიაღწია თუ არა, პირველი, რაც მოიმოქმედა, სახელი შეიცვალა — თანაც, რატომღაც, სრულიად განსხვავებული — „დავითი“ დაირქვა და არა — „ზურაბი“; „ზ“-ს და „ლ“-ს დღემდე ვერ ვიტანო, გვიმტკიცებს...

რალა შორს წავიდე და ბარემ, პირად პრობლემასაც მოგახსენებთ — თქვენ გგონიათ, „ნამდვილი“ ინგა ვარ? სულაც არა! მე რომ დავბადებულვარ, მამაჩემი ჯერ ისევე დაკარგულ სიყვარულს მისტიროდა თურმე, რომელიც რუსეთში მიატოვებინეს ახლობლებმა: რუსის კახპას სახლში არ შემოგაყვანიებთო! — ჰოდა, მაშინ გავრცელებული სახელების ნაცვლად, მამის ბიუროში დაბადების მოწმობის ასაღებად მისულ მამაჩემს, დაკარგული სიყვარულის „უკვდავსაყოფად“, სწორედ იმ რუსის სახელი დაურქმევია ჩემთვის... არა, არც ისე ცუდი სახელია, მაგრამ ყელიც რომ გამოიგლიჯოთ მისი ძახილით, არანაირი რეაქცია არ მექნება და არც მოგხედავთ, რადგან გაბრაზებულ დედას და მაშინ ჯერ კიდევ გასათხოვარ დეიდებს, რომლებსთვისაც ნანატრი პირველი ბავშვი და თოჯინაც ვიყავი, ერთხელაც არ მოუშრითათვით ოფიციალურად — შემარქვეს ინგა და მორჩა, წავიდა-ა!.. პასპორტში სახელის გამოცვლა კი აზრადაც არ მომსვლია. ამით მამას თავისებური სოლი-

რახე ფიქრობდა ნათლია?!

დარობა გამოვუცხადე, რასაც დედა დღემდე არ მპატიობს და თუ რაიმე შემთხვევა, სწორედ იმ სახელით მომმართავს — სხვას რას უნდა ველოდეთ შენგანო?!

ისე, მამაჩემის სახელიც კურობია. ბებიაჩემი ძველი

„გიმნაზისტკაც“ იყო და იმდენად ამაყობდა თავისი განათლებით, რომ თავს გამორჩეულად მიიჩნევდა — არც შვილებს აკადრავ ჩვეულებრივი სახელები: ქალიშვილს ლუშა დაარქვა, ვაჟს — იაღდი: დღემდე არ ვიცით, საიდან მოიტანა და რას უნდა ნიშნავდეს. ეტყობა, ამ სახელს ვერც იმ სკოლის დირექტორმა გაუგო რაიმე, სადაც მამაჩემი მიაბარეს და იაღდი რაჟდენად გადაუკეთეს ოფიციალურ საბუთებში, რასაც მამაჩემის ბებიის პროტესტი მოჰყოლია და რადგან საყვარელ შვილიშვილს ასე „ორიგინალურად“ უჩლექდა ენას: „ჩემი იმედი და მომავალი, ჩემი კუკურებიანი (სქესს გულისხმობდა აშკარად!) ბიჭი!“ — შერჩა და შერჩა ეს სახელი: სადაც უნდა მივიდე, განსაკუთრებით რაჭაში, ყველა ღიმილით მიკრავს გულში: „შენ ჩვენი კუკურიკას გოგუნა არა ხარ, ბოშო?!“ — რის იაღდი და რა რაჟდენი?!

ისე, კუკურიკს საკმაოდ გავრცელებული სახელი აღმოჩნდა მამაჩემის თაობაში, ოღონდ რატომღაც, სხვა, „ნამდვილი“ სახელიც ჰქონდა ყველას, მამაჩემივით. ასე აღმოვაჩინე: ავთანდილ-კუკური, ზაური-კუკური, ალექსანდრე-კუკური და ა.შ. კიდევ უარესი — გურიამი: ყოველ მეორე ცხენს კუკურის არქმევენ რატომღაც, მაგრამ ეს უფრო მისაღებია ალბათ.

...პროკლამაცია ბებიას დაფუბრუნდები ისევე, რადგან მისმა სახელმა მიბიძგა, ამ თემით დავინტერესებულყავი და მარტო იმ სასაფლაოზე წავანყდი ორ ისეთ უცნაურობას, სხვაგან არსად რომ არ გამოგონია და არც თქვენ გეცნებათ მოსმენილი, ეჭვიც არ მეპარება: ბატონი დრაკონ ლეჟავა 1949 წელს გარდაცვლილა და ნეტავ, იმ დროს მანც საიდან მოიტანა მისმა ნათლიამ ეს უცნაური სიტყვა, როცა ქართულ ზღაპრებში (თუ მათ დაესესხა), რა თქმა უნდა, ჯერ ისევე გველემუაობდა გველემაში?!

აი, 1971 წელს გარდაცვლილ ქალბატონს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ტაყუნა რქმევია და ჩემმა მეგობარმა ეკამ მწარედ იხუმრა:

— ალბათ, ამ სახელის სირცხვილმა მოუღო ბოლო...



ისე, არც ტაკუნას ქმარს რქმევია ნაკლებად უცნაური სახელი: ლენსტალბერი. თუმცა ამ სახელის ისტორია მანც ცნობილია, ასე თუ ისე: ლენინის, სტალინისა და ბერიას აბრევიატურაა...

როცა საფლავების წინ „გაკრეჩილები“ დაგვინახა, სისონა ბიძიამ ჯერ დაგვტუქსა და მერე, ვერც თავად შეიკავა თავი:

— თქვენ ჩვენსას უნდა ნახოთ, გურიამი, იმფერ სახელებს გეიგონებთ, ყურში არ შეიშვება. მარტვა ჩემი ბიძაშვილი რამდენს აგინებდა ნათლიამისს, რომელმაც „ქართუსი“ დაარქვა მხოლოდ იმიტომ, რომ მამით ქართველი იყო და დედით რუსი...

მერე სისონა ბიძიამ კიდევ ერთი გურული დაგვანახა, რომელიც რაჭაში ჩამოვიდა, პროკლამაციის დასაფასებლად, წლისთავზე:

— იმ კაცს ხო იცნობ? — მკითხა.

— რეზო ბიძიას? — შევუბრუნე კითხვა.

— რეზო თავათ დეირქვა, ჭკუაში რო ჩავარდა მას შემდეგ, თვარა, პასპორტში ფერმა ჰქვია...

— ფერმა საქონლის გამიგონია მე! — თვალეში შუბლზე აუვიდა ეკას.

— ჰოდა, მაგი რომ დეიბადა, სწორედ საქონლის ფერმის გამეც იყო მამამისი დიჟონა...

— დიჟონა რალა უბედურებაა?! — ახლა მე გავიგიჟე თავი.

— რა ვიცი მე, ასე კი ერქვა იმ ცხოველებს და...

...რადგან საფურნალე მასალა მეტს ვერ აიტანს, ახლა აქ დავასრულებ — თუმცა, ისე გამოიტაცა უცნაური სახელების „კვლევამ“, შეიძლება, გაგრძელებაც შემოგთავაზოთ უახლოეს ხანებში...

P.S. ნეტავ, ახლანდელ ბავშვებსაც ხომ არ არქმევს ვინმე ედმიშოს (ედუარდმიშა), გვარგამს (გვარამიანათლება) და ა.შ.?! ქართველებისგან არც ეს იქნება გასაკვირი...

10 მითი სილამაზის შესახებ

რა გიშლით ხელს, იმაზე უკეთ გამოიყურებოდეთ, ვიდრე ხართ? დროის დეფიციტი? უსახსრობა? — არა, ყველაზე ხშირად, სურვილის არქონა და მცდარი შეხედულებები. არსებობს რამდენიმე მცდარი მოსაზრება, რომელიც სასურველია გაითვალისწინოთ, რათა ლამაზები და მოხდენილები იყოთ.

ივარჯიშეთ და წონაში დაიკლებთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნეველი ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ — მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

საუნაში ზედმეტ წონას დაკარგავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები“ ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გახდებით

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშემწყობია.

ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ აკონტროლებთ კვების რაციონს, არ შეზღუდეთ ცხიმებისა და შაქრის მიღება.

რაც უფრო იზვიათად ჭამთ, მით მალე იკლებთ

ადამიანი დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს; ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უწევს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ვეღარ ახერხებს



ზედმეტი კალორიების დანვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესამჩნევი მატება დაეცყოთ.

ხილი არ ასუქებს

ნებისმიერი ხილი შაქარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ეხმარება“ ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე პურეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამიტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ყოლო, მარწყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც შაქრით საკმაოდ მდიდარი, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელინს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმების წვას უწყობს ხელს.

ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები, სხეულის ისეთ ადგილებში

გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა, ან ისინი ფერსა და ზომას იცვლის, აუცილებლად უნდა მოიცილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

დეკორატიული კოსმეტიკა კანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზეა დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელ, მოვლილ კანს კოსმეტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

ტონალური კრემი და მაკიაჟის ქვეშ გაკეთებული დამცავი საფარი, კანს სუნთქვას უშლის

თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ არანაირად არ შეიძლება კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი მეშვეობით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მავნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

A ვიტამინი ხარისხიანი ნამზერის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზერურთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს მცდარი მოსაზრება შესაძლებელია, იქიდან ნარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამოწვეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს — შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანს ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმიკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს. ■

სარეცხი ფხვნილი და ალერგიული რეაქცია

სინთეტიკური სარეცხი ფხვნილები კარგად რეცხავს, აცილებს ლაქებს და დეზინფექციას უკეთებს თეთრეულს. ყველა გასაყიდი ფხვნილი წინასწარ შემოწმებულია და თუ მათ სწორად მოიხმართ, არავითარი საშიშროება არ მოგელით... აუცილებლად დაცავით ინსტრუქცია, რომელიც სარეცხი ფხვნილის ყუთს აწერია. იქ მითითებულია, თუ რა რაოდენობის ფხვნილი უნდა ამოიღოთ. არასოდეს ჩაყაროთ იგი თვალის ზომით: გადაჭარბებულმა დოზამ, შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს. განსაკუთრებული სიფრთხილე ფხვნილზე ქალებს მართებთ. ფხვნილი, რომელიც სარეცხი მანქანებისთვის არის გათვალისწინებული, არ გამოიყენოთ ხელით რეცხვისას და არავითარ შემთხვევაში — ჭურჭლის გასარეცხად.



თეთრეულის ჰიგიენურ თვისებებზე გავლენას ახდენს რეცხვის მეთოდი. თუ რეცხავთ სარეცხი საბინით ხისტ წყალში და გარეცხილს მამინვე ცივ წყალში ავლებთ, ქსოვილი გაუხსნელი საბინის წვრილი, თეთრი ნაწილაკებით იფარება. ეს ხისტ წყლის ბრალია. მისი დარბილება კი შესაძლებელია საჭმელი და სარეცხი სოდის თანაბარი რაოდენობის ნარევით (1 ჩ/ვ ნარევი — 1 ლ წყალზე) ან ნიშადურის სპირტით (1 ჩ/ვ ნიშადურის სპირტი — 1 ლ წყალზე).

რეცხვის ზოგიერთი მეთოდი ცუდად მოქმედებს ქსოვილზე — მაგალითად: მაღალი ტემპერატურა, მექანიკური ზემოქმედება, ხეხვა, გაჭიმვა.

შალსა და აბრეშუმს ტუტის ზემოქმედებით, მაღალ ტემპერატურაზე პენი ეკარგება. ხელოვნური აბრეშუმი (ვისკოზური) წყალში დასველებისას კარგავს სიმამრეს. ამიტომ ძალზე ფრთხილად უნდა გაირეცხოს და ასევე ფრთხილად გაინუროს.

სინთეტიკური ქსოვილის ბოჭკოები (ნეილონი, ლავსანი) მაღალ ტემპერატურაზე რბილდება, იწელება და მისგან შეკერილ ტანსაცმელს ფორმა ეკარგება. ამიტომ ეს ქსოვილები 60 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურის წყალში უნდა გარეცხოთ და 100-120 გრადუსამდე გაცხელებული უთოთი დააუთოოთ.

სარეცხი მანქანით სარგებლობისას წინასწარ დაახარისხეთ თეთრეული ფერისა და ქსოვილის მიხედვით.

ბამბისა და სელის ქსოვილები შეიძლება ერთად გაირეცხოს; ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისგან, ასევე — სინთეტიკური ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილები კი — ერთად.

შალის ქსოვილები სასურველია, მიიტანოთ ქიმიწმენდაში ან ხელით გარეცხოთ.

ხელებზე ფხვნილის ნაწილაკების დარჩენისას, მოსალოდნელია კანის სიმშრალე, ქავილი და ანთებაც კი. თუ მიზეზიანი კანი გაქვთ, რეცხვის წინ სპეციალური კრემი წაისვით ან თხელი, რეზინის ხელთათმანები გაიკეთეთ. როცა რეცხვას მორჩებით, ხელები საბინით დაიბანეთ და დამარბილებელი მალამო შეიზილეთ. ფხვნილის ნაწილაკები სასუნთქ გზებში რომ არ შეგჭვრათ, ვარცლში (ან მანქანაში) მისი ჩაყრისას ძალიან ნუ გადაიხრებით. როცა რეცხვას დაასრულებთ, აუცილებელია, პირსა და ყელში წყალი გამოივლოთ და სამრეცხაო გაანიავოთ.

თუ ცხვირში გაჭედვის შეგრძნება, ცემინება, ლორწოვანი გამონადენი, ყელში ქავილი, მშრალი ხველა, თვლების წვა და ცრემლის დენა დაგეწყით, ეს უკვე ალერგიული რეაქციის ნიშნებია და საჭიროა, მამინვე შეწყვიტოთ ფხვნილის ხმარება. შემდგომში კი სხვა სარეცხი ფხვნილი ან სულაც მხოლოდ სარეცხი საპონი გამოიყენეთ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ სარეცხი ფხვნილი ქსოვილზე ილექება, ამიტომ (ხელით რეცხვის შემთხვევაში) იგი რამდენჯერმე გაავლეთ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში. ბუნებრივი ქსოვილი უფრო დიდხანს ავლეთ, რადგან ფხვნილი მას უფრო ძნელად შორდება, ვიდრე სინთეტიკურს.

ბარეცხვის წესები

ჰაერგამტარობის მხრივ, პირველი ადგილი უჭირავს ბამბას. შემდეგ მოდის, სელის, აბრეშუმის და სინთეტიკური მასალები.

სინთეტიკური და ნატურალური ქსოვილების გაჭუჭყიანების ხარისხის შედარებამ დაგვანახვა, რომ სინთეტიკური ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმელი შედარებით გვიან ჭუჭყიანდება. ამავე დროს, აქვს სტატიკური ელექტროდენის მუხტების დაგროვების უნარი, რის გამოც, მტვრის უმცირეს ნაწილაკებს იზიდავს.

7-10 დღის გაურეცხავი ბამბულის ჭუჭყის 4-5% ორგანული და მინერალური ნარმოზობისაა, რის გამოც ქსოვილის ჰაერგამტარობა შესამჩნევად იკლებს, ამიტომ ბამბის თეთრეული რეკომენდებულია, გაირეცხოს კვირაში ერთხელ; ნატურალური, ნარევი ბოჭკოებისგან დამზადებული ტანსაცმელი ხმარებიდან — მე-2, მე-3 დღეს; ნეილონის წინდები, მამაკაცის სინთეტიკური ქსოვილის პერანგები და ქალის ბლუზები კი სასურველია, ყოველდღე გაირეცხოს.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

არასის და წიგნების პაპირბუღალის სააგენტო „ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1კვ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИИ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ქ. თბილისი, თბილისის ქ. 7648
 ტელ: 38-26-72; 38-26-74
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@elvispajira.com

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილი

პირველი ქრისტიანული დღესასწაულები, სიწმიდეთა თაყვანისცემა და კველი ქრისტიანების სხოველების წესი

შორენა მერკვილაძე

განვადგინოთ საუბარს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით. გვესაუბრება არქიმანდრიტი მასარი (ბაშაძე).

— პირველი ქრისტიანები საეკლესიო, სასულიერო დღესასწაულებსაც თუ აღნიშნავდნენ?

— ცხადია, აღნიშნავდნენ, მაგრამ ქრისტიანობის პირველ წლებში მხოლოდ მაცხოვრისა და ყოველდღიური ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სულიერი მოვლენები აღინიშნებოდა. შემდგომში, პირველივე ათწლეულში დაიწყო ქრისტიანთა დევნა და ეკლესიამ ბევრი მონამე შეიძინა. აღესრულნენ მოციქულები და თანდათანობით დაარსდა მოციქულთა და მონამეთა მოსახსენიებელი დღესასწაულები. რაც უფრო ბევრი დრო გადიოდა და ქრისტიანულ ეკლესიას „ასაკი ემატებოდა“, მით უფრო იმატებდა საეკლესიო დღესასწაულების რიცხვიც. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორც სახითაც დღეს არსებობს.

როგორც ვიცით, ქრისტიანული თემი — ქრისტეს მიმდევართა კრებული თავიდან მხოლოდ იერუსალიმში არსებობდა, მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული ადგილებიც იერუსალიმშია და დღესასწაულებსაც იმ ადგილებზე აღნიშნავდნენ, სადაც უშუალოდ ესა თუ ის მნიშვნელოვანი სულიერი მოვლენა აღესრულა. მაგალითად, აღდგომას იმ ადგილზე დღესასწაულობდნენ, სადაც მკვდრეთით აღდგა მაცხოვარი, შობას — ქრისტეს შობის ადგილას, ამაღლებას — ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ამაღლდა ზეცად უფალი ანუ — უშუალო კავშირში იყო ერთმანეთთან ადგილები და სულიერი მოვლენები. აქედან ჩამოყალიბდა პირველი ლიტურგიკული ტიპიკონები, შემდგომში კი ისინი ნელ-ნელა, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად მსოფლიოს სხვა ადგილებშიც გავრცელდა, მაგრამ ქმედებებით ოდნავ განსხვავებული სახით დამკვიდრდა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, იერუსალიმში მსახურება აღესრულება ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სხვა ეკლესიებში კი მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებს სიმბოლურად განასახიერებენ. მაგალითად, როდესაც იერუსალიმში უფლის გარდამოსნას იხსენიებენ, ქრისტეს ჯვარცმის ადგილიდან — გოლგოთიდან იმ ადგილისკენ მიემუხრებიან, სადაც უშუალოდ გარდამოსნეს ჯვრიდან მაცხოვარი და ყველაფერი ისე აღესრულება, როგორც რეალობაში მოხდა, ხოლო სხვა ტაძარში ამ მოვლენის



მოსხენება ასე ხდება — გარდამოსნას საკურთხეველიდან გამოაბრძანებენ და ტაძრის შუაგულში დააბრძანებენ...

— ქრისტიანობის პირველივე წლებიდან ხატთა თაყვანისცემაც ხომ არსებობდა?

— სინამდვილეს თაყვანისცემა ქრისტიანობამდე, ძველი აღთქმის პერიოდშიც არსებობდა. ვიცით, რომ ებრაელებს ჰქონდათ აღთქმის კიდობანი, რაც უდიდეს სინამდვილეს წარმოადგენდა. „ძველი აღთქმიდან“ ცნობილია ასეთი შემთხვევა: ერთხელ, როდესაც ებრაელებს აღთქმის კიდობანი გადაჰქონდათ, ის შეირყა ისე, თითქოს, ვარდებოდა. მას ხელი შეაშველა ერთერთმა ერისკაცმა (ერისკაცს ამის უფლება არ ჰქონდა) და ის სინამდვილესთან უღირსად მიახლებსთვის ადგილზევე დაინვა. ასევე, სოლომონის ტაძარში იდგა ქერუბიმთა — ანგელოზთა გამოსახულებები.

სინამდვილეს თაყვანისცემა ახალ აღთქმამდე, ქრისტიანობის პირველივე წლებიდან დაიწყო. ქრისტიანთა პირველი თაყვანისცემის საგანი იყო ცხოველისმყოფელი და პატიოსანი ჯვარი უფლისა, რომელზეც ეწყო მაცხოვარი. თაყვანის ცემდნენ წმინდა გამოსახულებებს — ხატებსაც. გადმოცემით ვიცით, რომ პირველი ხელთუქმნილი ხატი უფლისა მაცხოვრის სიციცხლშივე შეიქმნა ასევე, ქრისტიანობის პირველ წლებში შეიქმნა ღვთისმშობლის ხელთუქმნილი ხატიც, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში შემოაბრძანა და ის აწყურის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი. მოციქულთა ხანაში წმინდა გამოსახულებებიც იქმნებოდა. ვიცით, რომ პირველი ხატმწერი იყო ლუკა მახარებელი, რომელმაც ათეულო-

ბით ხატი შექმნა. გადმოცემის მიხედვით, ლუკა მახარებლის დაწერილია ივერიის ღვთისმშობლის ხატიც. მის მიერ შექმნილი რამდენიმე ათეული ხატი თანამედროვე პერიოდამდეა შემორჩენილი. თავიდან, ძირითადად, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის, ასევე, ბიბლიური მოვლენების ამსახველი ხატები იქმნებოდა, ხოლო მოციქულთა აღსრულების შემდეგ მათი ხატებიც შეიქმნა. ასევე, წერდნენ იმ ადამიანების გამოსახულებებსაც, რომლებიც წმინდა ცხოვრებით აღესრულნენ — ზოგი მონამებრივად, ზოგმა კი მოციქულბერივით ღვანლი იტვირთა... დაიწყო ფრესკული ხატწერაც და ის ნელ-ნელა, დღეისათვის არსებული სახით ჩამოყალიბდა.

ვიცით ასევე კატაკომბური ეკლესიის ხატწერის შესახებ, რომელიც იყო სიმბოლიზებული — კატაკომბების კედლებზე სინამდვილეს სიმბოლურად გამოისახებოდა. ამას უმეტესწილად, რომში აკეთებდნენ, სადაც ყველაზე მეტად იდევნებოდნენ ქრისტიანები, რადგან რომი იყო დედაქალაქი, რომის იმპერიის ცენტრი. აქ ყველაზე მეტი კონტროლი ხდებოდა იმ კანონების აღსრულებაზე, რომელსაც გამოსცემდა რომის იმპერია, რომის იმპერატორები. ქრისტიანთა დევნის დასრულების შემდეგ, კატაკომბური ხატწერაც გაქრა, რადგან სინამდვილეს სიმბოლოებით გამოსახვა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.

ქრისტიანობის პირველივე საუკუნიდან წმინდა ნაწილების თაყვანისცემაც დაიწყო. ქრისტიანთა დევნის პერიოდში მრავალი ადამიანი აღესრულა მონამებრივად. ნამების შემდეგ, მარტვილთა ნეშტებს იქვე ტოვებდნენ ან ცხოველებს უგდებდნენ საჯიჯგნად. ქრისტიანები ღამით, მალულად



ახერხებდნენ მონამეთა ნეშტების თუ სხეულის ცალკეული ნაწილების აღებას და ისინი უსაფრთხო ადგილას — უმეტესწილად, კატაკომბებში მიჰქონდათ დასაკრძალავად. საღმრთო ლიტურგიას წმინდა მონამეთა საფლავებზე ატარებდნენ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქრისტიანთა დევნა შეწყდა და წმინდანთა წმიდა ნაწილების თაყვანისცემა უკვე დაუფარავად ხდებოდა. მორწმუნენი ადრე ნანამებ წმინდანთა ნაწილებს მოიძიებდნენ და სადღესასწაულო ვითარებაში, სხვადასხვა ტაძარში გადააბრძანებდნენ ხოლმე. წმინდა ნაწილებზე საღმრთო ლიტურგიის აღსრულების ჩვეულება დღემდე არსებობს. ერთ-ერთ საღვთისმსახურეო ნივთში — ოდიკის შუაგულში, რომელიც საღმრთო ლიტურგიის დროს გამოიყენება, გამოკერებულია რომელიმე წმინდანის ნაწილი. ოდიკი ტრაპეზზე, წმინდა ბარძიმის ქვესაფენელია, რომლის გარეშეც ღვთისმსახურების აღსრულება დაუშვებელია.

— საინტერესოა, რატომ არის ცნობილი მხოლოდ რომის იმპერიაში მომხდარი, ქრისტიანთა სხვადასხვაგვარი დევნის შესახებ — ქრისტიანები მხოლოდ რომის იმპერიის ტერიტორიაზე იდევნებოდნენ?

— რომის იმპერიის გარეთაც, ბარბაროსებს შორისაც უამრავი ადამიანი აღსრულა მონამებრივად. უბრალოდ, რომის იმპერიას იმდროინდელი მსოფლიოს ელიტური ნაწილი ჰქონდა დაკავებული. იმ პერიოდში არსებობდა ინდოეთის, სპარსეთის, ჩინეთის სახელმწიფოებიც, სადაც პირველივე საუკუნეში იქადაგეს მოციქულებმა და გაჩნდა ქრისტიანთა კრებულებიც, მაგრამ შემდგომ, სწორედ ქრისტიანთა სასტიკი დევნის გამო, ქრისტიანული თემები სრულიად განადგურდა. ვიცით სპარსელი და ინდოელი მონამეების შესახებაც, მაგრამ გაცილებით მეტი ინფორმაცია გვაქვს რომის იმპერიაზე, რადგანაც მართლმადიდებლური ეკლესიების ძირითადი ნაწილი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში არსებობს, რომის იმპერიის ტერიტორიაზე შემორჩა და სწორედ ამ ეკლესიებმა ჩანერეს თავიანთი ისტორია, რამაც ჩვენამდე წერილობითი სახით მოაღწია. იმ ეკლესიების შესახებ კი, რომლებიც სპარსეთის ან ინდოეთის ტერიტორიაზე იყო და დღეს აღარ არსებობს, მხოლოდ მწირი ცნობებია შემორჩენილი, რადგანაც ტაძრების კედლების გაქრობასთან ერთად, ამ ეკლესიების ისტორიაც გაქრა.

— პირველი მძლავრი ქრისტიანული კერებიც რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ანტიოქიის, ალექსანდრიისა და რომის ეკლესიების სახით გაჩნდა, შემდეგ კი ისინი ადმინისტრაციულ-სულიერი მმართველობის ცენტრებად ჩამოყალიბდა. ამ საკითხის შესახებაც ვისაუბროთ...

— როგორც ვთქვით, იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ ანტიოქიისა და ალექსანდრიის, რამდენიმე ხნის მერე კი რომის

ეკლესიაც დაარსდა და ისინი მძლავრი ქრისტიანული ცენტრების სახით ჩამოყალიბდა. რომი იყო თავად რომის იმპერიის დედაქალაქი, ანტიოქია — აღმოსავლეთ რომის პროვინციების დედაქალაქი, ხოლო ალექსანდრია — რომის იმპერიის პროვინციების დედაქალაქი. ეს ადგილები იყო მსოფლიოს ცივილიზაციის კერები, სადაც საზოგადოების უდიდესი ელიტური ნაწილი გახლდათ თავმოყრილი და თავისთავად, ამ ადგილებში, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ეკლესიებიც ადმინისტრაციულ-სულიერი მმართველობის ცენტრებად ჩამოყალიბდა. ანტიოქიის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქების ეპისკოპოსები, ქრისტიანთა კრებული ანტიოქიის ეკლესიას, მის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, ემორჩილებოდა და ასევე იყო ალექსანდრიასა თუ რომშიც. რაც შეეხება იერუსალიმის ეკლესიას (საიდანაც წამოვიდა ქრისტიანობა), როგორც დედა ყველა ეკლესიისა, პატივით გაუთანაბრდა ანტიოქიის, ალექსანდრიისა და რომის ეკლესიებს, ხოლო შემდგომში, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და კონსტანტინე დიდმა რომიდან დედაქალაქი ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლში გადმოიტანა, კონსტანტინოპოლის ეკლესიაც მძლავრ ადმინისტრაციულ-სულიერ ცენტრად ჩამოყალიბდა და პატივით გაუთანაბრდა ანტიოქი-

ამაოებებზე — მინიერ ფუფუნებასა და გართობაზე ფიქრობდნენ, ქრისტიანები კი — პირიქით, თითქმის სრულად უარყოფდნენ ამქვეყნიურ ამაოებებს, ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობდნენ, მხოლოდ აუცილებელ საჭიროებათა მოპოვებაზე ფიქრობდნენ და უმეტესწილად, სულის საცხოვნებელი საქმეებით იყვნენ დაკავებული. ამან ქრისტიანული საზოგადოების გაუბრალოება გამოიწვია, კარგი გაგებით. ქრისტიანები გარეგნულადაც ძალზე მოკრძალებულად, უბრალოდ გამოიყურებოდნენ და არ ჰქონდათ ისეთი მოთხოვნილებები, როგორც წარმართებს. ქრისტიანობაში ყველაფერი წარმართული გაქრა. ძველ ქრისტიანთა ცხოვრების შესახებ ერთ-ერთი წყარო გვამცნობს: „ძველი ქრისტიანები მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. მათთვის უცხო იყო ღორმუცელობა და ლოთობა, გაუბრუნდნენ ნუგბარ საქმელებს, სვამდნენ და ჭამდნენ მხოლოდ იმდენს, რამდენიც სასიცოცხლოდ იყო საჭირო. ისინი არც ჩაცმა-დახურვაში მისდევდნენ ფუფუნებას, არ იკეთებდნენ არანაირ სამკაულს, იცვამდნენ ძალიან უბრალოდ. მთავარი იყო, სხეული სიცივისა და სიშველისგან დაეფარათ. ქრისტიანი ქალები არ იცხებდნენ სახეზე მაღამოებს, არ იღებავდნენ თმას, არც ლოყებს და წარბებს იფერავდნენ წარმართი ქალებივით, არ ირთვებოდნენ ოქრო-ვერცხლითა და



კატაკომბების კედლებზე სიწმინდეები სიმბოლურად გამოისახებოდა

ის, ალექსანდრიის, რომისა და იერუსალიმის ეკლესიებს — ანუ რომის იმპერიის ტერიტორიაზე არსებობდა ხუთი ეკლესია — სულიერი მმართველობის ცენტრი, რომელთაგან შემდგომში ჩამოყალიბდა ხუთი საპატრიარქო.

რომის სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ კი პირველი მძლავრი ქრისტიანული ცენტრი, დამოუკიდებელი ეკლესიის სახით, იბერიის — საქართველოს ეკლესია იყო.

— როგორ იყო წარმართთა და ქრისტიანთა ცხოვრების წესი? — წარმართები მხოლოდ ამქვეყნიურ

ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამკაულებით, არც სურნელოვან მაღამოებს ხმარობდნენ... ღმერთი ჩვენს სულს უყურებს და არა გარეგნობას — მიიჩნევდნენ ქრისტიანები“. ფაქტობრივად, ქრისტიანობამ ადამიანს მინიერი ამაოებები ჩამოაცილა და დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ცხოვრებით თითქმის აღარავინ ცხოვრობს, თითოეული ადამიანი აღარებს, რომ ქრისტიანული ცხოვრების ის წესი, რომელსაც ძველი ქრისტიანები მისდევდნენ, ყველაზე პატიოსანი და მისაღებია.

P.S. საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.



მასტოპათია – სარკვე ჯირკვლის დაავადება

მასტოპათია სარკვე ჯირკვლების დაავადებაა, რომელსაც ორგანიზმში მომხდარი ჰორმონული დარღვევები იწვევს. ასეთ დროს ადგილი აქვს სარკვე ჯირკვლის დიფუზური ან კვანძოვანი ხასიათის ცვლილებას. მასტოპათია გვხვდება ნებისმიერ ასაკში, მაგრამ უფრო ხშირია იმ ასაკგაზრდა ქალებში, რომელთაც სასქესო ორგანოების დაავადებები (მენსტრუალური ციკლის მოშლა, ხშირი აბორტი, საკვერცხეების ანთება, კისტა და ა.შ.) აქვთ. ავადმყოფები უჩივიან სარკვე ჯირკვლების შეზღუდვასა და ტკივილს, მენსტრუაციის წინა პერიოდში ძუძუს თავებიდან გამჭვირვალე ან სისხლნარევი სითხის გამოყოფას. ხელით გასინჯვისას შეიგრძნობა წვრილი და ოდნავ მტკივნეული კვანძები, რომელთაც მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი ფორმა აქვთ. მასტოპათიის დროს იკრძალება მზეზე გარუჯვა და ფიზიოთერაპია.



რას გვიჩვენებს ხალხური მედიცინა მასტოპათიის დროს:

◆ აიღეთ 2 ს/კ მატიტელას ბალახი, დააქუცმაცეთ და დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში 15 წუთით, შემდეგ კი გაფილტრეთ. გამოიყენება საფენების სახით.

◆ 1 ს/კ წვრილად დაქუცმაცებულ, მსხვილფოთლიან ნაღველას დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, ადუღეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, შემდეგ კი ცეცხლიდან გადმოდგით და როცა შეგრძნობდება, გაფილტრეთ. გამოიყენეთ საფენების სახით.

◆ 20 გ სამკურნალო ძიძოს დაასხით 1 ლ ადუღებული წყალი და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე, 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გაფილტრეთ. გამოიყენება საფენების სახით.

◆ 1 ს/კ კრაზანას დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი და რამდენიმე ხნით გააჩერეთ. გამოიყენეთ კომპრესებისთვის.

◆ 20 გ დაქუცმაცებულ ოროვანდის ფესვს დაასხით 2 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი დალიეთ 1 ს/კ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

◆ აიღეთ 3 ს/კ კატაბალახს ფესვები, 3 ს/კ პიტნა და 4 ს/კ წყლის სამყურას ფოთლები. 1 ს/კ მიღებულ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული

წყალი, წამოადუღეთ, გააჩერეთ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გაფილტრეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ დილით და საღამოს, ძილის წინ.

◆ აიღეთ 2 ს/კ კატაბალახს ფესვები, 3 ს/კ გვირილის ყვავილი და 5 ს/კ კვლიავი. 1 ს/კ მიღებული ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი,

დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ დილით და საღამოს, ძილის წინ.

◆ ლიტრიან ქვაბში ჩაყარეთ 6-8 ს/კ ცხენის ნაბლის გამხმარი, დაქუცმაცებული ყვავილი, დაფარეთ წყლით და შედგით დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ გადმოდგით და მთელი ღამე გააჩერეთ სითბოში. მეორე დღის განმავლობაში მიიღეთ ყლუპობით.

◆ გარცხეთ დიდგულას ნაყოფი, გააშრეთ და ჩაყარეთ 3-ლიტრიან მინის ქილაში, შეაქართან ერთად, ფენებად (ერთი ფენის სისქე უნდა იყოს 1-2 სმ). დაახურეთ ქილას თავზე და 24 საათის განმავლობაში დადგით ჰაერზე (მაგრამ არა მზეზე), მეორე კი შედგით მაცივარში და გააჩერეთ 8 დღე. შემდეგ გამოწურეთ წვენი, გაფილტრეთ და კვლავ მაცივარში მოათავსეთ. მიიღეთ თითო-თითო ს/კ ნაყენი დილით, ჭამამდე 1 საათით ადრე და საღამოს.

◆ 1 ჩ/ჭ დაქუცმაცებულ კარტოფილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ.

◆ კომბოსტოს ფოთოლი დაალებთ წყლით გაზავებულ ღვინის ძმარში და გაიკეთეთ საფენები. ■

რა უნდა გააკეთოს აღამიანმა ავილფსიის შეზავის დროს

თუ აღამიანს ეპილფსიის შეტევა დაეწყო, დააწვინეთ იგი გვერდზე, ზედა მხარეს მოქცეული ხელფეხი წინ გაუწიეთ და მოახრევიანეთ, ქვემოთ მოქცეული კიდურები კი ოდნავ უკან გაუწიეთ. კრიჭის გახსნის მიზნით ავადმყოფს პირში ხელი ან რაიმე სახის ნივთი არ ჩაუდოთ — ამით საკუთარი თითის ან პაციენტის პირის ღრუს (ძირითადად, კბილების) ტრავმირებას გამოიწვევთ. მოხრჩობის შეტევის მოსახსნელად, ორივე ხელის თითების წვერები დაადეთ ქვედა ყბაზე და დაანექით ქვემოთ და უკან.

ასეთ მდგომარეობაში გაჩერდით მანამ, ვიდრე შეტევა არ

მოეხსნება. ეპილფსიის შეტევა დაახლოებით, 1-2 წუთს გასტანს. მაგრამ თუ 2 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, ექიმის მოსაყვანად გაუშვით ვინმე. ■



მწვანე ჩაი



მწვანე ჩაი ნატურალური და სასარგებლო პროდუქტია. დღეში 3-4 ჩ/ჭ მაგარი მწვანე ჩაის დალევა ადამიანის ორგანიზმს კალციუმით, ფოლიუმის მჟავით, თუთიით, ვიტამინებით უზრუნველყოფს. ის შეიძლება, დღის ნებისმიერ მონაკვეთში დავლიოთ.

მწვანე ჩაი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც იმუნური სისტემის ფუნქციას აძლიერებს, ხელს უშლის დაბერების პროცესს, ორგანიზმიდან გამოდევნის ქოლესტერინს, ტოქსინებს და არეგულირებს საჭმლის მონელებას, არტერიულ წნევას.

მწვანე ჩაის დიეტა გახდომისა და ორგანიზმის განმეხდის მსუბუქი მეთოდია. აქ მკაცრი განაწესი საჭირო არ არის. მთავარია, რაციონიდან ამოიღოთ ცომეული, ცხიმოვანი პროდუქტები და დღეში 2 ლიტრამდე მწვანე ჩაი სვათ. ამ დროს უნდა მიირთვათ რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, მოხარშული ხორცი, კვერცხი და რძე. ერიდეთ მარილს, ხოლო ტკბილეულიდან მიიღეთ მხოლოდ ჩირი ან თაფლი. დღეში ერთხელ შეგიძლიათ წინაშურას, ბრინჯის ან ოსპის გარნირი მიირთვათ.

ურიგო არ იქნება, თუ მწვანე ჩაის, დიეტის გარეშეც, ყოველდღე დალევთ. რაც უფრო მეტხანს განაგრძობთ მის სმას, ნონაშიც მით მეტად დაიკლებთ, საბოლოოდ კი თქვენი ორგანიზმი მუშობის ახალ რეჟიმზე გადავა — მოიცალებს უსარგებლო ნივთიერებებს და მიღწეულ წონას იოლად შეინარჩუნებს.

მწვანე ჩაი კბილებისთვისაც სასარგებლოა. მას არა აქვს ისეთი მღებავი ეფექტი, როგორიც შავ ჩაის და ფტორსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს.

აუცილებელია იმის ცოდნა, რომ კუჭ-ნაწლავის ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა: გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, კოლიტი, წყლული და ა.შ. ჩაის დიეტის დანყება არ შეიძლება. ამიტომაც, თუ საკუთარ ჯანმრთელობაში დარწმუნებული არ ხართ, ჩაის დიეტის დანყებამდე, გირჩევთ, კონსულტაციისთვის ექიმს მიმართოთ.

ღიაზა პალალი ქოლესტერინის დროს

ჯანმრთელობისთვის მეტად მნიშვნელოვანია სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონის შენარჩუნება. როცა იგი ძალიან მაღალია, არტერიების კედლებზე ცხიმის დალექვა ხდება, რამაც შეიძლება, ინსულტის ან გულის შეტევა გამოიწვიოს.

ხშირად, სისხლში ქოლესტერინის მომატებული დონის დაქვეითებას დიეტის მეშვეობით აღწევენ, მაგრამ როცა დიეტა საქმეს ვეღარ შევლის, მაშინ ექიმები სპეციალურ წამლებსაც ნიშნავენ.

ქოლესტერინის ნორმალური დონის შესანარჩუნებლად, ადამიანი სწორად უნდა იკვებებოდეს.

სასარგებლო პროდუქტები — ბოს-

ტნეული, ხილი, კაკალი, თევზი, ფრინველის ხორცი (გულმკერდის ნაწილი კანის გარეშე), ბოსტნეულის წვნიანი, ბურღულეული, ზეთუნის ზეთი, უცხიმო რძე, შავი შოკოლადი, ღვინო.

მაგნე პროდუქტები — შებოლილი პროდუქტი, ჰამბურგერი, ნამცხვარი (კრემიანიც და უკრემოც), საქონლის ცხიმოვანი ხორცი (განსაკუთრებით მაგნე საქონლის ქონი) და ღორის ხორცი, ღვიძლი, თირკმელი, შემწვარი ხორცი (განსაკუთრებით, ცხიმოვანი), ქათმის კანი, პიცა, კრევეტები, ხამანკები, რძიანი შოკოლადი, კვერცხი, რძის პროდუქტები (კარაქი, იოგურტი, ყველი და ა.შ.).

პარის შუაპაუზა

1 ჩ/კ ზეთუნის ზეთი და 1 ჩ/კ ახალგამონურული ნივრის წვენი აურიეთ 150 გ ანადულარ თბილ წყალში და დალიეთ ჭამამდე 15 წუთით ადრე. ეს ნაყენი მიიღეთ ყოველდღიურად, დღეში 3-ჯერ (თითოეული მიღების წინ ახალ-ახალი ნაყენი უნდა დაამზადოთ). შეგიძლიათ, ნაყენს დაუმატოთ 1 ჩ/კ ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

შუაპაუზის დროს

ახალი ან გამომშრალი საზამთროს ქერქისგან მომზადებულ ნახარშს შემუშებების დროს, შარდმდენ საშუალებად იყენებენ. 1/2 ჩ/ჭ საზამთროს დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 5 ჩ/ჭ წყალი და ხარშეთ. შემდეგ გაფილტრეთ, გააცივეთ და მიიღეთ ნახევარი ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

რჩევა

სხვირსა და ხახაში პოლიპაუზის დროს

გამოსავლებად რეკომენდებულია თანაბარი რაოდენობის ქრისტესისხლასა და გვირილის ნახარში. ბალახებს დაასხით ცივი წყალი და მიიყვანეთ ადუღებამდე. გააჩერეთ 1 საათი და შემდეგ განურეთ.

მეჭაჭაის მკურნალობა

მცირე ზომის კარტოფილი გაფუცქვინით, გაჭერით შუაზე და დაიდეთ მეჭეჭზე.

ნახეთქი

პირის კუთხეები

ჭრილობაზე დღეში რამდენჯერმე წაისვით თაფლი. მოხარშეთ ბრონეულის ქერქი და პირის ღრუში თბილი ნაყენი გამოივლეთ.

აირჩი და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების ბაზრების

გამოცემის დასახელება	1 კვ. დაი	3 თვე	საბავშვო
1. GEO / GEO	8.00	27.99	„ელვა.ჯი“ ქ. თბილისი თბილისის ქ. 7448 ტელ: 38-26-72; 38-26-74 ფაქსი: 38-26-74
2. ЛМЭА	2.50	32.59	
3. 189 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОДИСТОРИИ	5.00	65.99	
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99	
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.59	
6. HELLO! ХЭЛЛО!	4.00	52.99	
7. ОТДОХНИ	2.00	26.99	

აბრეშვი ნიბისმიერი სსპ ბაზრების
E-mail: elva@virispalitra.com

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

მეურნალი
საქართველოს ყველაზე
მსახიობი

№16 (208) 27.VIII-9.IX.2009 წლის 1 დღე

მთავარი თემა:
ცხოვრება დიაბეტთან ერთად

გია ნაბახუ:
სოდნა და ბაიოსფეროვანი ყველაზე დიდი სიმდიდრე

სამკურნალო წერილები
როგორ ფეხმძივი მანქანაზე დაეხმარებოდნენ კიბითიერძაპირის შექმნას

კითხვები
სიფილისი

მედიცინის ციფრული საოჯახო პნეიმოლოგია

საქართველოში პნეიმონიის დაავადების გავრცელება უწყვეტად იზრდება. ეს დაავადება მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია და მთავარი მიზეზია სიღვილისის დაავადების განვითარებისა.

2 რანგითი მეურნალები

საქართველოში მეურნეობის განვითარების მიზნით ხორციელდება მრავალი პროექტი. ერთ-ერთი მათგანია მეურნეობის მეორე რანგის განვითარება.

მედიცინის პედიატრი

შპს-ითხვა პედიატრს

0-დან 1-მდე

ფსიქოლოგია

ბავშვი და შაქრიანი დიაბეტი


დიდი ხანია ცნობილია, რომ სიმსუქნის ფონზე იზრდება II ტიპის დიაბეტის განვითარების ალბათობა, მაგრამ ბოლოდროინდელ გამოკვლევათა შედეგები შოკის მომგვრელი აღმოჩნდა – დადგენილ იქნა, რომ სიმსუქნე I ტიპის დიაბეტის რისკსაც ზრდის.

სიფილისი – ვენერას ბანაჩენი

სიფილისის კლინიკური სურათისა და საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობის შეცვლის, მცირესიმპტომიანი და უსიმპტომო ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზია წამლების, მათ შორის – ანტიბაქტერიული პრეპარატების ხშირი და მიზანშეუწონელი გამოყენება.

ყურადღება ვიღებთ

არ უნდა დაივიწყოთ ელემენტარული ჭეშმარიტება: ფოტოსესიისთვის ბავშვი არა მარტო უნდა გაართოთ, არამედ მის დასვენებასა და კვებაზეც უნდა იზრუნოთ. მშვიერ, დაღლილ და მოუხერხებლად ჩაცმულ პატარას ვერც გაახალისებთ და ვერც სურათებს გადაუღებთ.



ადამიანი

ეთო ყორღანა შვილი

ამას წინათ, ასპინძის ერთ-ერთ რაიონს — სიზაბავრას ვესტუმრე. ტრანსპორტისთვის ცოტა არ იყოს, სასუფთაო გზაზე მიმავალი უცხო ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, რომ მთებს იქით კიდევ არის ადამიანებით დასახლებული ტერიტორია. სიზაბავრაში ერდოიანი სახლები (მინურები) ჯერ კიდევ შემორჩენილია. სოფელში ბევრი ისტორიული ადგილია. სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო (არც ამინდმა შემიწყო ხელი), ყველაფრის დათვალიერება ვერ მოვახერხე, თუმცა ძალიან გამიკვირდა, როცა პატარა, მთიან სოფელში ანიმატორი გოგონა აღმოვაჩინე: 15 წლის ქაიტი პლატონა შვილი სიზაბავრის მკვიდრა. ცოტა ხნის წინ ანიმატორის პროფესია შეისწავლა და ამჟამად, დამსვენებელი (და არა მხოლოდ) ბავშვების განწყობილებაზე ზრუნავს.

— ჩვენს სოფელში 2 ანიმატორი გოგონა ვართ. ანიმატორის პროფესიის შესწავლა კათოლიკური ეკლესიის პოლონელმა მღვდელმა — მამა ზიგმუნდმა შემოგვთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. სწავლების კურსი ქართველმა და უცხოელმა ანიმატორებმა ჩაგვიტარეს. ისინი ეკლესიის გვერდით მდებარე, მღვდლის სახლში ცხოვრობდნენ. მათთან მუშაობა საინტერესო იყო — ბევრი გასართობი გვასწავლეს... სერტიფიკატიც მოგვცეს.

— რთულია ანიმატორიობა?

— არა, პირიქით — სახალისოა. მთავარია, კომუნიკაბელური და ენერგიული იყო. როცა სოფელში უცხოელებიც იყვნენ, გასართობად მეტი ბავშვი მოდიოდა. ახლა მათი რაოდენობა შემცირდა. ამიტომ კვირაში ერთხელ ვიკრიბებით და ვერთობით.

— უცხოელი ანიმატორების გამგზავრების შემდეგ, გართობის მსურველთა რაოდენობა რატომ შემცირდა?

— ამის უმთავრესი მიზეზი მოუცლელიობაა. ჩვენს სოფელში ყველა შრომობს — დიდიც და პატარაც. ძირითადად, მიწათმოქმედებას მივდევთ, პირუტყვი გვყავს. მართალია, ჩემი მშობლები ყველაწინადად მხარში მიდგანან და საქმით ძალიან არ მტვირთავენ, მაგრამ სიზაბავრაში ბევრი ბავშვი ოჯახზე ისე ზრუნავს, როგორც ზრდასრული ადამიანი: ყანაში დადის, ნახირს მწყემსავს... თავი ხომ უნდა ირჩინოს! რა თქმა უნდა, გართობა უნდათ, მაგრამ

სფერული ელვით შეუინახული მოსახლეობა და პატარა ანიმატორის ბებები



ულუქმაპუროდ რომ არ დარჩნენ, შრომობენ.

— მოდი, უფრო კონკრეტულად მიამბუ: როგორ ზრუნავს ბავშვების განწყობილებაზე ანიმატორი?

— ბავშვებს სასარგებლო რაღაცებს ვასწავლი — მაგალითად, კერვას... როცა ვიკრიბებით, სხვადასხვა კითხვას ვუსვამ, შემდეგ საინტერესო ამბავს ვუყვები. ბოლოს კი ვამონებ, ამბის მოსმენამდე შექმნილი წარმოდგენა შეეცვალათ თუ — არა. გარდა ამისა, ვთამაშობთ. უცხოელმა ანიმატორებმა ბევრი საინტერესო გასართობი გვასწავლეს.

— მაგალითად?

— ჩინური ფეხბურთი: ბურთს ფეხით არ ეხები, ფეხებმძიკუპებულმა უნდა იმოძრაო, ბურთს კი მხოლოდ ხელით შეეხო. ეს გასართობი ბავშვებს ძალიან მოსწონთ.

— ანიმატორებთან მოსვლა რა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ?

— ასაკი შეზღუდული არაა: ვისაც სურვილი აქვს, მოვა და გაერთობა.

— გასართობად მხოლოდ სოფელში მცხოვრები ბავშვები მოდიან?

— არა, დამსვენებლებიც გვსტუმრობენ. სხვათა შორის, წელს ბევრი დამსვენებელი არ გვყავს. ალბათ, ეს უამინდობის ბრალიცაა. ამ სოფელში შარშან უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ძირითადად, გორიდან მოდიოდნენ — ომის გამო, აქ გამოიხიზნენ. მთებში თავს შედარებით უსაფრთხოდ ვგრძნობდით, მაგრამ რუსული თვითმფრინავები აქაც დაფრინავდნენ. გვიან გავიგეთ, რაც მოხდა: ჩვენთან საინფორმაციო გამოშვებას იშვიათად უყურებენ. ჩვენი ქვეყნის უბედურება ძალიან განვიცადე. აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პოემა დავწერე და ჩემი განცდები ფურცელზე გადავიტანე. სკოლაში ჩემს პოემაზე საქექსკალი დავდგი. ყველას ძალიან მოეწონა.

— წელან უამინდობა ახსენებ. როგორც ვიცო, თქვენს სოფელში ეწ. სფერულმა ელვამ ერთი ადამიანი იმსხვერპლა...

— იმ დღეს მამაჩემიც ყანაში იყო. ამინდი რომ შეიცვალა, შეშინებული ძაღლები მის ფეხებთან ჩაცუტქდნენ. დალუპულ თანასოფელს რაც შეეხება, თავიდან ვერ მიხვდნენ, რა დამართა, მაგრამ მერე დაასკვნეს, რომ ელვამ მოკლა: ცხონებულს სხეული დაწვარი ჰქონდა. სადაც მიცვალებული დაეცა, იმ ადგილას ბალახიც ერთიანად დაწვარი იყო...

— მაინცდამაინც სახარბიელო ამინდები არც ახლაა. მოსახლეობას არ ეშინია?

— კი, ყველას გვეშინია, მაგრამ რას ვიზამთ?! გოგონები თმაზე რკინის სამაგრებს არ ვიკეთებთ — თავს ვიცავთ, როგორც შეგვიძლია. ჩემს ერთ-ერთ ნათესავს ქუქაქუხილის ადრეც ძალიან ეშინოდა, მაგრამ იმ საშინელი ამბის მერე შიში გაუათმაგდა.

ქართული ფეხბურთით დაინტერესებული

და საქართველოზე შეყვარებული ნიგერიელი ბიჭის თბილისური ცხოვრება

ელენე ბასილიძე

— ქეთი, საუბროს დასაწყისში მითხარო, რომ ანიმატორობის შესწავლა კათოლიკე მღვდელმა შემოგთავაზა. თავადაც კათოლიკე ხარ?

— დიახ. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკეა, თუმცა მართლმადიდებლებიც არიან. მთავარია, რომ ყველანი ქრისტიანები ვართ. ერთმანეთთან პრობლემა არ გვაქვს, პირიქით — ვეგობრობთ. მაგალითად, ჩემი დაქალი მართლმადიდებელია. ჯერ მონათლული არ არის, ახლა აპირებს და ნათლიობა მე შემომთავაზა. არ ვიცი, შეიძლება თუ არა, რომ მართლმადიდებელს კათოლიკე ნათლია ჰყავდეს. მამა ზიგმუნდმა მითხრა, რომ შეიძლება. დაქალს ვთხოვე, თავის მღვდელსაც ჰკითხო. ჯერ-ჯერობით გაურკვევლობაში ვართ.

— სხვათა შორის, კვირა დილას ორვე ეკლესია მოვინახულე, მაგრამ მართლმადიდებლური დაკეტული დამხვდა.

— ეკლესიის გასაღები მოსახლეობას აქვს. ვისაც სურვილი აქვს, შევა და ილოცებს. მღვდელიც მოდის ხოლმე.

— ანიმატორები გარკვეულწილად, კათოლიკობას ხომ არ უწვევთ პოპულარზაციას?..

— არა, რელიგია არაფერ შუაშია. ბავშვებს სიკეთის კეთებას ვასწავლით. ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანს შეუძლია ჩვენთან მოსვლა და გართობა, სწავლა...

— სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები კიდევ რითი ერთობით?

— გართობის მხრივ, აქ ფართო არჩევანი ნამდვილად არ არის. პირადად მე, სტადიონზე მივდივარ და ბიჭებთან ერთად, ფეხბურთს ვთამაშობ.

— ჩინურს?

— (იცინის) არა, ჩვეულებრივ ფეხბურთს. სპორტის ეს სახეობა ძალიან მომწონს. ჩემი გატაცების შესახებ ნათესავებმა და ახლობლებმაც იციან. ფეხბურთელების პლაკატებს მიგზავნიან, მე კი კედელზე ვაკრავ...

— ფეხბურთელობას ხომ არ აპირებ?

— ბავშვობაში ვაპირებდი, ახლა — არა. ანიმატორობაც გართობის მიზნით შევისწავლე. ჟურნალისტობა ან იურისტობა მინდოდა. ორივე პროფესია ძალიან მომწონს. გარკვეული მუსიკალური განათლებაც მაქვს — ასპინძაში ვსწავლობდი, რადგან ჩვენს სოფელში მუსიკალური სკოლა არაა.

— მერე, სიზაბაჯრიდან ასპინძაში სიარული არ გიჭირდა? საკმაოდ რთულად სავალი გზებია...

— მართლაც, რთული გზებია, ზამთარში — მით უმეტეს. ხშირად ტრანსპორტს სიარული უჭირს და თოკების დახმარებით ამოჰყავთ... მიუხედავად ამისა, მალე რეპეტიტორებთან მომზადებას შევუდგები (ალბათ, ისევ ასპინძაში სიარული მომიწევს), ჩემი მიზნების განხორციელებაზე უნდა ვიზრუნო: იურისტობაც კარგია, მაგრამ რატომღაც, ჟურნალისტობისკენ უფრო მიმინევს გული. ვნახოთ, რა გამოვა.

— თუ მონიღომებ, ყველაფერი გამოგივა. წარმატებას გისურვებ!

— დიდი მადლობა!

თუ ბოლო დროს ორთაჭალის ავტოსადგურში გაივლიდით, უეჭველად შენიშნავდით ზანგ ბიჭს, რომელიც კლიენტებს თურქეთ-საქართველოს სატრანსპორტო კომპანიაში ეპატიჟება. საღამზე აუცილებლად ღიმილით გაიპასუხებთ და ახლობელივითაც, გულიანად მოგიკითხავენ. **პაჭიმ ჰუსაინი** 21 წლისაა, განათლებით — ბიოლოგი. უკვე 2 წელზე მეტია, რაც საქართველოში ჩამოვიდა და იმდენად მოეწონა აქაურობა, რომ წასვლაზე აღარც ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ქართულად გამართულად ვერ მეტყველებს, ინტერვიუ ქართულ-ინგლისურად მაინც შედგა. შევეცადე, მისი საუბრის სტილი შეძლებისდაგვარად შემენარჩუნებინა და ისე გამეცნო თქვენთვის საქართველოზე შეყვარებული აფრიკელი.



— აფრიკაში დავიბადე, ნიგერიიდან ვარ. პირველად საქართველოზე ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია. დამაინტერესა თქვენმა ქვეყანამ, ისიც მაინტერესებდა, თუ როგორი საფეხბურთო გუნდი გყავდათ და გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი... 2007 წელს პირველად ჩამოვედი საქართველოში.

— კაზიმ, დედამიშვილები გყავს ნიგერიაში?

— არა, დედისერთა ვარ; დედ-მამა მყავს, და-ძმა — არა. დედა ბრიტანელია, მამა — აფრიკელი. არ მიყვარს მშობლებთან ცხოვრება, ეს თვითონაც იციან ჩემებმა და უკვე აღარ მსაყვედურობენ (იღიმება). პირველად რომ ჩამოვედი საქართველოში, ორიოდე თვე დავრჩი, ქვემო ფონიჭალაში ვცხოვრობდი და „ლოკომოტივის“ გუნდში ვთამაშობდი ფეხბურთს. ძალიან მომეწონა

აქაურობა, მაგარი ხალხი ხართ! (იცინის). მერე, ვიზის ვადა ამომენურა, წავედი ნიგერიაში და მალე ისევ უკან დავბრუნდი. ბინა ვორონცოვზე ვიქირავებ. ახლა კი ორთაჭალაში ვცხოვრობ.

— რომელი უბანია უკეთესი?

— (იცინის) ყველა კარგი უბანია! ფონიჭალაში ბევრი ძველი ბიჭი იყო, მაგრამ ყველა მეძმაცაცებოდა და ყველას ვუყვარდი. ვორონცოვზე ყველა მეზობელი, ბებოები და პატარა ბავშვებიც კი ჩემთან იყრიდნენ თავს. ორთაჭალაშიც მაგრად ვარ. ყველა ქვეყანაშია კარგი და ცუდი ადამიანი, მაგრამ მე ჯერჯერობით არავინ მერჩის. ხშირად, როცა ვინმე უცხო ორთაჭალაში მხედავს, შეიძლება, რაღაც უხეშად მითხრას, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ რამეებს; მერე ის ტიპი მოდის და ბოდინებს მისდის: მაგარი კაცი ყოფილხარ და მაპატიეო.

ძალიან ბევრი მეგობარი მყავს.

ქართული ფეხბურთი როგორ მოგეწონა?

— (ილიმება) რა ვიცი, ყველა ფეხბურთელი მაგარი მოთამაშე კია, მაგრამ ერთად თამაში არ გამოსდით...

კაზიმ, ამ კომპანიაში მუშაობა როგორ დაინყე?

— მეორედ რომ ჩამოვედი, უკვე გადაწყვეტილი მქონდა აქ დარჩენა. მაშინ „ლოკომოტივიში“ ვთამაშობდი 6 თვე, მაგრამ ხელფასი არ მქონდა, ფული კი ყველა სჭირდება — შენც ხომ იცი (ილიმება)! ჰოდა, სამსახურის ძებნა დავიწყე. მოვედი „მაჰმუდ ტურში“ და აქ მიმიღეს. თავიდან მარტო ვიზა მქონდა, მერე საქართველოს მოქალაქეც გავხდი და პირადობის მოწმობაც ავიღე. კარგად მოვერგე აქაურობას. წელიწადზე მეტია, აქ ვმუშაობ; ძველი თანამშრომლებიდან თითქმის ყველა გაუშვეს, ჩემ გარდა. ალბათ ძალიან მოვწონვარ და ამიტომაც დამტოვეს (იციინის). დღეს აქ ოფის-მენეჯერად ვმუშაობ

მოდ, საქართველოზე მელაპარაკე...

— უჰ!.. თავიდან, რუსთაველზე რომ გავდიოდი, ყველა პირადობის მოწმობასა და ვიზას მთხოვდა; რა ვიცი, ალბათ ეგონათ, შავი რომ ვარ, ცუდი ვარ (იციინის)... ახლა, რაც მოქალაქეობა მივიღე, დავისვენე: აბა, 3 თვეში ერთხელ საბაჟოზე გადასვლა და გადმოსვლა, ადგილი კი არ იყო (ილიმება)! ქართულიც მალევე ვისწავლე; მინდა, უფრო უკეთესად ვიცოდე და იმედია, მაგასაც შევძლებ. მეგრულსაც ვსწავლობ, ცოტ-ცოტა უკვე მესმის. საქართველო ძალიან ბევრ ქვეყანას სჯობს! პირველად უცხოეთში,

მადრიდში ვიყავი და არ მომეწონა, მალევე წამოვედი იქიდან. ახლა, შეიძლება, სხვას ამერიკაში წასვლა ძალიან უნდოდეს, მაგრამ მე არ მაინტერესებს და არც მიყვარს ამერიკა. დეიდა მყავს იქ და ადვილად შემიძლია წასვლა, მაგრამ არ მინდა, გული არ მიმიწევს. მშობლებს ვერ გაუგიათ, რატომ მიყვარს საქართველო და რა ვნახე აქ ისეთი, რომ წასვლა აღარ მინდა...

საქართველოში უამრავ ადამიანს სჭირდება დახმარება, უმრავლესობა აქედან გაქცევას ცდილობს. მე მათიც მესმის: როცა სამუშაო არ გაქვს, იძულებული ხარ, სხვაგან წახვიდე. მაგრამ ხშირად, სხვა ქვეყანაში იმავეს აკეთებენ, რაც შეიძლება, საქართველოშიც გააკეთონ და ამით ფული იშოვონ. წასულები ყველანაირად ცდილობენ, იმ ქვეყნის მოქალაქეები

გახდნენ, სადაც ცხოვრობენ და სამუდამოდ დარჩნენ იქ. არადა, როცა მათივე ქვეყანას დახმარება დასჭირდება, აქ არ იქნებიან... იცი, როცა რომელიმე ქვეყნის მოქალაქე ხდები, ომის შემთხვევაში ვალდებული ხარ, საომრად წახვიდე...

კაზიმ, უკვე ჩვენი ქვეყნის მოქალაქე ხარ; ღმერთმა დაიფაროს და, საქართველოს დახმარება რომ დასჭირდეს...

— მე მზად ვარ! თუ რამეში გამოვადგები, რატომაც არა?! მიუხედავად კანის ფერისა, ყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს... აქ სამუშაო მაქვს, ხალხს ვუყვარვარ, პატივს მცემს და მათსაც. თან, ხელფასიც საკმარისი მაქვს, ცოლის მოყვანაც კი შემიძლია (იციინის).

ქართველი გოგონები თუ მოგეწონს?

— 7 წელი შეყვარებული მყავდა; ის განაში სწავლობდა და მერე იქიდან გერმანიაში წავიდა. მართალია, მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ გერმანიაში მაინც ვერ გავყევი. იქაური ხალხი მეტისმეტად განსხვავებულია და არ შემიძლია მათთან შეგუება. როცა ჩემი გული ვერ ეჩვევა ამა თუ იმ ადგილს, იქ ვერაფრით გაჩერდები. ქართველ გოგონებს რა სჭირთ ჩემი დასაწუნი, მაგრამ დრო არ მაქვს, რომ შევხვდე ან გამოველაპარაკო მაინც. ასე რომ, ჯერჯერობით მარტო დავდივარ. ქართველ გოგონებს მხოლოდ ვეშვებ. ახლაც, ჩემი მეგობრები ბათუმში წავიდნენ, მაგრამ მე ვერ დავტოვე სამსახური და აქ დავრჩი, მეტისმეტად დაკავებული ვარ და გოგონებისთვისაც ვერ ვიცილი (ილიმება).

დარწმუნებული ვარ, გარეგნობით, ბევრი ადამიანს ყურადღებას იქცევს...

დღებას იქცევ...

— კი, ყველა რატომღაც, ჩემს სურათს მთხოვს (იციინის). „მარშრუტკაში“ თუ ვზივარ, მოდიან და მელაპარაკებიან. ჩემი ვარცხნილობა მოსწონთ ძალიან. მიქებენ ხოლმე, მაგარი „პრინო“ გაქვსო! გოგონებს კი მოვწონვარ, მაგრამ შანსი არ მაქვს — მეტისმეტად დაკავებული ვარ. იცი, დღეს საქართველოში ვარ, მაგრამ ხვალ შეიძლება, უფროსმა დამირეკოს და მითხრას, რომ თურქეთში უნდა წავიდე... აბა, ახლა მითხარი — რომელი გოგო დაგელოდება, ასეთი გრაფიკი რომ გაქვს?..

მომავალში რას აპირებ? საქართველოში დარჩები?

— წასვლას არსად ვაპირებ. შეიძლება, ჩემს სამშობლოში წავიდე რამდენიმე თვით, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები! მე 2 სამშობლო მაქვს — საქართველო და ნიგერია. ჩემს მშობლებს ხშირად ვეკონტაქტები, მათ ვენატრები, მაგრამ იციან, რომ ბავშვი აღარ ვარ და ვეღარ მთავაზობენ, მათთან ვიცხოვრო. ალბათ მერე ჩამოვლენ და ინახულებენ საქართველოსაც. ჯერჯერობით კი მე ჩავდივარ ხოლმე მათთან.

კაზიმ, ქრისტიანი ხარ?

— არა, მე მუსლიმანი ვარ. დედაჩემი ქრისტიანია, მამა კი — მუსლიმანი. პარასკეობით, მეიდანზე რომ მეჩეთია, იქ დავდივარ სალოცავად. ჩემს მშობლებს არ ანუხებთ, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის არიან და არც თავიანთ რელიგიას ღალატობენ. ჩემთვის, ადამიანის რელიგიას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, კარგი ადამიანი იყოს. ასე რომ, არაა გამორიცხული, ქრისტიანი ცოლი მოვიყვანო. ■

ახალი პრესა ყველა სოფელს!



ყურადღება!

თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში ან სოფელში გაქვთ საფეხური ობიექტი (მარჯვნივ ან სხვა) და გაქვთ სურვილი, შეზავით თქვენს ობიექტს **ევრნად-გამეფების სარეალიზაციო სტენდი**, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩააწერინეთ ობიექტის თქვენი ვინაობა და საკონტაქტო გელეფონი.

გაიხს ანთიკორუპციული შედეგები

პაპიაშვილი
გაგაჩუქდით
სადაცხელ:

„ეკნა.ჯი“



მალე 1 წელი შესრულდება, რაც მომღერალი ჯაბა ბოჯგუა სამართალდამცველებმა დააკავეს და თაღლითობის ბრალდებით გაასამართლეს. მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 4-წლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ დაკავებიდან 4 თვის შემდეგ, ჯაბას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა — გული გაუჩერდა და ციხიდან ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.



დედასთან ერთად

„იმედს არ ჰქარგავ, იქნებ უფალმა არ გამხრიოს“

თამუნა კვინიკაძე

მართალია, ექიმებმა მისი გულის ამუშავება შეძლეს, მაგრამ ოჯახის წევრებს სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდნენ; არც იმას გამოორიცხავდნენ, რომ ჯაბა შეიძლებოდა, ამ მდგომარეობიდან ვერ გამოსულიყო. სექტემბერში 7 თვე შესრულდება, რაც მომღერალი უგონო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ შეიძლება ითქვას, მცირედი გამოკეთება დაეტყო.

რამდენიმე დღის წინ მას მოსანახულებლად შინ ვენვიე. ჯაბას მკურნალობის კურსს ბინაზევე უტარებენ. როცა დედამისმა, ქალბატონმა მანანამ უთხრა, — ჯაბა, ყურნალისტი მოვიდაო, — შეიშშუშნა, რაც იმედს იძლევა, რომ ყველაფერი ესმის, მაგრამ კონტაქტში შემოსვლა არ შეუძლია. ამჟამად, სასუნთქი აპარატი აღარ ესაჭიროება, მაგრამ ზონდირებულ კვებაზე იმყოფება.

მანანა გვასალია, ჯაბას დედა:

— ნახეთ, რა მდგომარეობაშია!.. პირველი ყურნალისტი ხართ, ვინც „ასეთი“ ჯაბა ნახა. ტელევიზიებმა სცადეს მისი გადაღება, მაგრამ ამის უფლება არ მივეცი. ჯაბას ბავშვობიდან, მოციმციმე არითმია აწუხებდა. ორჯერ გულიც გაუჩერდა: ერთხელ ეს, ჩაფიძის კლინიკაში მოხდა, მაგრამ იქ დროულად აღმოუჩინეს დახმარება და მდგომარეობიდან 2 საათში გამოვიდა. ეს 2006 წელს მოხდა. შემდეგ, თუ რაიმეზე ინერვიულებდა ან დიდ სიხარულს განიცდიდა, ცუდად ხდებოდა. ის გამუდმებით, პირადი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. დაჭერის დღიდან ვიცო-

დი, რომ კარგი არაფერი მელოდა; ისიც მიკვირს, 4 თვე მისმა გულმა ამ ნერვიულობას როგორ გაუძლო.

— **ხშირად ნახულობდით?**

— თვეში ორჯერ. თანხას თუ ჩავურიცხავდი, ტელეფონით დღეში რამდენჯერმე მელაპარაკებოდა.

— **მომხდართან დაკავშირებით რას გეუბნებოდა?**

— ნერვიულობდა. აქტიური ადამიანია და ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა ძალიან გაუჭირდა. ბუნებრივია, ისეთი კვებაც არ ჰქონდა, როგორც მას სჭირდებოდა. რძიანი ყავა ენატრებოდა: ნეტავ, ერთი ჭიქა დამალევიანო!.. შეტანის ნებას არ მრთავდნენ. სანამ ცუდად გახდებოდა, ერთი თვით ადრე მეუბნებოდა, რომ თავის ტკივილი ხშირად აწუხებდა. დაბალი წნევა ჰქონდა, პერიოდულად, ციხის საავადმყოფოშიც შეჰყავდათ. შეძლებისდაგვარად ვამშვიდებდი: ნერვიულობ და ცუდად იმიტომ ხარ; დანყნარდი, იქნებ შეწყალეხაც შეგეხოს-მეთქი. საპატრიარქოში შეწყალებაზე განცხადება მართლა მქონდა შეტანილი; აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა, იქნებ გაეთავისუფლებინათ კიდევც. ჯაბას მდგომარეობას მის პირად ექიმს ვატყობინებდი, მაგრამ ის ნაშლები, რომლებიც მას სჭირდებოდა, ციხის საავადმყოფოს არ ჰქონდა. გული შაბათ ღამეს გაუჩერდა და ლუდუშაურის კლინიკაში კვირა დღით გადაიყვანეს. ბევრი დრო დაიკარგა. ექიმებმა გულის

ამუშავება კი შეძლეს, მაგრამ მერე ტვინი გაეთიშა.

— **ჯაბას ამბავი ციხიდან შეგატყობინეს?**

— არა, ჩვეულებრივად მოვემზადე და კვირა დღით ჯაბას სანახვად წავედი. წინალამეს რა მოხდა, არ ვიცოდი. ციხეში რომ მივედი, იქ მითხრეს, ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანესო. საავადმყოფოში მისულს, რეანიმაციის განყოფილების გამგემ მითხრა, — მისი ტვინი თითქმის „მკვდარია“, ყველა ორგანო დაზიანებული აქვს, შესაძლოა, მდგომარეობიდან ვერც გამოვიდესო...

როცა ქალბატონი მანანა ამ ამბებს მიყვებოდა, შევნიშნე, რომ ჯაბა საწოლში რამდენჯერმე შეიშშუშნა.

— **თქვენ დახმარება ხომ არ უნდა?**

— არა, მას ესმის, რასაც გელაპარაკები და ამაზე ასეთი რეაქცია აქვს...

— **ამ საუბარმა მასზე ცუდად არ იმოქმედოს.**

— არა, ექიმმა მითხრა, — მისი ტვინი რაც შეიძლება ხშირად გაალიზიანეთო... ყოველ წუთს ცუდ ამბავს ველოდებოდი, მაგრამ მაღლობა უფალს, ჯაბას მდგომარეობა თანდათან უკეთესობისკენ იცვლება: 20 დღეში ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოიხსნა, პერიოდულად, მხოლოდ ჟანგბადის აპარატზე აერთებდნენ; ახლა ისიც აღარ სჭირდება, მაგრამ ტვინის აქტივობა ძალიან დაბალია.

— ექიმები რას ამბობენ?

— საავადმყოფოში ყოფნისას, ქვედა კიდურებს ვერ ამოძრავებდა, ახლა თქვენც ხედავთ, ფეხებს თავისუფლად ხრის, მაგრამ ხელები ჯერ-ჯერობით გაჩერებული აქვს. ზოგჯერ ილიმება. ზონდირებულ კვებაზე მყავს, დაახლოებით ერთი თვის წინ, როცა საკვები უნდა მიმეცა, აზრიანად შემომხედა, თვალი გამისწორა... ისე მიყურებდა, საკუთარი შვილის შემემინდა, რა მელონა, აღარ ვიცოდი... ეს ყველაფერი წამებში მოხდა; ამ დროს მარცხენა თვალში სისხლი ჩაექცა. ექიმმა მითხრა, — როგორც ჩანს, წამიერად გონზე მოვიდა, გიც-ნო, ინერვიულა და სისხლჩაქცევაც ამიტომ მოხდაო. იმ დღის შემდეგ, მისი ასეთი გააზრებული შემოხედვა აღარ შემინიშნავს.

— რამდენი ხანია, რაც ბინაზე მკურნალობთ?

— უკვე მეოთხე თვეა. თავის მუსიკას რომ ჩაუერთავ, მის სუნთქვას მეორე ოთახში გაიგონებთ... ჩემს ამ ნათქვამზე შეიძლება, ზოგს გაეცინოს, მაგრამ სიზმრის იმედი მაქვს — ჯაბას სექტემბერში გონება უნდა დაუბრუნდეს!

— სიზმარში რა ნახეთ?

— ლუდუშაურის საავადმყოფოში მიყვანიდან მეოთხე დღეს, მისი ნათლულის დედამ რეანიმაციაში მამა სოკრატე მოუყვანა. იმ გოგოს დაესიზმრა, თითქოს ჯაბა სახლში იწვა, არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ერთი სიტყვა — „შვიდი“ უთხრა... ჯერ 7 დღის გასვლას ველოდებოდით, მერე — 7 კვირის; ახლა, სექტემბერში 7 თვე სრულდება, რაც ჯაბა უგონოდ არის. ამ თვეში უფრო აფორიაქებულია.

— მისი მეგობრები თუ გაკითხავენ?

— რომ გითხრათ, ძალიან ყურადღებიანი არიან-მეთქი, ტყუილი იქნება. ცოტა გულიც მწყდება: ჯაბა ძალიან ალალი ადამიანია, ყველას პატივს სცემდა. მას, ვისაც ყველაზე მეტად უნდა მოეკითხა, აღარც დაურეკავს. მილიონერები არ ვიყავით, მაგრამ არც არაფერი გვიჭირდა. ჯაბასნაირი ავადმყოფი ბინაზე არ უნდა იყოს, მაგრამ რეანიმაცია ძალიან ძვირი ჯდება, იძულებული გახდით, სახლში წამომეყვანა. რეანიმაციაში დღე-ღამე 1.000-დან 1.200 ლარამდე ჯდება; შემდეგ, მცირე რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც სანოლის ღირებულება დღე-ღამეში

300-დან 500 ლარამდე მერყეობდა. ამ თანხაში მედიკამენტების საფასური არ შედიოდა. ლუდუშაურის კლინიკაში 3 თვე ვიყავით. ანალიზების გასაკეთებლად, ახლაც ხშირად მიწვევს ჯაბას იქ წაყვანა.

— ტრანსპორტირებას როგორ ახერხებთ?

— უფასო „სასწრაფოს“ მისი გადაყვანის უფლება არა აქვს; 20-ლარიანი ანალიზის გასაკეთებლად რომ წავიყვანო, 100 ლარი კერძო „სასწრაფოს“ გამოძახებაში უნდა გადავიხადო. ზოგჯერ კვირაში ერთხელ მიწვევს გამოძახება. გარდა ამისა, ტვინისთვის ძვირად ღირებული მედიკამენტები სჭირდება, დღეში 80 ლარამდე ნამალში მესხარჯება. რაც გასაყიდი მქონდა, უკვე გავყიდე, მათ შორის ბინაც; ახლა ნაქირავებში ვცხოვრობთ. ერთადერთი, ვისაც დახმარებისთვის მივმართე, ეს ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ასანიძე იყო. შეძლებისდაგვარად დაამხმარა. მიიღა, პრეზიდენტსაც მივმართო... მე ამ ავადმყოფობის წინაშე უძლური ვარ; „სასწრაფოს“ გამოძახება მაინც რომ იყოს უფასო, ჩემთვის ესეც დიდი შეღავათი იქნება. იქნებ გამოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ჯაბას საზღვარგარეთ წაყვანაში დაამხმარება.

იყო. რომ არ შეკრთეს, ყოველთვის ვაფრთხილებ, მისთვის რა პროცედურის ჩატარებას ვაპირებ. როცა ვთხოვ, თვალები დახუჭოს და არ გაინძრეს, მემორჩილება...

მანანა გვახალია:

— ჯაბას ჩემთან ერთად, ხანდაზმული ბებიაც უვლის. მისი გაზრდილია და არანორმალურად უყვართ ერთმანეთი... ჯაბა ლამის 3-4 საათზე რომ მოსულიყო, ბებიას გააღვიძებდა, მოეფერებოდა და მერე დაიძინებდა. ბოლო წლებში არ მამუშავებდა, მეუბნებოდა, — მე იმდენს შევძლებ, რომ არაფერი გაგვიჭირდეს, სახლში იყავი და საყვარელი კერძები მომიმზადეო.

— ჯაბას მამაზე რას გვეტყვი?

— როცა მიმატოვა და სხვა ოჯახი შექმნა, ფეხმძიმედ ვიყავი... შვილს ყურადღებას არ აქცევდა. VII კლასში იყო ჯაბა, როცა მამა გარდაეცვალა. სურვილი გაუჩნდა, რომ ის ბოლო გზაზე გაეცილებინა და მამის დასაფლავებაზე წავიდა. მეც არ დამიშლია.

— და-ძმა ჰყავს?

— დიას. დაც ჰყავს და ძმაც. დასთან უფრო ახლოს არის. მას ესმა ჰქვია და მეც კარგად ვიცნობ. ძმა ასაკით უმცროსია.

— მოციმციმე არითმია რა ასაკიდან აწუხებდა?

— მეოთხეკლასელი იყო, როცა აღმოაჩინდა. ძალიან ემოციური ბავშვი იყო. რომ წამოიზარდა, მოგზაურობაზე გიჟდებოდა. პირველად თურქეთში მე წავიყვანე. თურქული ენა კარგად იცოდა. იქაურობა ისე მოეწონა, გადანყვიტა, მუსიკალური განათლება ანკარაში მიეღო. თან სწავლობდა, თან კონცერტებშიც მონაწილეობდა. მაშინ თურქეთში უფრო დიდი თანხის შოვნა შეიძლებოდა, ვიდრე საქართველოში. ჯანმრთელობის შერყევამდე სადაც უნდა წასულიყო, შინ საჩუქრების გარეშე არ ბრუნდებოდა. უზომოდ კეთილი ადამიანია, ისეთი ხელგაშლილი, ყველას მილიონერი ეგონა. ყოფილა შემთხვევა, როცა კონცერტზე სოლიდური ჰონორარი გადაუხდიათ, იმ ღამესვე მეგობრები რესტორანში დაუპატიჟებია და შინ დაბრუნებულს, ტაქსის ფული ჩემთვის უთხოვია. ზოგჯერ ვსაყვედურობდი, — ასე როგორ შეიძლე-



მათთან ჩემი სტუმრობის დროს ჯაბას მოსანახულებლად, ექთან ნანა შომახია მოვიდა. პაციენტის გასინჯვის შემდეგ მასაც გავუხაზებო.

ნანა შომახია:

— ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. პერიოდულად აქვს გართულებები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. პაციენტი ახლა შედარებით მგრძობიარე გახდა, ვიდრე წინა თვეებში

ყველაზე გამოვლენიანი და უგამოვლენო ქართველები

„დროში ახლენილი“ სუპერგადასახი, სიშიშვლის დემონსტრირება და ჭალარათიანი ბულთაფარობები

ძნელია სხვის გამოვლენაზე ლაპარაკი, მით უმეტეს მაშინ, როცა საკუთარ გამოვლენასაც უჩივი, მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ ცნობილი ადამიანის დანახვისას ვიღაცას თავისი ჩაცმულობა ავიწყდება და ასე ვთქვათ, ვარსკვლავის „გამათრახებას“ იწყებს. შესაძლოა, ამ კონკრეტული ადამიანის ჩაცმულობასთან დაკავშირებით, საინადადმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ ენას მაინც მოიფხანს და სხვებს აყოლილი, ვიღაცას მიწასთან გაასწორებს. რას ვიზამთ, ესეც ადამიანის ხასიათის ერთ-ერთი შტრიხია.

ლიკა ქავია

ლიკა, 16 წლის:
— ყველაზე გამოვლენიანი ადამიანი, ჩემი აზრით, ნინო ქათამაძეა. მან ზუსტად იცის, როდის რა უნდა იმღეროს, რა მოუხდება და რა — არა. აბა, წარმოიდგინეთ, რუბის ან როკის სიმღერა რომ დაეწყოს, მოუხდებოდა?..
— **ანუ შენ მისი მუსიკალური გამოვლენა მოგწონს, არა?**
— ჰო, ასეა!
— **რაც შეეხება მისი ჩაცმის სტილს, ვარსკვლავისა?**
— ჩაცმის სტილს დიდად ვერ შევუქებ, რადგან თავად, ტანზე შემოტმას-

ნილ სამოსს ვანიჭებ უპირატესობას და შესაბამისად, ვერაფრით ვეგუები იმ ფაქტს, რომ სხვებს ფაშფაშა რაღაცები აცვიათ, მაგრამ ეტყობა, სხვანაირი ტანსაცმელი არ უხდება და გაშლილ მაისურებსა და ფაშფაშა კაბებს ამიტომაც იცვამს. ჩემთვის მთავარი, ნინოს სიმღერაა და არა — ჩაცმულობა... რაც შეეხება მის ვარსკვლავობას, ადრეც მომწონდა, როცა სცენაზე გაწვნილი თმით გამოდიოდა და ახლაც მომწონს, როცა თმის დავარცხნა და „პრიზიზის“ გაკეთება დაიწყო. ნინოს კარგი ნაკვთები აქვს და ყველაფერს იხდენს. ისე, პრესა ნაკლებად წერს მის ჩაცმულობასა და ზოგადად, გამოვლენაზე. სამაგიეროდ, ბევრი ინერება სხვა, ვითომ პოპულარულ ადამიანებზე. ალბათ ესეც ნინოს ბრალია — არა მგონია, მას საკუთარ სტილზე, ბიუტეტერიასა და გარდერობზე ლაპარაკი სიამოვნებას ანიჭებდეს, პრანჭია ქალი ნამდვილად არაა.

— **ქალს, მგონი, გაპრანჭვაც უხდება.**
— ჰო, ქალს გაპრანჭვა მართლა უხდება, მაგრამ ზოგიერთი ბუნებით ისეთია, რომ ამას ნაკლებად აქცევს ყურადღებას და ამის გამო ხომ არ მოკლავ?! მთავარია, ამზრუნუნად არ გამოიყურებოდეს და რაც უნდა, ის ქნას.
— **ყველაზე გამოვლენიანი ადამიანად, ოლენდ, ჩაცმის სტილის მიხედვით, ვის დამისახელებ?**
— ალბათ, ინგა გრიგოლიას. მომწონს მისი ჩაცმულობა, სულ ფორმაშია და ცდილობს, კარგად გამოიყურებოდეს. ასევე ძალიან მომწონს თიკა ფაცაცია. სულ მიკვირს, ოჯახის ქალი როგორ ახერხებს იმი-

ჯის ასე სწრაფად შეცვლას და თანაც ისე, რომ ყველაფერი მოიხდინოს?! მაგარი ქალია, რა. ნუ, არის გამონაკლისი შემთხვევა, როცა მათ ჩაცმულობაში რაღაც არ მომწონს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

— **მაგალითად, თუ დაგამახსოვრდა, მათ ჩაცმულობაში რა არ მოგწონდა?**

— ერთხელ თიკას, ცნობილი დიზაინერის შეკერილი, გამოწვევი კაბა ეცვა, რომელიც ძალიან არ უხდებოდა... რაც შეეხება ინგას, მას არ უხდება მინებებული თმის კუდი, რაღაც, უფუნქციოდ რომ ჰკიდია ხოლმე უკან. მათთან სხვა შენიშვნა არ მაქვს.

— **ცნობილი მამაკაცებიდან, ყველაზე გამოვლენიანად ვის დასახელებ?**

— იცი, შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ძალიან მომწონს გიო ყიფშიძის გამოვლენა. შესაძლოა, ქართველისთვის შეუფერებლად ეცვას, საყურეც ეკეთოს, მაგრამ გამაღიზიანებლად მაინც არ გამოიყურება. ასევე, ვიცი, რომ ძალიან უფლის თითებს, ფრჩხილებს, რაც კიდევ უფრო ამალღებს ჩემს თვალში. თბილისში მიყვარს, როცა კაცებს ჩაწვევებული თითები აქვთ. გიო ზოგჯერ უფერულ ლაქსაც იყენებს და ეს ბევრს აღიზიანებს, მაგრამ ჩემი აზრით, ამან კი არ უნდა გაგვაღიზიანოს, არამედ პირიქით — ჩვენი ნაცნობი ბიჭები სალონში წიხლით უნდა შევყაროთ ან მათზე თავად ვიზრუნოთ... ძალიან მომწონს გიოს მამის, ბატონი ზურა ყიფშიძის სტილიც და კიდევ, ვაფრენ დუტა სხირტლაძის ხუჭუჭა თმაზე. თანაც, ის სულ წვერგაპარსულია და ფორმაშია.

— **მგონი, გამოვლენის თემას აცდით და ადამიანის პირად ჰიგიენაზე ვლაპარაკობთ.**

— ჰო, მაგრამ ამაზეც უნდა გაამახვილოთ ყურადღება, რადგან ბევრი ცნობილი ადამიანი თითების მოვლას ცისფერობას უკავშირებს და ამიტომაც, ფრჩხილებს კი არ უფლის, არამედ ბოლომდე იკვნეტს, ეს კი ძალიან ცუდი დასანახავია.

— **ყველაზე უგამოვლენო ადამიანად ვის დასახელებ?**

— (ფიქრობს) მულატკა გახსოვთ? ჰოდა, ის ძალიან უგამოვლენო იყო, ამზრუნუნად იცვამდა... დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ეთერ კაკულიას, მაგრამ რა ვქნა, არც მისი ჩაცმისა თუ ლაპარაკის სტილი მომწონს...

მარიამი, 18 წლის:

— ძალიან არ მომწონს მაია ასათიანის ჩაცმულობა. საინტერესოა, მის იმიჯზე ვინ ზრუნავს? ხანდახან, სა-



ეცობა, სხვანაირი ტანსაცმელი არ უხდება და გაშლილ მაისურებსა და ფაშფაშა კაბებს ამიტომაც იცვამს

შესაძლოა, უბრალო ქსოვილისგან შეკერილი კაბა ეცვას, მაგრამ ისე გამოიყურებოდეს, ოქროს სამოსში გამოწყობილის შთაბეჭდილება დაგოვოს



ზოგადოებაში ისეთი სამოსით ჩნდება, კაცს სიცილი მოგინდება. გასაგებია, შეიძლება, ბევრი ფულიც გაქვს და გინდა, მოდის ტენდენციებს აუწყო ფეხი, მაგრამ სარკეშიც ხომ უნდა ჩაიხედო და მიხვდე, რა გინდება და რა — არა?! ან ამ ჩვენს ბედოვლათ დიზაინერებს სადა აქვთ თვალები?.. ნუ, ბენიამინის ახალგაზრდობის სურათებს რომ ვუყურებ, გეფიცებით, ასე მგონია, რომ ისინი უფრო გემოვნებიანად იცვამდნენ. ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ საკუთარ გემოვნებას ეყრდნობოდნენ... ზოგჯერ ნინო არაზაშვილიც ლოგინიდან ახალამდგარივით გამოიყურება, რაც საშინელებაა. არა, ის ხშირად კარგადაც იცვამს, მაგრამ ჩემი აზრით, გემოვნებიანი ადამიანი ყოველთვის კარგად უნდა გამოიყურებოდეს და ტელეეკრანზე ხალათით არ უნდა გამოდიოდეს...

— აქცენტი ურნალისტებზე რატომ გააკეთე?

— იმიტომ, რომ ტელევიზორის ყურებაზე ვგიჟდები, ნინო არაზაშვილის და მაია ასათიანის გადაცემებიც ძალიან მომწონს და მინდა, საკუთარი ჩაცმის სტილში ცვლილება შეიტანონ. იმედია, ჩემი სიტყვები მათ გამოაფხიზლებს და როცა მომავალში ცნობილი ადამიანების გემოვნებაზე რაიმეს კიდევ მკითხავ, მათ ყველაზე გემოვნებიან ქალებად დავასახელებ.

— კარგი შენი აზრით, საქართველოში ყველაზე კარგად ვინ იცვამს?

— ლელა ნურნუშია! ეს ქალი ერთი და იმავე კოსტიუმით არასდროს მინახავს. შესაძლოა, უბრალო ქსოვილისგან შეკერილი კაბა ეცვას, მაგრამ ისე გამოიყურებოდეს, ოქროს სამოსში გამოწყობილის შთაბეჭდილება დაგოვოს. ამბობენ, ყველაფერს იკერავს და დიზაინერებს მითითებასაც თავადვე აძლევს... თუ ასეა, სალოლ, რა!.. გახსოვთ ალბათ, ერთხელ სცენაზე

ბიუსტპალტერისა და შარვლის ამარა რომ გამოვიდა. რა იყო განსაკუთრებული მის ჩაცმულობაში? არაფერი, მაგრამ მაინც, მაყურებელზე მაგარი ეფექტი მოახდინა...

— შესაძლოა, იმიტომ, რომ სცენაზე აზლუდით გავიდა?

— არა მგონია, მიზეზი მხოლოდ ეს იყოს. ბევრი სხვა მომღერალი სცენაზე თითქმის შიშველი გამოდის; ისიც არ აცვიათ, რაც იმ დღეს ლელას ეცვა, მაგრამ ეფექტს მხოლოდ იმნუთას ახდენენ და ისიც, ამ სიშიშველით მხოლოდ კაცებს თუ ხიბლავენ.

— შენი აზრით, ლელამ მაშინ ქალებიც მოიხილა?

— მოხიბლული ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ?! დღემდე მახსოვს ლელას შავი ბიუსტპალტერი (იციანის)... ძალიან მიყვარს მსახიობი ზაზა პაპუაშვილი, რომლის მსახიობურ ნიჭს დიდად ვაფასებ, ოღონდ — მისი ჩაცმის სტილი მალიზიანებს. ქუჩაში რომ გამოდის, უფერული ხდება, ისეთი სტილი აქვს, ვერც შეამჩნევ.

— რომ შეამჩნიონ, ამისათვის რა უნდა ქნას, შიშველმა იაროს?

— არა, ეს სულაც არაა აუცილებელი (იციანის). მაგრამ ყოველთვის ისე აცვია, გეგონება, სხვამ ძალით ჩააცვა და ტანზე ამიტომაც ვერ მოირგო. თუმცა, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმას, რომ ის ჩემი საყვარელი მსახიობია და როცა სცენაზეა, ჩემთვის მისი ჩაცმის სტილი მესაყვარისოვანია.

კაპაძე, 26 წლის:

— ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს თამთა ჭელიძის გემოვნება. ეს გოგო რაღაცნაირად, დაიხვეწა და თითქოს ყველაფერი ერთდროულად ისწავლა. თმა ქერად რომ შეილება, ესეც ძალიან მოუხდა. ეჭვი მაქვს, მის იმიჯზე ვიღაც ძალიან მაგრად ზრუნავს. კიდევ, მომწონს ნანკა კალატოზიშვილი. ის სულ ფორმაშია. თითქოს განსაკუთრებული არაფერი აცვია, მაგრამ მ-ლარიანი მაისურიც რომ ჩაიცვას, იმას ისეთ რაღაცებს შეუხამებს, 300-ლარიანი გეგონება. ამასაც ნიჭი უნდა, ესეც ერთგვარი ხელოვნებაა... ადრე თამუნა ამონაშვილის ჩაცმულობაც ძალიან მომწონდა, მაგრამ მერე, როცა სხვა იმიჯით მოგვევლინა, ჩემს თვალში ჩამოქვეითდა.

— ქართველ მამაკაცებზე რას იტყვი?

— ისინი განსაკუთრებულად არასდროს იცვამენ და მათ გემოვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება, ვილაცას „პიჟონივით“ სიარული მოსწონდეს, მაგრამ ამას არ გააკეთებს, რადგანაც იცის, რომ საზოგადოება დასცინებს; ან შესაძლოა, ვილაცას პიჯაკის ჩაცმის დიდი სურვილი ჰქონდეს, მაგრამ ვერ ჩაიცვამს იმიტომ, რომ ამაში სამსახური უშლის ხელს.

— ???

— ვთქვათ, „ვულკანიზაციაში“ ჰალსტუხით რომ მივიდეს და კლიენტებს ასე მოემსახუროს, აუცილებლად დასცინებენ...

პარპი, 19 წლის:

— ვილაცებს ნანი ბრეგვაძის ჩაცმის სტილი მოსწონდათ, მე კი დღემდე ვერ გამიგია, რატომ? ჩემი აზრით, ქალბატონი ნანი ახლა უფრო გემოვნებით იცვამს, ვიდრე ახალგაზრდობაში.

— მაშინ სხვანაირი მოდა იყო...

— ჰოდა, სწორედ ამაში ცდება პატივცემული საზოგადოება — მოდაში ტაფააფარებული სიარული რომ შემოვიდეს ან ისევე ლელვის ფოთლების აფარება გვირჩიონ დიზაინერებმა, რომელს მოეწონება?! კი, ბატონო, მოდის ტენდენციები ყველამ უნდა გაითვალისწინოს, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა იფიქრო, ესა თუ ის სამოსი მოგიხდება თუ — არა?! მაგალითად, ბევრმა ახალგაზრდა მომღერალმა (მათი სახელების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ) გადაწყვიტა, რომ მოდაში სიშიშველ იყო და გიჟივით, სცენაზე ლამის სულ დედიშობილა დარბოდა. ჰოდა, იმიტომაც გახდნენ პოპულარულები, ოღონდ — ნამით.

— სიშიშველ გალიზანებს?

— ზედმეტი ყველაფერი მაღიზიანებს — სიშიშველც და კარგად შეფუთული სხეულიც.



ეს გოგო რაღაცნაირად, დაიხვეწა და თითქოს ყველაფერი ერთდროულად ისწავლა

— ვინ და რა არ გალიზანებს? ვისი ჩაცმულობა მოგწონს?

— თავო ჩხეიძის ჩაცმის სტილი მომწონს. კიდევ, ნამდვილად გემოვნებიანი ქალბატონია მსახიობი თათული დოლიძე. რაც შეეხება ძველი თაობის წარმომადგენლებს, მომწონს ქალბატონი დოდო ჭიჭინაძის ჩაცმის სტილი. მან იცის, სად რა და როგორ უნდა ჩაიცვას, არასდროსაა ზედმეტად გადაპრანჭული. ამ მსახიობს უდიდეს პატივს ვცემ.



მიყვარს მსახიობი მამა პაპუაშვილი, რომლის მსახიობურ ნიჭს დიდად ვაფასებ, ოღონდ — მისი ჩაცმის სტილი მაღიზიანებს

მერი, 18 წლის:

— ყოველთვის ძალიან მომწონდა კაბუს ჩაცმის სტილი. ასევე გემოვნებიან ადამიანად მივიჩნევ ლექს-სენს, რომელმაც რეპერის სტილი კარგად მოირგო. გემოვნებიანი ადამიანია ბიგ თიკოც...

მარიუა:

„გამარჯობა, „გზავ“! ძალიან მიყვარს შენი ყვითელი, მაგრამ მანც, ლამაზი ფურცლები და მიხარია, რომ არსებობ. ბევრი ფული რომ მქონდეს, სიამოვნებით დავაფინანსებდი შენი გვერდების გაპრიალების ამბავსა და გაგებას, მაგრამ ეჰ, ლატაკი ვარ და ამას მხოლოდ სიზმარში თუ მოვახერხებ. ისე, ხშირად ვფიქრობ შენზე. იცი, რა მინდა? — ძალიან მინდა, რომ მაშინაც იარსებო, როცა მოხუცი ვიქნები. გკოცნი ყვითელ გულზე და იცოდე, მე შენს სუფთა, თეთრ, ფითქინა სინდისს ვთაყვანები :)“.

პანუშა:

„ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. ეს რომ იცოდეთ, „გზას“ ყოველდღე გამოუშვებდით. მე თქვენი ფანი ვარ და არასდროს გიღალატებთ. ნუ, ალბათ ხვდებით, რომ არც თქვენ უნდა მიღალატოთ, მაგრამ ახლა რა ვქნა, სოფელში „გზა“ რომ ვერ ვიმოკვებ? მითხარით, ახლა რა წავიკითხო? ეჰ, არა, რა, თქვენ გამო გემრიელად

— რეპერებს რას გადავიკვიდე?!

— მიყვარს რეპი და რა ვქნა?! სა-მაგიეროდ, შემიძლია, უგემოვნო რეპერებიც დაგისახელოთ.

გისმენ:

— ძვალი, შავი პრინცი, ჯერონიმო...

მათ რას უნუნებ?

— მათი ჩაცმულობა ყოველთვის მაღიზიანებდა და დღესაც ასეა. თავი შავი მამალი ჰგონიათ, არადა, ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან ხოლმე.

მოდე, რეპერებს შევეშვათ...

— და სხვები „გავტისკოთ“, არა?.. კარგად იცვამენ: თიკა ფაცაცია, თავო ჩხეიძე, ნატო ნიჟარაძე და ნინო ბურდული. ისე, გავიგე, რომ ნატო „რუსთავი 2“-დან მიდის და ეს მართალია?

— როგორც ამბობენ, ის „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გადადის, „სამოთხის ვაშლების“ ერთერთი წამყვანი იქნება.

— ძალიანაც ცუდი, ვერ ვიტან „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. სწორედ იქ სხედან უგემოვნო ადამიანები, რომლებმაც მაყურებელთა მასა ვერაფრით მიიზიდეს. ისე, რას ვერჩი ეკა ტოგონიძეს?! ეს გოგონა ძალიან მომწონს.

ეკას გარეგნობა მოგწონს თუ მისი ჩაცმის სტილი?

— გარეგნობითაც არაფერი სჭირს ჩემი დასაწუნი, მაგრამ კარგი გემოვნებაც აქვს. მე მის შეზობლად ვცხოვრობ და როცა არ მუშაობს, მაშინაც მუდამ კარგ ფორმაშია.

ბათი, 19 წლის:

— ქრისტიანე იმედაძის ჩაცმულობა

დასვენებაც ვერ მოვახერხებ :) ლიკა, „თინეიჯერულ პონტებში“ რა თემა გქონდა? გამოსმაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, ნათესავეებზე შეყვარებულები, არა? მაგრამ მაინტერესებს, რა ხდება თქვენთან და გული მწყდება, რომ ამ კვირაში რჩევასაც ვერავის მივცემ. აბა, გკოცნით და გაავრცელეთ ეს ოხერი, მაგრამ მაინც, საკალელი „გზა“ რეგიონებში იცი“.

ბაქო, 13 წლის:

„ძალიან მინდა, მეც ჩამწეროთ „გზის“ მკითხველების სიაში და იმედა, მიმიღებთ. მე 13 წლის ვარ და უკვე შემიძლია, თანატოლებს რჩევა მივცე, არა? დედაჩემი თქვენს ჟურნალს გამწოდებთ კითხულობს. ის დიდი ხანია, „გზის“ ფანია, მე კი ყოველთვის მაინტერესებდა, ასეთი რა ეწერა ამ ჟურნალში, რომ კითხვით გართულ დედას ჩემთვის ფაფის ჭმევაც ავიწყებოდა?! მართალია, ეს მიხაროდა, მაგრამ თან, თქვენზე ვეჭვიანობდი. ახლა მეც დავინწყებ „გზის“ კითხვას და დედას ამით სამაგიეროს გადავუხდნი. აბა, დროები იცი“.



ბატონი გოგასნაირი გარეგნობის მიხედვით მეც რომ მომიყვანონ და მითხრან, ამას ცოლად უნდა გაბყვეო, უარს ნამდვილად არ ვიგყვი

ძალიან მომწონს. ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სტილით და ამით ბევრს ჩრდილავდა კიდევ. ასევე ძალიან მომწონს ია ფარულავას გემოვნება. მან ნამდვილად იცის, ქალი კარგად როგორ უნდა გამოიყურებოდეს და რა გასაკვირია, რომ საკუთარ სხეულსაც კარგად ფლობს?!. ასევე მომწონს ლელა წურწუმიას გემოვნება. თუმცა ამ ბოლო დროს თავს რაღაცებში იზღუდავს და ეს საზოგადოების თვალში მის რეიტინგს დაბლა სწევს. მას სიამოვნებით ვურჩევდი, გააკეთოს ის, რაც უნდა და გამოჩინდეს ისეთად, როგორც სინამდვილეშია... ზოგიერთი ქალბატონი ძალიან მაღალი ხარისხის სამოსს ყიდულობს, მაგრამ ვერაფრს იხდენს და რა ქნას?!

— მაგალითად, ვის დამისახელებ?

— ვერავის, რადგან არ მინდა, ამით ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო. მე ხომ არაპოპულარული ადამიანი ვარ, თანაც, შესაძლოა, ჩემი გემოვნებაც ბევრს არ მოსწონდეს და ამიტომ, თავს უფლებას ვერ მივცემ, ამ მხრივ ვინმეს მწარედ ვუკვირო.

— კარგი ცვლაზე გემოვნებიან ქართველ მამაკაცად ვის დაასახელებ?

— გოგა პიპინაშვილს, გივი სიხარულიძეს, სოსო ჯაჭვლიანს. ამ ადამიანების გემოვნებაზე ვგიჟდები, სულ კარგად გამოიყურებიან. ისე, ბატონი გოგასნაირი გარეგნობის მიხედვით მეც რომ მომიყვანონ და მითხრან, ამას ცოლად უნდა გაბყვეო, უარს ნამდვილად არ ვიტყვი (იციან)!. მართალია, ბატონ გივის უკვე ჭალარა შეეპარა, მაგრამ ასაკს არ ეშუება და ყოველთვის ისეთ ფორმაშია, რომ თუ მოინდომა, კიდევ ბევრი გოგონას გულის დატყვევებას შეძლებს. რაც შეეხება ბატონ სოსო ჯაჭვლიანს, ის სუპერმამაკაცია, ჩემი ოცნების რაინდი, რომელიც დროში ამცდა (იციან)!

„ჩემთვის დღე საბიათი იწყებოდა და მთავრდებოდა“

ხატია კავთუაშვილი ამ ზაფხულს, შაორის პატრიოტთა ბანაკში ავტობუსით მიმავალ 25 ახალგაზრდას შორის იმყოფებოდა. ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარმა კატასტროფამ 3 ახალგაზრდა იმსხვერპლა. ერთ-ერთი მათგანი ხატია გახლდათ. 40 მეტრის სიმალიდან გადავარდნილი ავტობუსის პირველი ბრუნისას გოგონა ღია კარიდან გადავარდა და მას თურმე ავტობუსი ზედ დაეცა. საშინელი ტრავმების მიუხედავად, ხატიამ 8 საათის განმავლობაში იცოცხლა. გონება უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს...



ნათელულთან ერთად

ეთო ყორღანაშვილი

ეკა წარეთელი, ხატია კავთუაშვილის დედა:
— ხატია ქაჯანა იყო, მაგრამ — ძალიან საყვარელი. მთელი 36-ე სკოლა მისით სულდგმულობდა. თურმე, პატარაობისას კლასში 2 ბიჭს ერთდროულად ჰყვარებია. ორივე ერთად ფულს აგროვებდა და ხატიას ბუფეტისთვის აძლევდა, ჩემი შვილი კი თანაკლასელ გოგონებს მიმართავდა: ნამოდით, გოგონებო, ფული

გვაქვსო, — და ყველანი ბუფეტში მიდიოდნენ... პირველიდან მე-თორმეტე კლასამდე გამორჩეული მოსწავლე იყო — ამას მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ. სკოლაში კარგად სწავლობდა. ყოველი წარმატება ძალიან ახარებდა. თავის გამოჩენა უყვარდა. სხვა ბავშვების მშობლების მერიდებოდა, ამიტომ ხატიას ხშირად ვთხოვდი: ყველაფრის ინიციატორი შენ ნუ ხარ, ზოგ რამეს ორგანიზება სხვამ გაუკეთოს, თავად კი მხოლოდ მონაწილეობა მიიღე-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებდა. ძალიან აქტიური იყო. სკოლა წელს დაამთავრა. „ბოლო ზარის“ ღონისძიების მოსაწყობად, ყველა კლასმა რეჟისორი მიიწვია. ჩემი გოგონას ინიციატივით, ხატიას კლასმა „ბოლო ზარი“ თავად დადგა. ძალიან ლამაზი გამოვიდა. ბანკეტიც კარგი ჰქონდათ. ყველა ალტაცებული იყო. ბანკეტის დღეს ხატიამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები პირველად ჩაიცვა...

რაკი პირველობა უყვარდა, წელს, პატრიოტთა ბანაკში „ლიდერად“ წასვლა სურდა — ეს საქმე მისთვის ზედგამოჭრილი იყო. ამისთვის ერთგვარი კონკურსი უნდა გაეყოლო. ხატია ძალიან მოეწონათ, მაგრამ რადგან ჯერ მხოლოდ 17 წლის გახლდათ, „ლიდერად“ წასვლის უფლებას ვერ მისცემდნენ. ამიტომ, სხვა ბავშვებთან ერთად, შაორის პატრიოტთა ბანაკში გამგზავრება შესთავაზეს, მაგრამ გაბრაზებულმა უარი თქვა. თუმცა მერე მოუ-

ლოდნელად გამგზავრება მაინც გადაწყვიტა. მისაღებ გამოცდებს ძმაზე ადრე მორჩა. ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა: ავთოს 13-ში გამოცდა ჰქონდა, ხატია კი ბანაკში მიდიოდა! მას ძმა არასოდეს მიუტოვებია, სკოლაშიც ერთად დადიოდნენ... რატომღაც არ მიწოდოდა, ბანაკში წასულიყო. მამამისიც ეწინააღმდეგებოდა. ხატია მეუბნებოდა, — რაჭა არასოდეს მინახავს, სულ რაღაც 10 დღე დავისვენებ, ძალიან გთხოვო. მერე გამებუტა. შემებრალა და მაინც დამიყოლია — წასვლის უფლება მივეცი. გამგზავრების წინ მამიდაშვილს — თეონას დაურეკა და ბანაკში წასვლა შესთავაზა. ხატია გავაფრთხილე: თეონას შენ გაბარებ, მიხედ-მეთქი.

დილით მთელმა უბანმა გაიგო, რომ ხატია ბანაკში მიემგზავრებოდა. სიცოცხლისით დამემშვიდობა. წასვლისას უკან მობრუნდა, ჩემკენ გამოიქცა და ერთხელ კიდევ ჩამეხუტა. ვუთხარი, — შენებურად არ გამოიჩინო თავი, ჭკვიანად იყავი-მეთქი, — მაგრამ როგორც მითხრეს, ავტობუსში ძალიან მხიარულობდა: იცეკვა, იმღერა და ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა... იმ დღეს ძალიან ცხელია. მძლოლს მგზავრობისას ავტობუსის კარი ღია ჰქონდა და ავტობუსი ისე მიჰყავდა. ხატია წინ მჯდარა. უკან ბავშვები „ჯოკერს“ თამაშობდნენ. მასაც დაუძახეს. ადგილი არ იყო და ხატია მამიდაშვილს კალ-



სიცოცხლით სავსე და მიზანდასახული იყო: ჯერ „გოეთეში“ ჩაბარება უნდოდა – გერმანიაში ვისწავლიო; მერე ჟურნალისტობა მოისურვა...

თაში ჩაუჯდა. სწორედ იმ მომენტში უგრძნიათ, თითქოს მინა ჩაინგრაო. ხატია ნამომხტარა. ხელსაჩაჭიდი ვერ უპოვია. თურმე ყვიროდა: ვაიბე, დედა, მიშველე, მიშველეო!.. ბავშვებმა დაუყვირეს, — ხატია, დანყნარდიო! უცებ ხატია ვეღარ დაინახეს — ავტობუსის პირველი ბრუნისას კარიდან გადავარდნილა და ავტობუსი ზედ დაეცა... როცა მასთან მისულან, პირველად ეს უკითხავს: თეონა ცოცხალიაო? თეონა გადარჩა. ჩემს შვილს კი ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა. უთქვამს, — ვაიბე, ფეხს ხომ არ მომაჭრიანო? — დამშვიდდი, ხატია, რაც მთავარია, გადარჩიო, — აწყნარებდნენ. „სასწრაფოს“ აღარ დაელოდნენ და გამვლელ მანქანაში ჩასვეს, მაგრამ... მხოლოდ გული ჰქონია მთელი — ასეთ მდგომარეობაში 8 საათის განმავლობაში იცოცხლა. ქუთაისში ისე ჩავედი, ჩემთვის სიმართლე არ გაუმხელიათ. მეგონა, გოგონას ფეხი ჰქონდა მოტეხილი. საავადმყოფოში რომ შევედი, შიშმა ამიტანა. ნათესავებმა ზურგი შემაქციეს, ვერაფერს მივხვდი... ვამბობდი, — ბავშვს პალატაში რომ გადაიყვანენ, მერე ვნახავ-მეთქი. არ ვიცოდი, ასე მძიმედ თუ იყო. ექიმი რომ გამოვიდა, ჩემმა მეუღლემ ყვი-

რილი დაიწყო, ხატიას ძმა კი საავადმყოფოს მინებს ამსხვრევდა, მაგრამ დაცვის თანამშრომლები მას წინააღმდეგობას არ უწევდნენ. ექიმს ვკითხვ: ჩემს გოგონას ფეხის ამპუტაცია ხომ არ ემუქრება-მეთქი? — ქალბატონო, ერთი ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა, მეორის ამპუტაცია გავუკეთეთო, — მითხრა. მეტი არაფერი მახსოვს...

როგორც ვიცი, როცა ბავშვებმა გრუხუნის ხმა გაიგონეს, დაინახეს, რომ მძლოლი ავტობუსიდან გადახტა. იფიქრეს, — უნდა გვიშველოსო. თურმე საკუთარ თავს უშველა. კატასტროფის შემდეგ, როცა ბავშვები ამოჰყავდათ, მათ თავჩაღუნული უყურებდა. ღმერთმა აბატიოს. არასოდეს ვიტყვი, — ჩემი შვილის სიკვდილი მას უნდოდა-მეთქი, — მაგრამ ძალიან დიდი ცოდვა დაიდო. მიპატიებია მისთვის!..

შარშან, ცხინვალში ჩემი დისშვილი იბრძოდა. 9 აგვისტოს მძიმედ დაიჭრა. ხატია მ რომ გაიგო, ბაჩანა დაჭრილია და „ლუდუშაურში“ წევსო, უბანში ღრიალი მორთო. ექიმები დაჭრილის გადარჩენის 1%-იან შანსსაც კი არ იძლეოდნენ. ბაჩანას ოჯახი ზუგდიდში ცხოვრობს. მისი დაჭრის შესახებ მშობლებმა არაფერი იცოდნენ. გზა გადაკეტილი იყო. ვფიქრობდით, — შვილის ამბავი რომ გაიგონ, წამოსვლას ვერ შეძლებენ და გული არ გაუსკდეთ-თქო. ამიტომ მათთვის არაფერი გვითქვამს. მე და ხატია ბაჩანას გვერდიდან არ მოვშორებუვართ. მოულოდნელად, 17 აგვისტოს ბიჭი კომიდან გამოვიდა. 18-ში მის მშობლებს გაავაგებინეთ. სამწუხაროდ, სიხარულის შემდეგ დიდი ტრაგედია დატრიალდა: ბაჩანას მამა ქალაქში პროდუქტების საყიდლად წასულა. უკან რომ ბრუნდებოდა, გზაზე გადმოსვლისას მანქანა დაეჯახა და დაიღუპა. ვვარაუდობ: ალბათ, ღმერთმა ბაჩანას სანაცვლოდ, მამამისი წაიყვანა-მეთქი...

ნეტავ, მშობლები დავსოცილიყავით და ხატია ცოცხალი ყოფილიყო. ჩემი ნუგეში არ არსებობს: დღე ხატიათი იწყებოდა და ხატიათი ღამდებოდა. სიცოცხლით სავსე და მიზანდასახული იყო: ჯერ „გოეთეში“ ჩაბარება უნდოდა — გერმანიაში ვისწავლიო; მერე ჟურნალისტობა მოისურვა — 3 წელი მოსწავლეთა სასახლეში ახალგაზრდა ჟურნალისტთა წრეზე დადიოდა. ბოლოს სამედიცინოზე სწავლა გადაწყვიტა. ამბობდა, — ნახავ, მაინც ჩავაბარებო! რასაც იტყოდა, ყოველთვის ასრულებდა. საგამოცდო ბარათი საფლაგში ჩავატანე. მისაღები გამოცდების პასუხებს მნიშვნელობა აღარ აქვს — მაინც ყველაფერში „ჩაჭრილია“ უკვე...

დასაწყისი იხ. გვ. 62

ბა, ცოტა ფული დავაგროვოთ-მეთქი. გულზე ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი. შარშან 10 ოქტომბერს, თურქეთში ოპერაციის გასაკეთებლად უნდა წავსულიყავით; 5-ში დააკავეს. ოპერაციის გაკეთება რომ მოესწრო, ახლა ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა... საავადმყოფოში რომ იწვა, მის მოსანახულებლად, ერთი ყოფილი პატიმარი მოვიდა, რომელიც მასთან ერთად სასჯელს იხდიდა და შეინყალებს. იმ ბიჭმა თქვა: ჯაბას-ნაირ ადამიანს ჯერ არ შეგხვედრივარ; ახალ წელს 300 ლარი ჰქონდა და პირი არაფერს დააკარა, — დედა და ბებია მშივრები იქნებიანო; 1 ლარიც რომ ჰქონოდა, 70 თეთრს სხვას დაახარჯავდაო...

— თქვენთან პირად ცხოვრებაზე გულახდილად თუ ლაპარაკობდა?

— ჯაბას თავის საქმიანობაზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ პირადი ცხოვრებიდან არაფერს მიმალავდა. იცოდა, რომ მეგრელი რძალი მინდოდა, თან ისეთი, რომელიც მისთვის გემრიელი სადილების მომზადებას შეძლებდა.

— შეგვარებული ჰყავდა?

— დიას. ის გოგონა მეც მომწონდა. წარმოშობით, ფოთიდან იყო, პროფესიით — ექიმი. ახლა საზღვარგარეთ არის.

— ჯაბას ამბავს თუ კითხულობს?

— სანამ საზღვარგარეთ წავიდოდა, ორჯერ დამირეკა. საავადმყოფოში რომც მოსულიყო, მაინც არ აჩვენებდნენ — ბადრაგი იცავდა. შვილთან მეც 2 წუთით მიშვებდნენ და მაშინაც, ბადრაგის თანხლებით, თითქოს ჯაბა სადმე გაიქცეოდა... ცხიდან მკურნალობის ხარჯები რომ არ დაეფარათ, 10 დღის შემდეგ, პატიმრობა გადაუშვადეს. ჩვენთან შეწყალების არანაირი ცნობა არ მოსულა; მგონი, ახლაც პატიმარია... ყველგან ვიტყვი, რომ დამლუპეს, მთელი ღამე გულგაჩერებული ადამიანი იქ როგორ გააჩერეს?! ასეთი უყურადღებობა დანაშაული არ არის?!

— ჯაბამ ყველაზე რთული პერიოდი გადალახა, მისი გამოჯანმრთელების იმედი არ უნდა დაეკარგოთ.

— რეანიმაციაში, დედა პარასკევა ხუთჯერ იყო მოსული; მამა ბასილი ჯანმრთელობის ლოცვებში იხსენიებს, აქაც ხშირად მოდის და ლოცავს. მამა გაბრიელის საფლავიდან აღებულ ზეთს ვაცხებთ. იმედს მართლა არ ვკარგავ, იქნებ უფალმა არ გამწიროს... ■



ბიზლუსი

ანუ პაპირუსი — წიგნის სინონიმი

აღჩე თუ გზიან

მარი ჯაფარიძე

ხათუნას ცხოვრებაში ყველაფერი მოულოდნელად ხდებოდა. ქმარიც კი ყველასგან მოულოდნელად წავიდა მისგან. გაყრამდე ერთი კვირით ადრე სიყვარულიც კი აუხსნა. მაშინ ცოლ-ქმარი წვეულებაზე იმყოფებოდა. ალკო სიყვარულს სხვების გასაგონად უხსნიდა. ხათო გუნებაზე არ იყო და ხმაძალდა უპასუხა:

— რა თავში ვიხლი შენს სიყვარულს?! — უთხრა და დაივიწყა.

როგორც ჩანს, ასეთ სიტყვებს ჰყარზე არ ისვრიან. ერთი კვირის შემდეგ ალკო სხვა ქალთან წავიდა.

საღამოს კარის მეზობელი, ბავშვობის მეგობარი, ლანა შევიდა მასთან.

— რას დამჯდარხარ და მიმტერებინარ ერთ წერტილს?! ბავშვს „რეიტუზიც“ კი ვერ ჩააცვი სწორად. დარბის უპატრონოდ! ცოტა ხნით დედამთილს მაინც წაუყვანე. შენ კი დაისვენე, რას ჰგავხარ?! — რას ამბობ, ლანა? სადღა მყავს დედამთილი?! ქმარი რომ წავა, დედამთილის „ინსტიტუტიც“ ავტომატურად უქმდება...

— სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებე! მაგან არ გააჩინა ეგ ურჩხული?! ახლა ნება იბოძოს და მოგვხმაროს!

ხათო გამოერკვა და გაცხარებული აღაპარკდა:

— ეს ყველაფერი სამინელებათა ფილმს ჰგავს! იქნებ ჩემს ქმარს ცხვირში უცხოპლანეტური ვირუსი შეუფრინდა, ახლა გაიზარდა და მისთვის უკვე ამ ვირუსის მეტი აღარაფერი არსებობს?

— მდაა... მე ვერ არავის ვეტყვი, რომ გაგიყდი, — ლანამ თანაგრძნობით გახედა მეგობარს.

— ლან, არ გეცოდები? — ისევ და-შოშმინდა ხათო.

— კი, აბა, რას ვაკეთებ?! — იგინები...

— გინდა, თმას შეგიღებავ?... რაიმე ისეთი ფერის საღებავი ვიყიდოს, ხალხს თავზარს რომ დასცემს, — შეიცოდა ლანამ.

— მაღლობა, მე უკვე დამეცა თავზარი. ვერაფერი გამიგია. ხომ შეიძლება, დამეღებარაკოს, ამისხსნას... მგერამ არ უნდა. მართო იმას ამბობს, რომ ყველაფერი დას-

რულდა და ამაში არავინაა დამნაშავე — უბრალოდ, დრო მოვიდა, რომ სხვა ადამიანად გადაიქცეს.

— გინდა, წარბების ამოპუტვაში და წამწამების შეღებვაში დაგესმარები? — განაგრძობდა ლანა.

— არა, ჯობია, წამწამები ამომპუტო და წარბები შემიღებო.

კარზე დარეკეს. ხათო გამოცოცხლდა. იქნებ ისაა? იქნებ გადაიფოქრა წასვლა?

ანა მოვიდა, ლანასა და ხათოს საერთო მეგობარი.

— ტირით? — დაინტერესდა ანა.

— დაგაგვიანდა, უკვე გამოვიტირეთ ყველაფერი, — უპასუხა ლანამ.

— სატირალი რა გქონდათ?! ვუშოვით კაცს, თანაც, პირველზე გაცილებით უკეთესს, — ლამაზი თავი გადააქნია ანამ.

— შენთვის იშოვე ჯერ, — ხმა ამოიღო ხათუნამ.

— უკვე ვიშოვე! — ამაყად წარმოთქვა. — მართლა? და ვინ არის? — გამოცოცხლდნენ გოგონები.

— თურქი მილიონერია! — ანა აშკარად, იმ შთაბეჭდილებით ტკბებოდა, რომლებიც მეგობრებზე მოახდინა. სიმართლე რომ ითქვას, სწორედ იმისთვის ცხოვრობდა, რომ „შთაბეჭდილებები მოეხდინა“...

— ეს კიდევ ერთი „გამარჯობა-ნახვამდის“ იქნება, ალბათ. აქედანვე ნათელია, რომ მასთან ერთად, დედხანს ვერ იცხოვრებ. თანამედროვე ქართველი ქალი ვერ იცხოვრებს აღმოსავლელ დესპოტთან, — ისევ წარმოთქვა ლანამ, თითქოს მიტინგზე სიტყვით გამოდიოდა.

— სანყალი კლარა და როზა, ნუთუ ტყუილად ინვალებს? — ამოიოხრა ხათომ.

— ესენი ვინაა არიან? — შეეშინდა ანას.

— ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ხომ იცი, ისტორიკოსია, კლარა ცეტკინსა და როზა ლუქსემბურგს გულისხმობს, — ცხვირი შეჭმუნდა ლანამ.

— მომისმინე, გენაცვალე, — დამრიგებლური ტონით დაიწყო ლანამ, — შენ იმ თურქისთვის მხოლოდ მოახლე იქნები: „ჩაი მომიტანე, ყავა მომიტანე, ფრჩხილები დამაჭერი“... ამას გაუძლებ?! — ანამ უარის ნიშნად, თავი გადააქნია და



ყოველი შემთხვევისთვის, თემა შეცვალა: — ნინო სად არის? მეგონა, აქ იქნებოდა.

— ზურგავდით, მაგრამ ტელეფონი გამორთული აქვს. ალბათ იმ თავის მინდორშია და მედიტაციის სენსს ატარებს. ამიტომ, მივიჩნით, რომ უკვე ყველა შევიკრიბეთ და ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტოთ, ვებრძოლოთ თუ არა, — ლანამ კრება გახსნილად გამოაცხადა.

— და რას უნდა ვებრძოლოთ ან არ ვებრძოლოთ? — ანამ ლამაზი პოზა მიიღო.

— ჩემი ქმრისთვის უნდა ვებრძოლოთ თუ — არა. უფრო სწორად, ახლა უკვე ყოფილი ქმრისთვის, — ამოიოხრა ხათომ.

კარი გაიღო და ზღურბლზე ხუთიოდე წლის გოგონა გამოჩნდა. ეს ხათოს შვილი გახლდათ. პატარას სურდა, მისთვის ვინმეს აეხსნა, სად წავიდა მამა. ქალები ბავშვს თანაგრძნობით უყურებდნენ. ყველამ, როგორც ერთმა, ჯიბიდან კანფეტი „დააძრო“.

— გახსოვს, ნინიკო, მე და შენ ზღაპარი რომ წავიკითხეთ „სოფლის მამუნებლებზე“? — ხათო ცდილობდა, რაც შეიძლება დელიკატურად აეხსნა ბავშვისთვის მამის გაუჩინარების მიზეზი. — ხომ გახსოვს, მე-ლიამ მამალი იღლიაში რომ ამოიჩარა და ტყეში წააცუნცულა? ჰოდა, მამაშენი ის მამალია, რომელიც მე-ლიამ მოიტაცა.

გოგონა დაფიქრდა. ალბათ ზღაპარი გაიხსენა. შემდეგ სახე გაუნათდა და თქვა: — ჰო, მახსოვს, მე-ლიამ იქ ძაღლმა გადააღწინა მამალი. დედა, მე და შენ მამა უნდა გადავალჩინოთ?

ხათო ჩაფიქრდა. იქნებ ქმრის წასვლა ახალი ცხოვრების დაწყების შანსია და კედელზე თავის ხლა სულაც არაა საჭირო?! მერე რა, რომ გული სტკივა?! გაუშვებს: „იფრინე, საყვარელო, ბედნიერი იყავი,

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ გაგიწიე ისეთი ცოლობა, როგორც შენ გსურდა. მორჩა! დამთავრდა!“

— ახლა რომ დაბრუნდეს, ამ წყენას მინც ვერასოდეს დავივინცებ და სულ საყვედურებით უნდა ავავსო. დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის, — მონყენილი ხმით თქვა ხათომ.

— მაშასადამე, ყველაფერი გადაწყვეტილია! — „კრების“ შედეგი შეაჯამა ლანამ. — შემომავქეს წინადადება, ვისადილოთ!

ხორხე წელა მიუყვებოდა გზას მშობლებს. სახლისკენ. ხელში ჩემოდანი ეჭირა. ვინ თქვა, რომ ესპანეთში ცუდი ამინდი არ დგება?! საშინლად ცხელოდა. ზედმეტი კი არაფერი ვარგა...

მაგალითად, ის ძალიან ბევრს მუშაობდა და არც ეს იყო კარგი. სურდა, საკუთარი საქმე ჰქონოდა და სულ მალე მისი საგამომცემლო სახლი გაიხსნებოდა. ხორხეს ხანდახან რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში არ ეძინა, რომ საქმე მოესწრო. სწორედ ამის გამო იყო, რომ ოჯახში ცოტა დროს ატარებდა. ცოლი 2 პატარა ბავშვთან ერთად, შინ იჯდა და არ ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ქმარი ოჯახისთვის ირჯებოდა. საღამოს, როცა ის უზომოდ დაღლილი შინ ბრუნდებოდა, ცოლს განაჩენი გამოჰქონდა: „შენ ეს მოგწონს!“

ხორხე სახლს თანდათან უახლოვდებოდა. მშობლებს როგორ გაუკვირდებოდათ?! მას ძალიან უყვარდა ცოლი, ის კი თავს მუდამ ცუდად გრძობდა. კაცს რაც უნდა გაეკეთებინა, არაფერი მოსწონდა. მას აღიზანებდნენ ქმრის მშობლები, რის გამოც მოხუცები შვილიშვილებს იშვიათად ნახულობდნენ. ხანდახან, სტუმრად მისულ, ქმრის მშობლებს რძალი კარსაც კი არ უღებდა. ისინი ზარს რეკავდნენ, მონიკა კი ფაჯრიდან უთვალთვალებდა... მას არც ქმრის მეგობრები მოსწონდა. მეგობრებმაც წელა-წელა მიივიწყეს ხორხე; მშობლებმაც დაანებეს მათთან სიარულს თავი. მას ცოლი ადრეაშუალებდა იმაში, რომ მადრიდში არ ცხოვრობდნენ, რომ მისი, როგორც მოცეკვავის კარიერა არ შედგა, რომ კაცი საერთოდ, ცოცხლობდა და სუნთქავდა... ხორხეს მადრიდი უყვარდა, მაგრამ ამ ქალაქში ფულის შოვნა არ შეეძლო. არც ცოლის კარიერისთვის შეუძლია ხელი, პირიქით, ხელსაც უნწყობდა. მონიკა თხელი აღნაგობის ქალი იყო, გრძელი, ლამაზი თმა ჰქონდა და მოხდენილი მიხრამოხრა სჩვეოდა. ცეკვის დროს კი სახეზე მხოლოდ პრობლემები ეწერა, რის გამოც თეატრში არ მიიღეს. თავიდან ქალი საბაზანოში იკეტებოდა და საათობით ტიროდა. შემდეგ დეპრესიამ შეიპყრო და თვითმკვლელობის მცდელობაც კი ჰქონდა... ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაექცა. ხორხემ ძალით ნაიყვანა ფსიქიატრთან, რომელმაც „ბენდიერების“ აბები გამოუწერა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

დღეს კი ცოლმა გამოუცხადა, რომ შორდება. მიზეზი ვერ დაასახელა. უბრალოდ თქვა, რომ მასთან თავს ცუდად

გრძნობს. იქნებ აბის მიღება დააიწყებდა?... ხორხე ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ და გაცლა ამჯობინა. ცოლს სახლი და მანქანა დაუტოვა, ერთ მომცრო ჩემოდანში მხოლოდ აუცილებელი ნივთები ჩაალაგა და მშობლებსკენ გასწავა. დაილაღა და ბრძოლას აღარ აპირებდა. უცნაურია ცხოვრება — ოჯახი ჰქონდა, ახლა უკვე აღარ აქვს. ხორხე თავს მოტყუებულად, უბედურად, გასრესილად, დროისა და სივრცედან ამოვარდნილად გრძობდა. ცოლი შეჰპირდა, რომ განქორწინების პროცესს მალე წამოიწყებდა და ადვოკატსაც მალე გაუგზავნიდა. ხორხემ ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ მგლებივით დაესეოდნენ და არაფერს დაუტოვებდნენ.

ხათუნასა და ალევოს მეგობრები ფსონს დებდნენ — რამდენი ხანი დასჭირდებოდა ალევოს, რომ თავისი შეცდომა შეეგნო და პატიების თხოვნით, შინ დაბრუნებულიყო. ხათუნას „მონინალმდეგეზე“ კი ათასგვარ რამეს ამბობდნენ:

— შენი ფეხის ფრჩხილადაც კი არ ღირს! ნამდვილი თეთრი ზაზუნაა, — ამბობდა სანდრო.

— რომელიმე სოფლიდანა ჩამოთრეული. მაგან „პერაშკები“ უნდა გაყიდოს, — ამბობდა დათო.

— კაზინოში დადიოდა, რომ ვინმე მდიდარი მამაკაცი გამოეჭირა და სოფელში დაბრუნება არ დასჭირვებოდა, — ამბობდა სოსო.

— გმადლობ, ჩემო ძვირფასებო. როგორც მივხვდი, ის ისეთი გოგოა, რომლის მსგავსიც პოლიფუდში უამრავია: მაღალი, გრძელფეხება, ქერა, მიზანდასახული. მორჩა, ჩემი საქმე წასულია!

დრო გადიოდა, ალევო კი დაბრუნებას არ ფიქრობდა. უფრო მეტიც, თავის ახალ ცოლთან სიამტკბილობაში ცხოვრობდა. მეგობრები ფსონს აღარ დებდნენ და საერთოდ, სადაც გადაიკარგნენ. მხოლოდ ყველაზე საყვარელი, ყველაზე ერთგული მეგობრები დარჩნენ.

— როდის უნდა დასრულდეს ეს ყველაფერი?! — თვითონაც არ იცოდა, ვის ეკითხებოდა ხათო.

ხორხემ გადაწყვიტა, რომ აღარავის შეეყვარებდა. ყოფილმა ცოლმა გახურებული რკინით ამოშანთა ის ადგილი, სადაც კაცს სული ჰქონდა... მაგრამ გავიდა დრო და ხორხე მიხვდა, რომ საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც უნდა დაემტკიცებინა — ის ნამდვილი მაჩო იყო. ყოველდღე — ახალი ქალი! არა! უმჯობესია, დღეში — რამდენიმე! ლამაზი მამაკაცი ქალაქში ყვითელ კაბრიოლეტით დაეჭროდა, რომელიც მუდამ სახე იყო მოკისკისე ქალებით. მისი საყვარელი გასართობი — დიდი სისწრაფით ზღვაში შევარდნა იყო. ამ სანახაობის მიმართ გულგრილი არავინ რჩებოდა. შემდეგ იძახებდნენ საავარიო სამსახურს და „ლენდ როვერი“ ზღვიდან ამოჰყავდათ. ჭრილობები თანდათან მუშუდებოდა.

ხათო ერთ-ერთ ტელევიზიაში უწრ-

ნალისტად მუშაობდა.

იქვე საყვარელიც გაიჩინა, მაგრამ კაცს ბავშვინი ქალი არ სურდა. „სწორია, — ფიქრობდა ხათო, — თუ მათ საკუთარი შვილების მიტოვება შეუძლიათ, სხვისი რაღამე სჭირდებათ?!“

ვიდრე პირველ პაემანზე წავიდოდა, ალევოს მინც დაურეკა და საქმის კურსში ჩააყენა. ჯერ კიდევ მის ცოლად მიიჩნევდა თავს და ლამის ნებართვაც კი სთხოვა, სულელმა. ალევომ კი უპასუხა, რომ შეეძლო, ისე მოეცეყო, როგორც სურდა; მისთვის სულერთი იყო, რას გააკეთებდა ხათო.

გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. „ადრე თუ გვიან, აუცილებლად ვიპოვი მამაკაცს, რომელსაც საოცრებების ჩადენა შეეძლება“, — გაიფიქრა ხათომ.

ხორხე სამუშაო დღეს სიის შედგენით იწყებდა, რომელშიც იმ დღის ყველაზე მთავარ საქმეებს ჩამოწერდა ხოლმე. როცა სიის თავში ერთ შესრულებულ საქმეს გადახაზავდა, სიის ბოლოში 3 ახალი ემატებოდა. ხორხემ კალამი მაგიდაზე დააკაუნა და ფურცელი შორს მოისროლა. რისთვის ცხოვრობდა? რისთვის მუშაობდა? იმ ფულით, რომელსაც ის შვილებს უხდიდა, ყოფილი ცოლი მოგზაურობდა და მადლობასაც არავინ ეუბნებოდა. უფრო მეტიც: მონიკა ბავშვებთან შეხვედრასაც კი უზღუდავდა. ესპანელმა ქალემბა რომანტიზმი დააკარგეს. თანამედროვე კარმენს ქმარი არ სჭირდება. თანამედროვე კარმენს მამაკაცი ერთი ღამისთვის უნდა. თანამედროვე კარმენი თუ გათხოვებას იწყებს, ქმარი მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ფული მისცეს, ბავშვები აღზარდოს, სახლს მიხედოს და საღამოს, მეგობრებთან ერთად, კაფეში დაჯდომას არ დაუშალოს; თუ მოიწყენს, გაართოს: „ხორხე, მცხელა; ხორხე, მცხელა; ხორხე, აქედან გაეთრიე!“

ხორხეს ეს ყველაფერი აღარ უნდოდა. მას გაახსენდა, რომ ერთ-ერთი მეგობარი უყვებოდა გაცნობის საიტის შესახებ; ისიც უთხრა, რომ იქ უამრავი ლამაზი ქალის ფოტო დევს და შეუძლია ამოარჩიოს... ხორხემ კომპიუტერი ჩართო. საჭირო საიტი მალე იპოვა. თითო „თავის“ ლილქს აწვებოდა, ეკრანზე კი უამრავი ქალის სახე ჩანდა... შეეცრდა, საოცრად ლამაზი ქალის სევდიანი მზერა დაიჭირა. ხორხეს მოეჩვენა, რომ ეს ქალი აუცილებლად უნდა გაეღიმიებინა და გაემხიარულებინა.

ხათუნა მეგობრებთან ერთად, კაფეში იჯდა. რაღა თქმა უნდა, მამაკაცებზე ჭორაობდნენ.

— ყველას ბიზნესმენზე უნდა გათხოვება. იქნებ მამაკაცი ძალიან კარგია, მაგრამ ბევრი ფული არა აქვს? რატომ ცდილობს ყველა ქალი, რომ მამაკაცის ხარჯზე იცხოვროს?! მე მაგალითად, თავად ვმოულობ ფულს და არც კისერზე ვინმეს დასმას ვაპირებ, — თქვა ლანამ.

— კარგი, რა, ამ თემას თავი დავანებოთ. ცხოვრება ხომ მშვენიერია, არ უნდა დანებდე, — ხათომ სიტყვა განყვი-

ტა, რადგან მეგობრები ეჭვის თვალით უყურებდნენ.

— ამას უყურეთ, ერთი, თვალები როგორ უბრწყინავს! აბა, ახლავე თქვი, რამ გაგახდა ასეთი ოპტიმისტი? რა ჩაიდინე?.. — ჰკითხა ანამ.

— ისეთი არაფერი. ჩემი ანექტა განვითარებულ გაცნობის საერთაშორისო საიტზე. სხვადასხვა ქვეყნიდან 15 ადამიანი შემეხმანა, — ხათო ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ მის თვალებში ჭინკები დასტოდნენ, — ერთ-ერთი მათგანი ძალიან მომეწონა. მარტში, ჩემი დაბადების დღისთვის ესპანეთში მასთან გავემგზავრები.

— კი, მაგრამ, არ გეშინია? იქნებ გიყია, ვილაც?! პასპორტი რომ ნაგართვას და ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდე, ამაზე არ გიფიქრია? ასე უცებ როგორ მოახერხე? — დააყარეს კითხვები.

— სულელს არ ჰგავს, ისეთ წერილებს მწერს, რომ ძალიან ჭკვიანი უნდა იყოს. მისი ხმა შემეფიქრებდა. ასე არავინ დამლაპარაკებია... ცოტა სასაცილო ვილაცაა, მაგრამ ძალიან მაგარი ადამიანია.

— შენ რა, ესპანური იცი?

— არა, ინგლისურად ვლაპარაკობ ხოლმე.

— კი, მაგრამ ჩვენზე არ ფიქრობ? ადგები და ასე მიგვატოვებ?

— ნუ წერვიულობ, ჯერ არ მივდივარ და თუ წავალ, იქაც რაიმე შემემთხვევა აუცილებლად და ჩემთან ნუგემის საცემად ჩამოხვალთ.

— ჰო, რაღაც, აუცილებლად შეგემთხვევა. მხოლოდ შენ შეგიძლია, ძილში ფეხი იღრძო, მაცივრის გამოღების წინ პალტო ჩაიცვა, რომ არ გაცივდე, მაგრამ უცებ რომ დაჭკვიანდე ესპანეთში, რა გვემეღებება მერე?! გამოდის, ვეღარ უნდა შევხედეთ ერთმანეთს?

ხათუნა ესპანეთში შაბათს, ჩარტერული რეისით უნდა ჩასულიყო. სატელეფონო ზარები და მიმოწერა, რომელიც მთელი შემოდგომა და ზამთარი გრძელდებოდა, ახლა რეალური შესხვედრით უნდა დასრულდებოდა. ბარსელონაში ამ დროს ყოველთვის დიდი ბაზრობა იმართება. ამის გამო სასტუმროები სულ დაკავებულია. ხორხე დახმარება მდივანს სთხოვა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, მდივანმა ნორმალურ სასტუმროში ერთადერთი თავისუფალი ნომერი აღმოაჩინა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ეს საპრეზიდენტო ნომერი იყო და მისი ღირებულებაც პრეზიდენტის ხელფასის შესაფერისი გახლდათ. ხორხეს იმედი გადაეწურა. ფიქრობდა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობდა. მისი მდივანი კი სასტუმროს მენეჯერს რაღაცას ეწურაწურებოდა. იმის ნაცვლად, რომ საქმიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა, თავისი შეფის განქორწინებასა და ახალ სიყვარულზე ელაპარაკებოდა. ხორხემ ყური მიუგდო და არ იჯერებდა, რასაც ისმენდა. თუმცა მდივანი მიერ ნათქვამი ერთი ფრაზა კი ძალიან მოეწონა: „მატერიალურმა კრიზისმა სიყვარულის ცეცხლი არ უნდა ჩააქროს“. მენეჯერი

დაეთანხმა. ყველაფერი მოგვარდა. ხორხემ საპრეზიდენტო ნომერზე დიდი ფასდაკლება მიიღო და ისე გაუხარდა, რომ სიყვარულით დატანჯულ ყველა თანამშრომელს დამატებით უქმე დღის ალებ-ის უფლება მისცა.

ხორხემ თავისი პატარა ქალაქი პარასვევ სალამოს დატოვა. მას ბარსელონაში საკუთარი მანქანით უნდოდა ჩასვლა, რომ შემდეგ სტუმარი გაესეირნებინა. სასტუმროში მისულმა წითელი ვარდების დიდი თაიგული შეუკვთა და სანოლზე დადო. ხორხემ არ იცოდა, ეს ქართველი გოგონა მაშინვე დათანხმდებოდა თუ არა სესხზე. ან საერთოდ, მისცემდა თუ არა მასთან დარჩენის უფლებას?

სასტუმროში დიხანს გაჩერება ვერ შეძლო და აეროპორტისკენ გასწავა. თვითმფრინავის ჩამოვარდნამდე 2 საათიან რჩებოდა. გზაში მშობლებმა დაურეკეს და ჰკითხეს, ამ გოგოს ცოლად მოყვანას ხომ არ აპირებდა?.. შემდეგ მეგობარმა დაურეკა და გააფრთხილა, რომ ამ ქართველს მხოლოდ ფული აინტერესებდა... ხორხეს ამისი ყველაზე ნაკლებად ეშინოდა, რადგან ფული არ ჰქონდა... ჯერჯერობით...

ხორხე კარგა ხანს ელოდა. საათს დახედავდა, შემდეგ ბოლთას სცემდა, ისევ საათს დახედავდა და ისევ ბოლთას სცემდა. აეროპორტის თანამშრომლებმაც კი შენიშნეს მომლოდინე კავალერი და გულმემატიკოვრობდნენ. ვინ იყო ნეტავ ის გოგო, რომლის ჩამოსვლაც არა და არ დაადგა საშველი?.. ჩარტერული რეისი არა და არ ჩანდა. არ ჩამოვიდა ქართველი, არ ჩამოვიდა!

ხორხემ თანდათან დაკარგა საზეიმო „ვიდი“. როგორც ჩანს, აღარ ჩამოვა...

მამაკაცმა თავს შეუძახა: 1 გოგო შეიძლება, არ ჩამოვრინდეს, 2 გოგო არ ჩამოვრინდეს, მაგრამ მთელი თვითმფრინავი რომ არ ჩამოვიდეს, ეს წარმოუდგენელია... მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი ჩამოვრინდა, თანაც 4 საათის წინ! მდივანს არ გაუთვალისწინებია დროის სხვაობა და არასწორი ინფორმაცია მიანდოდა შეფს.

ხორხეს ოფლმა დაასხა. რას იფიქრებდა ახლა ის გოგონა?! სად წავიდა? სად უნდა ექებოს? ის ხომ უცნობ ქვეყანაშია, იქნებ ხიფათს გადაეყარა?.. ხორხემ დარეკა და მთელი საგამომცემლო სახლი ფეხზე დააყენა, ყველა თანამშრომელი დაიბარა და დაავალა, რომ ბარსელონის ყველა სასტუმროში დაერეკათ და ხათუნას ამბავი ეკითხათ. გოგონას ბევრი ფული არ ჰქონდა და ამიტომ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ვერ გაჩერდებოდა. ძებნამ შედეგი არ გამოიღო. ხორხე სასტუმროში წავიდა და სანოლზე დაეგდო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტანკმა გადაუარა.

ხათუნა უკვე შევუბუღებამი იმყოფებოდა. გამგზავრების წინა საღამოს მშობლებს ხორხეს სურათი უჩვენა, დედას კი წერილებიც წაუკითხა.

— ნამდვილი პრინცია, ჰოლივუდის ვარსკვლავი, — ამოიხორხა დედამ, — ეს საშენო არაა.

— მე ის მომწონს, დედა, და მინდა, რომ ბედნიერი ვიყო.

...როგორც იქნა, დადგა ნანატრი შაბათი. ხათუნა ჯინსის შარვალსა და ქურთუკში გამოეწყო. მთელი 5 საათის განმავლობაში, ვიდრე თვითმფრინავში იჯდა, სარკეში იყურებოდა. მავიჯეს იკვებდა, იშლიდა და ისევ იკვებდა... ქალებმა ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. ხათომ აუხსნა, რომ ბარსელონაში მას თეთრ ცხენზე ან თეთრ „მერსედესზე“ ამხედრებული პრინცი უნდა დახვედროდა. ფრენის ბოლოს ხათოს სიყვარულის ამბავი ყველა მგზავრმა იცოდა. როდესაც თვითმფრინავი აეროპორტში დაემშვა, ყველა ფეხს ითრევდა. ყველას აინტერესებდა ამ პრინცის ნახვა.

ხათუნას არავინ მოაკითხა. ხალხი ლოდინით დაილა და თანაგრძნობით სავსე მზერით დაიშალა...

ერთ-ერთმა თბილისელმა მამაკაცმა კი მხარზე ხელი დაარტყა და თავისთან, ბარსელონიდან 200 კილომეტრის დაშორებით მდებარე, საკურორტო ქალაქში დაპატიჟა. ხათო გაჰყვა. საღამოს კი დედას დაურეკა და ტირილით მოუყვა, რომ ხორხე არ დახვდა.

დედამ დაამშვიდა:

— შეუძლებელია, ადამიანი, რომელიც ასეთ წერილებს გწერდა, არ დაგხვედროდა. ალბათ რაღაც მოხდა. დანყნარდი. მისი ტელეფონის ნომერი ხომ გაქვს? დაურეკე და ჰკითხე, რა მოხდა.

— არ დავურეკავ, თავი დამანებე!..

ხათო 3 დღის განმავლობაში ცხოვრობდა პროვინციულ ქალაქში, სადაც თხილამურებზე სრიალს სწავლობდა. დილით ადრე დგებოდა და მთელ დღეს გარეთ ატარებდა. ჩანთაში ხორხეს ნომერი ჰქონდა, მაგრამ სიამაყე არ აძლევდა მასთან დარეკვის საშუალებას.

— ალბათ ჯობია, დავრეკო, იქნებ ადამიანს რამე შეემთხვა?

ხათომ თხილამურები მოიხსნა და გადაწყვიტა, სასტუმროში დაბრუნებულიყო და ხორხესთან დაერეკა.

ამ დროს მისკენ მიმავალი მამაკაცის სილუეტი დალანდა.

„ალბათ სასტუმროს თანამშრომელია, ახლა მოვა და მეტყვის, რომ ონკანი დამრჩა ღია და ქვედა სართულები ჩავრეცხე“, — გაიფიქრა ხათომ.

— როგორ ხარ? — ჰკითხა ყურებამდე გალიმებული მამაკაცმა.

— ხორხე?! — დაიძახა გახარებულმა. ხათო თვალებს არ უჯერებდა. სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, მხოლოდ უწყლოდ დასრინილი თევზებით აფრენდა პირს.

ხორხემ მოჰვა იგი! ვიდრე ქალი ფიქრობდა, დაერეკა თუ არა, ხორხემ თავად მიაგნო! ეს სასწაული იყო.

...წყვილი ყვითელი ჯიპით მიქროდა ბარსელონისკენ და ერთმანეთს ტკბილად ეჭლურტულებოდა. ხორხე თავს იწონებდა, რომ რამდენიმე ქართული წინადადება ისწავლა: „მე შენ მიყვარხარ“, „უშენოდ სიცოცხლე არ შემეძლია“ და „მშია“...



დასაწყისი იხ. „გზა“ №18-34

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

პაპა გიგაშვილი

გორში, პედაგოგიური ინსტიტუტის ახლოს, ხეივანში გაჩქარებული მოდიოდა მაგდო. „მერსედესი“ ნამოენია, გადაუსწრო და გაჩერდა. მძღოლის გვერდიდან ნოდარ ყაფლანიშვილი გადმოვიდა და მოეგება:

— ამას ვის ვხედავ, ჩვენი გოგო! ჩვენს მაგდოს გაუმარჯოს! როგორა ხარ? ჩაჯე, ნაშინდარში ავიყვანოთ!

მაგდო შეცბა. ქვეშეცნეულად აფრთხოდა და ზარავდა კიდევ ამ ძლიერი მამაკაცის რალაც სხვანაირი, მისთვის უსიამოვნო ყურადღება, ქალის ალღოთი ნაგრძნობი რალაც ავი სიხარბე, მაგრამ ამ კაცის, მისი სოფლისა და მისი გოდერძის მიმართაც აშკარა და რეალური მოამბეობა ბოჭავდა და აიძულებდა, ზრდილობიანად მოჰქცეოდა. შინაგანი, ველური და განუსჯელი მოთხოვნილება ჰქონდა — გაქცევა, მაგრამ ამ ინსტინქტს აყოლაც ულამაზოდ და გაუმართლებლად ჩანდა.

— გმადლობთ. ნაშინდარში არ მივდივარ... სახლში იციან... დღეს აქ ვრჩები, ჩემს თანაკურსელ თაკოსთან, აქვე ცხოვრობს, ცოტა ავადა და თან მარტოა.

— ნამო, ნამო ნაშინდარში, იქ გოდერძის წერილი გელოდება...

— უცებ შეიცვალა მაგდოს ტონიცა და განწყობაც, აღელდა:

- გოდერძის წერილი? საიდან?
- დღეს ჩამომიტანა მისმა პარტნიორმა. შენთვის გამოატანა... კეისი ნაშინდარში დავტოვე, თორე აქვე მოგცემდი.
- ვაიმე! ნეტა რას იწერებ? — აწერვ-

იულდა მაგდო.

— აბა, მე რა ვიცი? შენს წერილში ჩახედვას ვინ გაბედავდა...

— რამდენჯერ ვთხოვე, დაამთავრე, ჩამოდი-მეთქი...

— ვერ გაამტყუნებ... გრაფიკის ზემოთ სამჯერ დარჩა... ცდილობს, ქორნილამდე რასაც მოასწრებს, მეტი გამოიმუშაოს... რა, განწყენი ზედმეტი ფული? ჰოდა, ცდილობს კაცი!

— ჰო, ანაზღაურება კარგი აქვს და თქვენი ძალიან მადლიერია, მაგრამ, აგე, ოქტომბერიც იწურება და...

— ...და ქორნილიც გვიანდება, არა?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა ნოდარმა. — ეგ არაფერი! ორი კვირა იქით-აქეთ... სამაგიეროდ, კარგი თანხაც დაგიგროვდათ. ჰოდა, ვნახოთ ერთი, რასა გწერს, როდის ამთავრებს... აბა, მოდი, შესკუპდი დროზე, ნავედით!

ნოდარმა ორივე ხელი დასტაცა და მართლაც შეასკუპა უკანა დასაჯდომზე მაგდო, თითონაც გვერდზე მიუჯდა.

საჭესთან მჯდომმა ლეომ დაძრა მანქანა.

ზეინაბი ქავით სავსე სააბაზანოში ნებივრობდა, თვალეზილულულმა დაუქანა კესოს:

— მაცივარში რომ გახსნილი ბოთლია, ბოკალში ჩამომისხი და მომიტანე!

კესომ ორივე ხელით ჩაბლუჯული, შეორთქილი, პირამდე სავსე ბოკალი შემოუტანა.

— ისე, ლამაზაქუ დაგედა, აჯობებდა! — თქვა ზეინაბმა და სწრაფად დაამატა. — არა, არა... ახლა მოიტა, როგორც

არის... — როცა დაინახა, რომ კესომ გაბრუნება დააპირა.

ზეინაბმა მოსვა შამპანური და ბოკალი იქვე, თაროზე შემოდგა.

— ესეც ასე! კაი ყოფილა ღვინის წრუბვა... მივეჩვიე, ალბათ, იორამისაგან... მართლაც, ცოტა არ იყოს, ფანტავს შავ ფიქრებს, აღუნებს...

— შავ ფიქრებს თქვენთან რა ხელი აქვს, ქალბატონო, ღმერთმა დაგიფაროთ!

— დამიფაროს, დამიფაროს, ჩემო კესარი! მეც მაგას არ ვამბობ? — ახლა, იცი, რა ქენი? ეს კარი სულ ბოლომდე გააღე და ტელევიზორი მოაკოტრიალე, რამდენზედაც მოსწვდება... პულტიც მომიტანე!

კესომ მოაგორა ტელევიზორის გორგოლაჭებიანი მაგიდა, ზედ კართან მოაყენა. ზეინაბმა დაიწყო პულტით არხების ძებნა. კესო გაუჩინარდა.

„...ამ ქალს ერთი კარგი თვისება კი აქვს... ზედმეტს არაფერს შედეკითება და ზედმეტად თვალშიაც არ გეჩხირება...“ — ფიქრობდა ზეინაბი და გესლიანად გაეცინა: „რალა ეგა და რალა იორამი!“

ოთახიდან მოისმა ნაბიჯების ხმა, რალაცების დაფრთხების, სავარძელში ჩამწყვების ხმები, მერე ამოიხვრა და სანთების ჩხაკუნია...

„...აგე, მოვიდა... ნეტა ისევ მთვრალია? ნახე, არც შემოიხედა, ხმაც არ ამოუღია... არ აინტერესებს... არც ტელევიზორის შეხედვა უნდა ნეტავ?“

მოსვა ბოკალიდან და წკარუნით დადგა სასმისი. მერე ფეხებით წყალი ააწყაპუნა, ტელევიზორის ხმას აუწია. ამ ხმაურს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია ოთახიდან.

„...თითქოს აღარ ვარსებობ მაგისთვის. რამეს ხომ არ მიხვდა? არა, მაშინ აღარც ვინმეს გაიკარებდა და ყველაფერს ჩაშლიდა. არა, უკვე კარგა ხანია, დაკარგული აქვს ჩემდამი ინტერესი... გინდ ყვოლივარ და გინდ არა... იქნება ასეც ჯობია? ჰო, ასე ჯობია, ჯერჯერობით, სანამ... სანამ ეგ თავის საქმეს მოამთავრებს და სანამ შესრულდება ყაფლანიშვილის პირობა! ეს ა-უ-ც-ი-ლ-ე-ბ-ე-ლ-ი-ა-! ესაა მთავარი და ერთადერთი! მერე ჯანდაბა და დო-ზანა! არ შემიძლია მერევე ფიქრი!“

სასმისი ბოლომდე დაცალა, დადგა. სააბაზანოდან შხაპის გადაუღებლად გადმოვიდა, პირდაპირ სააბაზანო ხალათი მოიცვა და ოთახში გამოვიდა. შეხედა ქალაღდებიან, გაზეთების დასტიანად სავარძელში ბოლის კორიანტელში ჩაფლულ იორამს და დაუქანა:

— გაგიმარჯოს, იორამ!..

იორამმა გამოიხედა. ზეინაბი ჯოტომ შუადღეზე ჩამოიყვანა, იორამი გასვლას რომ აპირებდა, სწორედ მაშინ. ერთი-ორი სიტყვით გამოლაპარაკებაც მოასწრეს და იორამმა თავისი გზა გააგრძელა.

ახლა გაკვირვებით თქვა:

- ვაჰ, დილით ხომ მოგესალამე!
- მისალმება-გამარჯვებას დათვალა აღარ გამიგია! — გაიცინა ზეინაბმა.
- იორამმაც გაიღიმა, ნაბიურტყუნა:
- ჰო... არა... მაგრამ... — და ისევ ქალაღდებში ჩარგო ცხვირი.

ზეინაბმა კესოს გასძახა და მთელი სერიოზულობით შეუდგა მდიდრული სუფრის გაშლას: ძვირფასი ჭურჭელი, ბროლის სასმისები, ვერცხლის დანა-ჩანგალი. არ დაეინყებია დანა-ჩანგლის ვერცხლის შესადგმელებიც. ვერცხლის შანდლებიც კი შემოდგა, პანია გირლანდებით მორთული სანთლებით. სუფრაზე გაჩნდა ჩაცივებული შამპანური და ბროლის გრაფინი კონიაკით, ზეთისხილი, ხიზილალა, ფრანგული ყველი, სოკო.

— იმედია, ვახშამზე უარს არ მეტყვი... — მიმართა იორამს. იორამმა ახლადა მოიხედა:

— აუჰ! ლუკმის ჩაყლაპვაც არ შემიძლია... ლობიო, ჯონჯოლი, ნივრის მწილი ღვინოს ძალიან მოუხდა და... ხომ იცი ჩემი ამბავი, ორი ლუკმა თუ ზედმეტი შევჭამე, მერე სული მესუთება... — ზეინაბს შეხედა და თითქოს დაირცხვინაო, დაამატა, — ისე მოგიჯდები, კომპანიას გაგინეჭ!

აალაგა ქალაღები, წამოიზღაზნა და სუფრასთან გადაჯდა, თვალი მოავლო და გაიფიქრა: „ეს ბროლეულ-ვერცხლეული როდისღა ჩამოზიდა?“ — ხმამაღლა თქვა:

— რაშია საქმე, ვინმე დიდგვაროვან სტუმრებს ველით?

— მე მგონი, სუფრა ორზეა გაშლილი... თუ თვლა არ დამეინყებია...

— ჰო, ჰო! კი! მაგრამ ეს სანთლები ვითომ რაღაა? დაღამებამდე კაი ორი საათია, — გაიცინა იორამმა.

ზეინაბმა უსიტყვოდ მოხვეტა ორივე შანდალი და დივანზე მოისროლა. იორამს თითქოს არც შეუმჩნევია ეს უესტი, წამოდგა და სამუშაო მაგიდიდან თიხის ხელადა მოიტანა.

— მე ამაზე ვარ აწყობილი, შამპანური არ მინდა...

ზეინაბმა თვითონ გახსნა ბოთლი და თავისთვის დაიხსა.

ერთხანს ისდნენ ჩუმად და ორივე თავის ღვინოს წრუპავდა, მერე იორამმა ხელით სუფრაზე ანიშნა:

— რამე მიზეზია?

— არავითარი! უბრალოდ წამომიარა... „ლორდობანას“ ვთამაშობ... — გაიცინა

ზეინაბმა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ზეინაბი კითხვებს ელოდა და უკვე კარგადაც ჰქონდა მოფიქრებულ-დალაგებული სათქმელ-საამბობელი, მაგრამ როგორც ჩანდა, იორამი არც აპირებდა არაფრის გამოკითხვას, იჯდა ჩუმად და აბოლებდა.

„ალარც აინტერესებს არაფერი...“ — მწარედ გაიფიქრა ზეინაბმა და თვითონ დაიწყო:

— ისე, გეტყობა, მაგრამ ჩაგითრია მაგ საქმემ... საინტერესოა რამე?

— რაღა მე და რაღა ერკვიულ პუარო!

— გაიცინა იორამმა. — ნაღდი დეტექტივი, გამოცანა... იმისთანა მოულოდნელი და უცნაური ამბები ამოდის, რომ...

ზეინაბი დაინტერესებული მიაჩერდა.

— რაღა დაგიმალო და, ჩვენი ყაფლანიშვილისათვის ვერაფერი სახარბიელო ამბებია.

ზეინაბს სახე დაეძაბა.

— ეგ როგორ?

— გრძელი მოსაყოლია... ყველა დეტალი რომ შეიკვრება, მერე გეტყვი, — აგდებულად გაიქინა ხელი იორამმა.

— მოკლედ, ერთი-ორი სიტყვით მაინც მითხარი, გამაგებინე... ძალიან გთხოვ!

— კარგი... აგერ, ორ დეტალს გეტყვი... ამას წინათ აღმოვაჩინე ქორწინების დოკუმენტი მარგარიტა ყაფლანიშვილსა და ვინმე ჯაყო ჯივანულს შორის. 1921 წელი...

უფრო ადრე საეკლესიო დავთრებში ვნახე ჩანაწერი ჯვრისწერაზე თავადის ასულ ყაფლანიშვილსა და თავად თეიმურაზ ხევისთავს შორის, ათი წლით ადრინდელი თარიღით... ამ ორ დოკუმენტს შორის იმხელა აბურდული, ურთიერთსაწინააღმდეგო და ბევრგან გაუგებარი ინფორმაციაა, რომ... ამას ყველაფერს ისევ კვლევა და ერთმანეთზე გადაბმა უნდა, რომ გადაწყვეტილი, საბოლოო რამე თქვა...

ზეინაბმა სასმისი მოიყუდა, ჩაცივებით ჩაეკითხა:

— მერე, მერე...

— მერე? მერე ვნახავთ! ჯერჯერობით კი ძალიან საეჭვოდ ჩანს ამ სათავადოს მფლობელობა. ხევისთავების გვარი ფიგურირებს... თუ ეს ოდესღაც ხევისთავებს ეკუთვნოდათ, ყაფლანიშვილების ხელში

როდის და რანაირად გადავიდა? გაუგებარია...

ზეინაბი ძალიან შემფოთდა:

— კი, მაგრამ... ნოდარი?

— არ ვიცი! ყოველ შემთხვევაში, ყაფლანიშვილების მამაკაცური შტო აქ არსად ჩანს... ხომ გეუბნები, ბევრი სხვადასხვანაირი დეტალია, მაგრამ ყველას თავისი ადგილი სჭირდება... მოდი, იცი, რასა გთხოვ? ჯერჯერობით, მეტს ნულარაფერს შემიკითხები. ძველი სათავადანაშაურო არქივები ძალიან გაპარცულ-გატივალბულია და პირდაპირი საბუთი ვერაფერზე ვიპოვე. როცა რამე გაირკვევა, მოგახსენებ! ისე, მართალი გითხრა, ამ ამბავმა აზარტში ჩამაგდო.

— ეტყობა, ტყუილად მეგონა, ლოთობას გადაჰყვა-მეთქი... შენ კი ჩემ-ჩემად გიმუშავია და გიმუშავია...

— რატომ „ჩემ-ჩემად“? ვითომ, რა მქონდა დასამალავი?

— რა ვიცი... გარედან ისე ჩანხარ, თითქოს სულ მთვრალი დაყილებ და ხანსად ნაატან ჭიქას და ხან — სად...

— ეგ არავის საქმე არაა! — გაღიზიანდა იორამი. — ყველამ თავის მამიდას მოუაროს! ღვინო ჩემი ბენზინია! აი, ასე!

ზეინაბი აფორიაქდა:

— იორამ... მაგრამ... ხომ იცი? ეგ ყველაფერი ნოდარისთვის უკუღმა რომ გამოვიდეს? რამოდენა ფული და ამბავი აქვს ჩადებული! რა მოხდება? კატასტროფა... ჩვენითვისაც... — უნებურად შეასწორა. — შენთვისაც რა შედეგს გამოიღებს?

იორამს უცებ ნაეკიდა ბრაზი:

— ჩემთვისაც? მე სულ ფეხებზე არა მკიდია?! მე რაზედაც დამიქირავებს, იმას ვასრულებ! ისტორიული სინამდვილის გამოძიება... მაგისტომ ჩავრჩი აქ და არც ნასვლას ვაპირებ, სანამ ბოლომდე არ მივიყვან. დადგენილ ფაქტებს, სამნაირად გადამონმებულ, უტყუარ ფაქტებს ჩავაბარებ. რაც შემიკვთეს, რაზეც დავექირავდი, იმას ჩავაბარებ! სასიამოვნო-არასასიამოვნოზე არ დავეკირავებულვარ! ვის ესიამოვნება და ვის არა, ეგ ჩემი პრობლემა აღარაა. ჩემს ვალდებულებას შევასრულებ, ჩემს ჰონორარს მივიღებ! მერე ჩემგან შესყიდულ „პროდუქციას“ ეგ და მაგისი აფერისტი იურისტი რაში მოიხმარენ, რა ჩემი საქმეა! მაგათი საკუთრება იქნება და რაც უნდათ, ის უქნან!

ზეინაბი უკვე კანკალებდა დაძაბულობისაგან:

— იორამ, მე მომავალზე ვლაპარაკობ, იორამ!

— რომელ მომავალზე? რის და ვის მომავალზე?! — ისეთი ზიზღითა და სასონარკვეთილი ბრაზით წამოიძახა იორამმა, რომ ზეინაბს გააყრუოლა. ტუჩები უთრთოდა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— შენი წიგნის მომავალზე? შენი წიგნის მომავალზე, იორამ!

ამ დროს ოთახში კესო შემოიჭრა, სახემოდრეჯილი, აცრემლებული, აყვირებული.

— ქალბატონო, მაგდო მოიტაცეს, ჩვენი მაგდო! მოტაცებულია!..



ზეინაბი და იორამი ფეხზე წამოცვიდნენ, გაისმა არეული შეკითხვები:

- რაო, ვინა?
- რას ჰქვია? როგორ?
- სადა, კაცო?
- რანაირად? რას ამბობ?
- უკვე ორი დღეც გასულა... არ იცოდნენ... არავინ იცოდა... გორში... — ნანყვეტ-ნანყვეტ ისროდა კესო.

ზეინაბმა ღვინიანი ჭიქა გაუნოდა, მკაცრად შეუძახა:

— დაჯექი, მოსვი! დალაგებით მოჰყვი!

კესომ ღვინო მოსვა, დაჯდა, თავსაფრის ბოლოთი სახე მოიწმინდა, ერთი სამჯერ-ოთხჯერ ამოიოხრა და სცადა დალაგებულად ეთქვა:

— აბა, რა ვიცი. არავინ არაფერი იცის... გორში, მაგდო, სასწავლებლიდან მიდენილა თავოსთან... ავად და მაგასთან უნდა დავრჩეო, დავბარებინა... თავოსთან არ მისულა... თავომ: მეგონა, ნაშინდარში წაფიდაო... მეწყინა კია, რად მომატყუაო... აქაც ხო არ მოსულა, მაგრამ ამათ კიდე თავოსთანა ჰგონებიათ... ხო ეგრე იცოდნენ და არც ელოდნენ... სასწავლებელშიაც მოუკითხიათ... გაირკვა, რო არც თავოსთან მისულა, არც სახლში და არცა სასწავლებელში... ორი დღე და ღამე კი გასულია, ქაა!

— პოლიცია რას ამბობს? ვინმე მონმე, დამნაშავე ვრავინა ნახეს? — იკითხა იორამმა.
— ააააა-პა-პა-პა-პა-პა! ჰქვეყნაზედა... ცამ უყო პირი თუ დედამინამ, არავინ იცის! პოლიცია კი ფეხზეა, მაგრამ აბა რა? იდგნენ ფეხზე, რა! საით გააბიჯონ, კი არ იციან და...

— ვინმეს რამე ხომ არ შემოუთვლია, გამოსასყიდზე, რამე?

— ააააა-პა-პა-პა-პა! არსაიდან ჭაჭანება! ეჭვი აქვთ, ოსების საქმეაო... ისე, ადრევე ერთი კარგი ოსის ბიჭი ეძლეოდა, კარგი ოჯახის შვილი... მოციქულიც მოუგზავნეს გოგიასა... არც მიუღიათ! ის ბიჭი კი იქადნებოდა თურმე, მაგრამ გოდერძის შიშითა არც ვინმე გაჭაჭანებულა... — უცნებ ხელებით მთელი ძალით ლაწანი გაუდინა თავის მუხლებს. — აპაა, თუ ეგრე არ იყოს! გოდერძი ხო წასულია და დრო შიგულეს! ეგრე იქნება! რატო არ მოკვდები! — თავში ხელები წაიშინა კესომ.

გარედან ნინია მასწავლებლის ძახილი მოისმა და იორამი გაეგება, შემოიყვანა. ბებერს გამეხებული სახე ჰქონდა, კრიჭაშეკრული, მაგრამ წყნარად და მკაფიოდ ლაპარაკობდა. „ეგეც შენი სამოცდა-თორმეტი წლისა! — გაიფიქრა იორამმა, — მგელივით კი იყურება და...“

— ჰოო! — ამბობდა ნინია. — ახლა მაგდოსები თქვენსა მოდიან, იქნება, ბატონ ნოდარს დაუჟავებინდეთ, გავაგებინოთო... ეგ ისეთი კაცია, ძლიერი და გრძელი მკლავი აქ, ბევრგან მიუზვდებაო... იორამის შეკითხვაზე გააგრძელა:

— ჰოო! ერთი ხელჩასავლები ეჭვი ეგაა, მაგრამ ჯერ რა იცია? ჩვენი ბიჭები გაცვენილი არიან. მაგდოს ძმებიცა, გოდერძის ძმაცა და მაგათი ძმობილებიცა. ვინც ამ

არემარეზე შავი და გავარდნილია, ყველასთან მოჩხრევენ. თუ იმ ოსის ბიჭის საქმეა, პირველს მაგას გარკვევენ. ეგრე ადვილად კი არავინ გაგაგებინებს, მაგრამ ამ ბიჭებმა ციან რალა-ცრალაცები. იქნება, გამოსასყიდის ამბავიც იყოს. ეგეც ხო დღეს-ხვალ გამოჩნდება...

სოფლებების ჯგუფმაც მოანია მაგდოს მამა გოგიასთან ერთად. შემოლაგდნენ, განანილდნენ სავარძლებსა და სკამებზე. ზეინაბს კი მობილური ეჭირა ხელში და გამალბული კრებდა ნომრებს.

— ვაიმე, ამ ნოდარს ორი დღეა, ვერაფრით დაუჟავებინდი. ახლაც არ გადის! თურქეთში იყო და... გივის! ახლაც გივის დაუჟავა! ეგ გვაპოვინებს!

ანაზდად მოგონებამ გაურბინა: ნოდარის უცნაურად გაბოროტებული მზერა, სოფლის გოგოებმა რომ იუარეს ჯიპში ჩასხდომა. მაშინ ხომ გააკვირვა ამ აუხსნელმა გაბოროტებამ. რალაცამ ცუდად გაჰკენლა აზრმა, მაგრამ თვითონვე ხმაძლლა უთხრა თავის თავს — არაა! — და გააგრძელა გივის ნომრის აკრება...

— გივი, გივი, შენა ხარ? ზეინაბი ვარ! ჩეპა სოფელში! ნოდარი გვჭირდება! — ჩასძახა ტელეფონს ზეინაბმა.

„წუნკლები“ აშვებული იყვნენ. ჭიშკრიდან მომავალ გზაზე ასანყობი ფიცრის ბარიერი იდგა და ყაფლანიშვილი ხტომაში ავარჯიშებდა ძაღლებს. სტუმრად მოსული გივი ზემოთ, აივანზე შეკუტილიყო, იქიდან გადმოჰყურებდა ეზოს. ნოდარს გვერდით ტაბურეტი ედგა, ზედ — ემალირებული ჯამი, სისხლში ჩაყრილი ხორცის ნაჭრებით. ყოველი ბრძანების შესრულების შემდეგ ძაღლები საჩუქრად ხორცის სისხლიან ნაჭერს იღებდნენ პატრონის ხელიდან.

— ეს სისხლიანი ჯამი რალა უბედურებაა? რად გინდა? — გადმოსძახა გივიმ ზემოდან.

— სისხლის სუნი რო არ დაავიწყდეთ! ასეა საჭირო.

— იმ მწვრთნელმა მასე დაგიბარა?

— მაშ, აბა, როგორ?! კილერების პროგრამა... ესეც შედის მაგაში...

— ნეტა, რა ჯანდაბად გინდოდა? მართლა ვინმე რომ მოკლან, რას აპირებ?

— მაგისტვის საგანგებო ბრძანება... ბრძანება-პაროლი... მაგ სიტყვა მართო მე ვიცი...

— მე არ მეტყვი? — გაიცინა გივიმ.

— რად გინდა, მაინც ახლოს ვერ ევარები და... ეტყვი და, იქნება შენ თითონ შეგჭამონ! ვა-ხა-ხა-ხა!

— კაი, კაი, დიდი მადლობა! შენ ეგ მითხარი, იორამი რას შერებს? არაფერი უჩვენებია?

— სუ მოჩხრიკა, სადაც სადმე ქრონიკებში ყაფლანიშვილის გვარია ნახსენები... კაი რალაცები... ნაშინდრის არქივიც გადააბუჯუარა, ახლა გორის არქივებში იქექება...

— აი ეგ მაინტერესებს, რა მოქექა.

— სასამართლოსთვის რაც გჭირდება, ხო ყველაფერი მზადაა? შენ არ მითხარი,

ყველა საბუთი აურუშია, წყალი არ გაუფო?

— სასამართლოსთვის ასეა.

— აბა?

— გული მეთანაღრება, რამე ისეთი არ მოქექოს, ხელი შეგვეშალოს.

— მაგისი სული ჩემს ხელშია! ისე მოქექავს, როგორც საქმეს წაადგება!

— რა ვიცი, რა ვიცი... შენ არ ამბობდი, დიდი თავკერძა და ჯიუტი ვინმეაო?! მაგითომ არ მინდოდა, სანამ სასამართლოს დადგენილებას მივიღებდით, მაგისი გარევა.

— მაგათაც რა გააჭირეს, რატო არ ნიშნავენ პროცესს? რალას უცდიან?

— წელს ითრევენ... ვამონმებთ, რამე სარისკო არ გაიპაროსო.

— ესე იგი, დამატება უნდათ, ხო?

— უნდათ, უნდათ!

— უუუ, მაგათი წურბელა დედები! — გაბრაზდა ნოდარი. — დავუმატებ! მოურიგდი! ოლონდ სასწრაფოდ დანიშნონ თარიღი! — მერე ძაღლები დააბა, ეზოს ონვანზევე გადაიბანა ხელები და აივანზე ავიდა, ბურტყუნებდა, — მოვუფლით, მოვუფლით!

უცნებ ზემო სართულიდან, საძილეებიდან მოგუდულად მოაღწია რალაც კენესისა და ღმუთის მაგვარმა ბგერებმა. გივიმ ყურები ცქციტა და ნოდარს მიაჩერდა. ნოდარი ამრეზილ-გალიზიანებული სახით სადაღაც იყურებოდა, არაფერს ამბობდა. გაფითრებული გივი გააღმასებულ მზერას არ ამორებდა ნოდარს, თითქოს პასუხს მოითხოვდა. ამ დროს აივანზე ლეო გამოვიდა და გივიმ მას შეხედა. ნოდარმა მოასწრო და ლეოს პირისა და წარბების მოძრაობით რალაც ანიშნა, დაიყვირა:

— რა არი, ბიჭო! ვეღარ მოაშორეთ მაგ თქვენი კაბებები?! რა თავს ნახვედით! გაყვრით ყველას სახლიდან და კისერიც გიტეხიათ!..

ლეოს ხმა არ ამოუღია, იდგა გამეხებული, გივიმ კი ჩუმად, რალაცნაირი სასტიკი სისინით უთხრა:

— ყაფლანიშვილო, არ ვიცი, კიდე ვინა გყავთ დამწყვედული ამ სახლში, მაგრამ რაზედაც საგანგებოდ გაგაფრთხილე, ის თუ მოხდა, ჩემი იმედი აღარ გქონდეს! წინასწარ გუზუნები, ოფიციალურად უარს ვიტყვი შენს იურისტობაზე! წავედი! — გატრიალდა და კიბეზე დაეშვა. ცოტა არ იყოს, ნიარნამხდარმა ნოდარმა ბუზღუნით დაადგინა:

— შენ, ჩემო გივი, ბოლო დროს რალაცა პანიკორობა დაგჩემდა! რა მოგივიდა, კაცო? კლიმაქსი ხო არ გენყება?

გივი უსიტყვოდ გავიდა ჭიშკარში, ნოდარი ლეოს მიუბრუნდა:

— ბიჭო, ხო გითხარი, როცა ვინმეა მოსული, გათიშე-მეთქი!

— ეძინა, ბატონო, და რა ვიცოდი! მამინვე კი გაუჟკეთ ნემსი და ისევე გაითიშა, მაგრამ... ახლაც დაბმულია ისევე... თავის მოკვლა სცადა და მეშინია...

— ვიცი. იცოდე, მაგისი რამე თუ გავიდა გარეთ, არც ერთს ციხე არ აგვცდებ! ჭკვიანად იყავი, სულ დარაჯად... რამე არ ქნას, სანამ მოვარჯულებდე!..



— არა მგონია, ბატონო, მაგისი მორჯულება გამოვიდეს! სულ წამალზე როდემდე იქნება? მოკვდება...

— გამოვა! მაქვს ორი კვი კობირი და გაჭრის უნამლოდ... ფუფუნება, სიმდიდრე და ევროპაში გაგრილება ყველა ქალს უნდა... დამიჯერე მე შენ! რაც გინდა, ბავშვური რომანტიკითა და სიგიჟით იყოს გატენილი, რამდენიც გინდა ინიკვინოს და იისტერიკოს, ბოლოს, ადრე იქნება თუ გვიან, მაგაზე აკეთებს ყველა პასადკას... გააჩნია... ზოგს მეტი დრო უნდა, ზოგს ნაკლები... მაგრამ ბოლო სტანცია უეჭველად ერთნაირია. ხო გჯერა ჩემი, ბიძია ნოდარის, ჰა? — გაიცინა. — მთელი ცხოვრება მაგის მეტი რა მინახავს... არც ერთი გამოჩინების! ჩემს მზეს ვფიცავ, არც ერთი გამოჩინების არ ყოფილა! როგორია, ა? ამან ხო უნდა დაგარწმუნოს რა-ღაცაში ადამიანი? ჰოდა, მაგიტომ ვარ დარწმუნებული! მაშ, აბა როგორ! ნერვები უნდა ზოგჯერ მაგარი, ეგაა და ეგ! შენ, ჩემო ლეო, მაგარი და ნაღდი ბიჭი ხარ... შენ რო მითხარი, ის დედაკაციც მოვცელე ბავიკებთან ერთად, არ დამეინყებია! ეგ კვი გამოცდილებაა მამაკაცისთვის... ნერვების გაკაუება! ნამდვილ მამაკაცს რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს! მაგიტო გელაპარაკები ამდენს, ჩემი ჯიშისა მგონიხარ. ლომი უნდა დადგეს შენგან, ლომი! რას მიქვია ვიღაცა გომბოსის ისტერიკა?! მაგან თვითონაც არ იცის სინამდვილეში, ჯერ რა უნდა, რა არი მაგისთვის კარგი, მაგრამ გაიგებს! მოთმინება უნდა ცოტა ხანს, ნერვები და გაძლება... და ნახავ, როგორ გაგაგებინებ!

ნოდარი გაჩუმდა და გამჭოლად ჩააჩერდა ლეოს.

— ჰო, მაგრამ... მაინც მითხარი, თუ ძან დაგვალა და ნერვები ვეღარ გიძლებს, შეგცვლი! ჯოტოს გამოგვზავნი...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ნოდარ! — ისე ალაპარაკდა ლეო, თითქოს ჩქარობდა ნოდარის დარწმუნებას თავის სიმტკიცეში. — როგორმე გავუძლებ! მიწამიოტების ცეცხლში ვმჯდარვარ საათო-

ბით, წვიმასა და ტლაპოში... ორი დღის უჭქელი და მოუკითხავი... არ გადავრეულვარ! ისტერიკას გავუძლებ როგორმე! თქვენი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა!

ნოდარი ოთახში შევიდა, ბუხართან სავარძელში გაიშხლართა, იქვე მიგდებულნი, აქამდე გათიშული მობილური ჩართო, სიგარეტი გააბოლა და ცეცხლს მიაჩერდა. ტელეფონმა თითქმის მასწივე დარეკა. ყურზე ისე მიიღო, ხმა არ ამოუღია, ჯოტოს ხმა გაიგონა და თქვა, — ჰო?!

— სულ გათიშული იყო, ძლივს დაგიკავშირდით! — თქვა ჯოტომ.

— რა არი?

— ცუდი ამბავია! პოლიციიდან დარეკეს... ბიულეტენიც გამოგზავნეს...

— რის ბიულეტენი?..

— სამინისტროს შიდა ბიულეტენი, ყოველდღიური, ოპერ-სვოდების... აა, ნაგვითხავეთ მოკვლე... ტრანსგადხიდვის ტრაილერი... ნომრები... ფირმა „რუსტამ-რიზეს“ ტვირთით, რეისი-37, რიზელარსი... ჩამოთვლილია გვარები, შოფერების და დაცვის ხალხის... დილის 7 საათსა და 15 წუთზე, 218-ე კილომეტრზე, შეიარაღებული თავდასხმა... დაცვის მიერ მოგერიებულ იქნა... თავდამსხმელები (ორნი) მიიმალნენ... ორმხრივი სროლის შედეგად დაღუპულია დაცვის თანამშრომელი გოდერძი გელაშვილი. შემთხვევის ადგილზე გასულია ოპერჯგუფი. აქაც ჩამოთვლილია გვარები და განყოფილება და... ასე...

ნოდარს სახე გაუქვავდა, წამით დააყენა, მერე თქვა:

— სოფელში იცინა უკვე?

— არ ვიცი, არავის დაურეკავს... არც მე...

— კარგი! წამოდი ახლა ჩემთან... ჰო, აქა ვარ! ეგ ბიულეტენიც წამოიღე! ეგ ბიჭი ჩემი მოწყობილი იყო მაგ საქმეზე! ჰოდა, ჩვენ უნდა მივხედოთ მაგ საქმეს! — პასუხს აღარ დალოდებია, ისე გათიშა ტელეფონი და ისე დაიქნია, თითქოს ბუხრის ქვაზე შენარცხებას აპირებდა. სახეზე რაღაც ბრაზის მაგვარმა გრემასამ გადაუარა,

თვალეში სიაცე უელავდა. ადგა და გარეთ, კიბეზე გავიდა. ჩუმად იდგა და აბოლებდა.

— ახლა კი მართლა მაგრად შევტოპე! უუხ, გივი! ბებერო გოთვერანო! როგორ ყოველთვის სწორი გამოდიხარ?! მაგარი შეტოპილი ვარ და უკან გამოტოპვა აღარ გამოვა. ბოლომდე უნდა გავტოპო, გაღმა გავიდე, მაგრამ ეს შობელძალდი გივი სწორია! არა ღირდა ამდენ ხათაბალად, მაგრამ... არადა, როგორ გადამრია ამ ქალმა... პირველი დანახვისთანავე! ასე არასდროს მომნდომებია! უუჰ, რა კარგია!

ისევე ავმა, ღმილის მაგვარმა გრემასამ მოუღრიცა სახე. თავის თავთან ლაპარაკი გააგრძელა:

— ჰოდა, რაც გინდა, თუ არ მიიღე, აბა რაღაა მამინ ცხოვრება, ამისი დედაც! არა, მოვარჯულე! ჰოდა, მორჯულეებს და შერიგებულს „აღმოვანენ“ სადმე პრალაში, ანდა მადრიდში და ოჯახს გაგვხარებ, დალაგდება სიტუაცია! აქეთ მადლობლები დამრჩებიან! მოვარჯულე!

ეზოში ჩავიდა, ალგზნებულად გაიარა-გამოიარა, შედგა, ისევე გააბოლა.

— იმ კახბამ როგორ მითხრა? მიდი, გაუტრაკე ქვეყანას, სანამ შეგრჩებაო! თუ სხვანაირად... დიდი შებერტყილი ვინმე აღმოჩნდა! ჰოდა, უნდა გაუტრაკო, არ დაიხიო! მოვჯაყავ სუყველას, მოვჯაყავ!

მოწყალები სიგარეტის ცარიელი კოლოფი და ძალღებისაკენ მოისროლა. „წუნვლებმა“ წამში ნაკუნებად აქციეს და დადარაჯებული მოაჩერდნენ, კიდევ რას გადმოაგდებდნენ. ნოდარიც ძალღებს მისჩერებოდა უაზრო მზერით, ფიქრი მუშაობდა და ისევე ჩაქრა ენთუზიაზმი, ისევე გაჩნდა განგამის გრძობა.

— არა, ძალიან აპასნია ეს პერიოდი! საქმროს დაღუპვას რო გაიგებს... სანამ ამას მოხარშავს და გადაიტანს... სანამ ახალ პერსპექტივას დაინახავს... სანამ ძალაუნებურად შუერიგდება... მერე კი, ალბათ, კარგადაც ჩაებლაუჭება... მაგრამ დროში ვიბრიდები! დროში ვიბრიდები, ამისი დედა! აქ გაჩერებაც აღარ შეიძლება... უნდა გავიყვანო სარფიდან, მანქანი... ეს გამოვა! მაგრამ... ააუჰ, გივი! რა დროს მიგანე! ანერვილებული ანგარიშიუცემლად ჩაჯდა პირდაპირ ბალახზე, „წუნვლებთან“... ძალღებმა ხელად ზედახორა მოანყვეს, ახტებოდნენ, ლოკავდნენ, ალერსიანად ჰკიდებდნენ კბილებს.

— ჰაა, გეყოფათ! დააყე, ჰო! — გაღიზიანებული ყვიროდა ნოდარი და მოთმინებადაკარგულმა საშინელი ძალით ჩასცხო მძიმე მუშტები ერთს შუბლში და მეორეს — თვალში. უეცარი ტკივილით დარტყიანებული ძალღები გვერდზე გახტნენ ყმულითა და წკაცუნებით. ასეთ მოწყობას არ იყვნენ ჩვეულები და ახლა დაბნეულები, ტკივილისაგან გამნარებულები, შურსაცხყოფილები, ღრენანარევი წუნვუნით, დადარაჯებულები მისჩერებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ გარჩევას, — ეს ისევე მათი პატრონი იყო თუ უეცრად გაჩენილი მტერი.

დასასრული შემდეგ ნომერში



დასაწყისი — „გზა“, №38-34

მარი ჯაფარიძე

რომანი დაიძაბა. სავარძლის სახელურებს ისე ჩაეჭიდა, მივხვდი, შიშმაც კი შეიპყრო. ვასიკო უკან დახევას არ აპირებდა.

— ამოშაქრე ახლა, სანამ გაეზრაზდი, — კბილებში გამოცრა.

— სხვა ბიზნესიც მაქვს, მარტო კოოპერატივის იმედზე არ ვარ, — მოჩვენებითი სიმშვიდით წარმოთქვა ვასიკომ.

— რა ბიზნესი გაქვს ასეთი, რომ ლამის შაჰის სასახლესავით სახლი წამოჭიმე?

— საქართველოდან ყვავილები და ხილი ჩამომაქვს, მწვანეებზეც ვჩალიჩობ, ღვინოზეც...

— მაინც, როგორ ჩალიჩობ? ამდენი რამე ჩამოთვალე და მაგას თავის მობმა არ უნდა?

— ყველაფერს ვახერხებ, აბა, რა ვქნა? ცხოვრება ძვირი ჯდება, თუ არ ვიმუშავე, ისე არაფერი გამოვა. საქართველოში სახლი გავყიდე და აქ თავს თუ ვერ შევინახავ, უკან დასაბრუნებელი გზაც არ მექნება. ჰოდა, მეც იძულებული ვარ, თავდაუზოგავად ვიშრომო.

— ნუ გაილექვ, შენ ის მითხარი, ღვინო საიდან შემოგაქვს და სად ასაღებ?

— ღვინო თიხის ჭურჭლით შემომაქვს. ავჭალაში „ცეხია“, რომელიც თიხის ბოთლებს ამზადებს, სუვენირის ვარიანტია, რა... გაფორმებული ბოთლებია და დასპირტუ-

ლი, შავი ღვინო ისხმება შიგ. აქ რესტორნებში ვაბარებ და კარგად გადის. მარტო როსტოვში დღეში 1000 ბოთლი იყიდება, მოსკოვში — უფრო მეტი.

— მერე, ჩემთან რამდენი მოგაქვს მაგ შემოსავლიდან?

— 10 ათასი მანეთი.

— და ეგ ნამუშაინად გაყოფილი წილია?

— ღვინის ბიზნესი ახლა დავინწყე, ჯერ 2 პარტია შემოვიტანე. საქმეს რომ ავანყობდი, მერე ვაპირებდი თქმას...

ვასიკო ხმამაღლა ახარხარდა. იმდენი იცინა, ძლივს მოითქვა სული.

— შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ ცოტა ხნის მერე მოხვიდოდი და მეტყოდი, „სტავკა“ გამიზარდე, ახალი ბიზნესი დავინწყე?

— რატომაც არა?! — ნელში გაიმართა რომანი. როგორც ჩანს, ვასიკოს სიცილმა სითამამე შემატა.

— კარგი, კარგი, ახლა ის მითხარი, რა მანქანით დადიხარ?

— „ჟიგული“ მყავს, „ნოლსემი“.

— ფერი?

— თეთრი.

— ნომერი?

— რატომ მეკითხებით ჩემი მანქანის შესახებ?

— შენს სახელზე გაფორმებული, წითელი „ნოლსემი“ სადაა?

— ეგ უკვე გავყიდე, დიდი ხანია.

— მაინც, რამდენი ხანია? —

ვასიკო წინ გადაიხარა და რომანს თვალეში შეხედა.

— წელიწადზე მეტია.

— ვინ იყიდა?

— ქართველმა იყიდა, სახელი არ მახსოვს, — რომანი ისევ დაიძაბა. თითქოს ყველა სიტყვას წონიდა და ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— რატომ არ გადაუფორმე?

— გენერალური მინდობილობა მივეცი. თვითონაც არ უთხოვია, გამიფორმეო.

— შეგიძლია, იმ კაცის კოორდინატები დაადგინო, ვინც შენგან ეგ მანქანა იყიდა?

— ვეცდები. ვინც მომიყვანა კლიენტი, იმას დავუკავშირდები და 1 კვირაში პასუხს შეგატყობინებ.

— 1 კვირა ბევრია, ხვალ ამ დროს უკვე უნდა ვიცოდე პასუხი. გასაგებია?

— კი, ბატონო, ვეცდები, ხვალისთვის მოგიხერხოთ, — რომანი წამოდგა, რადგან ვიზიტი დასრულებულად მიიჩნია.

— კარგი, ხვალ გელოდები, — ბოლო გაფრთხილებასავით გაისმა ვასიკოს ხმა.

რომანი უკანმოუხედავად გავიდა. ვასიკომ თვალთ მანიშნა, გაცეოლოდი. ორივე ეზოში გავედით. ვასიკომ გარაჟის კარი გააღო და იქიდან ნაცრისფერი „ჟიგული“ გამოიყვანა. სასწრაფოდ მიუჯდა საჭეს და მეც მანიშნა, გვერდით მივჯდომოდი. რომანს კვალში მივყევით.

მან გეზი თავისი სახლის საპირ-ისპირო მხარეს აიღო. ჩვენც უკან მივყვეით. ბნელადა და ჩვენი სახეების გარჩევას ვერ შეძლებდა. მივხვდი, რომ ვასიკომ ეს მანქანაც კონსპირაციის მიზნით გამოიყვანა. რომანი ერთ-ერთ კორპუსთან გაჩერდა. მანქანა ისეთ ადგილზე დააყენა, ქუჩიდან რომ არ გამოჩნდებოდა და ეზოში ფეხით შევიდა. ჩვენც მივყვეით. რამდენიმე ეზო გადაჭრა.

— როგორ გგონია, ასე შორს რატომ გააჩერა მანქანა? — ჩურჩულით მკითხა ვასიკომ.

— რა ვიცი, არა მგონია, კარგ საქმეზე მიდიოდეს, — მეც ჩურჩულით ვუპასუხე.

— ნახე, ნახე, ქურდით მიიპარება, — ჩაიხიბითა ვასიკომ, — ქურდები ჩვენ ვართ თუ ეგ?

— ჩვენ ახლა მგონი, გამოძიებლები უფრო ვართ, ეგ კი — კრიმინალი და კვალში მივდევთ, — სიცხლს ძლივს ვიკავებდი.

რომანი ერთ-ერთ სადარბაზოში გაუჩინარდა. ფეხის ხმას მივაყურადეთ, რომელიც მესამე სართულზე შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ კი კარის გაღების ხმა და ჩურჩული გავიგონეთ. სიტყვებს ვერ ვარჩევდით, ისიც კი არ გვესმოდა, რა ენაზე ლაპარაკობდნენ. ჯობდა, გარეთ დავლოდებოდით რომანს. მანამდე კიბეზე ავიხედე და ის კარი მოვნიშნე თვალით, რომლის წინაც მამაკაცები იდგნენ.

რომანი დიდხანს არ გაჩერებულა, მალე გამოვიდა სადარბაზოდან, მიიხედ-მოიხედა და მანქანისკენ დაიძრა.

ისევ უკან გავყვეით, მაგრამ როცა გეზი თავისი სახლისკენ აიღო, ჩამოვცილდით და უკან გამოვბრუნდით.

— როგორ ფიქრობ, რა საქმეზე იქნებოდა მისული იქ? — ვკითხე ვასიკოს.

— აქ 2 ვარიანტია. ან რაღაცას მალავს თავის საქმიანობასთან დაკავშირებით და ვიღაც გააფრთხილა, რომ მე დავინტერესდი ამით; ან — იმ გოგოს ამბავშია გარეული და მაგ საქმეზე იყო მისული. ახლა დავადგენ, იქ ვინ ცხოვრობს და მერე უკეთ მივხვდებით, რა უნდოდა იქ.

ვასიკო ტელეფონს დასწვდა, დარეკა და ვიღაც დაიბარა. ნახევარ საათში 2 მამაკაცი მოვიდა. ვასიკომ ის მისამართი უთხრა, სადაც ცოტა ხნის წინ რომანი მივიდა და დაავალა, გაერკვიათ, იქ ვინ ცხოვრობდა.

საქმე ისე ჩაიხლართა, პროფესიონალ გამოძიებელს გაუჭირდე-

ბოდა ამის გახსნა, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი და ფიქრობდი, რომ აუცილებლად მივაგნებდი ნიცას კვალს.

დილით უთენია დაგვადგა ის 2 ტიპი. ვასიკოს დავალება პირნათლად შეუსრულებიათ.

— მანდ წამლის ბარიგა ცხოვრობს, ყველაზე დიდი რეალიზატორია ქალაქში. რომანას რა უნდოდა მასთან, ეგ არ ვიცი და ის კი დავადგინეთ, რომ რომანაზე გაფორმებული მანქანით ის დადის. თქვენ რა ავტომობილიც გვითხარით, ეგ მანქანა, მაგ ნომრებით, იმ ტიპის გარაჟში დგას. ახლახან კი სწორედ მაგ მანქანით სადღაც წავიდა.

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. მიზანს ცოტა კიდევ მივუახლოვდით და რაღაც მაინც გავიგეთ. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც დავადგინეთ, მანქანა, რომლითაც ნიცას მიაკითხეს, სად იყო და ვის ეკუთვნოდა.

— ასეც ვიცოდი, რომ მაგ ნაბოზარს ფული წამლის გასაღე-

კობტა აგარაკთან მივიდა, ავტომობილი გარეთ დატოვა, თვითონ მძლოლი კი მანქანიდან გადავიდა.

ასაკოვანი მამაკაცი იყო, ჭალარა, ოდნავ შემელოტებული. ვიდრე ჭიშკარში გაუჩინარდებოდა, აქეთ-იქით მიმოიხედა. სახის შეთვალეირება მაშინ მოვასწარი.

— ეს კაცი სადღაც მინახავს, — ხმადაბლა ვთქვი.

— აშკარად ქართველია, სახეზე ეტყობა. შეიძლება, მართლა გყავდეს ნანახი.

— თან ძალიან ახლოს მინახავს, ძალიან ახლოს, — ვბუტბუტებდი და გონებას ძალას ვატანდი, რომ გამეხსენებინა, საიდან მეცნობოდა მისი სახე.

— ვერ გაიხსენე? — ვასიკომ ფიქრი გამანყვეტინა.

— ვერა, — თავი დანანებით გავიქნე.

ჩვენი სათვალთვალო ობიექტი საღამომდე დარჩა იქ. ამასობაში უამრავი ადამიანი შევიდა და გამოვიდა. როგორც ჩანს, წამლის კლიენტები იყვნენ.

მთელი საღამო „ზასადაში“ გავატარეთ. შუაღამისას ძლივს გამოჩნდა, ვისაც ველოდით

ბით ექნებოდა ნაშოვნი.

— ვისზე ამბობ? — ვკითხე გაოცებულმა.

— რომანზე. თავს დავდებ, რომ მაგას მაგ საქმეში წილი მიუძღვის, მაგრამ ეგ კი ვერ გავიგე, რა საერთო უნდა ჰქონდეს ნიცას საქმესთან.

— იმ კაცს უნდა ავეკიდოთ, რომანა ვისთანაც მივიდა წუხელ. ყველაზე ნალდი ეგაა, ეგ გაგვიყვანს კვალზე. თუ არა და, დავიჭერთ სადმე და ვათქმევინებთ, სად წაიყვანეს გოგო.

— მოკლედ, საღამოს „დავუპადიეზდოთ“ ან დილით, — სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო ვასიკომ.

მთელი საღამო „ზასადაში“ გავატარეთ. შუაღამისას ძლივს გამოჩნდა, ვისაც ველოდით. მანქანა გარაჟში დააყენა და სახლში ავიდა.

— აწი ეგ არსად წამსვლელი აღარაა, წავიდეთ და დილით ავეკიდოთ, — უფროსი გამოძიებელივით მაძლევდა მითითებებს ვასიკო.

დილით ის იყო, კორპუსთან გამოჩნდით, რომ წითელი „07“ ეზოდან გავიდა. ქალაქგარეთ, პატარა და

— ეტყობა, აქედან ასაღებს წამალს, — დაასკვნა ვასიკომ.

მოგვიანებით ქალაქში დავბრუნდით.

— ისე მშია, ლამის გული წამივიდეს, სადმე ვჭამოთ, თორემ ხასიათზეც დამეტყო უკვე.

— კარგი, — დავეთანხმე მე და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ მთელი დღე არაფერი მეჭამა.

ჩემი დაფინებული მოთხოვნით, მალაზიაში რაღაცები ვიყიდეთ და შინ წავვედით. რესტორნის ხმაურისა და ყრიაშულის ატანა არ შემეძლო.

დანაყრებული დივანზე გადავწექი. სახლი გამახსენდა, დედა, მელანო წარმომიდგნენ თვალწინ და უეცრად, გონება გამინათდა...

— მაგის ნაბოზარი დედა!.. — ხმამაღლა შევიგინე.

— რა მოხდა? — თავი წამოყო სავარძელში მჯდარმა ვასიკომ, რომელსაც როგორც ჩანს, იქვე ჩასძინებოდა.

— გამახსენდა, ეგ კაცი სად მყავს ნანახი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



წითელი ჟახსასაქალი

სამება კვარაცხელია

წარმოებულ თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-34

ნია შამბუნი ხელისგულზე დაისხა და წრიული მოძრაობით შეიზილა თმის ძირებში. არა, უნდა შეიჭრას თმა, თორემ ძალიან დაიტანჯა, რამდენ ხანს უნდება თავის დაბანას! ისედაც დალაპა ამ დაუსრულებელმა პროცედურებმა — სილაპაზის სალონი, მანიკიური, პედიკიური, მასაჟი, კანის მოვლა... შეიძლება ეს პროცედურები აუცილებელიც არის ქალისთვის, მაგრამ ამავე დროს, მოსაზრებელიც. თან ძალიან ბევრ დროს ართმევს. არადა, ყველაფერს მხოლოდ ერთი ადამიანისთვის აკეთებს — გიგი ახვლედიანისთვის, რომელსაც სურს, მისი საყვარელი ყოველთვის თავბრუსხვევად გამოიყურებოდეს. რა ქნას ნია, იძულებულია, თავს ძალა დაატანოს და ისე მოიქცეს, როგორც მის სასურველ მამაკაცს მოეწონება.

ნახევარი საათის შემდეგ გოგონა უკვე საძინებელში იჯდა, საკვის წინ და ფენით თმას იშრობდა. აი, ახლა ამ ჩალისფერ კაბას ჩაიცვამს, რომელიც გუმინწინ უყიდა გიგიმ და ასე გამოცხადდება მასთან, არაჩვეულებრივად კარგ ფორმაში.

ბოლო შტრიხი პომადის წასმა იყო. კიდევ ერთხელ ჩაიხედა საკრემო, გაღიმებული მსუბუქად დატრიალდა, მერე ტყავის ხელჩანთას დაავლო ხელი და

კარისკენ გაემართა... მაგრამ კარი მანამდე გაიღო, სანამ თვითონ მიუახლოვდებოდა.

— გიგი! — გაკვირვებით შესძახა. — ნუთუ დავაგვიანე?

მამაკაცმა ზურგს უკან კარი მოიხურა და გოგონას დაჟინებით მიაშტერდა. ისე მოქუფროდა სახე, ნია მიხვდა, რომ რალაც ცუდი ხდებოდა.

— რამე მოხდა? — ეჭვნარევი ხმით გაუბედავად ამოთქვა.

მამაკაცმა თვალები უსიამოვნოდ დააკვესა.

— შესაძლებელია... — რამდენიმენამიანი პაუზის შემდეგ უბასუხა, — იმედია, არ გაგვიჩივდება ახსნა, — მისი ხმაც ისეთივე ცივი და შორეული იყო, როგორც გამოხედვა.

ამ სიტყვებით მან ჯიბიდან ოთხად გაუწვილი ქალაღლი ამოიღო და ქალს გაუწვია.

ნია გამოართვა ფურცელი, გახსნა და დახედა... აღმურმა გადაჰკრა სახეზე.

— აბა? რას იტყვი ამაზე? — მამაკაცის ხმა დაძაბულად ჟღერდა.

— როგორ... როგორ გაიგე ეს? — გაფითრებულ ნიას

ტუჩები აუკანკალდა.

— დღეს დილით ჩვენი საერთო ნაცნობი მესტუმრა, კახა დევიძე. ჩვენი ბოლო შეხვედრისგან განსხვავებით, საკმაოდ ცივილიზებულად იქცეოდა... ამჯერად საქმიანი წინადადებით მომადგა...

ნიას ცივმა ოფლმა დაასხა. თვალები დახარა და კვლავ ფურცელს ჩააშტერდა. აი ის, რისიც ასე ძალიან ეშიინოდა — ქალაღლის პატარა ნაგლეჯი, რომელზეც შავით თეთრზე წერია, თუ რამდენი მართებს სხვისი ფული. თან ვისი? თვით კახა დევიძის.

— არ მინდოდა, შენ ეს გაგეგო, — საოცრად მშვიდად წარმოთქვა, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესობამდე დაიძაბა.

გიგიმ მწარედ ჩაიცინა.

— მართლა? მაგრამ ახლო მომავალში მაინც მომიწევდა ამის გაგება, მართალი არ ვარ?

გოგონამ მსწრაფლ ასწია თავი და გამოცდილი მზერა მიაპყრო, რათა მიმხედარიყო, თუ რა იგულისხმა მამაკაცმა. გიგის ისეთი დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, რომ ნიას სიცივემ დაუარა სხეულში.

— შენ რესტორანში ალბათ უკვე მიხვდი (რადგან კახამ ჩემი შენდამი ზრუნვის ამბავი გაიგო), რომ აუცილებლად მოგაკითხავდა თავისი ფულის მისაღებად. ხოლო იმის გამო, რომ მე შენ დაგიცავი, უკვე გათვალე, ერთხელ და სამუდამოდ გაგათავისუფლებდი მისგან, არა? — მის ხმამში ზიზღი გაერია. — თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, შეგიძლია შევებით ამოისუნთქო, ჩემო ლამაზო, მე მას გადა-

ვუსადაე შენი საფასური, — ორაზროვნად თქვა და მხრები აიჩეჩა.

ნია შეკრთა. მისი სიტყვებით შეძრწუნებულმა, სასონარკვეთილი ხმით იყვირა.

— არა, გიგი!..

ახვლედიანმა კვლავ ირონიულად ჩაიღიმა. ეს ღიმილი დანასავით სერავდა გოგონას.

— ძალიან გთხოვ, ასე ნუ მექცევი! მე ეს არ დამიმსახურებია! ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ... არ მინდოდა, ამ ამბავს რამე საერთო ჰქონოდა ჩვენს ურთიერთობასთან. ფიქრსაც კი არ მინდოდა ამაზე!

— ნუთუ? საინტერესოა, როგორ აბრუნებდი ახელა ვალის გადახდას? რომელი შემოსავლით? ერთადერთი გზა გრჩებოდა მხოლოდ, ხომ მართალია? ამიტომ თავიდანვე ისარგებლე ამით: ეს ვალი მე უნდა გადამეხადა!

— არა! გთხოვ, დამიჯერო, მართლა არ მინდოდა, ეს ამბავი გაგეგო, ყველანაირად ვცდილობდი, დამემალა. მით უმეტეს, ჩემი ვალი გადაგეხადა? გულშიც არ გამივლია, გეფიცები!

ქალი მავდრებელი თვალებით მისჩერებოდა. თუმცა გიგის ნაკვთი არ შერხვევია სახეზე, ისევ ისეთი შეუვალი რჩებოდა. თვალებში კი... თვალებში ყველაფერი იკითხებოდა...

— გიგი, ძალიან გთხოვ...

— ყურადღებით გისმენ... — მამაკაცი სიმშვიდით შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ უჭირდა თავის შეკავება.

თანდათან ერეოდა ბრაზი. სულელივით გაება მახეში. ნამდვილი იდიოტია, როგორ იფიქრა, რომ ეს პატარა გოგონა გამორჩეული იყო სხვა ქალებისგან, რომ ის არავის ჰგავდა? იპოვა, რა, იდეალური ქალის იდეალური ვარიანტი! ახლა ხომ მიხვდა, რომ ნიას მისი ფული სჭირდებოდა მხოლოდ და არა თავად ის! მიხვდა, მაგრამ ძალიან გვიან, თუმცა არასდროს არის გვიან, ახლავე გამოასწორობს ამ შეცდომას! მორჩა, კომედია დამთავრებულია! უკვე საკმარისია!

— მე მომწონს, ლამაზო, ძალიან მომწონს, რომ ცდილობ, სიამოვნება მომანიჭო. სიმართლე გინდა? ახლავე გეტყვი. შენ საუკეთესო იყავი იმ ქალთა შორის, რომელსაც ჩემს ხელში გაუვლია; ყველაზე ყურადღებიანი, თბილი, მოსიყვარულე, მზრუნველი და... ყველაზე ვნებიანი... სულ ვფიქრობდი, როგორ მოხდა ეს, რატომ არის ეს ქალი ასეთი ერთგული ჩემ მიმართ, რით დავიმსახურე-მეთქი... ლამის დავიჯერე, რომ მართლაც ძალიან კარგი ვიყავი და შენს ყურადღებას ამით ვიმსახურებდი. რესტორანში რომ ჩემმა და კახამ შორის ჩხუბი მოხდა, შენ კიდევ ერთხელ შეეცადე, დაგემტკიცებინა, რომ ფულის გამო არ ხარ ჩემთან. საჭირო არ გუშინებდები ნამოყვინებაც არ გაგძინებია, მაგრამ მაკამ ლამის ჩაგიშალა მთელი გვეგები. იცი, რა მითხრა? ისეთი მამაკაცი, როგორიც შენ ხარ, ნიას ყველა პრობლემის გადაჭრის საშუალებააო, თუ



რალაც ამდაგვარი. შენ კი სასონარკვეთილი საპირისპიროს მიმტკიცებდი იმ ღამეს... მხოლოდ მამაკაცი მჭირდებო... ერთი სიტყვაც უნდა დაგემატებინა და მივხვდებოდი — შენ მდიდარი მამაკაცი მჭირდებოდა თურმე და არა მხოლოდ მე...

— შენ ვერაფერს მიხვდი, გიგი, მერწმუნე, სულაც არ იყო ასე!

— აბა, როგორ იყო? მაშინ რატომ გამოვიდა ასე? — ხმას აუწია გალიზიანებულმა. — განა არ გიხაროდა, მდიდარი საყვარელი რომ გაიჩინე? თუ მესიერება არ მალატობს, სანუნუნო არაფერი გქონდა, სანამ ჩემთან იყავი! ყველაფერი მიიღე, რაც გასურდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მივიღე! — ნია ცდილობდა, მისი შეტევები მშვიდად მოეგერიებინა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, მისი სიტყვები მხოლოდ კედლებს ეხეთქებოდა და მამაკაცის გულის მოღობას ვერ ასერხებდა, — მაგრამ შენთან ამის გამო არ ვცხოვრობდი. მე შენ მჭირდებოდი მხოლოდ და არა შენი სიმდიდრე! ეს არის ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც შენ გვერდით ვიყავი! არაფერი მანიჭებდა სიამოვნებას — არც შენი ნაყიდი სამოსი, არც მდიდრული აპარტამენტები, არც გასეირნებები და არც შენი მეგობრების წრე! ეს არის სიმართლე!

— ჰო, როგორ არა, გასაგებია, — გიგიმ ღრმად ამოიხვნეშა, — ანუ, მხოლოდ სექსი გაკავებდა ჩემთან? ამის თქმა გინდოდა? ნუთუ ეს არის ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გჭირდება? მხოლოდ კარგი სექსი?

მისი მომწუხრელი თვალები დაჟინებით მისჩერებოდა გოგონას. ის კი ვერ ბედავდა, მზერა გაესწორებინა. ეშინოდა, მამაკაცს სიმართლე არ გაეგო, არ მიმხვდარიყო, როგორ უყვარდა ნიას იგი. მისთვის ხომ ასე უიმედო იყო ეს სიყვარული... მორჩა, ოცნებები იმაზე ადრე დაიშხვრა, ვიდრე თავად მოელოდა ამას. ამწუთას ნიას სიყვარულიც კი უძლური იყო, შეეჩერებინა ახვლედიანის რისხვა.

გიგიც გრძნობდა, როგორ გაურბოდა გოგონა მის მზერას. ამით კიდევ უფრო

რწმუნდებოდა იმაში, რომ ამდენ ხანს მოტყუებული დარჩა და სწორედ ამ ტყუილის დამალვას ცდილობდა მისი სანაქებო პატარა ქალი. განადგურებული იყო, მაგრამ არა იმით, რომ სიმართლე გაირკვა და ნიას ტყუილში გამოჭერა შეძლო, არამედ იმით, რატომ აყენებდა სიმართლის გაგება ამხელა ტკივილს. იმიტომ, რომ...

იმიტომ, რომ მას ძალიან უნდოდა, ნია მართლა სხვანაირი ყოფილიყო, ყველა სხვა ქალისგან გამორჩეული... მხოლოდ ამიტომ. ერთხელაც არ უფიქრია იმაზე, რას ნიშნავდა ეს გოგონა მისთვის, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თვითონ რას ნიშნავდა მისთვის და ამაზე აგებდა ფანტაზიებს...

და რა აღმოჩნდა? თურმე არც არაფერს წარმოადგენს ნიასთვის, მხოლოდ ფულის ტომარაა და მორჩა! ლალი ცხოვრება მოუწია და ეგ არის! არა, მაინც რატომ ბრაზდება? განა ეს პატარა მატყუარა იმსახურებს, მის გამო ამდენი ინერვიულოს? ჩვეულებრივი ქალია, რა, უზრუნველი ცხოვრების მაძიებელი, იაფფასიანი... არა, არ უნდა ეს სიტყვა იხმაროს, მაინც ვერ იმეტებს ამისთვის.

— კარგი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! — თქვა ბოლოს ცივად. — მე ოფისში გავდივარ და რვისთვის დავბრუნდები. მზად დამხვდი, არ დაგავინწყდეს, რომ დღეს სამხარაძეებთან ვართ მიპატიჟებული ვანშამზე! — გულგრილად დაასრულა სათქმელი და ოთახიდან ისე გავიდა, მისთვის ერთხელაც არ შეუხვდავს.

ნიას თვალი დაუბნელდა და მაგიდის კიდეზე ხელით დაეყრდნო, რომ არ ნაქცუულიყო.

გიგის მოსვლამდე სანოლზე იყო მისვენებული და კედელს მისჩერებოდა თვალეგაშტერებული. არ უტირია, არ უნდოდა, მამაკაცს მისი უსუსურობა დაენახა. არა, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა აიძულოს, რომ ბოლომდე მოუსმინოს. მან უნდა გაიგოს სიმართლე. ცრუ ბრალდებას ვერ აიტანს. უნდა დაარწმუნოს გიგი, რომ გონებაშიც არ გაუვლია

მისი მოტყუება.

ღმერთო, ეს რა დღეში ჩავარდა! ახლა ახვლედიანის ვალი მართებს! მას როგორღა დაუბრუნოს კუთვნილი ფული? ამისთვის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს. სთხოვონ, კაზინოში დაანყებინოს მუშაობა — მიმტანად, მდივნად, თეთრეულის მრეცხავად, მოსამსახურედ... იგი ნებისმიერ საშუაოზე თანახმაა. სულერთია, ოღონდ კი ხელფასი მიიღოს. რასაც გადაუხდინა, მთლიანად მას მისცემს და როცა იქნება, ხომ დაფარავს? იქნებ, მერე და მერე, უფრო მისხვდეს ახვლედიანი, რომ ნიას ქვენა გრძნობები არ ამოძრავებდა მის მიმართ...

რვა დანყებული იყო, გიგი რომ დაბრუნდა. ნია დაფეთებული წამოხტა საწოლიდან.

— რა ადრე მოხვედი, მე ჯერ კიდევ არ ვარ მზად, იცი? — გაუბედავად წარმოთქვა, თან ცდილობდა, ბუნებრივად გამოსვლოდა, თითქოს დილით უსიამოვნო საუბარი არ ჰქონოდათ.

— შენ ჩემთვის ყოველთვის მზად იქნები, პატარა ნია, — ირონიულად წამოისროლა მამაკაცმა.

გოგონა შეიშმუნა და ნაძალადევი ღიმილი მიაგება მის სიტყვებს, თან ცდილობდა, გამოეცნო, როგორ ხასიათზე დაბრუნდა მისი საყვარელი ადამიანი.

მას შემდეგ, რაც მოხდა, გიგი სულაც არ იყო ხუმრობის ხასიათზე. მთელი დღე ოფისში გაატარა და ადგილს ვერ პოულობდა; ვერ მოახერხა, წამით მაინც დაევიწყებინა მომხდარი. უნდოდა, რაციონალური გადაწყვეტილება მიეღო და ამაზე ფიქრით თავი გაუსკვდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოსავალიც იპოვა.

მას ბევრი დაუჯდა ნია. ვალი ხომ გადაუხადა და გადაუხადა, მაგრამ ამის გარდა, სხვა რამეშიც უამრავი თანხა დაახარჯა. ხომ უნდა აინაზღაუროს რალაციით? ჰოდა, აინაზღაურებს კიდევ.

როგორ შეცდა, როგორ! ნიამ მისი ოცნებები დაამსხვრია! ის თურმე არაფრით განსხვავდება იმ მერკანტილური ქალებისგან, მის გარშემო რომ დაძრწინან მშვიერი ძაღლებივით! დრომ აჩვენა, რომ ასეა. ამის გაფიქრებაზე გულში ჩხვლეტა იგრძნო. როგორ უნდოდა, გაბრაზებულყო მასზე, შეზიზღებოდა ეს პატარა, მატყუარა არსება, მაგრამ არაფერი გამოსდებოდა...

ნიას მიმართ გიგი სულ სხვა რამეს განიცდიდა, სწორედ ამას გამოჰყავდა წონასწორობიდან. ცდილობდა, სახიფათო აზრები გონებიდან ამოეგდო. არა, ეს გოგონა მას მხოლოდ გასართობად სჭირდება. მორჩა და გათავდა!

სალამომ მშვიდ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა. ირაკლი სამხარაძე გიგის მეგობარი იყო, ბიზნესმენი, კარგი თამადა და არაჩვეულებრივი იუმორის პატრონი. ეხერხებოდა სტუმრების მოლხენა. სუფრასთან რჩეული საზოგადოება შეკრებილიყო — საქმიანი ადამიანები,



თბილისური ელიტა! ძვირფასი სამკაულებით დახუნძლული ქალები და მათი ჯიბესქელი ქმრები — ნიას გულს ურევდა ეს სანახაობა. არადა, ყველა ისე თბილად ექცეოდა... რაც მართალია, მართალია, გოგონა ბრწყინავდა თავისი სილამაზით, ღიმილით, გამოხედვით... და საოცარი ის გახლდათ, რომ არავის აღიზიანებდა ეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო გიგის მეუღლე. მისგან მხოლოდ თბილი ღიმილი იყო საჭირო, თავდაჭერილი საუბარი და ცოტა დალევა, მეტი არაფერი. ადრე ახვლედიანი სიამაყით იღერებდა ყელს, როცა ნიასთან ერთად ასეთ საზოგადოებაში გამოჩნდებოდა. დღეს კი... დღეს რაღაც ისე ვერ იყო, როგორც ადრე...

ნიამ შეამჩნია, რომ გიგი ამ საღამოს იმაზე მეტს სვამდა, ვიდრე სხვა დროს, თან ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდა — წითელ ღვინოს, თეთრს, კონიაკს, შამპანურს... გულის სიღრმეში უხაროდა კიდევ გოგონას ეს. ეგონა, რომ სასმელი მამაკაცს განტვირთვას დაეხმარებოდა, დაძაბულობას მოუხსნიდა და უფრო გაუადვილებოდა მასთან დალაპარაკება...

სტუმრები გვიან ღამით დაიშალნენ. გიგიმ სასტუმროში ნაიყვანა ნია.

— შენ ადი მალლა, მე ცოტას გავივლი, — სუსხიანი ხმით წარმოთქვა მამაკაცმა და პასუხს არ დალოდებია, ისე გაუჩინარდა.

ნიამ ამოიხრხრა და კიბეს დაღლილი ნაბიჯებით აუყვავა...

გიგი ზუსტად ერთი საათის მერე დაბრუნდა. კიბონი გამოწოვილი გოგონა აივანზე გასულიყო და ღამის სიბნელეს ნაღვლიანად გაჰყურებდა.

ნიამ გაიგონა, როგორ გაიღო და დაიხურა ოთახის კარი. ცოტა ხანიც და, მამაკაცი ვისკით სავეს ჭიქით ხელში გამოჩნდა. იგი აივანის კედელს მიეყრდნო და დიდხანს, ძალიან დიდხანს უსიტყვოდ შეჰყურებდა. ნია არ შერხეულა.

— დროა, დავენეთ, — თქვა მამაკაცმა.

ქალმა ნერწყვი გადაყალბა.

— გიგი... უნდა დაგელაპარაკო. თავადაც იცი, რომ ეს აუცილებელია.

— მართლა? შეიძლება გკითხო, რაზე? — მის ხმაში დაღლილობა იგრძნობოდა.

— ფულზე, — მოკლედ მოჭრა ნიამ. მისთვის მტკივნეული იყო ამ სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, უნდა წამოეწყო ეს არასასიამოვნო საუბარი, — ვიცი, რომ გაგულისებულნი ხარ ჩემზე, თუმცა ამის მიზეზი ნამდვილად არ გაქვს.

გიგიმ ვისკი მოსვა, თან თვალი არ მოუშორებია გოგონასთვის.

— სულაც არ ვარ გაგულისებულნი! — გულგრილობაც შეინიშნებოდა მის ტონში.

ნიამ ქვედა ტუჩი მოიკვინტა.

— ძალიან გთხოვ, ასე ნუ მელაპარაკები. საქმე ისე არ არის, შენ რომ გგონია, — თქვა და იგრძნო, როგორ დაენამა

თვალები ცრემლით.

როგორ არ უნდოდა ახლა ეტირა, არაფრით უნდოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა...

მამაკაცი იმავე პოზაში დარჩა, შიგადაშიგ ვისკის თუ მოსვამდა მხოლოდ.

— ცრემლები არ გინდა, რა! — აგდებულად წარმოთქვა ბოლოს. — მაგ ცრემლებმა ერთხელ უკვე გამაპამპულა და საკმარისია! მეტჯერ ვეღარ გამასულელებს ასე რომ, ეგ ილეთი სხვისთვის შეინახე, გამოგადგება! შევთანხმდით? — მის ხმაში არც გაღიზიანება იგრძნობოდა, არც რისხვა, მხოლოდ გულგრილობა გამოსჭვივდა. — ამიტომაც შეიშრე ეგ ცრემლი და ჩანექი ლოგინში!

— გიგი... გთხოვ...

— მორჩი ტირადას. ეს არაფერს მოგცემს. ჩვენ კარგად ვართ ერთად. არაფერი შენიცვლება იმით, რომ მე შენი ვალის შესახებ გავიგე და არც იმით, ის ფული ჩემი გადასახდელი რომ შეიქნა. ამის გამო შენს მიტოვებას არ ვაპირებ. ჩემთვის ეს თანხა კაპიკის ტოლფასია, შენც ხომ იცი. შეგიძლია, აღარც იფიქრო ამაზე! და საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ამ თემაზე საუბარი, სალაპარაკოდაც არ ღირს.

ნიამ დაეჭვებით გახედა, დილანდელი საუბრის შემდეგ მისი სიტყვები ძნელი დასაჯერებელი იყო. არა, ამ კაცმა ვერ შეძლო, მის სულს ჩასწვდომოდა. მან უკვე განსაზღვრა, რა ურთიერთობაც უნდა ჰქონოდა მასთან და ტყუილი იმედია, რომ გადანყვეტილებას ოდესმე შეეცვლის. აზრი არა აქვს არაფრის ახსნას, სულერთია, მაინც ვერ დააჯერებს თავის სიმართლეში, უფრო მეტიც, აღარც კი მოუხმენს.

რა თქმა უნდა, ახლა ყველაზე კარგი გამოსავალი ადგომა და ნასვლაა, ყველაფერზე უარის თქმა, მაგრამ საიდან მოიპოვოს ნიამ ძალა, რომ საბოლოოდ განწყვიტოს ურთიერთობა გიგისთან? თუმცა, მეორე გზაც არსებობს — დარჩეს და გაუძლოს ამ გამოცდას. იქნებ მართლა ჯობია, დაასრულოს ეს თემა და აღარასდროს ილაპარაკონ მომხდარზე? გავიდეს ცოტა დრო. გიგის სიბრაზე გადაუვლის, დამშვიდდება. იქნებ მალევე გადავიწყვეტო ყველაფერი და ძველებურად გავრძელდეს მათი რომანი? მერე უფრო მოეცემა საშუალება, იმართლოს თავი და მშვიდ სიტუაციაში უთხრას თავისი სათქმელი.

— შედი და წყალი გადაივლე, სანამ დაწვები! — ზიზღი და ბრძანება ერთდროულად გაუღერდა მამაკაცის ხმაში.

— ეს წუთია, სააბაზანოდან გამოვედი, — მხრებში მოიკუნტა ქალი.

— მერე რა, კიდევ გადაივლე!

ნიამ გაოცებით შეხედა. სადღა იყო ის ძველი გიგი, სიყვარულით ანთებული თვალებით რომ შესცქეროდა ხოლმე დანოლის წინ, მისი სხეულის ყველა ნაწილს ვნებაზომილი ხარბად რომ შეათვალავებდა...

დაძაბულობამ თანდათან იმატა. გოგ-

ონა ხვდებოდა, როგორი ქალის როლის თამაშით მოუწევდა ამ წუთიდან, თუკი ამაზე დათანხმდებოდა. რა თქმა უნდა, აქამდეც მორჩილად ასრულებდა გიგის ნებისმიერ ახირებას თუ სურვილს, მაგრამ არა ასე მოთხოვნით ნათქვამს. მეძავი ხომ არ არის, ასე რომ მიმართავს? რა უფლებით? იმიტომ, რომ ფული გადაუხადა? თვითონ არ თქვა, ეს თანხა ჩემთვის არაფერიაო? მართალიც არის, მისწინარი მდიდარი კაცისთვის სამი ათასი დოლარი რა ფულია? ამის გამო ასეთი ამბავი უნდა აუტყოს? სამი ათასი დღემი ხარჯავს ხოლმე თავისი სიამოვნებისთვის... არა, ნია ვერ აიტანს მისგან ასეთ რამეს. ურჩევნია, ამწუთას დაამთავროს ყველფერი, ვიდრე ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცეს და ისე მოექცნენ, როგორც ქუჩის ქალს.

— უკვე გადავივლე-მეთქი, რა ახირებაა?! შეწყვიტე ეს მასკარადი! — მკაცრად თქვა და კოპები შეკრა.

— აქ ბრძანებებს მე ვიძლევი, პატარავ. ამის სრული უფლება მოვიპოვე რამდენიმე საათის წინ. ამიტომ გააკეთე, რასაც გუებნები!

— არა! — ჯიუტად წამოიძახა ნიამ.

გიგის ველური ცხოველივით ანთო თვალები, თითქოს მსხვერპლი შეამჩნია და თავდასხმას უპირებდეს.

— ცდები, ლამაზო. ამიერიდან ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მოვისურებ. ამწუთას კი მსურს, წყალი გადაივლო და ლოგინში ჩაწვი.

ნიამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— მე „არა“ უკვე ვთქვი, გიგი, — ძალიან ხმადაბლა, მაგრამ ხაზგასმით წარმოთქვა.

— შენი პასუხი მხოლოდ „პოს“ უნდა მოიცავდეს, პატარა ქალი. ეს ერთადერთი სიტყვაა, რომლის მოსმენაც შენგან მსურს. თავად გამოუტანე შენს თავს ეს განაჩენი.

— რატომ მამცირებ ასე, რა დავაშავე? სამი ათასის გულისთვის ღირს კი?

— არ ღირს? სამი ათასის გულისთვის შენ მეტი იკადრე, ვიდრე მე ვკადრულობ ახლა.

— ცდები, წარმოდგენაც არ გაქვს, რაზე ლაპარაკობ! — ნიას ძარღვები დაებერა ყელზე, ხმა გაუწვრილდა.

— შენ ასე გგონია? ხომ არ დაგავინყვდა, რომ ახლა ჩემი ვალი გმართებს? — გამჭოლი მზერა ესროლა გიგიმ და ცივად გაიღიმა.

— ის, რომ ვილაცის ვალი გმართებს, არ ნიშნავს, თითქოს დამნაშავე ვიყო. სულაც არ მინდოდა, გაგეგო ეს ამბავი. არც ის მიფიქრია, ოდესმე მომეცოდა და ფული შენთვის გადამეხდევინებინა. ჩემი ბრალი არ არის, ასე რომ მოხდა. შენთვის არასდროს ერთი თეთრიც არ მითხოვია, ეს არ დაგავინყვდეს! ასეთი ურთიერთობა არ მინდა!

— კარგი, არ გინდა, ნუ გინდა! — გიგიმ თვალები მოწკურა. — მაშინ წადი, ახლავე! წადი და ეცადე, სხვა მდიდარი საყვარელი იშოვო. ჩემ გვერდით ყოფნის



პერიოდში ასეთი ბევრი გაიცანი, ყველას მოსწონხარ... ასე რომ, არ გაგიჭირდება... ერთი ღიმილიც საკმარისია მათი გულის მოსანადირებლად. ან მაკასთან დაბრუნდი, ერთად უკეთ იმუშავებთ!

მისი ყოველი სიტყვა ეკალივით ესობოდა ნიას გულს. შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. სასომიხდელი თვალეზი დახუჭა, რათა დამშვიდებულიყო და წონასწორობა არ დაეკარგა.

ერთხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. მერე ოდნავ შეირხა, თვალები გაახილა და ჯიქურ მიაჩერდა ახვლედიანს.

— მე შენ არ მოგცემ იმის უფლებას, შენთან გატარებული არაჩვეულებრივი დღეები ჩამიშხანო. ეს იყო საუკეთესო რამ, რაც კი ოდესმე მქონია ცხოვრებაში. ჩემს ვალებზე არაფერს გეუბნებოდი იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობა არ გაფუჭებულიყო. ვიცოდი, რომ ეს რომანი დიდხანს არ გაგრძელდებოდა, ამიტომაც არ ჩაგაყენე საქმის კურსში. თავიდანვე ვიცოდი ეს, და სხვა, უფრო მეტის მოლოდინი არც მქონია. თუ მართლა გგონია, რომ ეს თვეები შენი სქელი საფულის გამო გავატარე შენ გვერდით, მწარედ ცდები. შენი ფული არაფერში მჭირდება. თუმცა, შენი ნებაა, რას იფიქრებ, — ასე თავდაჯერებით ნიას არასდროს უღაპარაკია.

მოახერხა კი მისი დარწმუნება? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, რადგან მამაკაცის გამოხედვა უემოციო იყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში ოთახში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

— კარგია, — თქვა ბოლოს გიგმი, — უბრალოდ, ჩინებულია. ძალიან დამაჯერებლად ილაპარაკე.

ნიას მისმა ტონმა გული მოუკლა. არა, ვერაფერიც ვერ გაიგო. ტყუილად ილაპარაკა ამდენი, გიგმი ერთი სიტყვაც არ დაიჯერა მისი.

— მაგრამ შენ თავიდანვე ძალიან დამაჯერებლად იქცეოდი, ძალზე ოსტატურად თამაშობდი შენს როლს. არასდროს არაფერს მთხოვდი. ყველანაირად ცდი-

ლობდი დაგერწმუნებინე, რომ არ ჰგავდი სხვა ქალებს, ფულის ტომარაზე მონადირე ძუკუნებს. მაგრამ ერთი მითხარი, რას იზამდი, დევიძე შენ რომ მოგდგომოდა აქ ფულის დასაბრუნებლად? რა სულისშემძვრელ ისტორიას შეთხზავდი თავის დასაძვრენად? ან კი როგორ აპირებდი ამხელა თანხის გადახდას შენი გროუბით? რამდენი წელი უნდა გვეგროვებინა ფული, რომ ვალი გაგესტუმრებინა? ან კი როგორ მოგივიდა ამხელა თანხის სესხება თავში აზრად შენი ასორმოცდათლარიანი ხელფასით? იქნებ შენმა ყოფილმა საყვარელმა მიგაჩვია ხელგაშლილ ცხოვრებას და გემო გაუგე? ასეთი რამეების გამო ხომ არ მიგატოვა? მასაც ახდევინებდი ვალებს? ასე იყო, არა? მითხარი, რატომ დამუნჯდი!.. იმიტომ, რომ სათქმელი არ გაქვს. ჰოდა, ახლა, კეთილი ინებე და გააკეთე ის, რასაც ვითხოვ. მე შენში ფული მაქვს გადახდილი, სხვათა შორის.

მამაკაცის შეუბრალებელმა გამოხედვამ ნიას ბოლო იმედიც გამოაცალა ხელიდან. მას უკვე აღარ შეეძლო მეტის მოთმენა, ამიტომ გატრიალდა და პირდაპირ გარდერობს მიადგა. გიგი ცნობის-მოყვარედ ადევნებდა თვალს. გოგონამ კარი გამოაღო და სწრაფად რაღაცის ძებნას შეუდგა. უცებ გაჩერდა, იპოვა, რასაც ეძებდა... წითელი ფეხსაცმელი ქვედა თაროზე იდო...

— საინტერესოა, რას აკეთებ? — გიგმი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— მივდივარ!

— რა-ა? რას აკეთებ?

— მივდივარ, გიგი და მხოლოდ ამ ფეხსაცმელს წავიღებ, შენი სხვა არაფერი მინდა! — მტკიცედ გაისმა მისი ხმა.

— არსადაც არ წახვალ! — იყვირა ახვლედიანმა, ქალს მიეჭრა და მაჯაში ჩაავლო ხელი.

ნიამ ზიზლით მოხედა და დემონსტრაციული უსუსტით გაითავისუფლა მაჯა.

— ხელი არ მახლო! გესმის, არ მომეკარო, იცოდე! — კბილებში გამოსცრა, ფეხსაცმელს ხელი დაავლო და კარისკენ

დაიძრა.

— ჩემს ვალს რას უშვრები, მერე? — დაცინვით მიაძახა მამაკაცმა.

— ნელ-ნელა გამოგიგზავნი. ყოველ-თვიურად, ჩემი ხელფასიდან გადმოგირიცხავ პირად ანგარიშზე. მინდოდა, შენთვის მეთხოვა სამსახური აქ, სასტუმროში ან კაზინოში, მაგრამ ახლა... — ნიას წინადადება შუაზე გაუნყდა, კიდევე ერთი სიტყვა და აღრიალდებოდა.

ამასთან, გულის რევის შეგრძნება დაეუფლა, რომელიც უფრო და უფრო უძლიერდებოდა.

ის-ის იყო, კარის სახელური ჩამოსწია, რომ მიხვდა, თავს ველარ შეიკავებდა. ფეხსაცმელი იქვე, სავარძელზე მიაგდო, პირზე ხელი აიფარა და სააბაზანოში შევარდა...

აი, რა დღეში ჩააგდო ამ კაცის სიყვარულმა... მისმა შეურაცხყოფელმა სიტყვებმა ისეთი ზიზლი მოჰგვარა, გულიც კი აერია... სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო... ერთი კი არა, ნახევარი ნაბიჯიც არ ყოფილა თურმე...

ცოტათი რომ დამშვიდდა, პირზე წყალი შეისხა და სარკეში ჩაიხედა... მის წინ სრულიად სხვა, ერთიანად გაფითრებული ქალი იდგა, რომელსაც თვალის უბეები საშინლად ჩაშავებოდა. ღმერთო, რას დაემსგავსა ერთ დღეში!

გიგმი ჯერ დააკავუნა კარზე, მერე გაუბედავად შემოაღო.

— რა გემართება? ცუდად ხარ? — შეცბუნებული მიაჩერდა ქალს.

— შენმა სიტყვებმა მომწამლა, — ზიზლით უპასუხა ნიამ, გვერდი ცივად აუარა და გავიდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა თუ არა, თავბრუ დაეხვა და მუხლებში ძალა გამოეცალა. ის იყო, უნდა წაქცეულიყო, რომ მამაკაცის ძლიერმა მკლავებმა მოასწრო მისი დაჭერა. შემფოთებულმა გიგმი მიტკალივით გათეთრებული ქალი დივანზე მიანწვინა.

— წყალს მოგიტან, მერე კი ექიმს გამოვიძახებ, — თქვა მამაკაცმა და თვალეზით ჭიქას დაუნყო ძებნა.

— არ მინდა, მალე გამივლის, რაღაცამ მომწამლა სუფრაზე... ალბათ პომიდორმა.

— შეიძლება, მაგრამ ექიმს მაინც გამოვიძახებ, არ ადგე! — გიგმი თავისი არ დაიშალა და ოთახიდან გავარდა.

ექიმი მალევე მოვიდა. გიგი აივანზე გავიდა და კარი მიიხურა, რათა ისინი მარტო დაეტოვებინა.

— აბა, მომიყვით, რა გჭირთ? — თბილად გაუღიმა ჭალარა მამაკაცმა.

ნიამ უთხრა, რაც მოხდა. ხანდაზმულმა მამაკაცმა მდუმარედ მოისმინა მისი მონაყოლი, მერე წარბები აზიდა და გოგონას სათვალის ზემოდან გადმოხედა.

— მითხარით, ქალური ციკლი ბოლოს როდის გქონდათ? ანუ... ხომ არ გადაგიცდათ?

ამის გაგონებაზე ნიას ნერწყვი კინალამ სასულეში გადასცდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ ჩიროვის ნიგნიდან „გენერალისიბუსი“



ჩიროვის მავალობა

ბრალდებულმა ევდოკიმოვმა პროცესზე უჩვენა, რომ 1934 წლის ზაფხულში, კამენევის მოსკოვურ ბინაში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: კამენევი, ზინოვიევი, ევდოკიმოვი, სოკოლნიოვი, ტერ-ვაპანიანი, რეინჰოლდი და ბაკაევი. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ ჩიროვის მკვლელობა უნდა დაეჩქარებინათ (ბრალდებულმა სიტყვა „ფორსირება“ გამოიყენა).

მოვიტან რამდენიმე ამონარიდს სასამართლო პროცესის სტენოგრაფიდან:

„ევდოკიმოვი:

— 1934 წლის შემოდგომაზე ბაკაევი ლენინგრადში გაემგზავრა, რათა შეემონებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა სერგეი ჩიროვის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტის მომზადება. ლენინგრადელმა ტერორისტულმა ჯგუფებმა ჩიროვზე თვალთვალი დააწესეს და ამ აქტისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ.

ვიშინსკი (საბჭოთა კავშირის მაშინდელი გენერალური პროკურორი):

— სერგეი ჩიროვის მკვლელობა ცენტრში მომზადდა?

— დიას.

— თქვენ პირადად მონაწილეობდით მის სამზადისში?

ამ მკვლელობის ორგანიზატორები და შემსრულებლები თავად, გამოძიების დროსაც და სასამართლო პროცესზეც, საჯაროდ, ყველას გასაგონად აცხადებდნენ: „დიას, ჩვენ მოვკალით ჩიროვი!“ შეგვიძლია წავიკითხოთ ჩვენებები, რომლებიც მათ საგამოძიებო დაკითხვების დროს, ხოლო შემდგომ, 1936 წლის აგვისტოში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მისცეს.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-34

— დიას.

— თქვენთან ერთად, მასში ზინოვიევი და კამენევიც მონაწილეობდნენ?

— დიას.

კიდევ რამდენიმე კითხვის დასმის შედეგად, ვიშინსკი ადგენს, რომ ლენინგრადში ყოფნისას ბაკაევი შეხვდა ჩიროვის მკვლელს — ნიკოლაეუს, რომელსაც ტერაქტის მომზადების შესახებ ესაუბრა; აქვე გაირკვა, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ ბაკაევმა ამის შესახებ დანვრისგარეშე ინფორმაცია მიაწოდა ევდოკიმოვსა და კამენევს. ვიშინსკი კითხვით კამენევთან გადადის:

— რას მოგიყვით ბაკაევი?

— მითხრა, რომ ორგანიზაცია მზადაა დარტყმის მისაყენებლად და ეს დარტყმა უეჭველად განხორციელდება.

— მერე, თქვენ რა იფიქრეთ ამის შესახებ?

— ეს დარტყმა მოფიქრებული და მომზადებული იყო იმ ცენტრის დადგენილებით, რომლის წევრიც მეც გახლდით და ამას, როგორც დასახული ამოცანის გადაწყვეტას, ისე ვუყურებდი.

— ბრალდებულ ზინოვიევი, თქვენც მონაწილეობდით ამხანაგ ჩიროვის მკვლელობის ორგანიზებაში?

— ვფიქრობ, ბაკაევი მართალია, როცა ამბობს, რომ ჩიროვის

სასტიკი მკვლელობის მთავარი ორგანიზატორები ვიყავით, პირველ რიგში, მე — ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი, რომლებმაც გაერთიანებული ტერორისტული ცენტრი ჩამოვაყალიბეთ. ბაკაევს ამ ცენტრში მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა.

— ამგვარად, გადამწყვეტი როლი გეკისრებოდათ თქვენ, ტროცკისა და კამენევის. ბრალდებულ კამენევს, ეთანხმებით თუ არა ზინოვიევის ამ განცხადებას?

— დიას, — უპასუხა კამენევმა და დასძინა: — 1934 წლის ივნისში, პირადად ჩავედი ლენინგრადში, სადაც აქტიურ „ზინოვიეველს“, იაკოვლევს დავავალე, რომ ნიკოლაევი-კოტოლინოვის ჯგუფის პარალელურად, თავადაც მოემზადებინა თავდასხმა ჩიროვზე...“

მაშ, კიდევ რა მტკიცებულებებია საჭირო?! მაგრამ სტალინის არაკეთილმოსურნეებმა ისეთი პუბლიკაციების მთელი ნყების ორგანიზება მოახერხეს, რომლებიც ხალხში ბრალდებულთა ჩვენებებისა და საერთოდ, ამ სასამართლო პროცესის მიმართ უნდობლობას დათესა; ზოგიერთ მათგანში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პროცესი წარმოადგენდა დადგმას, რომ ბრალდებულებს ჩვენებები გამოძიებულთა ზენოლის, ზოგჯერ კი — ნამებისა და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებით გამოსძალეს.

ლევ ტროცკი თავის ნიგნიში — „სტალინის ბოროტმოქმედებები“ წერდა:

„ზინოვიევი, კამენევი და სხვები ვერ ჩაიდენდნენ ამ მკვლელობას, რადგან მას არანაირი პოლიტიკური აზრი არ ჰქონდა. ჩიროვი მეორეხარისხოვანი ფიგურა გახლდათ, მას თავისთავადი წონა არ გააჩნდა. ნამდვილ ტერორისტებს სტალინით უნდა დაეწყოთ. ბრალდებულებს შორის, ცეკასა და მთავრობის წევრები იყვნენ, რომლებსაც სტალინთან მიახლოების საშუალება ჰქონდათ, ამდენად, მისი მოკვლა არ გაუჭირდებოდათ.“

ერთი შეხედვით, რკინისებური ლოგოკა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის,



ვიშინსკი (შუაში) სასამართლო პროცესზე

ადამ ულამის თქმის არ იყოს, ტროცკის მსჯელობა ამ შემთხვევაში, „ნარმოადგენს უსუსურ ნახევარსიმართლეს, რომელიც ფაქტების მიჩქმალვაზეა აგებული“.

ფაქტები კი იმას მოწმობს, რომ ტროცკიც და სხვა შეთქმულებიც ტერორისტულ აქტებს მართო „მეორეხარისხოვანი ფიგურის“ — კიროვის წინააღმდეგ როდი ამზადებდნენ. აი, ზინოვიევის მიერ გამოძიებისადმი მიცემული კიდევ ერთი ჩვენება:

„მე ასევე ვაღიარებ, რომ 1932 წლის შემოდგომაზე ორგანიზაციის წევრებს — ბაკაევსა და კამენევს გაერთიანებულმა ცენტრმა მოსკოვში — სტალინის, ხოლო ლენინგრადში — კიროვის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის ორგანიზება დაავალა. ეს დავალება მათ, დაბა ილინსკში პირადად მე მივიცე“.

ამ ცენტრის მეორე ხელმძღვანელი — კამენევი კითხვაზე — იცოდა თუ არა მან სტალინისა და კიროვის წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობის თაობაზე ცენტრის გადანყვეტილების შესახებ? — უპასუხა:

„დაიხ, იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ ილინსკში გამართულ თათბირამდე ზინოვიევიცა მაცნობა, ტროცკისტულ-ზინოვიევიური ბლოკის მიერ სტალინისა და კიროვის წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობის გადანყვეტილების შესახებ. ამასთანავე, მან მითხრა, რომ ამ გადანყვეტილების მიღებას განსაკუთრებული კატეგორიულობით მოითხოვდნენ ტროცკისტა ბლოკის ცენტრის წარმომადგენლები — სმირნოვი, მრაჩკოვსკი და ტერ-ვაჰანიანი და რომ მათ ამის თაობაზე უშუალოდ ტროცკისგან აქვთ მიღებული დირექტივა“.

ამ დროს, უკვე უცხოეთში მცხოვრები ტროცკი ყველანაირად ცდილობდა სტალინის მკვლელობის ფორსირებას; საკუთარი აგენტების მეშვეობით, ის სისტემატურად გზავნიდა დირექტივებსა და მკვლელობის მომზადებისთვის საჭირო პრაქტიკულ მითითებებს. მაგალითად, წარსულში ტროცკის პირადი დაცვის წევრმა დრეიციერმა გამოძიებას მისცა ჩვენება, რომ 1934 წელს მან მიიღო წერილობითი დირექტივა, სტალინისა და ვოროშილოვის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის თაობაზე:

„ეს დირექტივა გადმომცა ვარშავაში მცხოვრებმა ჩემმა დამ — სტალოვიცკაიმ, რომელიც 1934 წლის სექტემბერში მოსკოვში იყო ჩამოსული. წერილი ძალზე მოკლე და ლაკონიური იყო: „ძვირფასო მეგობარო! გადაეცით, რომ ამჟამად ჩვენ წინაშე შემდეგი ამოცანები დგას: პირველი — მოვიშოროთ სტალინი და ვოროშილოვი; მეორე — გავშალოთ მუშაობა არმიაში უჯრედების ჩამოსაყალიბებლად, გამოვიყენოთ ყველანაირი წარუმატებლობა და დაბნეულობა, ხელმძღვანელობის შესაპრობად“.

ამ დირექტივის არსებობას ადასტურებს კიდევ ერთი ცნობილი ტროცკ-

ისტი — მრაჩკოვსკი, რომლის ჩვენებაშიც ნათქვამია:

„ესტერმანმა დრეიციერის მიერ გამოგზავნილი კონვერტი გადმომცა. მისი თანდასწრებით გავხსენი და დრეიციერისადმი ტროცკის მიერ მიწერილი ბარათი შემრჩა ხელთ. მასში, სტალინისა და ვოროშილოვის მკვლელობის ორგანიზებასთან დაკავშირებით ტროცკის მითითებები იყო გადმოცემული“.

ტროცკის სხვა ადვოკატი — ოლბერგი, რომელიც საბჭოთა კავშირში ტერორისტული ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად ჩამოვიდა, თავის ჩვენებაში აღნიშნავდა:

„მე უშუალო კავშირი მქონდა ტროცკისთან და ლევ სედოვთან, რომელიც საორგანიზაციო ხასიათის, პირდაპირ მითითებებს მაძლევდა. მე საბჭოთა კავშირში ტროცკის ემისარი გახლდით ბოლომდე — ვიდრე დამაპატიმრებდნენ“.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე ოლბერგმა ჩამოაყალიბა ტერორისტული ჯგუფი, რომელიც არა მოსკოვში,



კიროვი

არამედ ქალაქ გორკიში განთავსდა და იქიდან უნდა გადაესროლათ დედაქალაქში, სტალინის მოსაკლავად. მკვლელობა 1936 წლის საპირველმისოდ შესასწავლისთვის იყო დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით, ქალაქის ტროცკისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, გორკის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორს, ფედოტოვს მოსკოვში უნდა

ნომერი 2 პირველი 21 აგვისტოდან

პრესენალი

300 არაბი

არაბი დაპირისპირებული მარაგები

კაბი კომუნის ნახევარი გაფანტის მარაგი

არაბი კაბის საბჭოთა ისტორიის

გაეგზავნა ტერორისტები, რომლებიც პედინსტიტუტში ვითომდა ფრიადზე სწავლისთვის, წითელ მოედანზე დემონსტრაციაში მონაწილეობის უფლებით დააჯილდოეს.

ოლბერგის გარდა, თითქმის იმავე დროს ტროცკიმ საბჭოთა კავშირში კიდევ ერთი თავისი აგენტი — ბერმანი იურიანი გადმოისროლა. როცა ბელადის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობასთან დაკავშირებით მითითებებს აძლევდა, ტროცკი განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს იმას, რომ მკვლელობა უნდა მომხდარიყო არა ჩუმად, მიყრუებულ ადგილას, არამედ საჯაროდ, ცეკას პლენუმზე ან კომინტერნის კონგრესზე.

ბერმანი-იურიანთან ერთად, ტერორისტული აქტების მომზადებაში მონაწილეობდა კომინტერნის თანამშრომელი ფრიც-დავიდი, რომელიც ასევე ტროცკის პირადი დავალებით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში 1933 წლის მაისში. ბერმანი-იურიანი და ფრიც-დავიდი ერთმანეთს დაუკავშირდნენ და კომინტერნის VII კონგრესზე სტალინის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადებას შეუდგნენ.

„ჩემთან საუბრისას, — წერდა ჩვენებაში ბერმანი-იურიანი, — ტროცკი დაუფარავად ამბობდა, რომ სტალინის წინააღმდეგ ბრძოლისას არ უნდა მოვრიდებოდით უკიდურეს ზომებს და რომ აუცილებელი იყო, ის ფიზიკურად გაგვენადგურებინა. სტალინის შესახებ ის გაუგონარი გალიზიანებითა და სიძულ-



სტალინი და კიროვი

ვლით ლაპარაკობდა და დროდადრო, შეურაცხად ადამიანს მოგაგონებდათ. ამ სიძულვილთან ერთად, ისეთი ემოციურობითა და თან, რწმენით ლაპარაკობდა, მისი ოთახიდან ლამის დაჰიპნოზიბული გამოვიდა...“

ტროცკი მხოლოდ სტალინის მკვლელობის მოწყობით როდი შემოიფარგლებოდა; მას თავის ამოცანად, პარტი-

ის სხვა ხელმძღვანელთა განადგურებაც მიაჩნდა. მიზნად ისახავდა, ერთდროულად მოეშორებინა — კიროვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე და ჟდანოვი. მისი ვარაუდით, მოსკოვში, ლენინგრადსა და უკრაინაში ერთდროულად რამდენიმე პარტიული ხელმძღვანელის მკვლელობით, ქვეყანაში პანიკას დათესავდა და ამის შედეგად, ზინოვიევთან და კამენევთან ერთად, ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოახერხებდა.

მაგრამ მოდი, დავუბრუნდეთ კიროვის მკვლელობას.

სტალინი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან მეგობრობდა მასთან — იმ ხანიდან, როცა კიროვი ჩრდილოეთ კავკასიიდან ცარიცინში ხორბლის გაგზავნას ხელმძღვანელობდა, ხოლო სტალინი ამ ხორბალს ცარიცინიდან სიმშილით მოცულ პეტროგრადში გზავნიდა.

მერე, უკვე მშვიდობიანობის დროს სტალინსა და კიროვს შორის მეგობრობა თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა: ნათესავეს შორის დამოკიდებულებისგან: ლენინგრადიდან მოსკოვში მივლინებით ჩამოსვლისას კიროვი არა სასტუმროში, არამედ სტალინის ოჯახში ჩერდებოდა; სტალინის ცოლი და ქალიშვილი სვეტლანა „მირონის“, როგორც უახლოეს ნათესავს, ისე ეპყრობოდნენ... შეებულებასაც კიროვი, როგორც ნესი, სტალინთან ერთად ატარებდა. იმ წელსაც, როცა ტერორისტებმა განგმირეს, სერგეი კიროვი ბელადთან ერთად, სოჭში იმყოფებოდა: ბილიარდს თამაშობდნენ, სეირნობდნენ, ერთად დადიოდნენ აბანოში. იქიდან წასული კიროვი, სტალინთან განშორების დღიდან 3 კვირაში მოკლეს.

ბელადი ძალიან განიცდიდა კიდევ ერთი ერთგული მეგობრის დაკარგვას; ის გახდა, განმარტოებას მოუხშირა, სულ მოლუშული, დამწუხრებული დააბიჯებდა... ერთხელ, კუნცევოს აგარაკზე, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უთქვამს: „სრულიად დაობლებულად ვგრძნობ თავს“.

კიროვის დაკრძალვა საკმაოდ დანვრილებით აღწერა თავის დღიურში სტალინის პირველი ცოლისძმის, ალექსანდრე სვანიძის მეუღლემ, მარიამმა.

„ჩვენ განსაკუთრებული ბილეთები გვექონდა, რომლითაც კრემლის სვეტებიან დარბაზში, სადაც კიროვი იყო დასვენებული, იმ დროს შესვლის უფლება გვეძლეოდა, როცა ხალხს აღარ უშვებდნენ, — წერს იგი, — 5 ოქტომბერს, საღამოს 10 საათიდან შესასვლელი დაიკეტა. მე და ალექსანდრე ჯერ იმ ოთახში შევედით, სადაც ჩვეულებრივ, კონცერტების დროს მსახიობები სცენაზე გასასვლელად ემზადებოდნენ. ცოტა ხანში უფლება მოგვეცეს, ჭირისუფალთან მივსულიყავით და დარბაზში გადავიწაცვლეთ... კუბო დარბაზის შუაგულში იდგა. კიროვს მომწვანო-მოყვითალო სახე ჰქონდა, წაწვეტილებული ცხვირით, მოკუმული ტუჩებით, რომლის კუთხეები თითქოს ტკივილის-



ტროცკი

გან დამანჭოდა და ჩამოსწოდა... მარცხენა საფეოქელი და ყბა ნაქცევისას მიღებული დარტყმისგან ჩალურჯებოდა... მის წინ ისხდნენ: უბედური ქვრივი, მისი ორი და და კიროვის ორი და; იქვე, მათ გაყოლებზე — მარია ულიანოვა (ლენინის და), ნადეჟდა კრუპსკაია, ეკატერინა ვოროშილოვა, ზინა ორჯონიკიძე, ლენინის ძმა, მარიამ ორახელაშვილი. ჩვენც ამ ჯგუფს შევეურთდით...

დარბაზში ადამიანთა შეზღუდული წრე იმყოფებოდა. ცოტა ხანში, მტკიცე ნაბიჯების ხმა გაისმა. მიცვალებულის თავის მხრიდან (ყველა, ვინც პანაშვიდებზე მოდიოდა, დარბაზის საპირისპირო მხრიდან შემოდიოდა) გამოჩნდნენ: იოსები (სტალინი), ვოროშილოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, მიქოიანი... კუბო შემადლებულ პოსტამენტზე დგას. იოსები საფეხურებზე ადის. დამწუხრებული სახე აქვს. ის იხრება და შუბლზე კოცნის სერგეი მირონოვიჩს... ეს სურათი სულისშემძვრელია, რადგან ვიცით, თუ როგორ ახლობლობდნენ ისინი ერთმანეთთან, ამიტომ მთელი დარბაზი ქვითინებს... ასევე თბილად ეთხოვება კიროვს აცრემლებული სერგო — მისი უახლოესი თანამებრძოლი; შემდეგ, ფერმკრთალი, სრულიად თეთრი მოლოტოვი ადის... გამოთხოვება დამთავრებულია... პარტიის ლიდერები დარბაზიდან გადიან...“

მაშინ ჯერ კიდევ ბერეს სჯეროდა იმ ვერსიის, რომლის თანახმადაც, კიროვი ნიკოლაევმა ცოლზე ეჭვიანობის გამო მოკლა. სინამდვილეში კი ეს ბოროტმოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო ტერაქტების მთელი სერიისა, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდება მიზნით ხორციელდებოდა.

შემდეგ ნომერი — „სამხედრო შეთქმულება“



მშენებელი გენილები



მარი ჯაფარიძე

იმედგასრუება

გამარჯობა, ჩემო კეთილო, კარგო და მშვენიერო მგზავნებო. როგორ ხარ? მე ვარ, რა... შვებულების მოლოდინში... წინასწარ ვტკბები იმის წარმოდგენით, როგორ დავისვენებ... არავითარი ტელეფონი, კომპიუტერი და ციფილიზაციის ნიშნები! ჩემი სურვილია, სადმე, მთის წვერზე, ქოხში წამოვწვე, გამოვიძინო, მდინარეში დაჭერილი თევზითა და ტყის კენკრით ვიკვებო... თუმცა, ეს უფრო ოცნებაა და რეალურად ამის გაკეთება გამიჭირდება... ამიტომ, ილინა და მანაველს „ჩაფერი“ ჩემს ოპელიში (სავარაუდოდ, ასე იქნება) და წავშუალებით დასაველეთში... თუმცა, ახლა ისევ ოცნებამ შემოიკლავა და ჯობია, საქმეზე გადავიდეთ. მამასადამე, დღევანდელი ჩვენი თემა „იმედგაცრუება“ და ერთ-ერთი მკითხველის მესიჯი უნდა გაგაცნოთ, რომელიც, როგორც ჩანს, შორიდან კაი ხანია, გვითვალთვალეს, ახლა კი იმედგაცრუებულს მესიჯის გამოგზავნა გადაუწყვეტია: „აქაურობას რომ ვუყურებ, კრახანების ბუდე მგონია! იხელა ხმაზე ბზუით, 2 კვარტლის იქით ისმის! „გზავნილები“ უნიჭოების ამბიციების დასაკმაყოფილებელ ადგილად გადაიქცა!

რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ! კარგი ახალი თაობაც მოდის, მაგრამ ბევრმა ენ. ძველმა ისე გაუბერა, გული მიღონდება! მოკლედ, ვერ გავიგე რაზე „ბათქავს“ იკუშები და მისტერი ერთმანეთს, მაგრამ არც ერთი ჩანს ურიგო და არც მეორე. მგონი დროა, დაზავდეთ. ეს ფეშენა ისე მომწონს, ლამისაა სახლში წამოვიყვანო. :) ენიგმა ჯერ კიდევ მოსურნეთა წაკბენების მოვლენათა ეპიცენტრშია თუ მეშლება? ამ გრუზინკას და ლუნას რა უნდათ, ველარ გავიგე გეხვეწებით, თუ წერთ, რაიმე ღირებული დანერეთ, თორემ ამ ბოლო დროს ჯერ ნიკებს გვითხულობ და მერე მესიჯს. :) ელექტრაც მშვენივრად წერს! ძალიან მომენატრა კანი და პარიუანკა, სუბერსთარი და ბაობაო და კიდევ, ვითომდა მეგობრობას შეეშვით! ზედ ეტყობა, ვის რა უნდა და ვინ ვისი, როგორი მეგობარია. მოკლედ, ჯერ კარგად დაფიქრდით, რას წერთ და მერე აიღეთ ხელში ტელეფონი. აბა, დროებით და არ მოგაკლებთ ჩემს ტკბილ-მწარე შეფასებებს! თეთრი ყვავი“. ჰოდა, დაკბინეთ ახლა თეთრი ყვავი თქვენ რომ იცით, ისე... მანამდე კი იმედგაცრუებული მკითხველების მესიჯებს გაეცანით.

ფულიანი გოგო და ნამღვილი მამაჩაი ანუ მებრალი და აქიმი არაჰინა?



მაპატიე

„ყოველივე ჩვეულებრივად დაიწყო, მეტისმეტად ჩვეულებრივადაც კი... მათაც ისე გაიცნეს ერთმანეთი, როგორც არაერთს გაუცნია, ადამის მოდგმიდან. უჩვეულო ერთი რამ იყო: პირველივე სიტყვებიდან, თითქოს სხვა რამე დაუშვებელიაო, აგრძობინეს ერთურთს, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ ქვეყნად მოვლენილი... მერე სიგიჟეებით, გაბუტვებით, სითბოთი, წინააღმდეგობებით, ბრძოლით, გამარჯვებით, დამარცხებითა და უსაზღვრო სიყვარულით სავსე სამმა წელიწადმა პეპლებს სიცოცხლესავით სწრაფად გაირბინა... გოგონა ძალიან ჭირვეული, ჯიუტი, ცვალებადი და ეგოისტი იყო. იცოდა მხოლოდ — „მე მინდა“ და „მე ასეთი ვარ!“ აკეთებდა ყველაფერს, რაც ნუთიერად მოუვლიდა თავში, არ ერიდებოდა მასზე ტკივილამდე შეყვარებული ვაჟის გულის ტკენას და რაც ყველაზე მთავარია, არასდროს არაფერს ნანობდა. „თუ არ შეგიძლია ამიტანო, შეგიძლია ნახვიდე იმასთან, ვინც ადვილი ასატანია. მე არ შევიცვლები“, მიახებდა თავის მართლების ნაცვლად. ვაჟის სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, ყოველივეს იტანდა, მაგრამ ერთხელაც გოგომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. გული მოუკრა ბიჭს, მისი სიამაყე საბოლოოდ გადათელა და 3 წლის ნაფერები სიყვარული გაანადგურა... მერე იყო ჭირვეული, განებივრებული გოგონას თვალს სიყვარულის გამო მომწყდარი პირველი ცრემლი, უძილო ღამეები, შეგრძნება, რომ ცხოვრებამ აზრი დაკარგა, სინანული და უიმედობა... დღესაც ასე... P.S. ბასტ, კიდევ ერთხელ ჩაიბარე ჩემგან აღსარება, ამჯერად ჟურნალის ფურცლებიდან. ვიცი, რომ გიყვარვარ... ჩვენს ცხოვრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანათებს ბედნიერების სხივი, თუკი ყოველდღე ხელში ავიღებთ ერთმანეთის მაჯას და გულის ძგერას მოვისმენთ ერთურთისას, თუკი ავიხდენთ იმ ოცნებებს, რომლებშიც წლები გაგვიტარებია, თუკი სიკვდილის შემდეგ ჩვენგან დარჩენილ, ამოზარცულ მინაზე საერთო საფლავის ქვა დაიდება, რომელზეც შენი სახელის გვერდით ჩემი სახელი ეწერება... ჩემი ტკივილი და სინანული ხარ, ჩემი ცრემლი და ოცნება, ჩემი იმედის და უიმედობაც, ჩემი წარსული და მომავალი... მაპატიე, ბასტ... მჭირდები“...

უმასპინძლო სტუმარი

„ისეთი იმედგაცრუება, როგორიც ამ რამდენიმე დღის წინ ვიგემე, ცხოვრებაში არ მიგემნია... ენიგმას ყველა იცნობთ, მე კი ჩემს ძმად მივიჩნე

ნევი (მივიჩნევ) და ამიტომ ჩემი დაბადების დღის აღნიშვნა მასთან გადავწყვიტე. კახაც სიხარულით დამეთანხმა. თითქმის მთელი თვე ვემზადებოდი ამ დღისთვის და მასთან შესახვედრად. დადგა ეს ბედნიერი (უბედური) დღეც, გავემზავრე თელავში. მთელი გზა ბედნიერების ღიმილი მესატა სახეზე. ჩავედი და კითხვა-კითხვით მივაგენი მის სამყოფელს, მაგრამ... კახა დამემალა, არც გარეთ გამოვიდა, არც ტელეფონზე მიპასუხა და დამტოვა ასე „გალიმბული“... მაგრამ კახ, მე მაინც უდიდეს პატივს გცემ და მიყვარხარ, ძამი. რა ვქნათ, ნაკლი ყველას გვაქვს, არა? უზნეო ანგელოზი“.

„დამპალო, დამემალე, არა?“

„შარო, საიდან მოდიხარო?“ ვუსვამ თავს ამ მარადიულ კითხვას და ჩვენი უზნეო ანგელოზი მპასუხობს, თბილისიდან! საშინლად იმედგაცრუებული ვარ. არადა, როგორ მიხაროდა, როცა წელიწადნახევრის წინ ჩვენმა მაკამ მელანოსავით მკითხა, კვფაზე წითელი ხალი ხომ არ გაქვსო? სასწრაფოდ დავიხატე ეს ხალი და ათრთოლებული ხმით ვუპასუხე, კიი-თქო! — ვაიმე, კახნატუნა, ძამიი, გვტუტუნე! — შეპკივლა მაკამ და მას შემდეგ დაძმურად ხან სულში ვიხუტებთ ერთმანეთს და ხან სისხლს ვუშრობთ. ორივე აგვისტოში დავიბადეთ. სხვაობა 1 კვირა იყო, ის კახნატუნას მეძახდა, მე — მაკნატუნას. თითქმის ყოველდღე ტელეფონს ვუფეთქებდით ერთმანეთს (დაილოცოს „ბალის“ აქცია) და ერთი საერთო ჭირი და ლხინი გვექონდა. მე რომ აქ ვაფცხიკებდი, მაკა თბილისიდან დამიძახებდა, ღვთის წყალობაო, ის რომ ნახალოკვაში ფეხს ნამოჰკრავდა რამეს, თელავიდან ვტუქსავდი, ძირს დაიხედემეთქი. ჰოდა, ამ ნაფერებ დაძმობას მაკამ წყალი შეუყენა. 1 კვირის წინ დედაჩემი სამედიცინო კვლევებზე წავიდა თბილისში, 4 დღით. მაკამ დამირეკა, კახ, ამ დღეებში ჩამოვალო. ძალიან გამიხარდა. ვუთხარი, კი, სიხარულო, მაგრამ მე ვმუშაობ, დედაჩემი კი 4 დღის მერე ჩამოვა და ჯობია მაშინ ჩამოხვიდე, სახლი დაკეტილი რომ არ დაგხვდეს და ორივეს დაბადების დღე აქ გადავიხადოთ-მეთქი. ჰოდა, რა გგონიათ? მეორე დღესვე, გაუფრთხილებლად ნამოტანტალებულა ეს ჩვენი მაკნატუნა თელავში და თავზე დაუშინა ყველაფერი. ჯერ ცარიელ სახლს ლამის ხის კარი დაუღვენა ბრახუნით, მერე რკინის ჭიშკარზე ამძვრალა ალპინისტივით და მეზობლის პირდაფენილი ბავშვები ქვემოდან შეჰყურებდნენ, ხითხითით. მეზობლის კაცს შეეცოდა და უთხრა, კახა ზემოთ უბანში მუშაობს და ნამო, მიგიყვან და გაჩვენებო, მარა თმა გაუშლია და ნაცარი

ნაუყრია მაკას, ვის ატყუებ, შე გათახსირებულო, სად უნდა წამოგყვე, მამისტოლა კაცს? კახა სახლში გდია და მემალება, აი, თუ არ გჯერაო და ტელეფონით დაურეკავს ჩემთვის. ღია ფანჯრებიდან ჩემი ტელეფონის წკრიალი მოასმენინა იმ კაცს. არა და, მეგობარი მგზავნილებიც და მაკაც გაფრთხილებული მყავდა, რომ როცა ვმუშაობ, ტელეფონს სახლში ვტოვებ, საპატიო მიზნის გამო. საღამოს კარზე მიტყუებულნი წერილი დამხვდა: „დამპალო, დამემალე, არა? ჩემი სახელი აღარ ახსენო, იმედი გამიცრუე“. არა უშავს, მაკ, მართალია, იმედი შენც გამიცრუე, მეზობელიც გამითახსირე, გულიც მატკინე „და დღეიდან ჩვენ ორს შუა მოციქული არის ტყვიან“, მარა ასე არ იქნებოდა, იმ დღეს რომ ცაგარელის პროგნოზი ნაგვეითხა: ლომებმა ჯობია ვოიაჟისგან თავი შეიკავონ, რადგან დიდი იმედგაცრუება ელით, მნათობთა ცუდი განლაგების გამო. აფსუსს, მაშ შენ „ლომი“ უნდა იყო და მე — „ქალწული“? გეყოფა ბრდღვინვა, თათია ჩამოვიდა და შენც გელოდები. იმედი აღარ გამიცრუო და ჩამოდი, თორემ ჩავრთე საქმეში მძიმე არტილერია! კახელი „ქალწული“ გელოდება, იმერელ „ლომს“. ენიგმა“.

უსახელო ლეკვი

„მოკლედ, გუშინ დიიდი დღე მქონდაა... სად იყო და სად არა, მაესტრომ დამირეკა. ბევრი ვიჭორავთ თუ ცოტა, რაღაც უნდა გითხრაო. რა-მეთქი? ვცქვიტე ყურები და შენთვის საჩუქარი მაქვსოოო... სეტერის ლეკვი უნდა გაჩუქოოო... დიდ-უუუ... ეს რა გაიგონა ჩემმა არდასავსებმა ყურებმაა? ერთი წუთის განმავლობაში იმხელა ხმაზე ვკიოდი ტელეფონში, რომ მაგთის ქსელები დახშული იყო მთელი 5 წუთი. ჰოდა, ახლა ორმაგი მოლოდინი და სურვილი მაქვს, ბათუმისკენ გავეროლდე... გმადლობ, გიიი... ჩემი საკაღელი და გაფუჟა ძამიკო ხარ... ჰო, კიდევ რა... ჩემს ლეკვუნას ჯერ სახელი არ აქვს და ჩემო ძვირფასო მგზავნილებო, თქვენ უნდა მოგანდოთ მისი ბედი... პირველი ვერსიის მონოდებისთვის და მისივე სურვილით ჟიურის თავმჯდომარედ დავნიშნავ ჩუპის (ჩუპ, შენი ობიექტურობის იმედი მაქვს). ასეა თუ ისე, თქვენი გამჭრიახობისა და აქტიურობის იმიდზე ვარ... ააააა, ვნახთო, ვინ გახდება ჩემი ცუგრიკას ნათლიაა... ხუმრობა საქმე ხომ არაა? მთელი ერთი კვირა უსახელოდ უნდა იყოს, მაგრამ იმედია, ეღირება ლოდინი... მარ, თუ არ შენუხდები, შენი აზრიც გვითხარი, რააა... მიყვარხართ უძალიანმაგრე-სააად... Sweet-Girl“.



შეყვარებული

„მოკლედ, წელს ჩემი და თბილისიდან აღმფრთხილებული ჩამოვიდა, ვილაც რობერტ პატინსონზე. მაგის თქმა და ჩემი თვალების გაფართოება ერთი იყო. რაღეს ბოდავ, გოგო-მეთქი და სიცილისგან ჩაბჭირებული, იქვე ჩავკუსკუსდი. ჰოოდა, ერთი რომ გამომხედა სადისტური სახის გამომეტყველებით და — ჰმ-ო, რომ მომძახა, მივხვდი, რაღაც მელოდა. დამსვა და ძალით (არ დაიჯეროთ) მაყურებინა ფილმს, სახელად — Twilight („ბინდი“). მეც პირდაღებულ-აღფრთხილებული-შეყვარებული, იდენტური სიფათით მივაშტერდი მონიტორს და 3-ჯერ ზედიზედ „დავარეფლეიერე“ ფილმი. ჰოოოდა, ეჰ... დავდივარ ახლა მეც ასე გაბრუებული და პატინსონზე ოცნებაში მათენდებ-მალამდება. ვისლა ცვალია საზაფხულო რომანებისთვის? გოგონებო, ვისაც ფილმი არ გინახავთ, არ გირჩევთ (კონკურენტები დამემატება სიყვარულის საქმეში და ეგ მინდა, კიდევ?). ესეც ჩემი საზაფხულო რომანი. ემი“.

მეგრელი და ექიმი არავინაა?

„ერთი თბილისელი, საქორწილო ნათესავი ბიჭი მყავს, უკვე 36 წლისაა და ყველა ზრუნავს მის დაოჯახებაზე, რაც ძირითადად საპატარძლოების დოსიეების წინასწარი გაცნობით გამოიხატება. ჰოოდა, ბიჭის დედის მოთხოვნაა, რომ რძალი მეგრელი იყოს, თანაც ექიმი (თვითონ მეგრელია და იმიტომ)! ჰოოდა, ერთი ვარიანტი ჩემმა დამაც წამოაყენა, პარამეტრებს — „მეგრელი და ექიმი“, აკმაყოფილებდა, მაგრამ თურმე თავის დღეში თავისი ტანისამოსიც კი არ გაურცხავს. ჰოოდა, ეს იმედიც გაუტრუვდა. ერთი მაგალითი მოიყვანა კიდევ ჩემმა დამ: თავის მზლს ურიგებდა თურმე მისივე მული თავისი „ხაზეიკის“ გოგოს, მაგრამ გოგო ყოფილა ისეთი, დილით რომ ადგებოდა, დედამისს უნდა ჩაეცმია ტანსაცმელი, ეჭმია და ა.შ. რაც მულს, ბუნებრივია, აღარ ეპიტნავა. იმათ კი, არიქა, პერსპექტიული სასიძო გვეცლება ხელიდანო და ბინიდან გაყრით დაემუქრენ მდგმურებს და გაყარეს კიდევ, აყალ-მაყალით! ჰოოდა, ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ, ჩემი ნათესავი იძახის, გახდით კი გავხდით, მაგრამ კაი რა, ჩაცმით ნაღდად ვერ ჩავაცმევო! მოკლედ, ჩემი ბახტრიონელი ნათესავის ცოლობის ადგილი კვლავ ვაკანტური რჩება! ელისო“.

სიახლისგან დაბნეული

„ოჰ, მარი, მარი... კინაღამ მიკროინფარქტი არ მიმალებინე?! ლამის გულმა მიმტყუნა. ვინაიდან და რადგანაც, უკვე 3 კვირაა, ჩემს საყვარელ, მშობლიურ გურიანში ვიმყოფები, ყოველ ხუთშაბათს, დილის 11 საათზე, როცა პრესა ჩამოდის ლანჩსუთში, დიდი ხვეწნა-მუდარის და მანჭვა-გრეხის შედეგად, ბაბუაჩემს ვგზავნი მეგაზეთე ქალთან, ჩემი სანატრელი „გზის“ საყიდლად. სანამ ნავა, კარგად ჩამეკითხება ჟურნალის სახელს. იცის, ჩემი ხუშტურების ამბავი და ვაი და სხვა ჟურნალი წამოიღოს?! მეც მთელი მონდომებით ვუმეორებ — „გზა“, ბაბუ, „გზა“-თქო. ცოტა ხანში კი სამზარეულოდან ჩემი გემრიელი ბებიკო გამოყოფს თავს და გურული ქალისთვის შესაფერისად, დაუცაცხანებს ქმარუკას: — ე, ბიჭო, რავა დაღალე ბაღანე, ხომ უნდა გეიარო ამ დასანვავ გზაზე, ჰოოდა, ქე დეიმახსოვრე ანი, რომე, გზაზე მისვალ, „გზინა“. ესეც ასე, ყოჩად ბებო, გამეღიმება მე და ღიმილითვე ვაცილებ ბაბუას ჭიშკრიდან. ჰოოდა, წინა ხუთშაბათს, აგერ უკვე მეორე ვრცელი ხვეწნა-მუდარისა და ლექციის შემდეგ ბაბუ გაუშვი ფრიად საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად. მართლაც, 15-ოდე წუთში, ჩემი მურმანი ბაბუ ჟურნალით ხელში დაბრუნდა. — რიგში ჩადექი-თქო, მივაძახე დეიდას, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ჟურნალის ნაკითხვა პირველს სურდა და ოჯახის წევრებისგან მოშორებით დავდექი. გადავშალე 39-ე გვერდი, მაგრამ ნურას უკაცრავად, გენაცვალე, სად არის ჟურნალი ჟურნალში? ფაფუ! არ არის. განა დაჭედე, რა ხდებოდა ჟურნალში. პირდაპირ ბაბუაჩემთან მივიჭყერი და აღმფრთხილებამ მთელი სერიოზულობით მივმართე: — დაიბრუნე ჩემი ჟურნალი მურო, რას მკაიფები, არ გრცხვენია-თქო? თქვენ მისი განცვიფრებული სახე უნდა გენახათ, რავა, სხვა ჟურნალი მოვიტანეო? ჩვეულებისამებრ, მარცხენა ნარბი მალა ავნიე, გაბრაზების ნიშნად, რადგან მივხვდი, დიდი იმედგაცრუება მელოდა წინ. ყურებჩამოყრილი მივუბრუნდი „გზას“ და უხალისოდ გადავფურცლე. ნეტავ იცოდეთ, რა გულდათუთქული ვიყავი და რა ფიქრები ირეოდა ჩემს გონებაში. მარიზე ვბრაზობდი, რატომ გადაგვადგო და რატომ არ გაგვიხარა დღეს გული „გზანელებით“-მეთქი. ჰოოდა, ამ ფიქრსა და განაზანაში რომ ვიყავი, უცებ ამ მივუახლოვდი, 85-ე გვერდზე დავხედე, — „გზანელები“ აწერია, ცოტა ქვემოთ — საზაფხულო რომანი და „დაფე“ ცოტა კიდევ იმის ქვემოთ, ჩემი მესიჯი არ გამოჭიმულა? ვაჰ, მარი, რაც შენ გლოცე?! მერე შენი წინასიტყვობაც სულ-მოუთქმელად ჩავიკითხე და უცებ ჩაწვდი მთელი ამ დიდი ცვლილების არსს. იცოცხლე, მერე კი გადავაბრუნებულე

მთელი ჟურნალი და გახარებულმა ბაბუაჩემს, „პივაც“ კი ვუეისრე. ნუ, ახლა, მართალია, სრულყოფილი იმედგაცრუება ვერ ვიგეძე, მაგრამ მარ, ხომ მეთანხმები, რომ „კარგი ხარისხის“ ნერვიულობა შემხვდა? ჰოოდა, თუ მეთანხმები, ქე მიმაბეჭდე სადმე. პატივისცემით, იკუმპები, ფრომ ლანჩსუთი“.

სხვისი ნახმარი

„სიყვარულში პირადად მე, იმედგაცრუება არ განმიცდია. ჩემს ნათესავს კი დიდი იმედგაცრუება ჰქონდა. როცა თეოს ლექსო შეუყვარდა, მასზე უკეთესი ამქვეყნად არავინ ეგონა. ამიტომ არ სჯეროდა, როცა ეუბნებოდნენ, ლექსო შენს გარდა წინოსაც ხვდებოდაო. ეგონა, მისი შურდათ და იმიტომ ეუბნებოდნენ. თუმცა, რა იცოდა, რომ ეს სიმართლე იყო. თეო ხვდებოდა ლექსოს და თავი უბედნიერესი ადამიანი ეგონა. ერთ დღეს კი ხმა დაირხა, ლექსომ ცოლი მოიყვანა და — ვინ? წინო! აი, მაშინ კი აცრემლდა თეო და მიხვდა, კი არ შურდათ მისი, უბრალოდ, უნდოდათ, სიმართლე გაეგო. თუმცა, ამით ყველაფერი არ დასრულებულა. მთელი 2 თვის მანძილზე ლექსო ცოლის მოყვანის შემდეგ ყოველდღე თეოს ურევავდა და თავხედურად სიყვარულს უხსნიდა და პატივებას სთხოვდა. თეომ არ აპატია და მისი ბოლო სიტყვები ასეთი იყო: მართალია ლექსო, როდესაც ამბობენ, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო. მსულხარ ლექსო, მე სხვისი ნახმარი ტანსაცმელი არ მჭირდება, არამც თუ კაციო... ამის შემდეგ ლექსოს აღარ დაურევავს. ლა-ლოლა“.

მუშები

„იმერეთში ვიყავი, რამდენიმე კვირის წინ, ბებია-ბაბუასთან. სახლს არემონტებენ და იყო ერთი განეგამონევა და ამბები. ბებია ერთს ამბობდა, ბაბუა — მეორეს, მუშებს ვერ გაეგოთ, ვისთვის დაეჯერებინათ და სახლის გარემონტება საიდან დაენწყოთ. ამიტომ მთელი დღე უქმად გაჰყავდათ დრო, სალამოსკენ ერთს მიუკაკუნებდნენ კედელზე და ეგ იყო მათი მუშაობა. სამი ხელოსანი მართლა მაგრად მუშაობდა და თავისი საქმეც მალე მორჩინე. ამასთან, მხიარული ხალხიც იყო და ისე კარგად გაუშვეთ ერთმანეთს, შინ დაბრუნება აღარ უნდოდათ. ცოტა ხანში ქეთი (ბიცოლაა ჩემი, ხომ იცით?) დატრიალდა და სუფრას მივუსხედით მე, ჩემი დაიკო და ქეთი (უფროსები სალამომდე ყველა მუშაობენ). ვმხიარულობთ, ჭკუაზე აღარ ვართ და ამ დროს ჩემდა ჭირად, ბაბუას გამოგზავნილი სხვა ხელოსნები მოვიდნენ.



ერთ-ერთისთვის ბაბუას ჩემი თავი უქია და უდიდებია, რასაც ეტყვი ყველაფერში მოგეხმარებაო. ამიტომ შემოვიდა თუ არა, მეცა, წყალი მომიტანე ბაბუა და მაცივარში შედეო (არ მომიხდომა კაი ცხოვრება?!). შევიმუშე. არადა, როგორ გინდა, უარი უთხრა წყლის მოტანაზე? უცებ თავი დავიძვრინე და ნაძალადევი ღიმილით მივმართე უცნობ ბაბუას — ყავას დავლევ და მოგიტან-მეთქი. თან მეტი დამაჯერებლობისთვის წყალი მოვსვი, ვითომ ყავა იყო. ბაბუამ ეშმაკურად გაიცინა, დაუვითხავად დაჯდა სუფრასთან და ამბის მოყოლის ნებართვა აიღო ჩვენგან. ჩვენი ნებით თუ ძალით დავთანხმდით და ამბის მოსასმენად გავემზადეთ: ძველად ერთ სოფელში მეტად გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის მარჩენალი ვაჟა ბაბუა ყოფილა. ამ კაცს თურმე ლაპარაკი არ ჰყვარებია და დღეში ერთ-ორ სიტყვას თუ იტყოდა, ისიც, ძალიან მნიშვნელოვან შემთხვევაში. ერთ დღეს შინ ძალიან დაღლილი მისულა. მისი სამი შვილიშვილი ტელევიზორს უყურებდა. სულ 5 წუთის დანყებულნი ყოფილა რომელიღაც სპექტაკლი. ვაჟა სავარძელში მოკალათებულა და უმცროსი შვილიშვილისთვის უთქვამს, წყალი მომიტანო. ბელას ევრანისთვის თვალმოუშორებლად უთქვამს, პირველი ნაწილი დამთავრდება და მოგიტანო. გაჩუმებულა ვაჟა, ცოტა ხანში თავად მოუტანია წყალი და სანამ სულს მოითქვამდა, ყელგამშრალ შვილიშვილებს სულ დაუღვევიათ. ბელა დაპირებულა, დამთავრდება მალე და მოგიტანო. ბოლოს, ვაჟა კინალამ გაგუდულა წყურვილისგან. დაასრულა ამ კაცმა ამბის თხრობა და მომმართა: სანამ შენ მაგ ყავას დალევ, იმ კაცივით გავიგუდებო. სხვა რა გზა მქონდა? სულ სიცილ-ხარხარში გავატარეთ ის დღე. რაც მთავარია, ყოველ სუთ წუთში ცივი წყლით ვამარაგებდი. ლუნა“.

ბერძენი ანჩხლი

„ერთ ანჩხლ, საზიზღარ და ეშმაკზე ადრე დაბადებულ ბერძენ ქალბატონს ვუვლი, რომლისთვისაც ჩხუბი წამალია. ჩხუბით შხამს აფრქვევს და ბოლმისგან იცლება. შემდეგ კი წყნარდება. ერთხელ უმიზეზოდ აშლილი ნერვები რომ დაუწყნარებინა, მაკრატლის მოპარვა დაამარაგა. არადა, იქვე იდო, წიგნის ქვეშ მოქცეულა. როცა მივუტანე, უნდა გენახათ, როგორ გაუცრუვდა იმედი. არადა, წამალს (ჩხუბს) ელოდებოდა. ასეთი იმედგაცრუება მას ბევრჯერ ჰქონია. აუ, რატომ არსებობენ ასეთი ადამიანები? დავილაღე, დავილაღე, თითქოს და დავბერდი, ოღონდ — სულიერად. აღინა“.

შამპანური

„ცოტა ხნის წინ დაქალებთან ერთად რესტორანში წავედი. შევედი თუ არა, ხან ერთი მაგიდიდან მივიღეთ მიპატიჟება, ხან — მეორედან (ფუ, ხამები). ბოლოს გვერდით მაგიდიდან შამპანური გამოგვიგზავნეს... ამას ვაჩვენებ სერს-მეთქი, ვუთხარი დაქალებს და მათი გამოგზავნილი შამპანური შევანჯღრიე, შემდეგ კი მივედი მათ მაგიდასთან და ბოთლის გახსნა ვთხოვე. კი დაინახეს, რომ შევანჯღრიე ბოთლი, იმასაც მიხვდნენ, რას ვაპირებდი, მარა ბოთლის გახსნაზე უარი ვერ მითხრეს და... ჯობდა, არ გაუხსნათ. ისე გაინუნა იქაურობა, შადრევანს რომ „შეშურდება“. ასე დავტოვე განუწულ-იმედგაცრუებული „შადრევანი“ ტიპები. P.S. ამ წუნაობის მერე ისე გამოვვარდით რესტორნიდან, სულ კისერში ვირტყამდით ფეხებს. ჩუპი“.

მკენეტელა

„აუ, ვნევარ და ფრჩხილების კენჭით ვერთობი. არადა, რამდენჯერ შევრცხვნილვარ ამის გამო. სკოლაში ფიზიკის მასწავლებელი მეუბნებოდა, აჯიკა შეაყოლო, ჩემი კლასელი ბიჭები მეკაიფებოდნენ, მოდი, ფეხის ფრჩხილები მოგვაჭამო. ერთხელ სტუმარი მყავდა. რომ შეამჩნია, პირში თითები მქონდა, გადაირია, ვაიმე, საჭმელში არ ჩაყარო. ერთხელ შეყვარებულმა ამ მაგნე ჩვევის გამო დამიწუნა, ფრჩხილებჭამია შეყვარებული რად მინდაო. გუმინ ავტობუსის გაჩერებასთან ვიდექი. გვერდით უცნობი ქალი მედგა. მე როგორც ყოველთვის, გემრიელად შევეცუოდი ფრჩხილებს და ისეთი შემომარტყა, ჩემი ყვირილი მთელმა ათენმა გაიგო. თან მითხრა, არ გენყინოს, შვილოო. რა ვქნა მარ, იქნებ მგზავნელები დამეხმარონ, რით გადავეჩვიო ამ სისაძაგლეს? არადა, ისეთი გემრიელია, ოჰ, ოჰ, ოჰ, რამდენჯერ დავაპირე გადავეჩვევი-თქო, მაგრამ ისეთი „ლომკა“ მენწყება, კარგ ნარკომანს შეშურდება. ბუბიაჩემს 8 შვილიშვილი ჰყავს და რალა მე დავმსგავსე? აღინა“.

ფულიანი გოგო და ნამდვილი მამაკაცი

„მაგრად არ მევასება ტელეფონით გაცნობილ გოგოსთან ურთიერთობა. შეიძლება ითქვას, მწარე იმედგაცრუების გამო. შარშან ვუბაზრებოდი ერთ გოგოს. ჩამოყალიბებული რეგენი იყო. ყოველ სუთ წუთში ტვის მიბურღავდა მამამისის ქებით. მაგარი ფულიანი მამიკო მყავს, არაფერს მაკლებსო. მძაკაცმა, შალვამ წამაქება, არაა ხელიდან გასაშვები გოგოო. მე ფული მჭირდებოდა, იმას კიდეც — კაცი. ჰოდა, მაგრად

ვერთობოდი, ფულსაც მიირცხავდა და მეც ყოველდღე მის ფერებაში მძვრებოდა სული. იმდენი ქნა, მაგრად შემაყვარა თავი. ცოტა ხანში თავად მითხრა, ტელეფონით აღარ მაკმაყოფილებ, რელში მინდა გნახოო. რალაც-ნაირად, არ მინდოდა წასვლა, მაგრამ არც ახლა მომასვენა შალვამ. წავედი და სუსტი, შხვართი გოგოს ნაცვლად, კიკინებიათი საფრთხობელა შემრჩა. ოჰ, შალვა, მე შენი დედა-მეთქი, სიმწრით გამომცრა კბილებში, მაგრამ გვიანი იყო. ნამდვილი მამაკაცი“.

დაღუპული შეყვარებული და გამარჯვებული სასიდედრო

„მოგესალმებით ახალგაზრდებო, პირველად გწერთ, მაგრამ სულ ვკითხულობ „გზავნილებს“ და გადავწყვიტე, მომეწერა და ჩავბმულიყავი „გზავნილებში“. დაუვინყარი სიყვარული 14 წლის ასაკში „დამეჯახა“. „დამეჯახა“ და გამხადა კუზანოვის კლიენტი. იყო ლამაზი სიყვარული, თბილი და ალერსით ნათქვამი სიტყვები, ბევრი რომანტიკა, მაგრამ გამოჩნდა 1-თავიანი დევი (სიდედრი) და წავიდა ომი. ომში დაიღუპა ჩემი შეყვარებული, მე დამქრა და თვითონ ომით მოგებული სიამაყით აღსავსე თვალებითა და ღიმილით შემომციცინებდა. მამ, გავიდა წლები და წავიდა... თან გავაყოლე ყველა და ყველაფერი. ადუ“.

ინვალიდის ეტლზე მიჯაჭვული პრინცი

„ეს იყო წლების წინ. როდესაც ერთ პატარა გოგოს ბაღში სიყვარული ეწვია და თქმა ვერ გაუბედა. უყვარდა პატარა, ბავშვური სიყვარულით, ჩუბად, სათუთად და ნაზად. გოგონა თვალებით ცდილობდა, ბიჭს სიყვარულში გამოსტყდომოდა, მაგრამ ვერ დაინახა ბიჭის აციმციცილებული თვალები. წლები კი გადიოდა. დამთავრდა სკოლა. ბოლო ზარი, ბანკეტი. გოგო ბიჭს ისევ თვალებით ელაპარაკებოდა, ბიჭის თვალები კი დუმდა და დუმდა. მერე კი კარზე მოუკაკუნა ინსტიტუტმა, ნარჩინებით დამთავრა გოგომ უმაღლესი. თვალებით, გულით ეძებდა თავის პირველ და ერთადერთ სიყვარულს, ის კი არ ჩანდა. ერთ დღესაც პარკში, ერთ-ერთ სკამზე ისვენებდა. ახლოსვე გაიგონა ნაცნობი ხმა, რომელმაც მისი მოგონებები აშალა. უკან მოიხედა, დაინახა, თავისი სათაყვანებელი პრინცი, რომელიც ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული და თავის ძმაკაცს რალაცაზე ცხარედ ეკამათებოდა. გოგონას სახე გაუნათდა, ერთი ნაბიჯით მასთან გაჩნდა,

ბავი გამახსენა: ერთხელ, ბედობა დღეს, „სოფლის ნათლიამ“ გადამწყვიტა სუფრის გადაფენა გზაზე კი არა, არამედ, ეზოში, ხეების ძირში. წინააღმდეგობა ამ ხეებივით აღიმართა ტრადიციების მოყვარულ წინაპართა მხრიდან: ბედობააო, ვისი ბედი დაგვებედებაო, ვისი ფეხი შემოაბოტებსო და ა.შ. ჰოდა, ჩემმა ძამიამ განუცხადა მეზობლებს, ვქეიფობთ, ოღონდ თქვენი ფეხი არ ვნახო ჩემს ეზოშიო. ერთი ალაგზე შემოშლივინდა ცხენით, მეორემ კიბე გადმოაყუდა და ისე გადმოალაჯა, მესამემ ველოსიპედი და ცხვირ-პირი ერთად დაიმტვრია, მეოთხე კი ხოხვით გადმოძვრა პარტიზანივით და რაც მთავარია, ილღიებში ამოჩრილ არყის ბოთლებს ძალიან გაუფრთხილდნენ. თინეიჯერი შინაბერა“.

ფრანგულ-ქალური სუმრობა

„სწორედ დღეს ვესაუბრე დაქალს პარიზში და მისთვის მოწყობილი ოინი გამახსენდა. ის საოცრად მორცხვი და ჩუმი გოგოა, მე კი — ეშმაკის ფეხი. ერთხელ, ბიბლიოთეკაში წიგნებისა და დისკების დასაბრუნებლად მივედი. მაშინ მარიმ ფრანგული კარგად არ იცოდა და გახუმრება გადაწყვიტე. ბიბლიოთეკარს ფრანგულად გავესაუბრე, მარის კი ვუთარგმნე, რომ დისკებს ზემოთ იბარებდნენ და ადმინისტრაციის სართულზე მივუთითე, მე სამკითხველოში შევაფარე თავი. ცოტა ხანში განგაში ატყდა და რას ვხედავ? ჩემი მარიკოსთვის დაცვას ხელები გადაუგრესია და კიბეზე სასტიკი კრიმინალივით მოარბენინებს. მეც მათკენ გავექანდი და მთელი ჩემი ფრანგულ-ქალური შარმის გამოყენება დამჭირდა დაცვის გულის მოსალობად. მას მერე ის ბიჭები საშვს აღარ მიმოწმებენ და თბილი ღიმილით მიღებენ კარს. მარიკუს, პარიზს რომ ვეწვევი, ეიფელიდან მოგიხდი ბოდიშს. პარიჟანკა“.

მამა-შვილი

„ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჩემმა მეგობარმა მამაბო. ჩვენს უბანში ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელიც ქმარს რქებს ადგამდა და სახლში მისი არყოფნის დროს საყვარლებს მასპინძლობდა. ერთხელ ამ ქალს ჩემი მეგობარი ესტუმრა სახლში. დიდი ამბით შეიპატიჟა, მობრძანდი, ჩემი ქმარი შინ არ არისო. ჩემი მეგობარი მასთან შამპანურებითა და უამრავი ტკ-

ბილეულით ხელდამშვენებული მივიდა. ქალმა ყავა შესთავაზა, მერე დასხდნენ და ლაპარაკი გააბეს. არ გასულა დიდი ხანი და კარზე ზარის ხმა მოისმა. ქალმა ჩემი მეგობარი უკანა გასასვლელიდან გაისტუმრა, მაგიდაც აალაგა, რომ არაფერი ეეჭვა ქმარს. გაალო კარი და ცოტა დამშვიდდა, რადგან იქ მორიგი თაყვანისმცემელი დახვდა. შემოიპატიჟა ისიც. ჩემი მეგობარი თურმე ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს. რაღა უნდა ექნა? ქალი აახიეს. თან — ვინ? ადგა და შინ წავიდა, გულდამწყვეტილი. ღამით მამამისმა სახლში მისვლა დააგვიანა. დილით კი ეკითხება: — მამი, წუხელ სად იყავი, ასე გვიან რომ მოხვედიო? კაცებმა ვსვით და ცოტა შემაგვიანდაო. ჩემს მეგობარს გაეცინა და უთხრა, მე კი დაგინახე, კარგ და გემრიელ ყავას როგორ მიირთმევდიო. კაცს გაუკვირდა, მაგრამ მერე ჩემმა მეგობარმა ყველაფერი მოუყვა და ერთად ბევრი იცინეს. იცოდე, დედაშენთან არაფერი წამოგცდეს, თორემ კარგი დღე არც ერთს არ დაგვადგებაო, გააფრთხილა მამამ. კნოპკა“.

უსევედოცოტნე

„მოკლედ, გავგიჟდი ქალი და ამ მაღალი ტექნოლოგიებისა და დაბალი მორალის (ზედსართავები ნაღდად არ შემშლია) XX საუკუნეში, იდეალური მამაკაცის მოდა-გასულ სტერეოტიპზე შევაჩერე არჩევანი. ოპტიმიზმი არ მტოვებდა, რომ ჩვენს დროში და ჩემს პროვინციულ ქალაქშიც აღმოჩნდებოდა ვინმე ასეთი. ვისზე ვსაუბრობ? რა თქმა უნდა, შუასაუკუნეების ქართულ ფენომენზე, ცოტნე დადიანზე. არც სხვათა ღვანლს ვაჩინებ, მაგრამ ცოტნე?! „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილისგან განსხვავებით ის რეალური გმირია, რომელმაც მხოლოდ ქართველური გულითა-დობით და მეგობრებისადმი ნებაყოფლობით თავგანწირვით, თვით მონღოლებიც კი მოხიბლა (ჰმ, მონღოლიც რომ რუსზე მაღლა იდგება?!). ჩემი აზრების მოსმენისას ოჯახის წევრები და მეგობრები უიმედოდ იჩქავდნენ მხრებს, — დარჩენილხარ გასათხოვარიო, მეუბნებოდნენ. პაპაჩემი ქალაქგარეთ ცხოვრობს მარტო და მასთან ხშირად დავდივარ. რამდენიმე წელია, პაპას მეზობელთან დასასვენებლად ერთი მცხეთელი ბიჭი ჩამოდის. ამდენი ხანია მიცნობს, მაგრამ მაინცდამაინც წელს გადაირია — შენაო, ჩემი ცხოვრების ფიერვერკი ხარო, ჩემის ღრმა სიყვარულით,

შენი გამონათების იმედი მაქვსო და მოკლედ, „დავდნი ღორი ქონივითაო“, მაგრამ ისეთი ბრგე იყო და სუფთად გაპარსული, რომ გაპუტულ და უფერულ ლომს ჰგავდა და არა — ჩემს ნაოცნებარ ცოტნეს. ავედექი და ჩვენებური მეხი, ქოქოლა და დარდუბალა მივყარე და ოქროს ზოდვივით დავემალე, მაგრამ ატეხილმა გრძნობამ ბაბუაჩემის მოციმციმე არითმისასავით შეანუხა და ჩემი მეგობრების გადაბირება დაიწყო (ვაი, ცოტნე, მამამ ამ „აგიტატორში“ გაცვლიდა ელექტრა?). გავიდა 2 დღე. დილით ბაბუაჩემმა სიცილით გამაღვიძა, ეზოში ჩამო ჩემო იაღლონო, რა სანახავი გაჩვენოო. ბუზლუნით ჩავედი ეზოში და რას ვხედავ? ზის მხოლოდ შორტში გამოწყობილი ეს „უხეირო ლომი“ ბალახში (სანქციის გარეშე, ბოსტნიდან გადმოპარულა), სუფთად გაპარსულ მთელ ტანზე თაფლი წაუსვამს და თავზემთ მოზუზუნე ფუტკრებს დამანჭული „როჟით“ უქნევს ხელებს. სიცილი ამიტყდა. — აბა, რა ვქნა, შენთან საკომუნიკაციოდ სხვა ენა ვერ გამოვინახე, თურმე ცოტნე დადიანზე ეცემიო... გაიყიდნენ შენი მეგობრები ლუღზე და „სნიკერსზე“ და იმას კიდევ, ჩემზე მეტი კი არაფერი უქნიაო. ჩრდილში დავჯექი და თავიდან ბოლომდე მოვუყვი ჩემი ცოტნეს ისტორია. ჰოდა, გაუტყდა გული ბიჭს, მასე ვერ გავექანავ, თავი ცოცხალი მინდა, რომ ცოლ-შვილში გავიხარო, ცივილიზაციის ინტერესებისთვის მაინც მიწყალობე გული, რომ შენისთანა მაღალი ზნეობის შვილებით გავანებვიროთ სამყარო, მაგრამ ვერ მივართვი. ერთი კია, მეგობრებისა და „ცოტნეს“ სინქრონულმა ოინმა, ჩემი იდეალების პროფილაქტიკა მოახდინა. დაობლდა ჩემი მიზანი, რომ ცოტნეს ვიპოვი. გოგოებო, კიდევ ვინ ეძებს ცოტნე დადიანს? მთლად მას ვერა, მაგრამ მის უიღბლო იმიტატორს გამოგიგზავნით. ისეთი თაფლიანი ბიჭიაა... შეკვეთებს „გზის“ საშუალებით მივიღებ. გაიხარეთ, თქვენა. მე კი ისევ გასათხოვარი ვარ, თვალი დაუდგეს გასაშლელ კოკორსა... შ. მარრი, მომენატრეთ შენ და შენი სამგზავნელო. გაკოცეთ, სადაც გამიხარდება. პროვოკაციებს არ ვიყოთ! ელექტრა“.

დაზარალებული პატრული


„ოო, მე და დეიდაშვილმა ერთ

„უაღეს ყოფილი „ლოვეს“ აგროფილი აგროფილი და არა - სიყვარული“

ლილია მარჯანი

„გზის“ №34-ში დაიბეჭდა STRONG GIRL-ის მუსიკა. შეგახსენებთ, იგი გვერდებზე, რომ ადამიანმა, რომელსაც შეყვარებულად მიიჩნევდა, მოულოდნელად, მეგობრობა შესთავაზა. ჩვენ 4 თვე ვიყავით ერთად, უკვე მომავალზე ვფიქრობდით, გვგებებს ვანყობლით: სად უნდა გვეცხოვრა, ბავშვებს რას დავარქმევდით და ა.შ. ერთ დღეს კი გამომიცხადა: მეგონა, შემეყვარებოდით, მაგრამ ეს ვერ შევქელი და მოდი, მეგობრებად დავრჩეთ“. როგორც STRONG GIRL-ი ამბობს, არ უნდა და „ლოვე“ სამუდამოდ დაეკარგა და ამიტომაც, მეგობრობაზე დასთანხმდა. „ერთხელ ვუთხარი, ახალი „ლოვე“ მყავს-მეთქი და ისეთი მუსიკა მომწერა, მიჭვდი, ეს ამბავი არ ესაიამოვნა. ვერ იტანს, როცა სხვასთან დამინახავს. ხშირად მწერს მუსიკას, მირეკავს და მეკითხება, არ გენატრებიო? ვერ გამოვიდა, თუ არ ვუყვარვარ, ასე რატომღა იქცევა?“

„ისეთი რაღაც უნდა
მოიმოქმედო,
რომ თავი
სიბიჭებდა
გაეყვარო“



კობრა:
„დარწმუნებულია, რომ გიყვარს და ასე ამიტომაც იქცევა. აგრძობინე, რომ ცდება და თუ ამის შემდეგ სათანადო ყურადღებას აღარ მოგაქცევს, ე.ი. არ უყვარხარ. მის დაკარგვას ნუ იდარდებ, „დაიკიდე“, გვერდზე გაიხედე და აუცილებლად აღმოაჩენ ისეთ ადამიანს, ვისაც ნამდვილად უყვარხარ. შეეცადე, ცხოვრება გაილამაზო“.

უცნობი:
„ჩემი აზრით, მან თვითონაც არ იცის, რა უნდა, მაგრამ ფაქტია, ეჭვიანობს და არ უნდა, სხვა შეიყვარო. ისე, შეიძლება, თქვენი დაშორების მიზეზი სულ სხვა რამ იყო... ახლა აჯობებს, მოთმინება გამოიჩინო და დრო თავად გიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოიქცე“.

გულგზავთქმობა:
„ალბათ, შენ შესახებ რაღაც ისეთი სერიოზული ამბავი შეიტყო, რომელიც არ ესაიამოვნა და იეჭვიანა. იცი, რა, თუ უყვარხარ, თავად უნდა გადმოგდას პირველი ნაბიჯი იმისთვის, რათა ყველაფრის ახსნის საშუალება მოგცეს“.

ირა 94
„თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, დრო უნდა მისცე. ეტყობა, ვერ გაერკვა თავის გრძნობებში და რა ქნას?.. მასთან კონტაქტი დროებით განწყვიტე და იმედია, რაღაცას გადაწყვეტს. ბედს მიენდე“.

ლუკას-ალექს:
„მეც მყავს ყოფილი შეყვარებული, რომელთანაც აღარანაირი ურთიერთობა არ მაქვს, გარდა, კარგი გამარჯობისა... შენც ნაუყენე პირობა: ან ჩემთან იყავი, ან სულ კარგად ბრძანდებოდეთქო. თუ გამოგმშვიდობება, სხვა გზა არაა, მის გარეშე უნდა განაგრძო ცხოვრება. იცოდე, ასეთ შემთხვევაში აღარ

დაურეკო და არც მის ზარს უპასუხო“.

SOPRANO:
„შენი წერილის ნაკითხვის შემდეგ ჩემი თავი გამახსენდა. იცი, რა, ბიჭები საზიზღარი არსებები არიან — ჯერ თავს შეგაყვარებენ და მერე, „ატა-შოლს“ გიკეთებენ. შეყვარებული ბიჭი „ლოვეს“ ისე ექცევა, ვითომ არ უყვარს, ვითომ მასთან ყოფნა არ სიამოვნებს... ხშირ შემთხვევაში, ასე ეჭვიანი ბიჭები იქცევიან. ასეთი ადამიანი მისგან ნასულ გოგოს შორიდან უთვალთვალებს: აბა, უჩემოდ როგორ მოიქცევა? აბა, ვის შეხვდება და რას გააკეთებსო?!. იცოდე, არაფერზე იდარდო, არ ინერვიულო. შენი შეყვარებული (ისევე, როგორც ყველა სხვა ბიჭი) ამას არ იმსახურებს. დამშვიდდი და მერწმუნე, მალე ყველაფერი კარგად იქნება... მოდი, შენც აეჭვიანე — მის დასახად შეხვდი ვინმეს და თუ უყვარხარ, შენს თავს არავის დაუთმობს! ასე რომ, სცადე, ხომ გაგიგონია: ცდა ბედის მოწინავეაო. პირად ცხოვრებაში წარმატებას გისურვებ!“

იუზუაჯი:
„შენი ყოფილი „ლოვე“ ერთი დიდი ეგოისტი და ბოროტუნაა. გინდა გითხრა, რა ეტაკა და რატომ გადაგიყვარა ასე უცებ? უაზრო პრინციპებისა და უადგილო სიამაყის გამო. ძალიან მეძნელება ახლა იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება თქვენ შორის მომავალში და იქნებით თუ არა ერთად, მაგრამ მიიღე ერთი შეყვარებული ქალის რჩევა და გაითვალისწინე: სიყვარული იმდენად დიდი, დიადი და შესანიშნავი გრძნობაა, რომ ყველა დაბრკოლებას, სიძნელეს, ტკივილსა თუ ცდუნებას ერთნაირი წარმატებით გადალახავს. იცოდე, სიყვარულს დათმობა და ფარ-ხმლის დაყრა არ სჩვე-

ვია!.. დამიჯერე, ნამდვილი სიყვარული და ნამდვილი მამაკაცი ამ საუკუნეშიც მოიძებნება — ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნები. იცოდე, სიყვარულისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს. შეეცადე და იქნებ, შენს ბიჭს შეურიგდე კიდევ. მაგრამ თუ მიხვდები, რომ ერთმანეთი მართლა აღარ გიყვართ, ძალიან მარტივად და ცივილიზებულად დაშორდით. როგორც ჩანს, თქვენი სიყვარული არც ისეთი უცეცხლო იყო, თორემ მწველი ნაპერწკალი ამდენ ხანს არ იკიაფებდა. წარმატებებს და ქალურ ბედნიერებას გისურვებ!“

მეგობარი სული:
„ჩემო კარგო, ადამიანის გასაცნობად 4 თვე საკმარისი ნამდვილად არაა. თქვენზე ნათქვამი: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. დარწმუნებული ხარ, რომ მას შენდამი გრძნობა თავიდანვე აკავშირებდა? ჩემი აზრით, შენს ყოფილ „ლოვეს“ ეგოიზმი ამოძრავებს და არა — სიყვარული. იქნებ, თავადაც ვერ გაერკვა იმაში, თუ რას გრძნობს შენ მიმართ?.. ეგ ეჭვიანობა კი არა, ეგოიზმია და ჩემი აზრით, ასეთ ადამიანს ემშვიდობებიან“.

იასამანი:
„ჩემო კარგო, მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და მეგობრობაზე უარი რომ არ ვუთხარი, შეცდომა სწორედ მაშინ დაუშვი. ვფიქრობდი, რომ ვუყვარდი და ჩემი დაკარგვა არ უნდადა, მან კი ისე მატკინა გული, დღემდე ცუდად ვარ. გირჩევ, საბოლოოდ გაარკვიო მასთან ურთიერთობა. ჰკითხე, ასე რატომ იქცევა? რას ფიქრობს და რას გრძნობს შენ მიმართ? თუ მხოლოდ მეგობრობას შემოგთავაზებს, დამიჯერე, საბოლოოდ დაშორება ჯობია. რაც არ უნდა გიყვარდეს, მასთან ყოველგვარ კავშირზე

უარი თქვი... ღმერთმა ქნას, უყვარდე და ასე ამიტომაც იქცეოდეს, მაგრამ გირჩევ, ვიდრე მისგან კონკრეტულ პასუხს არ მიიღებ, იმედს ნურაფერზე დაამყარებ. გისურვებ, იგივე გზა არ გაგვევლოს, რაც ადრე მე გამოვიარე. უფალი გფარავდეს“.

თი-თი:

„შენი ძველი შეყვარებული ნამდვილი ეგოისტია. თუ არ უყვარდი, შენთან ერთად გეგმებს რატომღა აწყობდა? მისი ჩანაფიქრი ცოტა არ იყოს, გაუგებარია. და კიდევ, ნამდვილ მეგობარს შენი სიყვარულის ამბავი გაახარებდა. ჩემო კარგო, ცხოვრებით დატკბი და სხვა რამეზე ნუ იფიქრებ. ბედნიერებას გისურვებ!“

ურჩი გოგო:

„მეც ასეთივე სიტუაციაში ვარ, საყვარელო, მაგრამ ერთი განსხვავებით: ჩემმა „ლოვემ“ ყველა ის ბიჭი „ნამართვა“, ვისთან ერთადაც დამინახა. მხოლოდ ერთს გირჩევ, ყოფილი შეყვარებული „დაიკიდე“. მეც ზუსტად ასე მოვიქცევი და ახლა მშვენივრად ვარ... ის კი ნანობს, უნებისყოფო რომ აღმოჩნდა და სიყვარული ვერ დააფასა“.

გვანცულა 16:

„საყვარელო, ჩემი აზრით, მას სურს, გამოგცადოს და შენს სიყვარულში საბოლოოდ დარწმუნდეს. რომ არ უყვარდე, ყურადღებას საერთოდ არ მოგაქცევდა, მისი საქციელი კი იმის მანიშნებელია, რომ შენ მიმართ კიდევ აქვს რალაც გრძნობა. გირჩევ, დაელაპარაკო და ყველაფერი გაარკვიო. თუ არადა, „დაიკიდე“ ბოლოს და ბოლოს, თვითონ დაგმორდა და ახლა ყველაფერზე პასუხი თავადვე აგოს. კოცნი“.

რუსიარი:

„მაპატიე, საყვარელო, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ის ბიჭი გიყვარდა? გამოგიტყდები და ამაში ეჭვი მეპარება. რატომ? „ლოვეს“, თუნდაც ყოფილს, არავინ მისწერს, სხვა მომწონსო. მართლა რომ გყვარებოდა, მასთან მეგობრობასაც ვერ შექმნიდა. შესაძლოა, მან გამოგცადა, შენ კი რა ქენი?.. დაფიქრდი ამაზე და შენს მდგომარეობას ტრაგედიალ ნუ აქცევ. 4 თვე იყავი ბიჭთან და მასთან ერთად უკვე მომავალი დაგეგმე? საინტერესოა, ამ დროის განმავლობაში როგორ მოასწარი მისი გაცნობა და თანაც, შეყვარება? შეიძლება, ესეც არის მიზეზი მისი საქციელისა“.

ტირივი 73:

„შენ ერთი უთავბოლო, ეგოისტი, მესაკუთრე ადამიანი გიყვარს, რომელიც ახლოს არ გიშვებს და არც სხვისთვის ემეტება! რომ უყვარდე, შენი ბედნიერებაც გაუხარდებოდა. თავს ნუ მოიტიყუებ, ასეთმა ადამიანებმა არც მეგობრობა და არც სიყვარული არ იციან. თავად ხომ გაგიმეტა? ჰოდა, შენც დაივიწყე“.

თაგუ:

„ჩემო კარგო, შენს ადგილას მეგობრობაზეც უარს ვეტყვოდი. თუ მართლა უყვარხარ, ამას ვერ დამალავს, საქციელით გამოამჟღავნებს. ნურაფრის გეშინია, ცხოვრება წინ გაქვს“.

მორჩილა:

„ალბათ, დრო სჭირდება იმისთვის, რომ საკუთარ გრძნობებში გაერკვეს. მერწმუნე, ადამიანის გასაცნობად 4 თვე ძალიან ცოტაა. მას უყვარხარ, მაგრამ თან, ამაში ეჭვიც ეპარება და ამიტომაც, შენი დახმარება სჭირდება. თუ გიყვარს, უნდა დაეხმარო კიდევ“.

LASHA BARCA:

„არ მოსწონს, სხვა ბიჭთან ერთად რომ გხედავს და არც ის უნდა, მისი შეყვარებული იყო? თუ შენ ჭკვიანი გოგო ხარ და ოდესმე მართლა გიყვარდა, თუ გინდა, ყოფილი „ლოვე“ დაიბრუნო, მაშინ ისეთი რალაც უნდა მოიმოქმედო, რომ თავი სიგიჟედ შეაყვარო. მერწმუნე, შენ ეს შეგიძლია! აბა, წარმატებებს გისურვებ!“

ბრუნიკა:

„იცი, იმ ბიჭს გულის სიღრმეში უყვარხარ, მაგრამ ამის აღიარება უჭირს. ვფიქრობ, ის ტიპი შენი შესაფერისი არ არის, მასზე უკეთეს ადამიანს იმსახურებ. ისეთი ბიჭი მოძებნე, ვინც გულს არასდროს გატყენს. გაკოცე. წარმატებები!“

ლუნა:

„შენი „ლოვე“ ისეთი ბიჭების კატეგორიას მიეკუთვნება, თავადაც რომ არ იციან, რა უნდათ. თავიდან ყველა ბიჭი მომავალზე ლაპარაკს იწყებს, ფანტაზი-

ორობს, მაგრამ „რეალში“ სხვანაირები არიან. გოგონებს მთელი ცხოვრება გვახსოვს და სათუთად ვუფრთხილდებით საყვარელ ადამიანთან გატარებულ წამებს, მათთვის კი, როგორც თავად ამბობენ, ეს ნუთიერი გატაცებაა. გირჩევ, მასთან ურთიერთობა განწყვიტო, ის შენი სიყვარულის ღირსი არაა. ვერ ხვდები, რომ შენს გრძნობებზე თამაშობს? ის უბრალოდ, ერთობა, დრო გაჰყავს და დარწმუნებული ვარ, ყველა გოგოსთან ანალოგიურად იქცევა. დაშორდი, რადგან ადრე თუ გვიან, ის მაინც წავა და მერე ყველაფერი სანანებელი გეყენება. გულით გისურვებ ისეთი სიყვარულის პოვნას, როგორსაც პრინცესები იმსახურებენ“.

BE STRONG:

„მოკლედ, არ „დაზადნო“. თავის დროზე ის საკუთარ გრძნობებში გაიხილართა და ამიტომაც დაგმორდა, ახლა კი ამ საქციელს ნანობს, რადგანაც მიხვდა, რომ მისი გულის ტკივილი ხარ — უყვარხარ, რა“.

მზარა:

„სიხარულო, შენი ყოფილი „ლოვე“ ჩამოუყალიბებელი ადამიანია და ამას პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნები. ნუ იფიქრებ მის სიყვარულზე და თუ ახალი „ლოვე“ გყავს, გირჩევ, მისი სახით ბედნიერებას ხელი არ ჰკრა“.

იპალი:

„იმ ბიჭს ძალიან უყვარხარ, მაგრამ თან, გცდის — აინტერესებს, უღალატებ თუ არა? გიყვარს? ჰოდა, თუ ასეა, თავი ისე მოაჩვენე, თითქოს, სულაც არ გაინტერესებს. მერწმუნე, მალე პატიებას გთხოვს“.

კვაზიმოდოს ჰეავს, ფული არ აქვს და თანაც, საოცარი მექალთანეა“

მარიონელა, 18 წლის:

„ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ხელი მკრა და იცით, რატომ? მას „ლოვე“ დავეუნუნე. ჩემი დაქალი იმ ბიჭისთვის არ მემეტება, რადგანაც გარეგნულად კვაზიმოდოს ჰგავს, ფული მას არ აქვს და კარგი ცხოვრება, ამის გამო მაინც რომ დამბრმავებოდა თვალები და თანაც, საოცარი მექალთანეა. ჰოდა, ამ მიზეზების გამო „დავბრაკე“, დაქალმა კი გამომიცხადა, შენ ჩემი მტერი ყოფილხარო!.. აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. ლამისაა, იმ ბიჭთან მივიდე და ვთხოვო, მეგობარს შემარიგოს იმ პირობით, რომ მათ ურთიერთობას ყველანაირად შევუნყო ხელს. მიყვარს ჩემი დაქალი და მის გარეშე ველარ ვძლებ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“



PS. მშ ასე თუ მარიონელას წერილის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმეხიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.



ქადაგი



- ვარ 20/178/55, სიმპათიური გოგონა. გავიცნობ 25-35 წლამდე სერიოზულ მამაკაცს, რომელმაც იცის ქალის ფასი. პატარები და არასერიოზულები ნუ შეწუხდები! მიკა.
- ვისაც ჩემთან დაკონტაქტება სურს, გამოიხეხაუროს. სევდიანი ქალი.
- ვცხოვრობ რაიონში. არ ვარ გათხოვილი. მაქვს სუფთა წარსული. 32 წლის ვარ და მსურს 35 წლამდე მამაკაცი გამოიხეხაუროს, ვისაც სურს ოჯახის შექმნა.
- დამიხეხავთ მამაკაცებმა. დანარჩენი — პირადად.
- ვარ 32 წლის ვცხოვრობ რაიონში არ ვყოფილვარ გათხოვილი, მაქვს სუფთა წარსული. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, პატიოსან, დასაქმებულ მამაკაცს, ვისაც წინდა ოჯახის შექმნა სურს.
- გავიცნობ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 20-32 წლამდე. აუცილებლად შექმნა უნდა, რათა ყველაფრით უზრუნველმყოს! ვარ 20 წლის და მინდა ოჯახი. მწვანეთვალა.
- ვარ 45 წლის, ქართველი ქალბატონი, ქმარს გაცილებული. დროებით ვცხოვრობ ათენში. სურვილი მაქვს, გავიცნო ათენში მყოფი ქართველი მამაკაცი.

ქადაგი



8. „გზა“ №33, მე-5 მესიჯის ავტორს ვთხოვ შეეხმებოდნოს.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილურ ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

- გთხოვთ მითხრათ პირველი მესიჯის ავტორის ნომერი.
- ვარ 32 წლის, უცოლშვილი. გავიცნობ 24-დან 29 წლამდე გოგოს.
- გავიცნობ 25-35 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს, თბილისელს, თუნდაც ბავშვიანს.
- ვემზადებ მესიჯებს ნომრის ავტორს. ამჟამად ვარ საბერძნეთში. ძალიან მინდა შევექმნა ოჯახი. თუ ჩვენი ურთიერთობები კარგისკენ წარიმართა, ჩამოვალ.
- მოგველაშქრეთ მანდილოსნებს. ვარ თბილისელი, 30 წლის, შეგვგრემანი, 180 სმ სიმაღლის. გავიცნობ ფინანსურად შეძლებულ ქალბატონს, 50 წლამდე და ზემოთ. შეეხმებოდნენ.
- ვარ 18 წლის, მაღალი, სიმპათიური ბიჭი. შესანიშნავად ვუკრავ გიტარაზე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 16-19 წლის, სიმპათიურ გოგოს. გიორგი.

პეპა



- საბერძნეთში მცხოვრებო ევა ოქრაძე, გამოიხეხაურო.
- ვეძებ ევა ბლიაძეს, მცხოვრებს ქარელის რაიონის სოფ. ზღუდერში. გთხოვ, შეეხმებოდნენ ან თუ მასზე რაიმე იცით, დამიკავშირდით.
- ვეძებ ათენში მცხოვრებ, ქუთაისელ ირინე ჩაფიძეს, რომელმაც ჩემთან ერთად 1980 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა. ნინო.
- ვეძებ მასხრე მუკმანისს. ათენიდან გამოვიდა, „კახეთ-ტურიდან“ და ჯერ კიდევ არ ჩასულა სახლში. თუ ვინმემ იცით რაიმე მის შესახებ, დაგვიკავშირდით.

სხვადასხვა



- აუ, მარ, სამეგრელოში ვარ და სამწუხაროდ არ მოაქვთ აქ „გზა“. არ ვიცი რა თემაა, ან „მობილი-ზაციაში“ რა ხდება. მართო ის ვიცი, რომ მომენტარტე ძალიან და როდის ჩამოვალ ნეტავ თბილისში, რომ ვეცე „გზას“. აქ მშვიდობა და სოლიდარობაა, მიძღებენ რა, მეგრელები და მეც ვეულობ. მენატრები და მომავალ „გზას“ ალბათ თბილისში შევხვდები. სესი.
- დილა მშვიდობის მარიაშულო, sorry რო განუხებ... რა მინდა, იცი? Ashley PCD-ს ნომერი მინდა და ძალიან გთხოვ, მითხარი, როგორ გავიგო. იმედია, მიშველი. Filippo.
- ჩემო ლამაზებო და გემრიელებო, გრუზინკა და ლუნა, მე უფრო ძალიან მიყვარხართ. გაცოცხლებული თოჯინა ყოველთვის ნიჭიერი იყო და იქნება. მისტერ, ძალიან მაგარი პიროვნება ხარ, გულთბილი და ალალ-მართალი. რა ცუდია, რომ ვერ გიგებენ. კამელია, ძვირფასო, როგორ ხარ? ქალი ცდუნება.
- ოლეგარიოს და მგზავრს ჩემგან დიდი მოკითხვა. ორივეს ძალიან გაფასებთ. ქალი ცდუნება.
- გაუმარჯოს ჩემს სისარულებს. Ashley, მადლობა სის, 9717, ნუ დაიკარგე რა, რაც შეეხება განახლებულ „გზას“, ცვლილებები ყველგან საჭიროა, ერთფეროვნება ცუდია. გაკოცეთ. უკარება.
- მარი, ძალიან მინდა, მგზავნებებმა მიმიღონ. Ashleiko, შენი ფანი ვარ! ლიმონა, ბერბიჭა, მისტერ, SWEET GIRL, ენიგმა, მაგრები ხართ!
- ისევ ჩვენს მუსიკას ვეფერები, ისევ ისე

ვმღერი ჩემებურად, ისევ აკორდებით გვე-
ერები, თურმე მიყვარებიხარ ძველებურად.
აკორდი შემეშალა, ავირიე, სული ყინული-
ით გამიცვივდა, უცებ დაგინახე, გადამრიე,
თითებზე აკორდი შემაცვივდა. მუსიკა აზრ-
ბად ავამღერე, სიტყვები ტუჩებზე მიმოდიან,
გთოვ, ნუ გამაჩუქებ, ამამღერე, ნულა შეაჩ-
ერებ მელოდიას. ისევ აკორდები მეღანდება,
გულშიც აკორდები გროვდებიან, თითები
კლავიმებს ებლანდება, როცა ეგ თვალები
მშორდებიან. ისევ ვერ ავიღე ის აკორდი,
ისევ ფაღმა და შენელება, ისევ ოცნებებად
ამიგროვდი, ისევ მიგატოვდი ენებლებმა. ისევ
ჩვენს კუნძულზე გილოვდი, ისევ ისე გვტრ-
ფი ჩემებურად, ისევ აკორდებით გვეფერები,
თურმე მიყვარებიხარ ძველებურად. ლ.ტ. 9717.

● შენ მაშინ მოხვალ, მარტოობას როცა
შეიგრძნობ, ათიათასში გამომარჩევ და მე
შეიცნობ, როს უჩემობა შეგამინებს, დაილ-
რიალებ... მაგრამ რაღა დროს, უკაცრავად,
დაიგვიანებ. ჩემს სულში უკვე სევდისფერად
აღარ ინვიმებს, ლექსები შენზე, უშენობით
აღარ იტირებს. გაყინულ გულში იმ სან-
ატრელ ადგილს დაგიტობ, იმდის ფერი
ფერს დაკარგავს და ნაერთმევა, ყველაფერს
გსვისით სხვა სახელი გადაერქმევა. შენ მოხ-
ვალ, როგორც უმწიფო და ხელეშეშეშელი,
მაგრამ რაღა დროს? უკაცრავად, ვეღარ
გიშველი. გაგიჭირდება, სიამაყეს მაინც შე-
ლახავ, წვიმაში, მზეში და ნისლეუში მაინც
ვერ მნახავ, მომძებნი, სადაც დაგეძებ და ჩემი
ფიქრები, მაგრამ რაღა დროს? უკაცრავად,
იქ არ ვიქნები. მე უშენობით ვალმოხდელი
დავიღრიალებ, როცა გეძებ, სად იყავი?
დაიგვიანე! მთელი სამყარო ერთი მყავდი,
ზღაპრად მიმყავდი, ახლა რაღა დროს? უკაც-
რავად, მე თქვენ მიყვარდით... 9717.

● ვკითხულობ ხოლმე ამ ჟურნალს და
მიკვირს, ამ ხალხს მეტი საქმე არ აქვს? იქნებ
სხვა რამით გაერთოთ? ემიგრანტი ბელისიმა.

● ვა მარი, ჩართული გაქვს ტელე? იმედია,
ნამდვილ მამაკაცს კარგად გაუმასპინძლებდით.

● ჰოდა, რა მინდა გითხრა... მე ვარ
მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი, ალალი, სუფ-
თა და საუკეთესო ადამიანი. ჩემთან მეგო-
ბრობა უკლებლივ ყველას ოცნებაა... თუ ამ
მსიჯის კითხვისას გაიფიქრე, რომ განდიდ-
ების მანია მჭირს, სავარაუდოა, რომ ამ კვირის
„ფოტოტესტი“ არ წაგიკითხავს... მე კი წავი-
კითხე და ეს პასუხი მივიღე. კანიბალკა.

● მგზავნებო, თქვენინი მინდა ვიყო...
(:) მიიღეთ, რაა... :) ვარლი.

● ძვირფასო მგზავნებო (ნიკი რომ მიგე-
თითებინა, უკეთესი იქნებოდა)... ჩემო კარ-
გო, მეც არანაკლებ შემტკივა გული ხამ-
ურზე. ბავშვობის ულამაზესი წლები აქ მაქვს
გატარებული და გული მტკივა, ასე მოუფ-
ლელს რომ ვხედავ... განა კომფორტია ის,
რომ სკვერში 2 სკამზე მეტი უნდა იდგეს და
ისიც, დამავოის არ იყოს, გინებით აჭრელ-
ბული უნდა იყოს? ეს კომფორტი კი არა,
ერთ-ერთი აუცილებელი დეტალია, ქალა-
ქისა ჩემო კარგო. იმედია, იცი... თუმცა,
მართალია, რომ ამბობენ, ყველა იმას იღებს,
რასაც იმსახურებს... ეტყობა ძალიან მოგ-
წონს, შენს ქალაქს ასეთ „აკონიაწვებულს“
რომ ხედავ. ჰოდა, ღმერთმა შეგარგოს, არ
გართმევ... ეწუხვარ, თუ გულზე მოგხვდა

ჩემი გზავნილი, მაგრამ მე რეალობა აღვწერე
და შეთხზული არაფერი დამინერია... აფ-
სუს, დამავოი, რა სულზე გამასწარიი?! დიდი
სიამოვნებით ვიქსკურსიბოდი დანარჩენ
„ლირისმუსიკანობა“ ადგილებში... SWEET-GIRL.

● „გზის“ ამ ნომერს უკვე ბათუმში და
იმედია, ჩემს გიჟულა მგზავნებებთან ერ-
თად წავიკითხავ, როგორც ერთი თვის წინ...
აუ, ხომ მაგარი იყოოო? მენატრებით უს-
აზღვროოოდა... SWEET-GIRL.

● მოკითხვისთვის უღრმესი მადლობა
Filippo-ს. გაიხარე, კარგო ადამიანო. Ash-
ley, შენ რა გიჟი ქალი ხააარ?! შემოგვე-
ლე... ყველა მგზავნელი მოვიკითხავ, უკლე-
ბლიიი... მიყვარხარო... რა ვუყოთ, რომ
ზოგიერთს ენა ტვინთან შედარებით უფრო
დიდი აქვს? მგზავნელი ხომ ჰქვია? ჰოდა,
მაინც მიყვარს, რა... SWEET-GIRL.

● მგზავნელის სტატუსი ჩემთვის უსაზღვრო
სიყვარულთან, სიტობთან, გიჟი და უსაყ-
ვარლესი ადამიანების გარემოცვასთან ასო-
ცირდება და როცა უკვე იცნობ ამ ადამი-
ანებს, მერე ხომ მოოორჩაა... ვერანაირი ამ-
წვითა თუ სხვაგვარი სენის შემოტყევი ვეღარ
შეძლებ მათ დაიწყებას (ნუ, ასე მგონია). ჰოდა,
ჩემო გიჟო და უსაყვარლესო ხალხო, ძაააღიან
მიყვარხაააარო. PS. ფელაშუ და ღუჩი, წარმო-
უდგენლად მაგრად გამიხარდა თქვენი გაცნობა
უჰ, რა ძან მიყვარხარო, რააა... SWEET-GIRL.

● საბურთეთიდან გწერთ. „გზის“ სისტემ-
ატიური მკითხველი ვარ. მენატრება საქართვე-
ლო, შვილები — თათო, აკო, ელენე, მამა, და
და დისშვილები. ქეთინო.

● ძალიან კარგი სიახლეებია, მარ. გან-
საკუთრებით გრავი თარხანის გამოჩენა გა-
მისხარდა და „ფოტოტესტი“. თუმცა, „გზავ-
ნილები“ ძველებურად იყოს ანუ ჟურნალი —
ჟურნალში. სარვიცტა.

● კამი, ეს რა კარგი და უეჭველი ჭკმარ-
იტება თქვი? საქმე ისაა, რომ ხშირად გავი-
წყდება, დღევანდელი დღით ვიცხოვროთ.
ჩაგეთვალა, რა... სარვიცტა.

● მგზავნებო, გთხოვთ, შემდეგ ნომერ-
ში მომწერეთ, მიმიღებთ თუ არა. დიდი
სიყვარულით მოვიკითხავ ყველა მგზავნელს.
გკოცნით, თქვენი ლინდა17.

● როგორ ხართ, საყვარლებო? აუ, ამ
კვირის „გზა“ აღარ მაქვს და ახლა გლოვის
საათი მაქვს. :) მარ, მე მამაკაცი, თემა არ ვიცი
რაა? წინასწარ გილოცავთ მარიამობას.

● ძვირფასო მგზავნებო, მიმიღებთ
თქვენს სასტავში? ერთხელ უკვე დავამსიჯე.
ახალი მკითხველი ვარ და მხოლოდ 4 ნომერი
მაქვს. მისტერ, ენიგმა და ბერბიჭ, მაგრები
ხართ.

● ღმერთო, თვალებს არ ვუჯერებ, თურ-
მე ვილატას მაინც ვახსოვარ. იასამანო, შემო-
გველე, გაიხარე, რომ გამახარე... ლიონა, ბერ-
ბიჭა, ენიგმა, მიიღეთ გულთბილი მოკითხვა.
კუსკუსულა.

● AshleyPCD, რას მეპრიჩინ-მედებატები?
აყუდებულებმა თავისთვის იქნანავონ და ხეი-
რი ნახონ. დემოგრაფიული პრობლები კი
გაქვს ქართველებს და ეს აყუდებით არ
მოგვარდება. ენიგმა.

● Filippo, დიდი მადლობა გენაცვალე. გამ-
ახარე შენც ღვთის წყალობას გისურვებ. ქალო
ცდუნება, მაგრად მიყვარხარ! კამი, კამიი,

ჩემო ფერიავ, მიყვარხარ და მენატრები. ლუნა.

● მძებ, ოცნებიდან რეალობამდე 1 ნაბიჯია.
მის რიყა, მაგ პანუკა რქებუნებით ნუ მერ-
ქაგრეხილები, თორემ რაც უნდა იბლატაო,
ხომ იცი, ქალი სულ ქვევითაა და ზევით ნუ
მიძვრები. ენიგმა.

● რაკია ჩვენი შესვედრის დიადი ნამი
დამდგარა, ადგილზე, დღესა და საათზე
მესიჯით მოგწერ, ცხრათვალავ. კოცნის
პირობამ ეს გული სიამით ამიფანცქალა. ბერ-
ბიჭა. PS. ცუღლუტოო.

● მექალთანეო?! შემიცეს ქალებმა დეკ-
ლარაცია. ტყვია არ მხედება თოლიავ, ჯავ-
შანუილეტი მაცვია. ქალს ვინც კომპლიმენტს
არ ეტყვის, ის კაცი დასავსაია? პასუხი გაქვთ?
ბერბიჭა.

● კარგი, რა? დაგვიწყდა, შევილად გვყავ-
არ აყვანილი. შესავით ნყალს არავინ მისხამს,
ჩემო იმედო. ქალ ცდუნებას: ვაფასებ, ჩემი
ბელურები ასე რომ გიყვარს. ტირიფი73.

● „გზავნილებში“ რომ ნამკბინე, მისი ხარ
თუ მადამი, კაცის სიტობ ყოფილიყო, შენთვის
მართლა არამი. გატყობ სტაჟი არ გაკლია,
მგრუზავ ავი აურით, შენზე როგორ გავაფუ-
ჭო ჩემი ქათინაური? მექალთანეს არ სჭირ-
დები, არ გიძვრები უბეში, ვაჟნულ გოიმს აქეთ
ეცი, პირველ ღამეს — ნუგეში. ბერბიჭა. პ.ს.
ისე, ზოგს რა ვერ გასვენებთ, პაკლოების
დეფიციტი?

● ყველას მივესალმები გულლიად.
ყოველთვის ვკითხულობ „გზას“ და გულს
ვირთობ კითხვით. მარი რომ არ გაყვდეთ,
რას იზამდით თითოეული? მართლა მინ-
ტერესებს. შავი სათ...

● გავიცნობ მგზავნელებს. ვისაც სურვილი
აქვს, ნიკით მიმანიშნეთ. ირმა91.

● მობილიზაცია კარგი თემაა, მაგრამ ამ
თემის კვეთას, რომელსაც ჰქვია „სხვადასხვა“,
დავარქვით ემოციონალისტიკი. ჩოუკვირიდი
და ჩვენც აქა ვართ. ჯუჯ-100.

● ზურა, ჩემო სიხარულო, ჩემს მსხნელად
მოვლენილო ანგელოზო, უზომოდ მიყვარხ-
არ. მიყვარხარ წმინდათაწმინდა სიყვარულით,
უანგაროდ. გულში გისუტებ. შენი დადუ
ქიზილაური.

● ზოგმა, სანამ მექალთანეობას დამწამებთ,
თქვენს მევატანეობას მიხედეთ. პირადმი ვის
დაგახიეთ კალთები? ლამაზი ფრაზები გაჩუ-
ქეთ საკვლეუტოდ და თავში ნუ აგივარდათ.
ბერბიჭა.

● ეჰ, ჩემო პუტელა, ღრუბლებში ფრენისას
ჩუსტები მოთვარეზე გრჩებოდა. შენ 2, მე კი
შენით დამტკბარი მთელი 4 დღე მახსოვს,
ჩემო ბელურავ. ტირიფი73.

● ოე, მისტერ, მოთამაშე საჯდომს ხომ
იცი, რაც უხდება? აზრზე მოდი, ყანა! მე
არავითარ ტყუილს არ ვწერ. მატყურა და
ნაგავი ხარ. პ.კ, რა! ჩემი ნომერი დაივიწყე!
AshleyPCD.

● სესი, მაგას რა დამავინყებს? აუუ, რაც
ჩვენ ვიარეთ! ეშმაკუნა და სიკვდილა გა-
იცანი და ვერმასტიც დამიბრუნდაა! გენათა-
ლეთ. მპუა. AshleyPCD.

● აუ, რა ცუდიია... ტელეს აღარ მათხ-
ოვებს დედოკო. ვისპორეთ და... Princess
BELL, მიკალქალ, გოჭუჯ. AshleyPCD.

● ჰო კარგი, კარგი, სახელი და ასაკი —
ნო! გასაგებლარიაა... იღუმალებით მოცული

ხალხი ხართ. AshleyPCD.

● ჩემო ეშაფოტო, გული მინუსს, ასეთ მდგომარეობაში რომ ხარ. აქედან გამიჭირდება შენი დახმარება. ამიტომ, საქართველოში რომ დაბრუნდები, შექმნიან და მე მიგყვან ერთ-ერთ ავეჯის სარესტავრაციო ცენტრში. მანდ ეფექტურად უმკლავდებიან ალვის ხესავით გრძელ და უსარგებლო ენებს... მანამდე კი, შენივე უსაფრთხოებისთვის მუნჯობის მე-თოდს მიმართე. შენს მდგომარეობაში შევდივარ და გულით გითანგრძობ. :-). PS. იკუმკები, მე ბელომ გამაქუთათისელა, სიმონ, ტოო... :-) დალოლოცოს თბილისი მისტერი.

● მისტერს ვნაცვალე! არც ისეთი უზრდელი ხარ, „გზაში“ როგორც ჩანსარ. ჩემს ფერია კამის, ქალ ცდუნებას და მოხუცს სულში და გულში შემოგველეთ. გაცოცხლებული თოჯინა.

● ვერ ვხვდები, მისტერს რას ერჩით. თავი ანგელოზებად წუ მოგაქვთ, რა? მისტერ, მართლა ქუთაისელი ხარ? გაიხარე, ქუთაისელები ყველაზე მაგრები ვართ. T&C.

● ყველანი ძალიან მიყვარხართ. რა კარგები ხართ, რა თბილები... თქვენით ივსება სევდიანი გული, გეფერებით ყველას... კუსკუსელა.

● დიდი მადლობა მარი იმისთვის, რომ ჩემი თხოვნა შეასრულე და ჩემი მესიჯები „გზაში“ ვიხილე. ძალიან მაგარი შერძინებაა, ეს ყველაფერი. ლინდა17.

● მისხარია, რომ არსებობს „გზა“, რომ არსებობ შენ, მარიამ და მგზავნელები. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ერთი წლის წინ წავიკითხე პირველად „გზა“ და მის შემდეგ ნარკომანიებით შევეჩვიე.

● ერთხელ ლამაზ და ამაყ ვარდს ქარმა დაუბერა და ფურცლები დაუფანტა. ის ქარი შენ ხარ ენიგმა და ის ფურცლები დამიბრუნე. ათენიდან 18-ში ჩამოვედი. 5 თვე უშენოდ წაშვება, ცრემლების წვიმა და მარტობა იყო. ყველა ნომერი გამორთული გაქვს. გთხოვ, მუქარა დაივიწყე და ის ნომერი ჩართე, მე დაგირეკავ. არ ინანებ, კახა, მე გამოცნორდი. მაპატიე. უბრალოდ, მომისმინე. ფლიიზ კახუ, თორემ თელავში ჩამოვალ. შენს უნახავად არ წავალ. უნდა შეგხვდე და თუ გინდომება, დავრჩები. გესმის? სალუკა.

● დამავოი, ნამდვილად სასიამოვნოა შენი გულწრფელობა. ვეცდები, ყოველთვის კარგი და საყვარელი გოგო ვიყო. თუმცა, ახლაც ასეთი ვარ. უბრალოდ, მანებლები მაბრაზებენ. იკუმკები.

● მარი, ეს რა კარგი გოგონები გყოლია „გზავნილებში“? ერთი-ორი დამაჯახე რა, ძმურში. გოგონებო, ვითომ არ გინდათ, ჩემთან? მოდით, გელოდებით. ნამდვილი მამაკაცი.

● ირინა ნათლია, გაბედნიერებას გილოცავთ. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, შენს საყვარელ მეუღლესთან ერთად. უფალი გვარავდეთ. მენატრები, გოცნი. ანა მაჩიტაძე.

● მოხუცო, ძალიან მიყვარხარ, ჩემო ძამიკო. მოკითხვა ოლეს, უკარებას, ედელვალის. კამი, ქალო ცდუნება და მარიამულ, შემოგველეთ, ჩემო ფერიებო. თქვენი ლუნა.

● ხამურელი ვარ და გული მწყდება, ჩვენს ქალაქს ყურადღებას რომ არ აქცევენ მთავრობა. SWEET-სა და დამავოის ვამართლებ! ჯერ რა გვაქვს და იმასაც ანად-

გურებენ აქაურები...

● დამავოი და SWEET-GIRL, ხამური თუ არ მოგწონთ, ჩემს სოფელს არც იკადრებთ (ისე თბილისელი ვარ). თქვენ ალბათ პარიზელები ხართ, გოგონებო, არა? ნამდვილი მამაკაცი.

● ფეშენ, პილიბლას ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანს ვეძებ და მას შეგადარე, რატომაც. დამავოი, ინდე, შენა... ცდუნება, სევდიანო და იღუმალო, თოლიავ, მაგრები ხართ. ლიმონა.

● იასამან, ე.ი. ლეონოვანებს იცნობ. გამახარე. აუ, მეგონაზე მარტო ეგ ინფორმაცია მაქვს, როგორ დაგეხმარო გარკვევაში, არ ვიცი. ლიმონა.

● ტირიფი73, აღფრთოვანებული ვარ შენით. წინათ ვწერდი, კარგია, როცა ბუნებას ეტრფიან-თქო. მაშინაც შენ გგულისხმობდი. იმედია, შენაირები ბევრნი არიან. სარვიეტა.

● პრივეტ, მიძილებთ თქვენს პატარა ოჯახში? მეც შემყარა „გზავნილების“ ვირუსი და აღარასდროს გამივლის, იმედი მაქვს. თქვენი ერთგული მკითხველი, დაღუ. გოცნით ყველას.

მიყვარხარ



● ჩემს სიცოცხლეს და ცხოვრებას, გიოს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან, უზომოდ მიყვარს და მუდამ ასე იქნება. შენ ჩემი ხარ სიხარულო, მხოლოდ ჩემი. თამუნა ციკვა.


● შოოთ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მენატრები, ძალიან... მართალია, მანყენინე, მაგრამ მაინც მიყვარხარ. ვიკა.

● მიყვარხარ და ჩემი ცხოვრების სიხარული ხარ... მე შენ გაჩქე ჩემი ცხოვრება... მარშოთ.

● ზურა შამადუსაშვილო, მიყვარხარ. სულ შენზე ვფიქრობ, ვითვლი დღეებს, წუთებს, წამებს ჩვენს შეხვედრამდე დარჩენილს.

● ზურა, ერთი თვეა, რაც გაგიცანი და პირველად, როცა შენი თბილი ხმა გავიგონე, მივხვდი ის იყავი, ვინც ბედნიერ ადამიანად მაქცევდა. სიკვდილამდე შენი დაღუკა.

გილოცავ!



● ქუთაისში, ნიკვას მე-2 შესახვევის №9 ბინის 1-ელი და მე-2 სადარბაზოში მცხოვრებ ყველა ოჯახს ვულოცავ მარიამობას. წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მადლი გვარავდეთ, ჩემო ძვირფასო მეზობლებო. ირა ვირსალაძე.

● ქუთაისში ჩემს საყვარელ და მონატრებულ ოჯახს ვულოცავ მარიამობას. მრავალს დაესწარით, ჩემო ტკივილამდე მონატრებულ ოჯახო. გოცნით, გეხვევით და გეფერებით. ირა ვირსალაძე.

● დაბადების დღეს, 5 სექტემბერს ვულოცავ მარინა როდონიას, დიდი სიყვარულით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ცინარა შუბლაძე.

● გიორგი ხვედელიძეს, კიკოს, ოქროს დაბადების დღეს ულოცავს ბებია. ვუსურვებ კარგად ყოფნას, საყვარელ მშობლებთან და ნაღწულო დედასთან ერთად. ნიურა ბებია.

● ათენში გაცნობილ ქალბატონს ვულოცავთ დაბადების დღეს, საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. ვუსურვებ ყოველივე კარგს. შენი დაქალები, გულიზა, შორენა, ნიურა.

● რუსთავში, 28 აგვისტოს, მარიამობას ვულოცავ ჩემს უცნობ შვილიშვილს, მარიამ გოგოლაძეს. ჩემო სიხარულო, წმინდა მარიამის კალთა მუდამ შენი მფარველი ყოფილიყოს. დიდი და ბედნიერი გოგო გაუზარდე, შენს დედ-მამას, ბაბუასა და ბებიებს. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად და მენატრები ტკივილამდე. როდის ჩაგისუტებს გულში ბებო? გოცნი ბევრს. დალი კოჭლამაზაშვილი.

● ლავოტში, სოფელ სვიდებში 25 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ სოფო შუბითიძეს. ბიცო, გულით გილოცავ ამ ლამაზ დღეს. მე შენზე მინდა გულით ვილოცო, მინდა, ძალიან დიდხანს იცოცხლო და დღევანდელი დღე ჩემო კარგო, მინდა მრავალჯერ რომ მოგილოცო. მენატრები და მიყვარხარ ძალიან. ნიკუშა დამიკოცნე. დალი კოჭლამაზაშვილი.

● რუსთავში ჩემს ულამაზეს, უსაყვარლეს, უფლის ნაბოძე შვილიშვილს, მარიამ გოგოლაძეს მინდა მივულოცო მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული. დაგლოცოს სალოცავებმა, მთისა და ბარისამაო, მქეთაში სვეტიცხოველმა, თბილისში — სამებაშაო, კახეთში — წინწმინდაშაო, მღვთაში — ლომისაშაო, რუსთავში — წმინდა გიორგიშაო, ზეცაში — მარიამშაო. სულ დალოცვილები მყავდით. მენატრებით. მარი დამიკოცნეთ. მზია ბებო.

● ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა დღეს, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმად კრავენ წრეს, წვიმას ინყებს და სვეტები უღიმინა მწეს, გეფერები და გილოცავ ნატო ჯანგირაშვილო, დაბადების დღეს, 26 აგვისტოს. ისარე და იმრავლე, შენს ლამაზ ქმარ-შვილში. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და წელთა სიმრავლეს, ჩემო ფერიავ. შენ დედას სიხარული ხარ. გოცნის შენი დედიკო, თინა.

● ლომაძე ნონა, გილოცავ დაბადების დღეს და რაც ქვეყანაზე საუკეთესო არსებობს, ყველაფერს გისურვებ შენ, პატარა გურულო. ნესტანი.

● ფოცნიშვილ ჯულის ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ უამრავ ლამაზ წელს, ლამაზ ოჯახთან ერთად. ნესტანი.

● მარიამობა მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ მშობლებს, გიორგის და რუსუდანს, ჩემს საყვარელ და-ძმებს, ნუგზარს, იოსებს, ზინა კოჭლამაზაშვილებს, მონატრებულ ქმარ-შვილს, ახლობლებს, მეგობრებს, ჩემს საყვარელ მეზობლებს და საყვარელ საქართვე-

ლოს. გვარავდეთ წმინდა მარიამის ძლიერი კალთა. მიყვარხართ ძალიან და მენატრებით. დალი კოჭლამაზაშვილი.

● ხონში სვეტას და მაგდას ვულოცავ მარიამობას და ვუსურვებ კარგ მომავალ წლებს. თქვენთვის წვიმამ გადაიღო, ნუში მუდამ ყვავადეს. მარიამი შეგენით, ღვთისმშობელი გწყალობდეთ. გკოცნით და მენატრებით. ნესტანი.

● მარი ჯაფარიძე, ღმერთმა გაგაჩინა ლამაზი არსება და მეერ სახელად გინოდა ქალი. მარიამობა ხომ შენი დედა, აღარ დაკარგო არც ერთი წამი... საუკეთესო ადამიანი ხარ. ნესტანი.

● ნიკა დუგლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 აგვისტოს. დიდ ბედნიერებას გისურვებ, ჩემო სიხარულო. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. გაგვხარებინოს მშობლები, ბებია-ბაბუები და ყველა ახლობელი. ძალიან მიყვარხარ და მენატრებით ორივე, შენ და დაწი. გეტუტებით და გიკოცნით ლამაზ თვალებს, ჩემო სიხარულბო. ძალიან ძნელი ყოფილა შორს ყოფნა. ერთი წუთით არ მშორდებო თქვენზე ფიქრი. გეფერებით შორიდან, თქვენი მონატრებული დარეჯანი ბებო.

● კახა ქინქლაძე, გილოცავ დაბადების დღეს, 25 აგვისტოს და გისურვებ ბედნიერ, ლამაზ წლებს. ნატვრამ მინდა მომავლინოს, შენთან.

● მინდა, ჩემს საყვარელ მაიკოს, თამაზ მარგიაშს ვუთხრა: მაიკო, ძალიან მიყვარხარ და მაგრად მენატრები. ახლა ჩვენი გული შენთანაა. ღმერთმა შენი თავი კარგად გვიმოყვოს. შენ ჩემი საამაყო მამა ხარ. უფალი გვარავდეს. კიდევ ბევრჯერ გეტყვი, რომ მაგრად მიყვარხარ. გკოცნით ბევრს, სვეტა და ნანა.

● დიდი სიყვარულით და მონატრებით დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ძვირფას და დატანჯულ ძმას, პაატა ჩოხელს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერი დღეები არ მოგაკლოს უფალმა, შენს ცოლ-შვილთან ერთად. გისურვებ ყველაზე დიდი სურვილის ასრულებას და უფლის მადლი. უზომოდ მონატრებული შენი და, ზოია ჩოხელი.

● გორში, ჩემს უფრთო ანგელოზს, მარი რაზმაძეს: ჯიშისა და ჯილაგის საამაყო შვილო, ჩემო გიშრისთვალბავ, გილოცავ დაბადების 18 წლის იუბილეს. უფალმა დაგლოცოს. პაპიდა.

● ბაღდათში ჩემს ძმისშვილს, თეონა გოცირიძეს ვულოცავ უნივერსიტეტში მონაყოლს. ძალიან გამიხარდა, რომ გაამართლა ჩემმა გვერდით დგომამ. ვიცი, დამიფასებ. გვარავდეთ ღმერთი. მიყვარხართ. შენი დაწაგრული მამიდულა.

● მონატრებულ, საყვარელ ადამიანებს მოვიკითხავ. ყველას ვულოცავ მარიამობას და ამ დღეს ჩემს დედიკოს, ნონა მოდებაძეს, რუსთავეში ვულოცავ დაბადების დღეს. შვილები და სიძე. გვიყვარხართ და გვენატრებით. მოდებაძე ინგა და ნაზი. გკოცნით და დიდი მადლობა.

● მსურს მოგილოცო დღევანდელი დღე/დღევანდელი დღის გვარავდეს მადლი/ იმ დღეს, როდესაც შენ დაიბადე/ და მოე-

ლინე ამ ცას და მინას/ წმინდა მარიამის კალთა გვარავდეს/ არ მოგკლებოდეს უფლის კურთხევა/ მინდა გისურვო დიდხანს სიცოცხლე, სიხარული და ბედნიერება.

● ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ლიკა ტუხაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 აგვისტოს. ღმერთმა ღვთის წყალობა არ მოგაკლოს, შენს მშობლებთან ერთად. კარგ სწავლას და ბედნიერ მომავალს გისურვებ. იხარე და იბედნიერე, ჩემო ანგელოზო. ასევე გილოცავ მარიამობას. გკოცნის და გეფერება შენი მათა ბებო.

● მარიამ, ჩემო პატარა ანგელოზო, გილოცავ მარიამობას. მრავალს დაესწარი, შენს მშობლებთან ერთად. გაიზარდე სასახელო გოგო. გკოცნი და გეფერები. მათა ბებო.

● თემურ მშვილდაძეს დედიკო ულოცავს დაბადების დღეს. ჩემო უსაყვარლესო შვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ წარმატებულ სტუდენტობას. და დღე გათენდა ულამაზესი, უბრწყინვალესი, მრავალთა დღეთა. ია ჯალიაშვილი.

● ცისმარი გამრეკლიძეს და ირაკლი ლომიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ჩემო ლამაზებო, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, სულ ბედნიერები ყოფილიყავით, თქვენი სიცოცხლის მანძილზე. გამრავლდით და გაიხარეთ, სიხარულბო, მიყვარხართ ძალიან, თქვენი ნონა.

● ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, გიგა შალიკაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, ღმერთმა მრავალი გაგიტონოს, სულ ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. უფლის მადლი გვარავდეს, ჩემო სიცოცხლე და საამაყე, მიყვარხარ და მენატრები უზომოდ. შენი საყვარელი მეუღლე, ნონა.

● მარიამობას გილოცავს ბებო, მონატრებულო სიხარულო. მისი წმინდა კალთა გვარავდეს ყოველთვის, მარიამ ცხოვრებაძე. ტკივილამდე ენატრები და უყვარხარ მათა ბებოს, ლამაზო.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ჟანა ქარჩხაძეს ვულოცავ სტუდენტობას. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ია და ვარდით მოფენილი ყოფილიყავს შენი სავალი გზის ნაკვალევი. გახარებული მენახე, შენს დებთან ერთად. გკოცნით და გეფერებით, თქვენი დედიკო, ლელა.

● ჟანას უახლოეს მეგობრებს, ფატოს და შორენას ვულოცავ სტუდენტობას. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ლელა დეიდა.

● მარიკა ქარჩხაძეს დაბადების დღეს და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ უფლის მადლი არ მოგკლებოდეს. დაესწარი მრავალს. გკოცნი, ლელა.

● ჩემს ვაჟკაცს, ირაკლი თოფურიას დაბადების დღეს ვულოცავ. ღმერთმა კარგი მომავალი მოგცეს, შვილო. წმინდა მარიამი იყოს შენი მფარველი. მიყვარხარ და მენატრები ძალიან. ნინო.

● ქუთაისში დაბადების დღეს ვულოცავ მათა სვინტრაძეს და მის გოგონებს, თამთას და სესილი სანებლიძეს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და უფლის მფარველობას.

● გვეგუთში, მონატრებულ მეზობლებს,

ზოიას და გიგას ვულოცავ დაბადების დღეს. ინეზა და ბესო.

● დაბადების დღეს გილოცავ, ნინო ბასილიძე! მრავალს დაესწარი. მიყვარხარ! გკოცნი ბევრს. დედა.

● ენიგმას ვულოცავ იუბილეს. სიყვარულსა და სიკეთეს ვუსურვებ, თავის სათაყვანებელ დედასთან ერთად. უზნეო (ზნეიან) ანგელოზს მინდა, ყველაფერი კარგი ვუსურვო. გრუზინკა.

● სოფელ ქვაბისხევში მარიამობას ვულოცავ ნორა მამიდას. მრავალს დაესწარი, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ვლადიმერი.

● გაბედნიერებას ვულოცავთ გიორგი ყანდაშვილს და სოფო უსუფაშვილს. ღმერთმა ბედნიერები გამოყოფოთ, უფალი ფარავდეს თქვენს პატარა ოჯახს. სოფო და გვანცა.

● ყველა ხიჯაკაძეს და ჭიპაშვილს ვულოცავ მარიამობას. მისი ძალი და მადლი გვარავდეთ, მშვიდობიან და ბედნიერ ქვეყანაში გეცხოვროთ. ვლადიმერი და მისიელი ხიჯაკაძეები.

● ირინას და გელას ათენში ვულოცავ გაბედნიერებას. დაე, მთელი ცხოვრება მოსიყვარულე თვალებით შესცივინებდეთ ერთმანეთს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გკოცნით. მერი.

● ჩემს მეგობარს ათენში, მერი როსტიაშვილს დიდი მონატრებითა და სიყვარულით 31 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს მისი მფარველი. ნატო.

● ჩემს სიხარულს, ზურა ირემიძეს ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს, 28 აგვისტოს. ასევე ვულოცავ მარიამობას. გისურვებ უზარმაზარ ბედნიერებას და სურვილების ასრულებას! ნატა.

ყურადღება!

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **Gul** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **Gul 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალოში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

რა მოთხოვნა და რა — არ მოთხოვნა განსაცხად „გზაში“?

- მარი, პირველ რიგში, შენი თამაშობით, მთელ „გზის“ კოლექტივს და ყველას, ვინც კითხულობს „გზას“, ვულოცავ შეურნალის განახლებას. რა თქმა უნდა, მგზავნელებთან ერთად. ვუსურვებ ბევრ მკითხველს. ერთადერთი პრეტენზია ის მაქვს, რომ „გზავნილები“ ძალიან ბოლოშია. დანარჩენი მისაღება და უმაღლეს დონეზეა. გრუზინკა.

- მარიამულ, ჩემო სიხარულო, ჩემო ნიჭიერო და საოცარო ადამიანო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, სიხარულო. შეცვლილი „გზა“ ძალიან მომეწონა, მივეჩვიე კიდევ. „გზის“ თითოეული შურნალისტი ერთმანეთზე უკეთესი ხართ, უნიჭიერები. მიყვარხარ, გკოცნი, შენი ლუნა.

- ვაიმე, დილას „გზა“ რომ ვიყიდე და „გზავნილების“ მოკლე ფურცლები ვერ ვნახე, კინაღამ გავგიჟდი. იმხელა ვიბლავლე, ვაიმე, რა იქნა ჩემი შტირლიცამეთქი, როო! გამყიდველი დაჭყეტული მიყურებდა. სახლამდე სულ გულის კანკალით მივედი. რა არის, მარ, რა დაგშალეს კაჭრეთის რაიონივით? „გზავნილები“ ყარაჯალაშია, სიტუაცია — გოგტაფოს.

- გამარჯობა, მარი. „გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ არასდროს მომიწერია. ხუთშაბათს შურნალი „გზა“ რომ გადავშალე, გული გამიჩერდა. ვიფიქრე „გზავნილები“ საერთოდ ამოიღეს-მეთქი. ძლივს ვიპოვე. ადრე „ცხოვრება“ და „გზავნილები“ ერთად იყო, ახლა გაფანტულია და ეს ძალიან არ მომწონს. მარ, დაგვიბრუნე, რა, ძველი ფორმატი. გვანციკე.

- რა არ მომწონს ახალ „გზაში“ და იმ პატარა სამყაროში ერთად კარგად ვიყავით და თანაც, მოკლე ჩართვებიდან უმოწყალოდ გამოიმსტუმრეთ, სახელის ვერდამკვიდრების გამო. თქვენ რომ ააარ გამაგდოოთ, მე თვითონ, რაა, წავალ, როოო? დღეიდან თქვენთან ვიქნები. ჯუკ-100.

- მშვენიერი სიხარულა, მომწონს განახლებული „გზა“, მაგრამ არ მომწონს, შურნალი შურნალში რომ აღარ არის. p.s. ლუნა, „იზვინი“, დაბნეულო-

ბისთვის, მაგრამ შენი განცხადება სად უნდა ვნახო? ლა-ლოლა.

- მარი, სულ ახლახან დავინყე „გზის“ კითხვა. თქვენი შურნალი მაგრად მომწონს. ერთხელ მოგწერეთ კიდევ, საზაფხულო თავგადასავალი. ძან მიყვარხართ! მარ, გმადლობ, რომ არსებობ!

- დიდი მადლობა, შურნალის გვერდები რომ გაათანაბრეთ. ახლა „გზა“ და „გზავნილები“ მართლაც უნაკლოა. დავითი.

- ვააა, „გზამ“ რა სიხსლე მისცა?! შურნალი შურნალშიც რამხელა „გოგო“ გაზრდილა. ნეტავ, ეს პატარა შურნალი მთლიან საქართველოს როგორ იტყვს? ხალხო, გაუფრთხილდით ერთმანეთს. კლეოპატრა.

- მარ, განახლებულ შურნალში რა არ მომეწონა, იცი? აი, ის, შესავალი რომ 49-ე გვერდზე წერია და სტატია 67-ზე. არ ჯობია, გადაბმულად იყოს? სხვა რა ვი, ყველაფერი კარგია. თავიდან კი ძებნა დამჭირდა „გზავნილების“, მაგრამ ეხ არაფერი, მივეჩვიეთ და აწი მალე ვიპოვით. დამავიო.

- ჩემი ყველაზე დიდი იმედგაცრუება „გზის“ განახლებაა... უარესობისკენ. „გზის“ ერთგული.

- განახლებულ „გზაში“ მარტო ის მომწონს, რომ შურნალი შურნალში აღარაა, მეტი არაფერი.

- განახლებულ „გზაში“? გულწრფელად გეუბნებით, არ მომეწონა, წინა ჯობდა. აი, ის პატარა ფურცლები მევასებოდა, საკაიფოდ იყო. იქ ყველაფერი დალაგებულად იყო (ასე ვთქვით, თავის ადგილზე), ახალ „გზაში“ კი აბნეულ-დაბნეულადაა, ამიჭრელდა თვალები ძებნით, რა სად იყო. ზესტა და-კე.

- პრივეტ, მარ, როგორ ხარ? ახალი „გზა“ კარგია, მაგრამ იმ პატარა ფურცლებს ისე შევეჩვიე და შემიყვარდა, პირველ რიგში იქიდან ვინყებდი „გზის“ კითხვას, მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ „გზავნილები“ ისევ არსებობს და იარსებებს კიდევ ძალიან


დიდხანს, იმედია! გაკოცეთ ყველას. ნია.

- განახლებული „გზა“ მართლაც შთამბეჭდავი და ბევრად დასვენილია. მხოლოდ ერთი შენიშვნა მაქვს და არ მიწყინოთ, ძალიან უხარისხო ფურცლებია. მისვდი, რასაც ვგულისხმობ, არა? ბევრისგან მსმენია საყვედურები ამის გამო, „გზის“ მისამართით. მინდა, ჩემი საყვარელი შურნალი ხარისხიან ფურცლებზე იბეჭდებოდეს! კეთილი ფერია.

- დადგა სანატრელი ხუთშაბათი. ვიყიდე „გზა“, ავტობუსშივე გადავფურცლე, რომ წამეკითხა და გაცოცხლები დაჭრჩი. მეგონა, ფურცლები აკლდა და გული დამწყდა, რომ ის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, შურნალში არ იყო. გვერდების ნომრებს გადავხედე და გამიხარდა, რომ შევცდი. „გზა“ იგივე იყო, ოღონდ განახლებული. უცებ, ვერც „გზავნილები“ ვიპოვე, მაგრამ იმედით დავუწყე თვალთვლება და მივაგენი „გზავნილებს“. მომეწონა ცვლილება, ამასაც მალე შევეჩვიეთ. მთავარია, „გზა“ ისეთივე საინტერესოა, როგორც უწინ. ზუკი.

- გაუ, მარი, მართალია, მგზავნილი არ ვარ, მაგრამ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. შურნალი რომ გადავშალე, ძლივს ვიპოვე „მინირომანი“. მერე მივხვდი, რომ ცოტა ცვლილებები შეგიტანიათ. სასიამოვნო სიხარულა, მაგრამ დრო მჭირდება, რომ შევეჩვიო. მგზავნილებო, აბა, თქვენს იმედზე ვარ, ძალიან ვხალისობ თქვენს ამბებზე. მიყვარხართ. „გზის“ გიჟი.

- აუუუ, მე ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნიაა... ვიტროოოო? ცუდია ის, რომ იმ დროს, როცა შურნალს გადავშლიდი, თვალახვეულიც კი წამებში ვაგნებდი „გზავნილების“ გვერდს... ახლა კი ლამის კომპასი მოვიშველიე... თუმცა, არა უშავს... რადგან ჩვენთვის ირჯებით და ყველანაირად ცდილობთ, მრავალფეროვნებით გვასიამოვნოთ, ჩვენც დიიიდ მადლობას გინდით... მივეჩვიე, სად წავალ... გაკოცეთ, თქვენი ბუუუუზლუნა SWEET-GIRL.



გაიშ-პლანეტი

უსწაური მემკვიდრეობა

ერთმა ლონდონელმა ბანკირმა მემკვიდრეებს ყველაზე მოკლე ანდერძი — „სრულიად გაკოტრებული ვარ“, — დაუტოვა.

უილიამ შექსპირმა მთელი ქონება — ავეჯით დაწყებული და ფეხსაცმელებით დამთავრებული, ნათესავეებზე გადაანაწილა. ეს ერთადერთი დოკუმენტია, რომლითაც დგინდება, რომ შექსპირი რეალური პიროვნება გახლდათ.

მარსელში მცხოვრები მენაღის 123-სიტყვიანი ანდერძიდან 94 სიტყვა გინებაა.

ყველაზე რთული ანდერძი ფიზიკოს ნილ ბორის ლაბორანტმა შეადგინა. ტექსტში იმდენი ტერმინი და რთული წინადადება იყო, რომ გასაშიფრად ლინგვისტს მიმართეს.

ალფრედ ნობელმა ნახევარი მილიონი კრონი ნათესავეებს დაუტოვა, დანარჩენი 30 მლნ კი ნობელის პრემიის ფონდს გადაურიცხა.

ყველაზე სულელური ანდერძი

მილიონერმა და კინოპროდიუსერმა როჯერ დორკასმა შეადგინა. მთელი თავისი ქონება — 65 მლნ დოლარი საყვარელ ძალღმაქსიმილიანს დაუტოვა, მეუღლეს კი მხოლოდ 1 ცენტი არგუნა. კინოპროდიუსერის ქვრივი მაქსიმილიანზე დაქორწინდა და ძალღის გარდაცვალების შემდეგ, მთელი ქონების სრულფლებიანი მფლობელი გახდა.

ასეთი პროფესიების არსებობს

რესტორანში ჭურჭლის მრეცხავს, ამერიკასა და ევროპაში „თევზების ლორებს“ უწოდებენ. მათ უამრავი ცხიმინი ჭურჭლის რეცხვა უხდებათ და ამავდროულად, ხშირია ხელის გაჭრისა და დანვის საშიშროებაც. მრეცხავებს იარები დიდხანს არ უხორცდებთ, რადგანაც მთელი დღე ხელები წყალში აქვთ, სარეცხი საშუალება კი მოგესხენებათ, კანს აფუჭებს.

გარდა იმისა, რომ თევზის გამოშვებულ მთელ დღეს ფეხზე ატარებს, ხელის გაჭრის შემთხვევაში, შეიძლება, სისხლში ინფექცია შეეჭრას. ამავდროულად, მის ტანსაცმელსა და კანსაც კი თევზის სუნი ასდის; საინტერესოა, რამდენს უხდის ადამიანს, რომელსაც საქონლისა და ღორის დაკვლა, გამოშვება, დანაწევრება ევალება? ისე, არც ქათმების გამოშვება და დაჭრაა სასიამოვნო საქმიანობა. თანაც, ათასი ინფექციის გარდა, მათ ხომ ქათმის გრიპიც ემუქრებათ?!




მსხვილფეხა საქონლის ხელოვნური განაყოფიერება არცთუ სასიამოვნო საქმიანობაა და თანაც, ტრავმის საფრთხის შემცველი გახლავთ — ხარის წიხლმა შეიძლება, ადამიანი მოკლას კიდევ.

ტყის მჩეხებსაც ტრავმიანი პროფესია აქვთ. წელიწადში დაახლოებით, 30 ათასი უბედური შემთხვევა ხდება. საავადმყოფოს მომსახურე პერსონალს — დამლაგებლებსა და მრეცხავებსაც საშინელი პროფესია აქვთ. საოპერაციოების დალაგება და ბინძური თეთრეულის რეცხვა, დამეთანხმებით, არცთუ სასიამოვნო საქმიანობაა.

ყველაზე სასიამოვნო, მარტივ და მაღალანაზღაურებად სამუშაოს კუნძულ ჰამილტონში (ავსტრალიის შტატი) შემოგთავაზებენ: დაქირავებულს თვეში 1.000 დოლარს გადაუხდის, თუ ის სანაპიროზე სეირნობისა და წყალში ყვინთვის შთაბეჭდილებებს ტურისტულ საიტზე განათავსებს.

ყველაზე, ყველაზე...

ყველაზე ძვირად ღირებული ფეხსაცმელი იუველირმა სტიუარტ ვაიცმანმა შეკვრა. მაღალქუსლიანი ტყავის ფეხსაცმელი 642 ლალითაა დაფარული. მის ყიდვას 1.6 მლნ ევროდ შეძლებთ.



treasurer-ის მარკის სიგარეტი სპეციალურ მაღაზიებში იყიდება. ერთი კოლოფის ფასია 24 ევრო.

ამერიკელი კოსმონავტების კოსტიუმი 9 მლნ ევრო ღირს.

ავტომობილებს შორის ყველაზე ძვირად ღირებული maybach-ია. მას 360 ათას ევროდ შეიძენთ.

2002 წელს რუბენსის ტილოში — „ჩვილთა ცემა“ 73.5 მლნ დოლარი გადაიხადეს.


დუბაის „ბურჯ ალ არაბის“ სასტუმროს სამეფო ნომერში ღამეს 7.700 ევროდ გაათვთ, უბრალო ნომერში — 770 ევროდ.

ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი. 2001 წელს „იუვენტუსიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასასვლელად, მას 68.7 მლნ ევრო გადაუხადეს.

ექსკლუზიური ბარბი ასი ათასი ევრო ღირს. თოჯინის თეთრი კაბა ნამდვილი ბრილიანტებითაა განყოფილი.

როდის დგება გულახდილობის ხასიათზე „მხატვარი და მარბარიტას“ ავტორი

ის ვერ სათავგადასავლო ლიტერატურით დაინტერესდა, შემდეგ — რომანებით, ბოლო წლებში კი ფილოსოფიურმა და პოლიტიკურმა ლიტერატურამ გაიტაცა. ალექსანდრე დიუმა, ჟიულ ვერნი, დანიელ დეფო, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, გალაკტიონი — ეს მისი საყვარელი ავტორების არასრული ჩამონათვალია. მომღერალი და პარლამენტის წევრი, ნუზუარ ერემშვიდი ამბობს, რომ ზუპირად ბევრი ისეთი ლექსი იცის, რომლებიც სხვების ყურადღების მიღმა რჩება.



„საქართველოში მოღერალს მოაზროვნედ არ მიიჩნევენ“

თამუნა კვიციანი

პრემიის ავტორი

— ბატონო ნუზუარ, ამჟამად რას კითხულობთ?

— „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. მისი გამონათქვამები მომწონს. მაგალითად: „როცა რეგენივით ვლაპარაკობთ, ე.ი. ახალგაზრდები ვართ“.

— ამ გამონათქვამს ეთანხმებით?

— რა თქმა უნდა!

— ნიგნს ხშირად გჩუქნიან?

— ნიგნი არაერთხელ უჩუქებიათ და მეც გამიჩუქებია. ჩემს ახალ რომანს — „მხატვარი და მარბარიტა“ თქვენც გაჩუქებთ.

— გმადლობთ. თქვენი საყვარელი მხატვარი ვინ არის?

— არაერთი მხატვრის შემოქმედება მომწონს. განსაკუთრებით, ნიკოლას ბუდს განვიცდი და ვნუხვარ, რომ მას თანამედროვენი ვერ უგებდნენ.

— თავად რამდენად ხშირად გაქვთ იმის განცდა, რომ ვერ გიგებენ?

— საკმაოდ ხშირად. როცა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტე, გაღიზიანებულ ადამიანთა მთელი არმია ჩემზე აღაპარაკდა. ვფიქრობ, ისინი მომღერალს მოაზროვნედ არ მიიჩნევენ.

— ეს რისი ბრალია?

— ეს აბსოლუტურად არასწორი შეხედულებაა. იმიტომ, რომ ვმღერი, რატომ უნდა თქვას ვილაყამ, რომ მე არაფერი გამეგება, რომ ჩემი ადგილი პარლამენტში არ არის? სიმღერა ყველა ქართველის ჰობია. სხვათა შორის, პროფესიით დიზაინერი გახლავართ.

— პირად საუბარში მითხარით, რომ ახალ კანონპროექტზე მუშაობთ...

— პარლამენტში სხდომები დაიწყება თუ არა, გამოვალ ინიციატივით საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. ვფიქრობ, უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზაცია, რომელიც ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის. იმედი მაქვს, უმრავლესობის წევრები მხარს დამიჭერენ.

— ეკონომიკის მინისტრის გათავისუფლებაზე თქვენი აზრი როგორია?

— ლაშა ჟვანიას პირადად ვიცნობ და მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. ჭორაობას ვერ დავიწყებ. რომ ვიცოდე, რა მოხდა, გეტყობდი კიდევ. ვეჭვობ, პირადი დაპირისპირების გამო მოხდა...

— ნიკა გილაური მართლა სუსტი პრემიერია?

— ლაშა ჟვანიამ ციფრები დაასახელა. თუ ის ციფრები ტყუილს ეფუძნება, მაშინ ყოფილი მინისტრია მტყუანი.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ლაშა ჟვანია ოპოზიციაში წავა?

— მან თქვა, რომ პრეზიდენტის გუნდში რჩება, მაგრამ რა მოხდება ხვალ, ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, ლაშა ჟვანია სხვა თანამდებობას დაიკავებს.

— სადაური სიტყვაა „პარლამენტი“?

— ფრანგულია და სალაპარაკო ადგილს ნიშნავს.

— საქართველოს რომელი მეფის დროს აღიარეს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

— მეფე მირიანის დროს.

— „ნუ იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტყვებს ჰგავს, სირცხვილია“, — რომელი ცნობილი პოეტი ამბობდა ამ სიტყვებს?

— ვერ გიპასუხებთ.

— ის თქვენი საყვარელი პოეტია...

— (მანყვეტიწებს) გალაკტიონი?

— დიახ. მეტისმეტი გულახდილობა თქვენ თუ გახასიათებთ?

— ხანდახან, როცა ნასვამი ვარ, გულახდილობის ხასიათზე ვდგები, მაგრამ იმ დროს ხომ ჩემი თანამოსაუბრეც ნასვამია და მეორე დღეს არაფერი ემასსოვრება (იცინის). გულახდილი მტერთან არ უნდა იყო.

— რომელ ქვეყანაშია დაკრძალული მირზა გელოვანი?

— ბელორუსიაში.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა 9 ძმა ხერხეულიძე?

— მარაბდის ბრძოლაში.

— როცა მოსკოვსა და პეტერბურგს შორის სარკინიგზო ხაზი გაიხსნა, პირველ სამ დღეს მგზავრობა უფასო იყო. რატომ?

— ადამიანებს მატარებელში ასვლის ეშინოდათ და მგზავრობა უფასო სწორედ შიშის დასაძლევად იყო.

— ვინ შეასრულა თარაშ ემზვარის როლი მხატვრულ ფილმში — „მთვარის მოტაცება“?

— გეიდარ ფალავანდიშვილია.

— ბუნებაში ის ჩვეულებრივ, მწვანე ფერისაა, მაგრამ ადამიანმა შეძლო მისი შავი, ყვითელი და წითელი ნაირსახობის მიღება. რას ვგულისხმობ?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ.

— ჩაის. რისგან იშვა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე?

— ზღვის ქაფისგან.

— ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი — ილია ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, დავით გურამიშვილი თუ ვაჟა-ფშაველა?

— (ფიქრობს) სოლომონ დოდაშვილი იქნებოდა, არა?
 — გამოიცანით. ის 1952 წელს დაიბადა. მისი მამა მერძვე იყო, დედა — პარიკმახერი. მომავალმა ვარსკვლავმა ბავშვობა სიდუხჭირეში გაატარა. მუსიკის სიყვარული დედამ ჩაუნერგა. უკრავდა ფორტეპიანოზე, ხოლო 7 წლისამ გიტარა პირველად აიღო ხელში და მიხვდა, ამ ინსტრუმენტს ვეღარ შეეღებოდა. დაასახელეთ ეს მომღერალი.
 — (ფიქრობს) ერთდროულად ბევრი მომღერალი გამასხენდა, მათგან ერთ-ერთის დასახელება კი მიჭირს.
 — მიგანიშნებთ, ის ახალგაზრდობაში ყვითელი და შავზოლიანი მაისურით დადიოდა, ხალხს ფუტკარს ასხენებდა და ამიტომაც, ეს მეტსახელი შეარქვეს.
 — და ჩვენ ამ მეტსახელით ვიცნობთ?
 — დიას. მისი ნამდვილი სახელია — გორდონ მეთიუ სამერი.
 — დავიბენი...
 — სტინგს ვგულისხმობდი.
 — სიტყვა „სტინგი“ ფუტკარს ნიშნავს?
 — არა, ნექტარს. ძველი მსოფლიოს გამოჩენილ სწავლულთა შორის, რომელი იყო ენაბლუ?
 — დემოსტენე. ის ხშირად პირში კენჭებს იღებდა და ისე ლაპარაკობდა.
 — რა ნათესაური კავშირი ჰქონდა ნიკიტა ხრუშჩოვს ვასილ მუჟანაძესთან?
 — როგორც ამბობენ, ქვისლები იყვნენ.
 — ლადო გუდიაშვილის მოგონებების თანახმად, 1919 წელს რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს. იქ ახალ ლექსებს კითხულობდნენ. იმ დროისთვის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები გამოდიოდნენ. რა ერქვა ამ კაფეს?
 — „ქიმიერიონი“.
 — ცნობილი ფრანგი მწერალი გი დე მოპასანი დამბლით გარდაიცვალა. რომელი ქართველი მწერალი გარდაიცვალა იმავე წელს, იმავე ავადმყოფობით?
 — ეს რომელ წელს მოხდა?
 — 1893-ში.
 — ვერ გიპასუხებთ.
 — ალექსანდრე ყაზბეგი. სამეგრელოს რომელი რაიონიდან იყო კონსტანტინე გამსახურდია?
 — აბაშიდან.
 — რამდენი სახმელეთო მეზობელი ჰყავს კანადას?
 — ერთი. ეს არის აშშ.
 — II მსოფლიო ომის დროს, რომელმა ქართველმა მებრძოლმა დაიმსახურა იტალიის ეროვნული გმირის წოდება და რა ჰქვია ფილმს, რომელიც რეზო თაბუკაშვილმა ამ მოვლენას მიუძღვნა?
 — ფორე მოსულიშვილი იტალიის ეროვნული გმირი გახდა. რეზო თაბუკაშვილის ფილმს კი რა ჰქვია? ვეღარ გავიხსენე.
 — „ალბური ვარსკვლავი“. ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ მიედინება. რომელია ეს ქვეყანა?
 — იტალია.
 — ცდებით. მიგანიშნებთ, ის ნავთობით მდიდარი ქვეყანაა.
 — საუდის არაბეთი, არა?
 — გამოიცანით. რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუსამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?
 — „ქეთო და კოტეში“. ამ ფილმში ორი სიმღერის მუსიკის ავტორი ვიქტორ დოლიძე კი არა, არჩილ კერესელიძე გახლავთ. ეს სიმღერებია: „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“ და „ერთხელ ვიხილე“.

— ეს ფილმი ვისი პეისის მიხედვითაა გადაღებული?
 — ავესენტი ცაგარელის „ხანუმა“ მიხედვით.
 — რომელი რელიგიის მიმდევრები არიან ტიბეტელი ბერები?
 — ბუდიზმის.
 — „ვინც ლაფში თავიდან ბოლომდე ამოსწრილია, არ შეიძლება, ისე შეეხოს სხვას, რომ ლაფი იმასაც არ მოაცხოს“ — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
 — არ ვიცი.
 — ილია ჭავჭავაძე.
 — „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“ — ილიას ეს გამონათქვამი სულ მახსოვს.
 — რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?
 — ერთობა (ფიქრობს)... ვეღარ გავიხსენე.
 — „ძალა ერთობაშია“. რომელი დაბაა გუდამაყრის არაგვისა და მთიულეთის არაგვის შესართავთან?
 — ფასანაური.
 — რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?
 — „შავლეგო“.
 — დღესათვის დედამიწაზე სპილოს 2 სახეობა ბინადრობს: ინდური და აფრიკული. აფრიკული სპილო უფრო დიდი ზომისაა და გრძელი ეშვები აქვს. კიდევ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
 — მგონი, ფერით, არა?
 — ყურების ზომით. ვინ დაწერა ქართული ენის საგალობელი — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“?
 — იოანე ზოსიმემ.
 — რა ჰქვია ხელმწიფეს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“?
 — არ მახსოვს.
 — ფინეზი. რომელი პროფესიის ადამიანებს უწოდებენ ძველი ბერძნები „დროის გადამცემებს“?
 — ისტორიკოსებს.
 — 1912 წლის შემდეგ ეს სახელწოდება არც ერთი სომალდისთვის არ დაურქმევიათ.
 — „ტიტანიკს“ გულისხმობთ?
 — დიას.
 — ამბობენ, რომ 2012 წლისთვის ახალი „ტიტანიკი“ გამოვა.
 — ამერიკის რომელი პრეზიდენტი აირჩიეს ზედიზედ 3-ჯერ.
 — რუზველტი.
 — რომელ ევროპულ სახელმწიფოს უწოდებენ 1000 ტბის ქვეყანას?
 — არ ვიცი.
 — ფინეთს. რისი დრო დგებოდა ძველ რომში, როცა დიასახლისი სტუმრებს სანდლების გახდას სთავაზობდა?
 — ვერ გიპასუხებთ.
 — სადილობის. 3000 წლის წინ ეს საქმიანობა მამაკაცებმა მოიგონეს, დღეს კი მას ქალების საქმედ მიიჩნევენ. რაზეა ლაპარაკი?
 — მზარეულობაზე?
 — არა.
 — მაშინ, ქსოვას გულისხმობს.
 — დიას. დაასრულეთ ფრანგი მწერალ-მორალისტის, ლაროშეუკოს ცნობილი გამონათქვამი: „ყველა უჩივის თავის მესიერებას, მაგრამ არავინ...“
 — „თავის გონებას“... რას ერჩი, მართალი უთქვამს: თავის გონებას ვინმე უჩიოდეს, ჯერ არ მინახავს და გამიგონია.

გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲ არ გაგაქცეთ თვალი

- დაასახელეთ ავტომობილი, რომელსაც ტრადიციულად, ჯეიმს ბონდი მართავს.
- დაასახელეთ სახელმწიფო, საიდანაც ექსპორტზე მხოლოდ ბეჭდვითი პროდუქცია გადის.
- რა არის ტეხვრა?
- რა არის ლადარი?
- ციხფერი ჩაფხუტების ნაცვლად, რა ახურავთ თავზე ლიბანში განლაგებულ სამწვიდობო ჯარში მომსახურე ინდოელ ჯარისკაცებს?
- რა არის გვერგვი?
- „მის შემოქმედებაში არის შესანიშნავი მომენტები და საშინელი საათები“, — ვისი მუსიკის შესახებ ამბობდა ამას იტალიელი კომპოზიტორი ჯოაკინო ანტონიო როსინი?
- დაასრულეთ მიხაელ ზადორნოვის ზუმრობა: „ღმერთი ისე გაბრაზდა მოსესა და ებრაელებზე, რომ 40 წელი ატარა უდაბნოში და ბოლოს, ისეთი ადგილი შეურჩია, სადაც...“
- ტროის ომის დროს ოლიმპოს ღმერთებიდან ჰერა, ათენა, პოსეიდონი, ჰერმესი და ჰეფესტო ბერძნებს ესმარებოდნენ; აფროდიტე, არტიმიდე, ლატონა, არესი და აპოლონი — ტროელებს. ვის მხარეს იყო ზევსი?
- ყველასთვის ცნობილი რუსული გამოთქმა — „ჩემ ჩორტ ნე შუტიტ“ — ანდაზის მხოლოდ პირველი ნაწილია. დაასახელეთ ანდაზის სრული ვარიანტი.
- „სამხედრო და სხვა საქმეთა უწყებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის სამეფოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში“, — ასე ერქვა პეტრე პირველის დროს გამოცემულ გაზეთს. იგი ერთადერთი გახლდათ რუსეთში, რომელიც ცენზურას არ ექვემდებარებოდა და ყოველგვარი ზენოლისაგან თავისუფალი იყო. რატომ?
- ძველად, აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ლიტინი კანონით იკრძალებოდა. რატომ?

ანექლოცენი

ორი დაქალი საუბრობს:
— ნეტა, რა თანხა დამჭირდება, შევებულება კარგად რომ გავატარო?

— გააჩნია, როგორ აპირებ დასვენებას — შენებურად თუ მოკრძალებულად?

— ვერ მივხვდი, რას მეკითხები?

— გაუგებარი არაფერი მითქვამს! თუ მოკრძალებულად დაისვენებ, 500 დოლარამდე დაგიჯდება, ხოლო თუ შენებურად — ხუთ მაგდენს უკან ჩამოიტანს.

ქმარზე განანყენებულმა ცოლმა ჩემოდნები ჩაალაგა და საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა.

— როცა სახლიდან გამოვედი, სროლის ხმა გავიგონე. ნეტავ, თავი ხომ არ მოიკლა? — ეკითხება შვილი დედამისს.

— რას ამბობ, სულელო, ალბათ, შამპანურის ბოთლი გახსნა! — დაამშვიდა დედამ.

მიხოს სიდედრი მატარებლით უნდა ჩამოვიდეს. ბავშვი მამას ეკითხება:

— მამი, მამი, ზუსტად იცი, რომ ბებია ამ მატარებლით ჩამოდის?

— მოკვტე და რელსები დროზე აყარე!

მასწავლებელი პატარა სანდროს ეკითხება:



— რა უნდა გამოხვიდე?
— პოლიციელი!
— შენ, ვანო?
— ბანდიტი! ისევ ერთად ვითამაშებთ.

— ქეთინო, რატომ არ თხოვდები?

— არ მომწონს მთვრალი კაცები.



— შენც, ფხიზელს მისთხოვდი.
— ფხიზელ კაცებს მე არ მოვწონვარ.

მოკრივე შეყვარებულს ეუბნება:
— ხვალ შუადღეს ბრძოლა მაქვს, სალამოს კი კაფეში დაგელოდები.
— კარგი, ოლონდ, ხელში გაზეთი დაიჭირე.

ქუთაისელი ძმაკაცს ურეკავს:
— თბილისიდან ხალხი ჩამომივიდა სტუმრად და ამოდი.
— რა ფერის „საროჩკები“ აცვიათ?
— შავი.
— აუ, ეგენი დიდი ხნით იქნებიან ჩამოსულები.

სვანი კიბეზე ადის:
— უკაცრავად, ეს მეორე სართულია?
— არა, მესამე.
— აბა, მეორე სართული სად არის?

* * *

გამოცანა: მოხუცი ავტობუსში ავიდა და სვანმა ადგილი დაუთმო, რის გამოც, ავტობუსი ხრამში გადაიჩხუბა. რატომ?

პასუხი: სვანი ავტობუსის მძღოლი იყო.

* * *

სარა მოთქვამს:

— მოშევე, შე საცოდავო, რას ერჩოდი ამ ახალთახალ სკამს, რომ გატყვევე ან ასეთი ძვირფასი ჭალი რომ დაგვიღენქო! რალად ვარ ცოცხალი, სხვაგან ვერსად ჩამოიხრჩვე თავიიი?!

* * *

— პირდაპირ, ალარ ვიცი, გავთხოვდე თუ არა. ეს უკვე ასჯერ მთხოვეს, თანაც, დაჩოქილებმა...

— ვინ გთხოვა?
— საკუთარმა მშობლებმა.

* * *

— ნახე, რა ქალი მოდის!
— ევე, შენ მაგი გახდილი უნდა ნახო!

— შენ რა იცი?!
— ჩემი ცოლია.

* * *

განცხადება: „იყიდება მინა მრგვალ ბალთან, იაფად. ერთი კილო 10 ლარი“.

* * *

ქალები აღსრებაზე მღვდელთან მივიდნენ:

— მამაო, 3-ჯერ შევცოდე, — ეუბნება ერთი.

— 14-ჯერ ილოცე და ერთი თვე იმარხულე.

— მამაო, ხუთჯერ შევცოდე! — ეუბნება მეორე.

— 21-ჯერ ილოცე და ორი თვე იმარხულე.

— მამაო, რვა-ნახევარჯერ შევცოდე! — ეუბნება მესამე. მღვდელმა კალკულატორი აიღო, რალაც იანგარიშა და ეუბნება:

— ნადი ახლა შენ და ბოლომდე შესცოდე. ვერ ვანგარიშობ, რალაც ცუდი წილადი გამოდის.

* * *

შეკითხვა სომხურ რადიოს:

— შეიძლება თუ არა, რომ ქართველი კოსმოსში გაფრინდეს?

— ღმერთმა დაგვიფაროს! მაშინ

ხომ ყველა ქართველი სიამაყით დაიხოცება, ყველა სომეხი — შურით და ყველაფერი აზერბაიჯანელებს დარჩებათ.

* * *

ჰაკერი გაკვირებული უყურებს, თუ როგორ უკრავს მისი მეგობარი პიანინოზე და ეუბნება:



— შენ რალაც სხვანაირი კლავიატურა გაქვს, პროცესორიც უცნაურია! ერთი ის გამაგებინე, „შიფტს“ ფეხს რატომ ადგამ?!

* * *

ტელეფონის ზარია:

— ალო, გისმენთ!
— გაუმარჯოს! როგორა ხარ?!
— გმადლობთ, კარგად.
— უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოეხვდით.

გონების სპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „ასტონ მარტინი“.
2. ვატიკანი.
3. დიდი ყინვა.
4. ნაკვერჩხლიანი ნაცარი.
5. ცისფერი ჩალმები.
6. კასრზე ჩამოსაცმელი რკინის სალტე.
7. მისთვის საძულველი რიჰარდ ვაგნერის მუსიკის შესახებ.
8. „...გრამი ნავთობი არ მოიპოვებოდა“.
9. ის ამ ომში არ ჩარეულა.
10. „ჩემ ჩორტ ნე შუტიტ, კაგდა ბოგ სპიტ!“
11. გაზეთს თავად პეტრე პირველი გამოსცემდა.
12. ადამიანის ამ სახით აღზნება ცოდეად მიიჩნეოდა.

ჩენიფოსტოგანაა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით:
gza.fantazia@gmail.com,
„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, ოსებშიძის ქ. №49.



ინფორმაციულ-საეკონომიკური კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ანწუხი წვეტიანი სარია.
2. „ამქელი“ და „ბებიქალი“ სინონიმებია.
3. ველური ძალი დინგო არასდროს ყფს.
4. რუსი სტრელცები საკუთარი სარჯით იჭურვებოდნენ.
5. ფარენჰეიტის სკალის მიხედვით წყალი 32 გრადუსზე იყინება.
6. მიოლოგია ანატომიის ნაწილია, რომელიც კუნთებს შეისწავლის.
7. ვისი სახელიც არ იცოდა, დოდო აბაშიძე ყველას მამუკას ეძახდა.
8. ბუდუღაის როლი ფილმში „ბოშა“ მისი ვოლონტირმა შეასრულა.
9. ლაქანი წნელისგან მოწმული სანოლია, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული.
10. ავტობანი 2,5%-ით დახრილია, რათა მის ზედაპირზე წყალი არ გაჩერდეს.
11. ვეშაპებს 300 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ ჩაყვინთვა, სადაც წნევა 32 ატმოსფეროა.
12. სათეატრო ნარმოდგენების, კონცერტების მომწყობ კერძო პირს ანტრეპრენიორი ჰქვია.
13. ალექსანდრეს ლაშქრობამდე სპარსეთის იმპერია მაკედონიაზე 40-ჯერ უფრო დიდი იყო.
14. ძველ არბატზე ფარნების დადგმის შემდეგ, მოსკოვში გაჩნდა ხუმრობა: „არბატ აფანარელ“.
15. ვლადიმირ მენშოვის ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ „ოსკარით“ არის დაჯილდოებული.
16. ირლანდიაში გველები არ ბინადრობენ. მათ განდევნას ირლანდიის მფარველს, წმინდა პატრიკს მიაწერენ.
17. გალაკტიონ ტაბიძეს ქუთაისის სასწავლებელში სწავლისას საკუთარი მასწავლებლის შვილი, რაისა ჩიხლაძე უყვარდა.
18. დიმიტრი ყიფიანი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალეს.
19. ჰიტლერმა „ვალტერის“ მარკის პისტოლეტით მოიკლა თავი. ფიურერმა იარაღი პირში ჩაიდო და ისე მოისწრაფა სიცოცხლე.
20. „კაკ სვინი ნე ვიდიატ ზვიოზდ, ტაკ კაპიტალისტი ნიკოგდა ნე პოიმუტ ნაშეი სოციალისტიჩესკოვი სუშნოსტი“, — ამბობდა ხრუშჩოვი



უსწაური ნიჭით დაჯილდოებული სუპერბავშვები

კორეელ კიმ უნგ იონგს IQ-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 210 აქვს. კიმს 4 წლის ასაკში შეეძლო კითხვა იაპონურ, კორეულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. 5 წლისა იაპონიის ტელევიზიაში მიიწვიეს, სადაც იმ დროისათვის შესწავლილი ჩინური, ესპანური, ვიეტნამური და ფილიპინური ენების დემონსტრირება შეძლო. 5-6 წლის ასაკში კიმი hanyang-ის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, 7 წლისა კი „ნასაში“, სამუშაოდ მიიწვიეს. 15 წლის იონგმა კოლორადოს უნივერსიტეტში მეცნიერებათა დოქტორის სტატუსი მიიღო. მან უმრავ პრესტიჟულ სამსახურზე უარი თქვა და დღესდღეობით, კორეის პროვინციულ სასწავლებელში სტუდენტებს ლექციებს უკითხავს.

გეორგ სმიტმა კითხვა 2 წლის ასაკში ისწავლა. 10 წლისამ უნივერსიტეტში ჩააბარა. სწავლის პარალელურად, ბევრს მოგზაურობდა. ჩამოყალიბა ბავშვთა უფლებების დამცველი მოძრაობა. ოთხჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე.

აკრიტ იასვალი ინდოეთში დაიბადა. მისი IQ 146-ს აღწევს. ბავშვმა საქვეყნო ყურადღება 2000 წელს მიიპყრო, როცა მეზობლის გოგონას პირველი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარა. წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, ბიჭმა ინდოეთის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა.

აელიტა ანდრემ ხატვა 2 წლის ასაკში დაიწყო. ერთხელ მისი აბსტრაქციული ტილოები მეღბურნის ნაციონალური გალერეის დირექტორმა, მარკ ჯემისონმა ნახა და მათი

გამოფენა გადაწყვიტა. გამოფენის დღეს გაირკვა, რომ ტილოების ავტორი მხოლოდ 3 წლის იყო.

საულ აარონ კრიპკე რაბინის შვილია. მე-4 კლასელმა ბიჭმა ალგებრის, გეომეტრიისა და ფილოსოფიის სრული კურსი წარმატებით ჩააბარა. ნიჭიერ ბავშვს სწავლის გაგრძელება ჰარვარდის უნივერსიტეტში შესთავაზეს, რაზეც საულმა განაცხადა: „დედამ მითხრა, ჰარვარდში სკოლისა და კოლეჯის დამთავრების შემდეგ ჩააბარებო“. ჰარვარდის დამთავრების შემდეგ, საული ფილოსოფიის უმაღლესი ჯილდოს მფლობელიც გახდა.

მაიკლ კევინ კირნმა 10 წლის ასაკში უნივერსიტეტის დამთავრება შეძლო და შოუში — „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ მილიონი მოიგო. ის 17 წლამდე ასაკში ყველა ინტელექტუალური გადაცემის გამარჯვებული გახდა. აღსანიშნავია, რომ მაიკლმა ლაპარაკი 4 თვის ასაკში დაიწყო. პედიატრთან ვიზიტისას, 6 თვის ბავშვმა თქვა: „მარცხენა ყურში ინფექცია მაქვს“. ამის გამგონე ექიმს გული წაუვიდა. 10 თვისამ კითხვა დაიწყო, 4 წლის ასაკში კი წარმატებით გაირა მათემატიკური ტესტები ნიჭიერი ბავშვებისთვის. 6 წლის მაიკლმა სკოლა დაამთავრა და კოლეჯში, გეოლოგიისა და არქეოლოგიის შესწავლა დაიწყო. 2006 წელს ინტელექტუალურ თამაშში კვლავ მოიგო მილიონი დოლარი.


ფაბიანო ლუიჯი კარვანა 14 წლის ასაკში ჭადრაკის გროსმეისტერი გახდა. იგი იტალიისა და აშშ-ის საპატიო მოქალაქეა.

უილიამ ჯოზეფ მოსკონის მამა საბილიარდოს მეპატრონე იყო, მაგრამ ბავშვს თამაშის უფლებას არ აძლევდა. ბილიარდის თამაში უილიამმა პომიდვრებითა და იატაკის ჯოხით ისწავლა. ის ტურნირების დროს სკამზე ადოდა, თამაშისთვის რომ თვალყური ედევნებინა. რამდენიმე წარმატებული თამაშის შემდეგ, 1919 წელს, 6 წლის ასაკში ბილიარდის მსოფლიო ჩემპიონსაც კი მოუგო.



ძვირად ღირებული ნივთების აუქციონი

ყველაზე მსხვილი — 84,37-კარატიანი ბრილიანტი „სოთბის“ აუქციონზე, 16 მლნ დოლარად გაიყიდა. ბრილიანტი (ალმასი) პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებულ და ლამაზ ქვად მიიჩნევა.



ბრძოლის №1 ეტიუდი“ 45.900.000 დოლარად გაიყიდა.

მესობოტამიაში, 5000 წლის წინ დამზადებული 13-სანტიმეტრიანი ფიგურა — „გუენოლას ძუ ლომი“ ამერიკელ კოლექციონერ ალისტერ ბრედლი მარტინს ეკუთვნოდა. ახლა ფიგურა 57.200.000 დოლარად გაიყიდა. ახალი მფლობელის ვინაობა უცნობია.

ბრიტანელი მხატვრის, დემიენ ჰერსტის ნამუშევარი — 8601

ბრილიანტით დამშვენებული პლატინის თავის ქალა უცნობმა პირმა, 100 მლნ დოლარად შეიძინა.

როტმილდების ფაბერიუს კვრცხი „კრისტის“ აუქციონზე, 18 მლნ დოლარად შეიძინეს.

ენდი უორჰოლდის მიერ შექმნილი, ლიზ ტელიორის პორტრეტი მსახიობის თაყვანისმცემელმა, 23 მლნ დოლარად შეიძინა.

ანრი მატისის „ავტოპორტრეტი“ 33 მლნ დოლარად, ხოლო „ხართა

რუბრიკა მოამზადა რუსულან გელაშვილმა

ბიზნუსი

წიგნის მალაზიათა ქსელი

Books



უნდა ავმჯღღეთ ვარეთ,
უნდა ვანვტკაცდეთ შიგნით,
თუ სჯდხ წახვჯლ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით.

ქართული

წაიკითხე წიგნები - უყუარესად იქნები!

თბილისი: ალმაშენებლის №121;
იოსებიდის №49;
რუსთაველის 40/1
ბათუმი: მ. აბაშიძის №62
ზუგდიდი: რუსთაველის №92

სენაკი: რუსთაველის №241
ფოთი: ფარნავაზ მეფის №12
სამტრედიანი: სააკაძის №6
ხაშური: რუსთაველის №69
ღუშეთი: რუსთაველის №11

ახალი რუსთავი: მეგობრობის გამზ. №12
(ჯინო თეატრ რუსთაველის წინ)

ინფორმაციულ-ჰეაქსნაჰითი კოლაჰი

ეოჩა ღვალის
უბის წიგნაკიგან:

(მოგ...ნ „სუშნოსტი“, ნიკიტა სერგეივიჩი!).

21. სამხედრო სამსახურის პროპაგანდისას ამერიკელები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ელვის პრესლი არმიაში მსახურობდა.

22. „ხაჩუ ია, კაკ რანშე, უსლიშატ სლოვა ი პოზივიე როდნიე: „ვნიმანიე, გოვორიტ მოსკვა!“ — რაბოტაიუტ ვსე ოსტალიე“, — წერს ანდრეი ალიაკინი.

23. ინგლისის დედოფლის, ელისაბედ II-ის დას, პრინცესა მარგარეტს ინგლისელი ოფიცერი, სამეფო კარის მეჯინების შვილი უყვარდა.

24. ლადო გუდიამვილიმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მისი დის, სოფიო ბარათაშვილის სახის მიხედვით შექმნა, რადგან დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქართველი პოეტი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი ფოტო თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს მიუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიეში და ისიც ხანძრის დროს დაჰწვარა.



25. კინოვარსკვლავთა სერიოზულ პრობლემად არის ქცეული თაყვანისმცემელთა კატეგორია, რომელიც შეგნებულად მიდის დანაშაულზე, რათა წამიერად მაინც შეეხოს სხვის დიდებას. თავის დროზე ტრაგედიას გადაურჩა ალექსანდრ აბდულოვი, რომელსაც ერთმა თაყვანისმცემელმა ქალმა მჟავა შეასხა სახეში და მიაძახა, — ჩემი თუ არა, არავისი იქნებიო. მსახიობს თითქოს გულმა უგრძნო საფრთხე და ისეთი ნახტომი გააკეთა, რომ ფეხბურთის მეკარესაც შემურდებოდა. მჟავა ქვის კოლონას შეეხსა და არავინ დაუზიანებია.

26. 1824 წლის აჯანყების გულშემატიკვირობისთვის, დიმიტრი ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს. წარმოსადეგი ჭაბუკი იქაურ გუბერნატორს მოსწონებია სასიძოდ და ერთი დიდი სურვილის შესრულებას დაჰპირებია, იმაში დარწმუნებული, რომ ის ქალიშვილის ხელს სთხოვდა. დიმიტრიმ სამშობლოში დაბრუნება ითხოვა. განზილებული გუბერნატორი იძულებული გახდა, სიტყვა შეესრულებინა.

ჰოროსკოპი

(27 აგვისტო - 2 სექტემბერი)

ვაჩი:

კარგია, თუ შვეტულებას აიღებთ და მთელ თავისუფალ დროს მეუღლესა და შვილებს დაუთმობთ. მოუწყვეთ მათ სიურპრიზები და გაანებივრეთ საჩუქრებით. ამ პერიოდში მოსალოდნელია მანქანის ან ბინის ყიდვა.

კუჩი:

ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გართულებებს ხალხური მე-თოდებით უმკურნალო. კარგი პერიოდია საბუთების დასამზადებლად. ამ კვირაში საზღვარგარეთიდან საჩუქრსა და თანხას მიიღებთ.

ტყუპი:

ახალი ნაცნობობა და თავგადასავლები გელით. მგზავრობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე. მეტი ყურადღება და მზრუნველობა გმართებთ საყვარელი ადამიანების მიმართ. პრობლემებს მეგობრების დახმარებით მოაგვარებთ.

კირჩხიბი:

ახალი იდეები და პროექტები თამამად გაცანით უფროსს. ეცადეთ, თავდაჯერებული იყოთ. წარმატების შემთხვევაში დანიშნაურება და ხელფასის მომატება გელით. კვირის ბოლოს შვილებთან ერთად გაერთეთ.

ლომი:

ფრთხილად იყავით, სამსახურში შეთქმულების მსხვერპლი არ გახდეთ. უმჯობესია, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ და ყველაფერს თვალი შორიდან ადევნოთ. საკუთარი მოსაზრებები არავის გაუშხილოთ.

ქაფი:

ეცადეთ, სასიყვარულო ურთიერთობაში წარმოქმნილმა გაუგებრობამ დაწყებული საქმეების დასრულებაში ხელი არ შეგიშალოთ. დახმარებისთვის მშობლებსა და მეგობრებს მიმართეთ.

სასწორი:

უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ყველა ნაბიჯი ანონ-დანონეთ. ამ კვირაში სერიოზული არჩევანის წინაშე დადგებით — ხანმოკლე, მაგრამ თავბრუდამხვევი სასიყვარულო რომანი თუ ქორწინება?

მირი:

საუკეთესო პერიოდია წარსულის გასაანალიზებლად. თუ ცხოვრების თავიდან დაწყებას გადაწყვეტთ, პირველ რიგში, მტანჯველი წარსულისგან უნდა გათავისუფლდეთ. გქონდეთ მეგობრების იმედი.

მშვიდი:

კვირის დასაწყისში გუნება-განწყობილება გაგიუარესდებთ და შეიძლება, გაცივდეთ კიდევ. კვირის ბოლოს მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ, ოღონდ, საქს თქვენ ნუ მიუჯდებათ.

თხრი:

ეს პერიოდი შვილებს დაუთმეთ და მათთან ერთად ქალაქგარეთ გაისეირნეთ. კარგია, თუ მათ უცხო ენას შეასწავლით. არ დაგავიწყდეთ სპორტიც — ცურვა ან ფეხბურთი საუკეთესო არჩევანია.

მეფი:

ნათესავებთან წამოჭრილ კონფლიქტურ სიტუაციებს მეუღლის დახმარებით მოაგვარებთ. ამ კვირაში ენერჯის მოზღვავებას იგრძნობთ, რაც საშუალებას მოგცემთ, ახალი პროექტები განახორციელოთ.

თევზი:

მთელი კვირის მანძილზე სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან, რადგანაც მოსალოდნელია დიდი თანხის წაგება. მოერიდეთ ახალ-გაცნობილებთან ინტიმურ ურთიერთობას.

პასტარაზი გენიოსოზენ

გაზეთი „კვირის პალიტრის“ არქივიდან



4 წლის რატი ნიკოლეიშვილის ბაბუამ კროსვორდში სიტყვა „ქრისტიანი“ ჩანერა. რატი ეკითხება:

— ბაბუ, რა არის ქრისტიანი?
ბაბუამ აუხსნა რატი კვლავ დაინტერესდა:
— ბაბუ, შუქს რომ არ გვაძლევენ, ისინიც ქრისტიანები არიან?



4 წლის ჯაბა ოდიშელაშვილი დასასვენებლად მანგლისში მიჰყავთ. წასვლის წინ გაკვირვებულმა ბიჭმა იკითხა:
— მერე, მანგლისური რომ არ ვიცი?



8 წლის სვიჩა ლაფერაშვილმა ახლახან გაიგო, რომ მის პაპას მიშა ერქვა და აღტაცებულმა ბებოს ჰკითხა:
— ბებო, ბებო, შენი ქმარიც პრეზიდენტი იყო?



4 წლის ნატუკამ სტუმრად მისულ მეზობლის გოგონას, თამთას სალექი რეზინი მიანოდა. თამთამ უთხრა:

— ჯერ შენ აილე, პატარა ხარ.
— ჯერ სტუმარმა უნდა აილოს, მერე კი უსტუმრომ (უსტუმროში საკუთარი თავი იგულისხმავ), — უთხრა მეზობელს ნატუკამ.



თამთა და ზაქარა ნითლანაძეები დასუქობანას თამაშობენ.

— ზაქარ, უკვე დაიმაღლე?
— არა, ჯერ არ შევმძვრალვარ სკამის ქვეშ.



როცა ახალგათხოვილი მამიდა ღამე სახლში არ მოვიდა, 3 წლის ნიკამ იკითხა:

— სად არის მამიდა?
დედამ აუხსნა, რომ ახლა მამიდა ქმართან ერთად იცხოვრებდა.
გავიდა რამდენიმე დღე და ნიკამ მეზობელთან გადასული ბებია, შინ რომ ვერ ნახა, დედას მივარდა და ეკითხება:
— დედა, ბებიაც გათხოვდა?



4 წლის ელისაბედ ციმინტია თამაშობს ელვებულ ბიძას თავზე ხელს უსვამს და ეკითხება:
— ძია გვი, შენ ყველგან შუბლი გაქვს?

საფიქშირო კროსვორდი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	-----

შეკითხვის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოსწის შემთხვევაში გამოქვებულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ბ. ჩენეთის დედაქალაქი; **ბ.** მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ბ.** ვინ არის ბელზებელი; **რ.** რა მდინარე ჩამოედინება ონსა და ამბროლაურში; **თ.** საქართველოს ერთ-ერთი უთხე; **ბ.** სახელმწიფოს მიერ ქალაქის ფულის გამოშვება; **თ.** ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩიკვა ქორნილი“; **ლ.** ბერძნული ფულის ერთეული (ევროს შემოღებამდე); **ბ.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **ლ.** ნივთიერება, რომელიც მცირე ხნით ალაგნებს, სიმწვევს მატებს სპორტსმენის ორგანიზმს; **ბ.** მთა, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ი.** კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ბ.** თბილისის საკალათბურთო კლუბი; **ბ.** გერმანულად — ის, ფრანგულად — უე, ესპანურად — იო, ინგლისურად — აი, ბერძნულად — ?; **გ.** აქლემი — კოზაკი, კამეჩი — ზაქი, შველი — ?; **ბ.** ოთარ მელვინეთუხუცესის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „ნატურის ხე“; **თ.** ფელამუშის მეორენაირი სახელწოდება; **ბ.** ქალაქი შოტლანდიაში; **ზ.** მუსიკალური საკრავი, რომლის

სახელსაც იმ კაცს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამალა ყვირის; **ბ.** ალუდა ქეთელაურის როლის შემსრულებელი თენგიზ აბულაძის ფილმში „ვედრება“; **ს.** შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მისვეულ-მოსვეული გზებით; **თ.** მცენარე, რომლის ტოტისაგანაც ჩიჩილას ამზადებენ; **ბ.** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **გ.** აშშ-ის შტატი, სადაც ამერიკელები ბირთვულ გამოცდებს ატარებდნენ; **ბ.** ჭადრაკის ფიგურა; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** იენისის ქართული ხალხური სახელწოდება; **ბ.** სამხედრო ნადავლი; **ლ.** ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პასუხები: **ბ.** გამბიტი; **ზ.** ზაური; **ბ.** არქიელი; **ბ.** გუთანი; **ზ.** ზვიგენი; **ი.** იაზონია; **ს.** სვიპტრა; **თ.** თელავი; **ბ.** ვუპი; **ი.** იდილია; **ს.** სილუეტი; **ბ.** არიადნე; **თ.** ორმოშო; **ბ.** მზალო; **ბ.** კაქტუსი; **ი.** ილაჯი; **თ.** თარაზო; **ს.** სიზანი; **ბ.** ვიერი; **ბ.** ერუდიტი; **ლ.** ლატვია; **ი.** იაკუბა; **ს.** სიბილა; **თ.** თეირანი; **ბ.** ვალეტა; **ი.** იმედი; **ს.** სესია; **ბ.** ატილა; **თ.** ომალო.

გამოქვეყნებული უპრადეაზი იკითხვა:
ორმოტი დამავალი თოკით არ ჩანსკლავაო.

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	9	8	2	5	4	3	6
4	8	3	1	6	9	7	5	2
2	5	6	4	7	3	8	1	9
8	7	2	3	1	6	9	4	5
1	6	5	2	9	4	3	8	7
3	9	4	5	8	7	2	6	1
9	2	8	6	3	1	5	7	4
6	4	7	9	5	8	1	2	3
5	3	1	7	4	2	6	9	8

3	2	4	1	9	6	8	7	5
6	9	5	7	8	2	4	3	1
8	1	7	4	3	5	2	9	6
4	6	2	9	5	8	7	1	3
1	8	9	3	6	7	5	4	2
5	7	3	2	1	4	9	6	8
9	5	8	6	4	1	3	2	7
2	3	1	8	7	9	6	5	4
7	4	6	5	2	3	1	8	9

4	8	1	2	7	3	6	9	5
6	7	2	1	5	9	4	3	8
3	5	9	6	4	8	2	1	7
5	1	3	4	2	6	8	7	9
8	2	6	7	9	1	3	5	4
7	9	4	3	8	5	1	6	2
2	3	8	5	6	7	9	4	1
9	6	5	8	1	4	7	2	3
1	4	7	9	3	2	5	8	6

*** მარტივი**

			6	5			
	9		5				2
3			9				4
	7		2		5		
2		7	3				8
	8		4		3		
8		3					1
1		2				4	
		7	9				

**** საშუალო**

6				7			1	
		3	8	9				4
	5		6					2
	3	2		6			7	
	6			4			1	
	7					4	9	
	9				1		3	
3				8	2	9		
		5		3				1

***** რთული**

		5			8	2	1		
		6				1		9	
2						9	7		
			6						4
						9			
1				6			8		
		8	1						5
	2		5					7	
		1	9	7				6	

ფოტოკუჩიონები

